საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნოე აფხაზავა

ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში

(ანგარიში, კატალოგი, გამოკვლევა)

ქსნის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I

„მეცნიერება"
თბილისი
1988

ЄЭ4 (2Г)
ა 934

მონოგრაფიაში „ქვემო ალეკი ადრეულ შუა საუკუნეებში“ (ანგარიში, კატალოგი, გამოკვლევა) პირველად ქვეყნდება ქვემო ალეკის ადრე შუა საუკუნეთა სამაროვანზე აღმოჩენილი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც V—VII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ნაშრომში მოცემულია როგორც სამარხეული კომპლექსების, ისე მათი შემადგენელი ნივთების კლასიფიკაცია და ქრონოლოგია; დადგენილია ადგილობრივი (ქსნური) ხელოსნობის ნაწარმი.

არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად რეკონსტრუირებულია ძველი ალეკისა და საერთოდ საქართველოს სოფლის მოსახლეობის სულიერი და სოციალური ყოფის ზოგიერთი დეტალი, აგრეთვე განსაზღვრულია მისი კულტურული და ეკონომიკური დონე და ადგილი ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში.

მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველისათვის.

რედაქტორი — ისტ. მეცნ. დოქტ. ლ. ჭილაშვილი

რეცენზენტები — ისტ. მეცნ. კანდიდატები: ნ. ქანთარია, გ. გამყრელიძე.

ა 0504000000 / M 607 (06)—88 179—88

ISBN 5—520—00179—9

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ავტორისაგან

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1981—1982 წლებში მოპოვებული 57 სამარხეული კომპლექსის ანალიზს. აქამდე ქვემო ალევში მიმდინარე გათხრების შესახებ (საკმაოდ დაგვიანებით) გამოქვეყნდა მხოლოდ 1981 წლის საველე სამუშაოთა ანგარიში[1] და № 25 სამარხეული კომპლექსისადმი მიძღვნილი სტატია[2]. ამ ხნის განმავლობაში კი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ნაშრომები, რომლებშიც განხილულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ადრეულ შუა საუკუნეთა არქეოლოგიური მასალა. ჩატარებული კვლევის შედეგები ნაწილობრივ ეთანხმებიან ადრე გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებებს, არცთუ იშვიათად კი მათი საწინააღმდეგოა. ყოველივე ეს ეხება როგორც არქეოლოგიურ ქრონოლოგიას, ისე ნივთთა ატრიბუციას თუ სიმბოლიკას, აგრეთვე ზოგიერთ კულტურულ-ისტორიულ მოვლენას. ამიტომ ქვემო ალევში მოპოვებულ მასალაზე მუშაობისას თავი ვერ დავაღწიეთ მისწრაფებას გაგვეზოგადებინა რიგი მოვლენებისა და შევხებოდით საპოლემიკო საკითხებს. ამან გამოიწვია ნაშრომის კატალოგური ნაწილის მცირედ შეკვეცა და თეორიული ანალიზისადმი მიძღვნილი მომენტების გაზრდა. შეგეცადეთ აგრეთვე რამდენადმე შეგვევსო 1979 წ. გამოცემულ ნაშრომში „ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა“ სუსტად წარმოდგენილი ნაწილები; კერძოდ, არასრულად დამუშავებული კლასიფიკაცია და ქრონოლოგია საკინძების, საყურეების, ბეჭდებისა და სხვ. იგი გავაკეთეთ ალევის მაგალითზე. ამის საშუალებას გვაძლევს ამ ძეგლზე აღმოჩენილი დიდძალი და მრავალფეროვანი შესაბამისი მასალა.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ 1984—1986 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის მონაცემებიც. მათი სრული კატალოგიზაცია კი განზრახული გვაქვს ცალკე.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც რაიმე ფორმით უშველა მხარს ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოებს. მათ შორის ლენინგორის რაიონის ხელმძღვანელობას და ადგილობრივ მოსახლეობას.

---

[1] ნ. აფხაზავა, ი. გაგოშიძე, კ. გოცაძე, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ქსნის ხეობის რაზმის 1981 წლის მუშაობის ანგარიში, სსმაე, VIII, თბ., 1986.

[2] ნ. აფხაზავა, მხედრის სამარხი ქვემო ალევიდან, სსმმ XXXVIII—B, თბ., 1986.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ისტორიის ადრეფეოდალური ხანა იყო ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანა[1]. მის შესასწავლად კი ყოველგვარ ისტორიულ მონაცემს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთ ასეთ მაღალხარისხოვან ისტორიულ ინფორმაციას არქეოლოგია იძლევა; თუმცა უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, საქართველოს არქეოლოგიას, უფრო ზუსტად, შუა საუკუნეების ძეგლებზე მომუშავე მკვლევარებს სათქმელი კვლავაც ბევრი დარჩათ. შუა საუკუნეთა არქეოლოგია ერთგვარად კვლავ დაქვემდებარებული დისციპლინის როლშია და მის მონაცემებს გიყენწებთ ხოლმე არა როგორც სრულფასოვან წყაროს, არამედ ნარატიულ წყაროთა, ეპიგრაფიკის და ზოგ სხვა ისტორიული დისციპლინის მონაცემთა შემავსებლად. ეს კარგად აისახა ზემოთ ციტირებული „ნარკვევების“ II ტომშიც.

თითქმის 30 წლის წინ ნ. ბერძენიშვილი ბრძანებდა: „საერთოდ საყურადღებოა ჩვენი წელთაღრიცხვის ეს პირველი ხუთი-ექვსი საუკუნე. ის ყოველი მხრით ძლიერი ჩანს და სწრაფი აღმავლობის გზით მავალი (თ უ მ ც ა ჩ ვ ე ნ ი არ ქ ე ო ლ ო გ ე ბ ი მ თ ლ ა დ ა მ ა ზ რ ი ს ა ნ ი არ უ ნ დ ა ი ყ ვ ნ ე ნ, შ ე ი ძ ლ ე ბ ა ც დ ე ბ ო დ ნ ე ნ. ფ ო რ მ ა ც ი ი ს ც ვ ლ ი ს ა ს ი მ დ ი დ რ ე — კ უ ლ ტ უ რ ი ს ა დ ა მ ი ს ი გ ა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ე ბ ს ს ა ზ ო მ ი ც უ ნ დ ა შ ე ი ც ვ ა ლ ო ს)“[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ა.). მართლაც, ადრეულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი V ს-დან სამარხებში ჩატანებულ ნივთთა რაოდენობა და ასორტიმენტი თითქოს მკვეთრად კლებულობს, მაგრამ რაოდენ მეტყველია თვით ეს „გაღარიბებაც“. იგი ხომ ახალი, პროგრესული და დიღი იდეოლოგიის ქრისტიანობის გამარჯვებას ნიშნავს[3], რომელიც ყოველგვარ ნივთებზე უფრო ნათლად და სრულად მიგვითითებს ამა თუ იმ ქვეყნის, ჩვენს

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 27.

2 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. სიგე, 1, თბ., 1960, გვ. 150.

3 „საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული იდეალები ყოველთვის ერთმანეთს ავსებდნენ“. — ბელა ბალხაშვილი, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მეტაფრასული რედაქცია, ძველი ქართული მწერლობის მატიანე, I, 1984, გვ. 96. „იყო პერიოდი, როცა ცდილობდნენ არა მარტო ეფიხისტყაოსანი, არა მარტო ძველი ქართული საერო მწერლობა, არამედ მთელი ქართული კულტურა მოეწყვიტათ ქრისტიანული გონებისაგან და იგი ან მაჰმადიანური სამყაროს ნაწილად, ან უკეთეს შემთხვევაში, წარმართული კულტურული ორიენტაციის მოულენად გამოეცხადებინათ, ე. ი. საქართველო ფაქტიურად საკუთარი, თვითმყოფადი კულტურის გარეშე დაეტოვებინათ“. — გ უ რ ა მ ბ ა რ ნ ო ვ ი, წარმართული რენესანსის გამო. „მნათობი“, №7 1986, გვ. 162. ამასთანავე, „Мнение об извечно реакционной роли христианства как религии, всегда отвлекавшей народные массы от какой бы то ни было борьбы с империей (რომის იმპერიაზეა საუბარი—ნ. ა.), упрощенные трактовки, встречавшиеся в литературе 20—30-х годов, подвергались переоценке“. დღეს როცა დაძლეული იქნა ვულგარული

შემთხვევაში საქართველოს სულიერ, მატერიალურ და სოციალურ დაწინაურება-სიძლიერეზე. მეორე მხრივ, შუა საუკუნეების სამაროვნებში არსებული ჭარბი ინვენტარი ხომ, პირიქით, ამა თუ იმ ქვეყნის, ან მისი რომელიმე კუთხის (სადაც ასეთი ფაქტებია დაფიქსირებული) ერთგვარი ჩამორჩენილობის ნიშანია. ამიტომ მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს, როცა ამა თუ იმ შუა საუკუნეების ძეგლის, ჩვენს შემთხვევაში სამაროვნის, შეთხელებული ინვენტარის ანალიზს იძლევა ხოლმე. როგორც გამოცდილ მკვლევართა. ისე პირადად ჩვენმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი (ისევე როგორც ყველა სხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა) არ იძლევა გადაჭარბებული მეცნიერული ოპტიმიზმის საფუძველს; თუმცა კარგად დოკუმენტირებულ-ფიქსირებული არქეოლოგიური ფაქტები, სწორად განსაზღვრული და სწორი მეცნიერული მეთოდოლოგიით გააზრებული, სრულფასოვან ისტორიულ წყაროდ იქცევა ხოლმე; ბით უმეტეს, რომ ცდრეული შუა საუკუნეების სამარხებში ჯერ კიდევ გვხვდება საკმაო რაოდენობისა და მრავალფეროვანი ნივთები, რაც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ისტორიულ-არქეოლოგიური ქრონოლოგია, შეფასდეს შესასწავლი ხანის კულტურულ-ეკონომიკური დონე და კავშირ-ურთიერთობები; ზოგჯერ კი გაირკვეს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების დეტალებიც კი.

ამ მხრივ დღემდე პირველხარისხოვანი მასალა მოგვცა მცხეთის (განსაკუთრებით სამთავროს) სამაროვნებმა. მათი შესწავლა გრძელდება და კვლავაც საუკეთესო ინფორმაციის წყაროა, რაც კიდევ უფრო მეტ სინათლეს შეიტანს ქართლის (იბერიის) კულტურული პროცესების გააზრებაში და თვით ძველი დედაქალაქის რაობაში[4]. ამ ფონზე თვალშისაცემია, რომ ძლიერ ცოტა, ან სულაც არა გვაქვს ანალოგიური მასალა ქართლის და, საერთოდ, საქართველოს სხვა ურბანისტული ცენტრებიდან[5].

უფრო ნაკლებადაა შესწავლილი „პროვინციული", ან უფრო ზუსტად, „სოფლური" სამაროვნები. მათგან საკმაოდ ბევრია გამოვლენილი, დაზვერილ-მონიშნული, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთია სრულად გათხრილ-შესწავლილი. ამიტომ დღემდე შეუძლებელია საუბარი მათ ტოპოგრაფიაზე, გენეზისზე. სიხშირეზე, დემოგრაფიულ მოვლენებზე და საერთო თუ ლოკალურ კულტურულ-ისტორიულ პროცესებზე.

ათეიზმის რეციდივები, მოვლენები ისტორიზმის პოზიციიდან შეისწავლება. იხ. Коржева К. П. Проблемы первохристианства в советской историографии, ВИ, № 1, 1982, с. 71, 72.

4 ო. ტუშეშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ად. წ. VI—VIII სს.). დისერტაცია, თბ., 1955; მისივე, სამთავროს სამაროვანის II—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები. სსმმ, XXII—B, თბ., 1959; მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1955; ნ. უგრელიძე, ადრეული შუასაუკუნეების ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967; იხ. აგრეთვე სერია „მცხეთა II", „მცხეთა III" და სხვ.

5 არაფერი ვიცით თბილისის სამაროვნების შესახებ. ცოტაა ადრე შუა საუკუნეთა სამარხები გამოვლენილი ურბნისში, რუსთავში. როგორც წინასწარი ინფორმაციებიდან ჩანს, საკმაო სისრულითაა გათხრილი ნაქალაქარ ჟინვალის სამაროვანი, მაგრამ მისი ფართო მასალა ჯერჯერობით უცნობია დაინტერესებულ პირთათვის. კარგადაა შესწავლილი იერის ხეობის ზედა ნაწილი. თუმცა აქ გამოვლენილ თითქმის ერთ ათეულ ადრე შუა საუკუნეების სამაროვანთაგან არც ერთი არ გათხრილა სრულად — იხ. ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთი შუასაუკუნეებში, თბ., 1982; ამ მხრივ გამონაკლისია „წებელდური" სამაროვნები, საიდანაც ცნობილია დიდძალი არქეოლოგიური მასალა—Трапш, М. М. Культура цебельдинских некрополей. Труды, т. 3, Тбилиси, 1971; Воронов Ю. Н. Тайна цебельдинской долины, М., 1975; Гумба М. М. Новые памятники цебельдинской культуры, Тбилиси, 1978 და სხვ.

სწორედ ამ ხარვეზის მცირედ მაინც შევსებას ემსახურება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრები, ლენინგორის რაიონის სოფელ ქვემო ალევში გამოვლენილ ადრეულ შუა საუკუნეთა სამაროვანზე. იგი საჭირო და საშური აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ, როგორც ქსნის ხეობის მკვლევარი ჯ. გვასალია აღნიშნავდა ამ ოციოდე წლის წინ, „ქსნის ხეობის უძველესი ხანის შესახებ ჩვენი მსჯელობა ემყარება შემთხვევით მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას, რადგან არქეოლოგიურად ეს ხეობა სუსტადაა ათვისებული, მისი ზედა წელი კი სრულიად შეუსწავლელია“[6]. ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობით ეს ლაკუნა ნელ-ნელა ივსება.

სოფელი ქვემო ალევი მდებარეობს მდინარე ალეურას (რომელიც ქსნის მარცხენა შენაკადია) ქვემო წელზე, ვიწრო ხეობაში. ალეურა ზემო წელზე, სოფელ მონასტრამდე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოედინება, აქ კი მკვეთრად უხვევს და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიისწრაფის მდინარე ქსნისაკენ. აღმოსავლეთიდან ალევის ხეობას არაგვის ხეობისაგან გამოჰყოფს ლომის-ალევის ქედის სამხრეთის განშტოება, ხოლო დასავლეთიდან მომცრო ქედით გამოყოფილია ცხრაძმის, ცხავატის და საძეგურის ხევებისაგან. მდინარე ქსნის შენაკად ხევთაგან ალევის ხევი ყველაზე დიდია (სიგრძით). ამ მხრივ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა ძირითადად ემთხვევა ისტორიულ-გეოგრაფიულ, თუ გნებავთ ეთნოგრაფიულ, დანაწილებას. ალევის ხევი შედიოდა უფრო დიდ ერთეულში, ქსნის ხევში, რომელიც გვიან შუა საუკუნეთა ქსნის საერისთაოს ძირითადი (უმთავრესი) ნაწილი იყო. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით სოფელი ქვემო ალევი შედის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის კორინთის სასოფლო საბჭოში[7].

არქეოლოგიურ სამუშაოებს ქვემო ალევში საფუძველი ჩაეყარა 1931 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა არქეოლოგიური მასალა ქსნის ხეობის ამ სოფელში მიწის სამუშაოებისას „გახსნილ“ ქვისსამარხებიდან[8]. თუ მისი შემადგენელი სამკაული საკმაოდ საინტერესო, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ჩანდა (VI—VIII სს-ის ტიპური ნივთები, ანალოგიურნი სამთავრულთა, არმაზისხევურთა, რუსთავულთა და სხვ.), სრულიად დაუჯერებელი იყო მათთან ერთად 9 სასანური ვერცხლის მონეტის აღმოჩენა[9]. თუმცა სტაციონარული, მეცნიერული გათხრების დაწყებისთანავე ეს ეჭვი გაგვეფანტა, რადგან მონეტები კიდევ რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა. მათგან ზოგში 2, 3, 4 და 6 ც. (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

---

6 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ, III, თბ., 1967, გვ. 10.

7 ამჯერად ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებზე მეტს აღარ გავაგრძელებთ საუბარს. ამ მომენტთა შესახებ დაწვრილებით იხ. ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა ს დასახელებულ ნაშრომში; აგრეთვე კრებულში „ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ, 1975 და სერგი მაკალათიას წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1968.

8 დ ა წ ვ რ. იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, კ. გ ო ც ა ძ ე, 1986, გვ. 76—82.

9 სამარხი, რომელშიც ვერცხლის სასანური მონეტები აღმოჩნდა, შემდგომში № 1-ად მიენიჭათ (იხ. სურ. № 4, მარცხნივ, წინა პლანზე). მონეტები მოკრილია სასანიანი შაჰების ქავადის, ბალაშის და ხოსრო I-ის სახელით. ისინი და ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ყველა სხვა სასანური მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. წოწელიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

გათხრების დაწყებისთანავე გაირკვა, რომ სამაროვანი მოზრდილი იყო (იხ. სურათი 1, გეგმა). იგი მდებარეობს სოფელ ქვემო ალევის აღმოსავლეთ განაპირას, ფერდობზე, რომელიც ამ ადგილას ოდნავ ვაკდება (იხ. სურათი 2. სურათზე ისრით აღნიშნულია სამაროვანი). ალეველები ამ ადგილს „გრძელას“ უწოდებენ [10]. „გრძელა“ ბოლო დრომდე სახნავ-სათესი ადგილი იყო, ხოლო მოგვიანებით მის დასავლეთით ფერმის შენობა აუგიათ.

უნდა ითქვას, რომ მიწის სამუშაოებისას „გრძელაზე“ არქეოლოგიურ ნივთებს ადრეც პოულობდნენ, მაგრამ მათ მკვლევარებამდე არასოდეს მიუღწევიათ. მნახველთა აღწერისა და მონათხრობის მიხედვით ჯ. გვასალიას „გრძელას“ სამაროვანი ანტიკური ხანისად (უფრო ზუსტად, გვიანანტიკური ხანისად) შეუჩნევია[11].

1981 წელს ალევის ექსპედიციამ გათხარა 35 სამარხი[12], 1982 წელს კი 22. საკმაოდ კარგად გამოიკვეთა სამაროვნის სიგრძე. იგი „გრძელას“ დამხრობას ემთხვევა და ასე 110-მეტრამდე სიგრძისაა. გაცილებით ძნელია მისი სიგანის, ჩრდილო და სამხრეთ საზღვრების მონიშვნა. იგი, ალბათ, მხოლოდ სამაროვნის სრული შესწავლის შემდეგ დადგინდება.

„გრძელაზე“ გათხრილი ყველა სამარხი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე, მეტ-ნაკლები გადახრით. აქ, ალბათ, აისახა დაკრძალვის მომენტის წელიწადის დროთა სხვაობა. მასზე მოქმედებდა ალბათ ისიც, რომ აღნიშნულ მონაკვეთში ალეურას ხეობა პრაქტიკულად O—W ხაზზეა დამხრობილი. თუმცა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადახრით. ორიენტირებისას კი ხეობის მიმართულებას ალბათ ხშირად იყენებდნენ, რაც კიდევ უფრო ადიდებდა ცდომილებას.

სამარხები საკმაოდ მჭიდროდ და ფერდობის დახრილობის შესაბამისადაა განლაგებული (სურ. № 3, № 5), მაგრამ ისინი ერთმანეთზე ძალზე იშვიათად „გადადიან“, ე. ი. სტრატიგრაფიის თითქმის არ ქმნიან. ჯერჯერობით ამ რიგის ორიოდე შემთხვევა დაფიქსირდა. № 6 ქვისსამარხის აღმოსავლეთ კუთხეს თავზე ედგა № 2 ქვისსამარხის დასავლეთ ნაწილი (სურ. 7). № 28 ქვისსამარხის ქვეშ აღმოჩნდა № 56 „ხის სარკოფაგი“, რომელიც არ დაზიანებულა (სურ. 1). აშკარაა, რომ № 28 ქვისსამარხი საკმაოდ დიდი დროის ინტერვალის შემდეგ გაუმართავთ, ვიდრე № 56 სამარხი. მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობა სამარხეული ინვენტარის შედარება-ანალიზმაც დაადასტურა. № 28 ქვისსამარხი ანალიზის მიხედვით VII ს-ის მეორე ნახევრის უნდა იყოს, ხოლო „ხის სარკოფაგი“ № 56—VI ს-ისა.

„სტრატიგრაფიულად“ იყო გამართული № 40 და № 41 ბავშვების ქვისსამარხები. პირველი მეორეს ადგა ზემოდან (სურ. 32). მაგრამ სამარხთა მოწყობის სიტუაციამ (აშკარა იყო, რომ ქვედა სამარხის არსებობა კარგად სცოდ-

---

10 „გრძელა“ ქსნის მარცხენა შენაკადის ალეურას მარჯვენა ნაპირზე მეორე ტერასზე მდებარეობს. თვით სახელი „გრძელა“ თაეანკარა ქართული ჩანს. ასეთი მიკროტოპონიმი არის მცხეთის რაიონში — აღ. ღ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 17; ერწო-თიანეთში — გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 92; იმერეთში — ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ვაკე იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალები, სიგ., VI, 1982, გვ. 109; ზნაურის (ძვ. ოქონას) რაიონის სოფ. არკნეთში — ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არკნეთის სამაროვან., თსუ შრომები, № 63, 1956, გვ. 188.

11 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, 1967, გვ. 13, რუკა I, II, III, IV. „ქვემო ბოლში და ალევშიც შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის სამკაულები“ — სერგი მაყალათია, 1968, გვ. 6.

12 1981 წ. ექსპედიციამ გაზაფხულზე და შემოდგომის დასაწყისში იმუშავა.

ნიათ, ისე მოურგიათ ზემოდან ახალი ქვისსამარხი— სურ. 33, 33[1]), აგრეთვე იმან, რომ მათი ინვენტარი ფაქტიურად თანადროული აღმოჩნდა (V ს. მეორე ნახ.) ამ სამარხთა „სტრატიგრაფიულობას“ ფასი მოაკლო, და მოსალოდნელი ქრონოლოგიური ეფექტი, რაც ესოდენ სანუკვარია ხოლმე არქეოლოგისათვის, არ მოგვცა.

ჯერჯერობით მიღებული მონაცემებით სამაროვნის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში მდებარე სამარხები შედარებით ადრეულია. დასავლეთ ნაწილში კი გამოიყო სამარხთა მცირე ჯგუფი (№ 12, 13, 24) (სურ. 3 წინა პლანზე), რომელსაც გვიანობის ნიშნები ახასიათებს (VII ს. მეორე ნახ.). ამაზე მეტყველებს მათში აღმოჩენილ, მარჯნისაგან დამზადებული ბროწეულის ფორმის საკინძები და შავი მინის ბეჭდები. № 12 სამარხში მათთან ერთად ბიზანტიური ვერცხლის, ჰერაკლე კეისრის მონეტაც კი დადასტურდა[13]. ამასთან ყველა ნივთი მიწეული მიცვალებულის კუთვნილია. ბოლოს დაკრძალული რამდენიმე ჩონჩხის ქვეშ აღმოჩნდა მხოლოდ ბრინჯაოს საკინძის ნატეხი და მონეტა. ამასთან მონეტა საკმაოდ ღრმად იყო მიწაში „ჩასული“. ეტყობა, თავდაპირველად მიცვალებულების „მიწევისას“ საკინძები გატყდა, ნატეხი ახალდაკრძალულის ქვეშ აღმოჩნდა; ამავე მიზეზით მონეტაც „ჩაეფლო“ მიწაში. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილია უფრო ადრეული, სასანური მონეტები. ჯერჯერობით, მონეტა საერთოდ არ აღმოჩენილა სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ მხარეს გაითხარა „ხის სარკოფაგებიც“ (იხ. სურ. 1) ყოველივე ეს გვავარაუდებინებს, რომ სამაროვანი ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ვითარდებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. თუმცა შეიმჩნევა შიგა „ბუდეები“, რომელთაც აგრეთვე თავისი „მიკროდინამიკა“ ჰქონდათ ალბათ. საბოლოო დასკვნები ამ მოვლენის წარმოსაჩენად მხოლოდ სამაროვანის სრული შესწავლის შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი, ამჯერად კი თავს ვიკავებთ.

შესასწავლი 57 სამარხის ქრონოლოგიური ამპლიტუდა მერყეობს V—VII საუკუნეებს შორის[14]. მათგან უმეტესი, ნაწილი VII ს-ს განეკუთვნება. ჯერჯერობით V საუკუნით (მისი მეორე ნახევრით, თუ მიწურულით) დამაჯერებლად მხოლოდ № 40 და № 41 სამარხები თარიღდებიან. მათ დათარიღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩახრილმა, ბრტყელმშვილდიანმა ბუდეაბმულმა, მუხლზამბარიანმა მშვილდსაკინძმა[15].

ალევის სამაროვნისათვის დამახასიათებელია რიგი მომენტები: სხვაობა მამაკაცთა და დედაკაცთა დაკრძალვის წესის ზოგ დეტალში, მონეტათა სიმრავლე სამარხეულ ინვენტარში; ძვირფასი სამკაულის, გლიპტიკისა და მძივების მაღალი ხვედრითი წილი (რასაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ). წინასწარი დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ქვემოთ ალევის სამაროვანი თავისი ყველა ატრიბუტით — სამარხთა ტიპებით, დაკრძალვის წესითა და ნივთიერი მასალით— ტიპურია და ერთ სისტემას ქმნის თანადროულ ქართულ მასალებთან. ხოლო ის თავისებურებები, რაც შეინიშნება დაკრძალვის წესის, თუ

---

13 მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა ისტ. მეცნ. კანდიდატმა თ. აბრამიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

14 ეს ქრონოლოგია ჯერჯერობით არც დღეისათვის, 118 სამარხის გათხრის შემდეგ შეცვლილა.

15 ნ. აფხაზავა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, გვ. 12—13.

ნივთიერი კულტურის ზოგ დეტალში, შესაძლოა პროვინციულ (სოფლურ) სამაროვანთა თუ, საერთოდ, მთისწინეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს, რაც დაზუსტდება და გაირკვევა ქვემო ალევის და სხვა მსგავსი თანადროული სამაროვნების შესწავლის შედეგად.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ალევურმა მონაცემებმა უკვე შეიტანა რიგი კორექტივებისა, ან დაამოწმა და შეამაგრა სხვა ფაქტები, რაც კავშირშია ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ქრონოლოგიის საკითხებთან. ეს მონაცემები სარწმუნოა, რადგან აქ, ალევის სამაროვანზე, ძლიერ იშვიათად გვაქვს სამარხთა ხელმეორედ გამოყენების შემთხვევები; ამასთანავე გვაქვს სამარხთა ისეთი ტიპი, როგორიცაა „ხისსარკოფაგიანი" ორმოსამარხები, რომლებიც ყოველთვის ინდივიდუალურია და მათში სრულიად გამორიცხულია სხვადასხვა ქრონოლოგიური ნიშნის მატარებელი ნივთების შემთხვევითი, მექანიკური აღრევა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ მასთან დაკავშირებულ საკითხებს ფართოდ შევეხებით ქვემოთ, ალევური მასალის განხილვისას.

პირველი თავი

სამარხთა და სამარხეული ინვენტარის აღწერა

ქვისსამარხი № 1. იგი გაიხსნა მიწის სამუშაოებისას შემთხვევით (იხ. სურათი 5, წინა პლანზე)[1], ინვენტარი კი მოხვდა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. სამარხი მდებარეობს სამაროვნის ძირითადი ჯგუფის დასავლეთ ნაწილში (№ 15 სამარხის სამხრეთითა და № 14 სამარხის აღმოსავლეთით). სამარხი დამხრობილია O—W ხაზზე. ყუთი შეკრული იყო 4 ფილაქვისაგან და გადახურული იყო 3 ქვით. ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენი მიცვალებული იწვა სამარხში[2]. № 1 სამარხის ინვენტარის ნაწილი შესულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მიმდინარე ფონდში: საკინძები ბრინჯაოსი (2 ც.): თავი გამოსახავს ოთხსვეტა. „გუმბათიან ტაძარს“ (ტაბ. I—1.2). სიგრძე 15 და 8 სმ (ინვ. 47—981: 2), 4 ბრინჯაოს საკინძი, ბურთულთავიანი, წიბოებით „ყელზე“ (ერთის სიგრძეა 13, 4 სმ, 2 ცალის — 12 სმ, ერთიც წვერმოტეხილია — სიგრძე 8. 1 სმ. ინვ. 47—981 : 2, ტაბ. I—3—6). წყვილი ბრინჯაოს საკინძი გვერდებაწეული, დისკოსებრი თავით[3]. თავის d—2,0 სმ, სიგრძე 11.5 სმ (წვეროები მოტეხილი აქვს. ტაბ. I—8,9). საკინძი ლურჯი, მრავალწახნაგა მინის თავით, წვრილი ბრინჯაოს გატეხილი ღეროთი და ბრინჯაოსავე ვარდულით (ტაბ. I—7). მათთანვე აღმოჩნდა წყვილი საკინძი, რომელთაც ლურჯი მინის ყვავილისებრი თავი. ბრინჯაოს ვარდულები და ბრინჯაოსავე დამტვრეული ღეროები აქვთ (ტაბ. I—19, 20).

საყურეები (წყვილი), ფართო პირგახსნილი რგოლით, ბოლოზე დამაგრებულია მძივსაკიდის სამაგრი პატარა რგოლი, მასზე ჰკიდია დიდი წვეთისებრი მძივი, რომლის წვერზე დამაგრებულია პატარა, მრგვალი, შავი მძივი. დიდი მძივის შიგა მასა შავი ფერისაა, ფისისებრი ფაქტურისა[4]. მას გადაკრული უნდა ჰქონოდა ძლიერ თხელი ვერცხლი. საყურეები ახლა დამტვრეულია. მათი უდიდესი სიგრძე 6 სმ უნდა ყოფილიყო (ინვ. 47 — 981 : 2) (ტაბ. I—14, 15).

---

1 სურათი გადაღებულია არქეოლოგიური თხრის დაწყების შემდეგ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ ფოტოსურათთა მხოლოდ აუცილებელ ნაწილს. ნაწილი უკვე გამოქვეყნდა ზემოთ დასახელებულ ანგარიშში.

2 ინვენტარის მიხედვით — სამკაულები, 9 ვერცხლის მონეტა — სავარაუდოა, რომ სამარხში ერთზე მეტი მიცვალებული იყო.

3 შემდგომში აღმოჩნდა საკინძები, რომელთა თავები მინით ინკრუსტირებული მრგვალი ბალთებით იყო შემკული. ამ შემთხვევაშიც მსგავსი რამ ხომ არ უნდა ვივარაუდოთ?

4 ასეთი გული აქვთ საყურეთა უმეტესობის მძივებსა და ზოგიერთი საკინძის თავს. „ხის ნახშირისებრი“ მასა ზოგჯერ ცვილი აღმოჩნდა, ზოგჯერ კი ფისით გაჟღენთილი ბამბა (?).

სამაჯური, ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი. მსხვილი მავთულის წრის გახსნილი ბოლოები დაბრტყელებულია და ზედ დაშტამპვით ცხოველის სახეები იყო გამოსახული[5]. სამაჯურის d—7 სმ. იგი ორადაა გატეხილი (ინვ. 47—981/5) (ტაბ. I—16).

რკინის სამაჯური, ძლიერ დაჟანგული, დეფორმირებული, ქსოვილის ნაშთით d—5 სმ (ინვ. 47—981/6) (ტაბ. I—17).

სამაჯურის (?) ნატეხი. ერთმანეთზე გადაბმული რკინის რგოლებისგან შედგება. ძლიერ დაჟანგულია (სიგანე 1,5 სმ) (ტაბ. I—12).

მშვილდსაკინძები (რკინისა): ერთი მათგანი ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანია, ძლიერ დაჟანგული, ქსოვილის ნაშთით. აკლია ენის ნაწილი (სიგრძე 5,7 სმ, სიმაღლე 2 სმ) (ტაბ. I—10). მეორე ჯვრისებრია, ბუდის ასაბმელთან ჩახრილი, მუხლსახსრიანი. დაჟანგულია და აკლია ენის ნაწილი (სიგრძე 6,1 სმ, სიმაღლე 2,1 სმ) (ტაბ. I—11).

რგოლი ბეჭდისა, ბრინჯაოსი, პირგახსნილია, ბუდე დაკარგული აქვს. ღეროს სისქე უდრის 0,3 სმ, რგოლის d—2,5 სმ (ტაბ. I—13).

მძივები წვრილი, მრგვალბრტყელი, უფორმო, ძლიერ გამოფიტული, ირიზებული და გაუფერულებული, სარჩულიანი უნდა ყოფილიყო — 10ც. (ინვ. 47—981/1) (ტაბ. I—18).

სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე 9 სასანური ვერცხლის მონეტა, რომლებიც მოჭრილია სასანიდი შაჰების — კავადის, ბალაშის და ხოსრო I-ის სახელით. ერთი მათგანი ძლიერ დამტვრეულია (ტაბ. 1—21).

ქვისსამარხი № 2. მდებარეობს სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 6). № 6 ქვისსამარხის აღმოსავლეთით. მისი დასავლეთი ნაწილი ზემოდან ედო ამ უკანასკნელის სახურავს (სურ.7). სამარხის ყუთი შეკრული იყო 4 ფილაქვისაგან. სამარხი გაძარცული, არეული, ხოლო ინვენტარი დაზიანებული აღმოჩნდა[6].

გადარჩენილი ინვენტარი შედგება: ბრინჯაოს ეჟვანი, ქვემოდან ჭრილიანი, ელიფსური მუცლით და ბრტყელი გახვრეტილი ყურით (1,8×1,4 სმ) (ტაბ. II—1). ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ნატეხები (ტაბ. II—5,7). ბრინჯაოს და რკინისი ნივთების ნატეხები (ტაბ. II—3,4). რკინის რგოლი (ბეჭედი?) კუწუბოსებრი შვერილით (d—1,8 სმ. ტაბ. II—2)[7].

ქვისსამარხი №3. მდებარეობს №2 ქვისსამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხის ყუთი შეკრულია 4 ფილაქვით. სახურავი გადამძვრალია. სამარხი ჩვენამდე გაუხსნიათ და გაუძარცვიათ (დამხრობილია O—W ხაზზე) სურ 1.

ქვისსამარხი № 4. მდებარეობს №3 ქვისსამარხის სამხრეთით. იგი გაძარცული აღმოჩნდა. ყუთი 4 ფილაქვით იყო შეკრული. სახურავის ქვები დაკარგულია. სიგრძე — 1,82 მ, სიგანე — 0,49 მ. სამარხში ასვენია ზოგზე გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული ერთი მიცვალებული. ჩონჩხის სიგრძე — 1,75 მ-ია. სამარხში ინვენტარი არ დადასტურდა.

---

5 ქიმიურ ლაბორატორიაში გაწმენდისას გამოსახულება გადავიდა.

6 № 2 ქვისსამარხიდან დაწყებული ალეევის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის „ურბნისის“ ფონდში, ინდექსი 7—986.

7 სამარხთა დამხრობას, ვინაიდან ისინი პრაქტიკულად მეტ-ნაკლები გადახრით O—W ხაზს ემთხვევიან მხოლოდ მნიშვნელოვანი განსხვავებისას აღვნიშნავთ.

ქვისსამარხი № 5. მისი სახურავი დაძრული იყო (სურ. 6). იგი გაუძარცვავთ. სამარხის შიგა ზომებია — 1,85×0,8 მ. ყუთი შეკრულია 4 ფილა-საგან.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი გადარჩენილი ინვენტარი: საყურე — ფართო პირგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი რგოლის ბოლოზე მიმაგრებულია პატარა რგოლი (2,6×3,0 სმ), რომელზეც ჰკიდია მძივსაკიდი ღერო (საყურის საერთო სიგრძე 4,5 სმ) (ტაბ. II—8). ამ უკანასკნელზე ამჟამად შერჩენილია ბრინჯაოსავე პატარა ნახევარსფერო.

საკინძი ბრინჯაოსი, პატარა მრგვალი თავით და „ყელზე" წყვილი წიბოთი. ბოლო წატეხილია (ტაბ. II—10).

საკინძის თავი ლურჯი მინისა (1,7×1,1 სმ), ყვავილის (ბროწეულის?) ფორმის. მას თან ახლავს რკინის ღეროს ნატეხები (ტაბ. II—11).

ბრინჯაოს ფირფიტა, არასწორი გულის ფორმის (2,2×2,1 სმ) (ტაბ. II—9).

ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები, თხელფურცლოვანი, პუნსონირებული (პატარა ბურცობებიანი ზედაპირითა და კანტით) (ტაბ. II—14).

ბრინჯაოს რგოლი, ბრტყელგანივკვეთიანი (d—0,9 სმ, სიგანე — 0,35 სმ) (ტაბ. II—13).

ბრინჯაოს რგოლის ნატეხი (d—2,4 სმ) (ტაბ. II—12).

ქვისსამარხი № 6. იგი მდებარეობს № 2 სამარხის დასავლეთით და მისი აღმოსავლეთი ნაწილი (სახურავის) შედის ამ უკანასკნელის ქვეშ (სურ. 7). სამარხი გადახურულია სამი ფილაქვით. ყუთის ჩრდილო კედელი ორი ქვისაგან შედგება, ხოლო დანარჩენი — თითო ქვისაგან. სამარხის შიგა სიგრძე 1,8 მ, სიგანე დასავლეთის მხარეს — 0,65 მ, აღმოსავლეთით — 0,55 მ.

სამარხი პირთამდე სავსე იყო მიწით. მის ზედაპირზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ღეროზე მოძრავად (სახსრისებრად) მიმაგრებული ოქროს თვალბუდიანი საკინძი. თვალბუდე მრგვალია, ბრტყელძირა; შიგ უფერო მინის, ბრტყელი, დისკოსებრი თვალი ზის (თვალბუდის d—2,5 სმ, საკინძის საერთო სიგრძე 9,6 სმ) (ტაბ. III—8).

აღნიშნულ ნივთთან ერთად 15 სმ-ის სიღრმემდე, პრეპარაციისას აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

საკინძები (2 ც.) — ბრინჯაოსი, ბურთულათავიანი, ყელზე 2 წყვილი წიბოთი (l—12,5 და 12,4 სმ) (ტაბ. III—1,2), ქარვის მძივით თავშემკული (2 ც.). ისინი ოვალური ფორმისა და რვაწახნაგაა (1,03×1,0 სმ). ბრინჯაოს ღერო შერჩენილი აქვს მხოლოდ ერთს (ტაბ. III—3,4). საკინძი სამად განტოტვილი მრგვალი გრანატის[8] მძივით და რკინის ღეროს ნაშთით (ტაბ. III—6); საკინძის თავი, პატარა „ნუშისებრი" ბრინჯაოს თვალბუდეა, რომელშიც ასეთივე ფორმის, ცალ მხარეს ამობურცული გამჭვირვალე მინის თვალი ზის. თვალბუდეს ერთ მხარეს საკინძის ღეროს სამაგრი ხვრელი აქვს, მეორე მხარეს კი პატარა ვარდულა (1,6×1 სმ) (ტაბ. III—7). საკინძი სარდიონის რვაწახნაგა თავით, ბრინჯაოს ვარდულებით და რკინის დამტვრეული ღეროთი (ტაბ. III—5).

საყურე — ფართო პირგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი რგოლი, რომლის ბოლოზე დამაგრებულია პატარა რგოლი მძივსაკიდისათვის (საერთო სიგრძე

---

8 შესაძლოა იგი წითელი იაგუნდი, ან ლალიც კი (Рубин) იყოს — იხ. ე. ზუხბაია, ძვირფასი ქვების სახელწოდებანი ვეფხისტყაოსნის თარგმანებში — „მაცნე", ელს, № 3, 1982.

4,5 სმ). მძივსაკიდს შერჩენილი აქვს მხოლოდ პატარა, მრგვალბრტყელი, შავი მინის მძივი (ტაბ. III—12,9).

რგოლი, მრგვალგანივკვეთიანი, პირგახსნილი, ბრინჯაოსი (ბეჭდისა?) d—2,3 სმ (ტაბ. III—20). ლურჯი მინის თვალი, მრგვალი, ცალმხარეს ბრტყელი, მეორე ამობურცული (d—1,3 სმ) (ტაბ. III—16). რკინის ნივთის ნაწილი, სამკუთხა (მშვილდსაკინძისა? გაღუნულია) 3,5×1 სმ (ტაბ. III—19).

უფრო ღრმად კი პრეპარაციის შემდეგ სამარხში დაფიქსირდა ერთი ზრდასრული ინდივიდის ჩონჩხი. იგი ზურგზეა გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარჯვენა ხელი მკერდზე უდევს, მარცხენა კი მუცელზე. ფეხები გამართული და კოჭებში გადაჯვარედინებული აქვს (სურ. 8). მიცვალებულის სიგრძე 1,69 მ-ია. მას სამარხის ჩრდილო მხარე ეკავა უმეტესად. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მის გვერდით, სამხრეთისაკენ, მეორე მიცვალებულისთვის ივარაუდებოდა ადგილი.

მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს ოვალურგანივკვეთიანი, ორმხრივ ქედშეზნექილი („მსხლის ფორმის"), ბოლოებდავიწროებული სამაჯური (7.2×7 სმ) (ტაბ. III—17). ყელის არეში კი ჯვრისებრი მუხლსახსრიანი ჩაუხრელი მშვილდსაკინძი აღმოჩნდა (ტაბ. III—21). მას ბრინჯაოს კორპუსი და რკინის ენა აქვს (ენა ქიმწმენდისას გაქრა). მშვილდსაკინძის ზომაა 3,8×1,8 სმ.

თავის ქალას არეში აღმოჩნდა ერთმანეთზე გადაბმული, ორი სხვადასხვა ტიპის საყურე. ერთი მათგანი ბრინჯაოს პატარა, პირგანსნილ რგოლზე უძრავად ჰიმაგრებული, წვეთისებრი, პატარა ვერცხლისგარსაკრავიანი, „ცვილისგულიანი" საყურეა; რომელზეც ეკიდა მეორე, „ნამგალა მთვარის" ფორმის, ზედაპირდაკეპნილი ბრინჯაოს საყურე (სიგრძე 1,2 სმ) (ტაბ. III—10,11).

მიცვალებულის მარცხენა მხართან აღმოჩნდა რომბული ფორმის, თვალბუდისებრი საკიდები (რომბული ფორმის ფირფიტაზე დარჩილულია რომბულივე ფორმის თვალბუდე, რომელსაც ირგვლივ გრეხილი შემოუყვება. მასში უფერო მინის თვალზე ზის — ზომა 1,1×0,9 სმ). მათგან ერთი მთელია, მეორე კი დაშლილი (ტაბ. III—13).

მიცვალებულის ყელის არეში აღმოჩნდა ძლიერ გამოფიტული წვრილი მინის 15-ოდე მძივი. მათგან ახლა მხოლოდ 9-ის ნაშთია გადარჩენილი (ტაბ. III—15).

მკერდის არეში აღმოჩნდა ნეოლითური ტიპის კაჟის ნამგლის ჩასართი (ტაბ. III—18). იგი რეტუშირებულია; ცალ მხარეს პრიალებს, ეტყობა ნახმარია; აქ როგორც ჩანს, ავგაროზის როლს ასრულებდა.

№6 სამარხის ძირზე ცეცხლის ნთების კვალი დაფიქსირდა.

სამარხის ზედა ფენაში აღმოჩენილი ნივთების ჯგუფი (ოქროს საკინძი და სხვ). ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისა ჩანს, ვიდრე მიცვალებულთან დაფიქსირებული. პირველი მათგანი შეიძლება ეკუთვნოდა მიცვალებულს, რომლისთვისაც სამარხში ადგილი იყო დატოვებული და რომელიც რატომღაც არ (ან ვერ) დაუკრძალავთ და, მხოლოდ მისი ნივთები ჩაუწყვიათ შიგ. აქ რაღაც კენოტაფისმსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მიცვალებულთან დაფიქსირებული ნივთები VI საუკუნის რომელიღაც პერიოდისაა (ამის საფუძველს გვაძლევს განსაკუთრებით ჯვრისებრი ჩაუხრელი მშვილდსაკინძი[9]; საყურეები და სამაჯური). „კენოტაფი" VII ს-ის დასაწყისს უნდა იყოს. ჩვენი ქრონოლოგი-

[9] ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 31—32.

ური დაკვირვება სწორი ჩანს, თუ გავიხსენებთ, რომ № 6 სამარხს ნაწილობრივ თავზე ადგას № 2 სამარხი, სადაც აღმოჩნდა ქრონოლოგიის დამაკონკრეტებელი ნივთი, როგორიცაა ბრინჯაოს ეჟვანი[10]. იგი VII ს-ის პირველი მეოთხედის შემდეგ ჩნდება.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 7. იგი მდებარეობს № 1 სამარხის აღმოსავლეთით. სამარხის სიგრძე გახსნამდე 0,75 მ-ია, სიგანე (თავთან) 0,42 მ. სამარხი ყუთი შეკრულია 4 ფილაქვისაგან და გადახურულია 3 ქვით. სამარხში დადასტურდა ბავშვის ჩონჩხის ნაშთები. სრული პოზის დადგენა შეუძლებელია. ინვენტარი: ვერცხლის (?) ასიმეტრიულად მორკალული (დამტვრეული და ნაკლული) საყურე (ტაბ. II—15); 5 მძივი: ერთი „ეგვიპტური პასტისა" — d—0,9 სმ, 6 მინისა (ტაბ. II—19); 1 მსხვილი ოქროსსარჩულიანი (ტაბ. II—18), დაზიანებული (d—1,1 სმ); ერთი ლურჯი მინისა (ტაბ. II—20), ელიფსოიდური, ირიზებული; ორი ცალი მრგვალბრტყელი, კირქვისებურად გათეთრებული მინისა (?) (d—1 სმ. 0,9 სმ) (ტაბ. II—16, 17).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 8. იგი მდებარეობს №7 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გაუხსნელი სამარხის ზომებია 1,90×0,95 მ. შიგა ზომებია 1,7×0.7 მ. სამარხში ესვენა ზურგზე გაშოტილი (?), თავით დასავლეთისკენ მიმართული ახალგაზრდა ქალი. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო შენახული, ამიტომ მიცვალებულის პოზის ყველა დეტალის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ საკმაოდ კარგად იყო გადარჩენილი თმა (სურ. 49). იგი ნაწნავებად, შიგ საკინძებგარეშობილი და ხილაბანდმობურული უტარებიათ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: საკინძები — ბრინჯაოსი, ბურთულათავიანი, ყელზე წიბოთი (სულ 5 ც. მათგან 2 ც. სიგრძე — 12,5 სმ. ტაბ. IV—2,3. 3 ც. — 12 სმ. ტაბ. IV—1, 4, 5. 1 ც. — 8 სმ. ტაბ IV—7); 1 ც. თოთხმეტწახნაგა „კამათლისებური" თავით და ყელზე წყვილი წიბოთი (l—10,7 სმ) (ტაბ. IV—6); მარჯნის ბროწეულის ყვავილისებრი თავით, ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროებით (2 ც.) (ტაბ. IV—16, 17); სამტოტა „პასტის" მრგვალი მძივებითა და ბრინჯაოს ღეროთი (ტაბ. IV—12); ორტოტა პასტის მძივებითა და რკინის ღეროთი (ტაბ. IV—13, 15); ძვლის საკინძის ღეროს ნატეხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი ოქროსთავიანი საკინძი. მათგან წყვილი ერთნაირია. ესაა ძალიან თხელი ოქროს ფურცლისაგან დამზადებული მრგვალი თვალბუდე (d—2,7 სმ) (ტაბ. IV—18, 19), კვადრატულად გატიხრული, ტიხრებში კი მინის თვლები ზის (მათი ფერი ახლა გაურკვეველია). ცენტრალურ ოთხკუთხა მინის ცენტრში ჩამაგრებულია ტოლმკლავა „ბოლნური" („მალტური") ტიპის თხელფურცლოვანი ოქროსაფე ჯვარი (d—8×8 მმ). თვალბუდის გარშემო, ირგვლივ წიბოზე განლაგებული ჰქონდა პატარა ყუნწებზე დამაგრებული მარგალიტის მძივები (ისინი გამოფიტული იყო და დაიშალა).

მესამე საკინძის თავი მრგვალი ბალთისებრია, ორთავე მხარეს ამობურცული ზედაპირით (ტაბ. IV—20) ერთ მხარეს, მრგვალ თვალბუდეში, რომელიც ირგვლივ „მოცვარულია", ზის ამობურცულზედაპირიანი მინის (ირიზებული) თვალი, ხოლო უკანა მხარეზე ყუნწი აქვს, რომლითაც დამაგრებული იყო რკინის ღეროზე, ზემოთ განხილული ჯვრიანი ბალთები კი დამაგრებული იყო ბრინჯაოს გრძელ, ცალ მხარეს დაბრტყელებულ და ოდნავ მოღუნულ ღეროებზე (l—10,9 სმ: 10,7 სმ) (ტაბ. IV—8,9). ყველა საკინძი აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში თმისა და ქსოვილის ნაშთთან ერთად.

10 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 77—78, 111.

მუცლის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი სამაჯური (ტაბ. IV—33—35), რომელთა დაბრტყელებულ ბოლოებზე დაშტამპულია ცხოველის სახეები (d—6,5 სმ, მესამე უფრო მომცროა). მათთანვე ახლოს აღმოჩნდა მშვილდსაკინძები: ბრინჯაოს ჰვინტიანი მუხლსახსრიანი (l—3,5 სმ, h—1,3 სმ) (ტაბ. IV—29); რკინის ჯვრისებრი მუხლსახსრიანი (ტაბ. IV—30); ძლიერ დეფორმირებული რკინისაგე ჯვრისებრი მშვილდსაკინძის ცხვირის ნატეხი (ტაბ. IV—31).

საყურეები ფართო, პირგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი რგოლით (d—5,2 სმ), რომელიც ქვედა ნაწილში თვითონვე ქმნის მძივსაკიდის წამოსაცმელ მარყუჟს. მძივსაკიდი ბრინჯაოს ღეროზე აგებულ მინის მძივების ასხმას წარმოადგენს (მძივთა ნაწილი დაკარგულია) (ტაბ. IV—43, 44).

ბრინჯაოს რგოლი (ბეჭდისა?) — პირგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი (d—2,1 სმ) (ტაბ. IV—45). მეორე ასეთივე რგოლი (d—2,3 სმ) (ტაბ. IV—42), რომელსაც ახლავს ლურჯი მინის მრგვალი ინტალიო გეომეტრიული გამოსახულებით. ბრტყელგანივკვეთიანი ბრინჯაოს რგოლი (d—2.3 სმ) (ტაბ. IV—39).

მკერდის არეში, დაახლოებით ძუძუთა ადგილას აღმოჩნდა ბრინჯაოს წყვილი ბალთა, რომლებიც ფორმით ფარფლებიან ჭუდსა ჰგავს. ისინი შემკულია კანელურებითა და პუნსონით, (d—2,7 სმ) (ტაბ. IV—21—22). იქვე აღმოჩნდა მინის, რკინისბუდიანი, რომელსაც შიგაპირზე რაღაც თეთრი ნივთიერება ჰქონდა წასმული, სარკე (d—2,7 სმ) (ტაბ. IV—24). მიცვალებულის მუცლის არეში ბრინჯაოს ფიგურული აბზინდა იყო (2,6×2,2 სმ) (ტაბ. IV—11); მკერდისა და მუცლის არეში კი მძივები: ორი მრგვალი (სფერული) სარდიონისა (ტაბ. IV—36), 3 წვეთისებრი, გამჭვირვალე მინისა; ერთი ასეთივე, ოღონდ ლებნებისგან შემდგარი და დაწვრილებულ ნაწილში ბრინჯაოს საკიდით (ტაბ. IV—25, 26); 19 ცალი ცილინდრული, ლურჯი მინისა (ტაბ. IV—38, 40); 158 ცალი გამჭვირვალე მომწვანო ელფერის ბისერი (ტაბ. IV—37). მათ შორის ზოგი მათგანი სარჩულიანი ყოფილა თავის დროზე.

ქვისსამარხი № 9. სამარხის ყუთი შეკრულია 4 ქვისაგან, გადახურულია 3 ფილაქვით. გაუხსნელი სამარხის ზომა 2,03×0,97 მ. ყუთის შიგა ზომებია: 1,72×0,68 მ. სამარხში ესვენა 2 ზრდასრული ინდივიდი, სამხრეთ ნაწილში ქალი, ხოლო ჩრდილოეთით — მამაკაცი. პირველად ქალი დაუკრძალავთ. იგი მარჯვენა გვერდზე წევს, ხელ-ფეხი მოხრილი (თავით დასავლეთისკენ). მამაკაცი გაშოტილია გულაღმა, მუცელზე ხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისკენ. მამაკაცი თუ ქრისტიანული დაკრძალვის წესით განისვენებს, დედაკაცი „წარმართულად" დაუკრძალავთ.

ქალის ინვენტარი: საკინძები — ბრინჯაოსი, ბურთულათავიანი (2 ც. l—12,3 სმ; 12 სმ) (ტაბ. V—3,4); 2 ცალი სამად განტოტვილი მრგვალი, მოთეთრო (მინის?) მძივებით და ბრინჯაოს ღეროთი (l—8 სმ; 7, 8 სმ) (ტაბ. V—1,2); თოთხმეტწახნაგა მწვანე ფერის მსხვილი მინის მძივი, რომელსაც ზემოდან აზის ვერცხლისსარჩულიანი პატარა მრგვალი მძივი (ტაბ. V—5,6). რკინის ღეროს ნაშთი შერჩენია მხოლოდ 2 ც. მძივი (ზომა 1,2×1,2 სმ). რვაწახნაგა, ელიფსოიდური, ვარდისფერი სარდიონის მძივით, ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (3 ც.) (ტაბ. V—9—11). ყველა საკინძი თავის არეში აღმოჩნდა. მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს სამაჯური „ცხოველის სახეებით" (ტაბ. V—13). იმავე ხელზე ბეჭდები: ბრინჯაოსი, მაღალი, ცილინდრული, „ქამრიანი" თვალბუდით (d—1,4 სმ, h—0,65 სმ), რომელიც მომსხო მრგვალგანივკვეთიანი რგოლის (d—2.2 სმ) გახსნილ ბოლოებს შორის ზის, ხოლო აქეთ-იქიდან კოპები ამკობს (ტაბ. V—14). თვალბუდეში ლურჯი მინის

გეომეტრიულგამოსახულებიანი გემაა. მეორე ბეჭედიც ბრინჯაოსია; წაკვეთილკონუსისებრ თვალბუდეში უფერო მინის ბრტყელი, სადაზედაპირიანი თვალი ზის (ტაბ. V—15). თვით თვალბუდე მომსხო მრგვალგანივკვეთიანი გახსნილი რგოლის (d—2,2 სმ, თვალბუდის d—1,1 სმ, h—0,5 სმ) ბოლოებს შორის ზის. საყურეები (2 ცალი): მრგვალგანივკვეთიანი დიდი რკალი წყვილ მარყუჟს ქმნის, რომელზეც მომწვანო მინის პატარა მრგვალი და დიდი წვეთისებრი, ვერცხლის გარსაკრავიანი მძივისაგან შედგენილი მძივსაკიდი ჰკიდია (საერთო სიგრძე 6.5 და 6 სმ) (ტაბ. V—20, 21).

ქალთანვე აღმოჩნდა რვაწახნაგა მომწვანო გამშვირვალე მინის დაზიანებული საკინძის თავი (1.3×1,2 სმ) (ტაბ. V—12), წყვილი საკინძი ლურჯი მინის თითისტარისებრი მძივით (h—1 სმ), ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (ტაბ. V—7,8).

რკინის ბეჭედი, ძლიერ დაჟანგული, ბრტყელი, ოვალური ფარაკით (დაზიანებულია) (ტაბ. V—25).

მ ძ ი ვ ე ბ ი: სამი წვეთისებრი, ცალმხრივ ბრტყელი, გამშვირვალე, ვიწრო ნაწილში ხვრელით (ზომა 1,8 სმ×1.5 სმ) (ტაბ. V—16, 31). ერთი ლურჯი მინის, მილაკისებრი (1,8×0,4 სმ) (ტაბ. V—17). ერთი ქარვის, გატეხილი, ფორმა დაკარგული (ტაბ. V—24). 1 ცალი ვერცხლისარჩულიანი, კოჭის" ფორმის (ტაბ. V—18). 1 მწვანე გამშვირვალე მინისა, „კასრისებრი". 2 ცალი მომრგვალო მუქი ლურჯი მინისა, 20 ცალი მრგვალი ან მრგვალ-ბრტყელი, მოცისფრო ირიზებული მინისა (d—0,4—0.3 სმ) (ტაბ. V—19, 30). მასთან ერთად დაფიქსირდა ქსოვილის ნაშთები (ტილო?).

ქალის ყბასთან აღმოჩნდა ვერცხლის სასანური მონეტა კავადისა (ტაბ. V—22). როგორც ჩანს, იგი პირში ედო მიცვალებულს.

მ ა მ ა კ ა ც ი ს ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: ბეჭდები — 1. მსხვილი, მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის (d—2.5 სმ) მომაღლო „ცილინდრული" თვალბუდე (d—1,4; h—0,55), რომელშიც ლურჯი მინის გაურკვეველგამოსახულებიანი გემა ზის (ცხოველი?) (ტაბ. V—28). ბეჭედი ბრინჯაოსია. 2. ზემოაღწერილის მსგავსი, ოღონდ უფრო თხელი პროპორციების, ოთხკოპიანი ბეჭედი. თვალბუდეში (d—.3. h—0.4) უფერო მინის, იხვის (?) გამოსახულებიანი გემა ზის (ტაბ. V—26). 3. ბრინჯაოს მსხვილი, ფუყე ნახევარწრიულგანივკვეთიანი რგოლი, რომელიც თანაბრად მსხვილდება და მასში მოწყობილია წრიული თვალბუდე (d—2.6 სმ); თვალბუდეში უფერო მინის „ნაშდევიანი" თვალი ზის (ტაბ. V—29). პირველი ორი ბეჭედი მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა, ხოლო მესამე — მარცხენაზე.

მუცლის არეში აღმოჩნდა რკინის ჯვრისებრი მუხლსახსრიანი ჩახრილი მშვილდსაკინძი. რომელსაც მშვილდი სპილენძის ფირფიტით აქვს შემკული (l—4,5 სმ) (ტაბ. V—27). იქვე აღმოჩნდა (როგორც ჩანს, ხელში ეკავა) ვერცხლის სასანური მონეტა მერვ'მი, კავადის სახელით მოჭრილი (ტაბ. V—23).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 10. იგი მდებარეობს ცენტრალურ თხრილში, № 9 სამარხის ჩრდილოეთით. დამხრობილი აღმ.-დას. ხაზზე (გადახრილია ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით). ქვაყუთი შეკრულია 4 ქვით და გადახურულია 3 ფილაქვით. გაუხსნელი სამარხის ზომაა 2,10×1,17 მ, შიგა სიგრძე 1,87 მ-ია, სიგანე (თავთან) — 9,86 მ.

სამარხის ჩრდილო ნაწილში მამაკაცი იწვა, ხოლო სამხრეთ ნაწილში ქალი, თავით დასავლეთისაკენ (სახით აღმოსავლეთით მიმართული), ზურგზე გა-

შოტილი. სამარხის შუაგულში, ფაქტიურად ზრდასრულ მიცვალებულთა მუცლისა და მენჯის არეში დადასტურდა 2 ბავშვის ჩონჩხი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი. ქალის ჩონჩხთან: ბრინჯაოს სამაჯური, მრგვალგანივკვეთიანი თანაბარდამორკალული ღეროთი (d—7,2 სმ). დაბრტყელებულ თავებზე დაშტამპულია ცხოველის სახეები (ტაბ. VI—37). სამაჯური მარჯვენა ხელზე უკეთია. მარჯვენა ხელთანვე იყო დაზიანებული ბეჭედი. შერჩენილი აქვს ვიწრო რკალი, თვალბუდის გული და ლურჯი მინის გემა გეომეტრიული გამოსახულებით (გემის d—1 სმ) (ტაბ. VI—38). ბრინჯაოს რომბული საკიდები (ტაბ. VI—40). ქალის მკერდის არეში აღმოჩნდა 4 სასანური ვერცხლის მონეტა — 2 კავადისა და 2 ხოსრო I-ისა (როგორც ჩანს, მონეტები მიცვალებულებს „ხელში ეკავათ“) (ტაბ. VI—52—55).

მამაკაცის მკერდის არეში—რკინის ჯვრისებრი, მუხლსახსრიანი (l—16 სმ, ტაბ. VI—39) მშვილდსაკინძი და ორი სასანური მონეტა (ორთავე ხოსრო I) (ტაბ. VI—50, 51).

ბავშვების ჩონჩხებს უეჭველად ეკუთვნოდა ქარვის მძივით თავშემკული ბრინჯაოს ღეროიანი საკინძები (2 ც.) (ტაბ VI—35, 36) და რკინის ბეჭდის (?) ნატეხი (ტაბ. VI—46). მასთანვეა ერთი სარდიონის სფერული (0.6 სმ) (ტაბ. VI—48) მინის „შეტყუპებული“ (1 ც.) (ტაბ. VI—45) და 77 ცალი ნახევრად გამოფიტული მინის მძივი (უმეტესი ნაწილი სარჩულიანი უნდა ყოფილიყო) (ტაბ. VI—41, 42, 44, 45, 47), ორიოდე კი მომწვანო ფერისა (ტაბ. VI—43).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 11. ქვაყუთი შეკრულია 4 ქვით და გადახურულია 2 ფილაქვით. სამარხის შიდა ზომებია 0,82×0,4 მ; სამარხში დადასტურდა ბავშვის ჩონჩხის ძლიერ დაშლილი ნაშთები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: საკინძები — სამტოტა თავით (მძივი პასტისა, ღერო კი ბრინჯაოსია, l—9,7) (ტაბ. II—21, 22). თავის გარშემო (საკინძებთან ერთად) დადასტურდა ნახევარსფერული, ორხვრელიანი, სპილენძის, ტანისამოსზე, უფრო კი თავსაფარზე, დასაკერებელი ბალთები (სულ 14 ც. d—0,9 და 1,1 სმ) (ტაბ. II—25). მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს თავებგადაწნული სამაჯური (ზომა 6,5×6 სმ) (ტაბ. II—23). ბრინჯაოს ბეჭედი, მაღალი „ქამრიანი“ თვალბუდით (d—2,5; ბუდის h—0,7, d—1,1 სმ) (ტაბ. II—24), რომელშიც ლურჯი მინის ინტალიო ზის. გამოსახულება გაურკვეველია. ბავშვის თავ-უკლის არეში აღმოჩნდა 70 ცალი მილაკისებრი (ტაბ. II—30), მრგვალი. წაკვეთილი და სხვა ფორმის მწვანე, მოლურჯო, მოშავო და ჰრელი მინის მძივი (თეთრი და ცისფერი ვერტიკალური ზოლებით) (ტაბ. II—29).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 12. გაითხარა სამაროვნის დასავლეთ მონაკვეთში. სამარხის საერთო სიგრძე 2,12 მ, სიგანე კი 0,95 მ-ია. გადახურული იყო 4 ფილაქვით. გახსნილი სამარხის ზომებია 1.96×0,90 მ. სამარხის ყუთის სამხრეთი კედელი დიდი ფილაქვაა, რომელსაც ბოლოში (აღმოსავლეთისკენ) გადაბმული აქვს პატარა ქვა, რითაც სამარხის ეს მხარე არაბუნებრივად გაზრდილა და ასიმეტრიული გამხდარა. ჩრდილოეთის კედელი შედგება ორი თანატოლი ფილაქვისაგან (სურ. 9, 10).

სამარხში, სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა გაშტილი, მხრებზე ხელებდაწყობილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული, ზრდასრული ინდივიდი. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა უწესრიგოდ მიწყობილი ძვლები. მათ შორის ორი თავის ქალა. სამარხის ძირზე, მიცვალებულის მარცხენა მკლავთან დაფიქსირდა საკინძის ბრინჯაოს ღეროს და ვარდულის ნატეხები (ტაბ.

IX—5). აქვე მიცვალებულის ქვეშ, სამარხის ძირზე დაფიქსირდა მიწაში „ჩაფლული“ ბიზანტიური ვერცხლის მონეტა (ჰერაკლე კეისრისა) (ტაბ. IX—1). გაშოტილი მიცვალებულის მარცხენა მკლავთან აღმოჩნდა ზედაპირდაკეპნილი ბრინჯაოს რგოლი (d—2 სმ) (ტაბ. IX—7). მიწეულ ძვლებთან აღმოჩნდა შავი მინის 2 ბეჭედი (ერთის d—2,2 სმ, მეორის d—2 სმ, გამოფიტულია) (ტაბ. IX—4,8); აგრეთვე მარჯნის (გამოფიტული) ბროწეულის ყვავილისებრთავიანი ბრინჯაოს ღეროიანი საკინძის ნატეხები (ტაბ. IX—2); საყურე ასიმეტრიული, წვრილი რკალით (ტაბ. IX—3). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინვენტარი მხოლოდ მიწეულ მიცვალებულს ეკუთვნოდა. უძრავი მიცვალებულის ქვეშ დაფიქსირებული საკინძის ნატეხები და ბიზანტიური მონეტა ისე იყო ჩაფლული მიწაში, რომ, როგორც ჩანს, „მომხვეტელებმა“ ვერ შენიშნეს.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 13 მდებარეობს № 12 სამარხის აღმოსავლეთით. დამხრობა აღმ.-დას. (ოდნავ გადახრილია ჩრდილო-აღმოსავლეთით). სამარხის სიგრძე 2,02 მ, სიგანე თავთან (დასავლეთ ნაწილში) — 0,98 მ, სახურავი დაზიანებულია. გადახურული უნდა ყოფილიყო 4 ფილაქვით. სამარხის ყუთი შეკრულია 6 ქვით— თავ-ბოლოში თითო, ჩრდილო-სამხრეთით კი წყვილ-წყვილი ქვით (იხ. სურ. 11—12). სამარხი კოლექტიურია, დადასტურდა 4 ინდივიდის ნაწილობრივ თუ სრულად გადარჩენილი ჩონჩხი. ყველაზე უკეთ გადარჩენილი ჩონჩხი ასვენია სამარხის ჩრდილო ნაწილში (№ 1 მიცვალებული), თავით დასავლეთისკენ. იგი მოკუნტულია, ხელები სახესთან აქვს მიტანილი, ფეხები მუხლებში მოკეცილი (სურ. 12). მის მუცლის არეში მცირეწლოვანი (ემბრიონის?) ძვლის ნაშთები ჩანს. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თავის ქალა და ძვლის ნაშთებია — იგი № 1 მოკუნტული ჩონჩხის ქვეშაა მოქცეული და ზურგზე გაშოტილი ჩონჩხის (№ 2 მიცვალებულის) უნდა იყოს. № 1 მიცვალებულისაგან სამხრეთით მცირედ მოკუნტული მიცვალებულის (№ 3) დაშლილი ძვლებია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირველად დაკრძალული იყო № 2 მიცვალებული, გაშოტილი, ქრისტიანული რიტუალის სრული დაცვით; ხოლო შემდეგ მოკუნტული, „წარმართული“ წესით დაკრძალული ინდივიდები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: № 1 მიცვალებულის მკერდის არეში — ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი (l—5,9, h—2,0) (ტაბ. VI—30). № 3 მიცვალებულის თავის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი „ჯამისებრი“ თვალბუდით (d—2,4, თვალბუდის h—1,4) (ტაბ. VI—27), რომელშიც ზის უფერო მინის გემა ჯვრისებრი გამოსახულებით.

სამარხეული ინვენტარის უმეტესობა, გარდა 1 მშვილდსაკინძისა და 1 ბეჭდისა, სამარხის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. საკინძები სამტოტა თავით — ერთი გრანატისა და ორი სარდიონის მრგვალი მძივით (l—8,4 და 7,2) (ტაბ. VI—15, 16). საკინძები ჭარვის თავით (თავის ზომა 1,4×0,8 სმ) (ტაბ. VI—20,21) და რკინის ღეროთი (2 ც.). საკინძი მარჯნის ბროწეულის ყვავილის ფორმის თავით, ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (ტაბ. VI—22). მრავალწახნაგა სარდიონის საკინძის თავი ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (l—11,2 და 10,5 სმ; 2 ც.) (ტაბ. VI—17, 18). ბრინჯაოს საკინძი, რომლის თავი გამოსახავს წყვილ მტრედს (1,8×2,2 სმ) (ტაბ. VI—19). ბრინჯაოს საყურე, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი პირგახსნილი არასწორი რგოლი. რკინის ბეჭდების ნატეხები, ერთი ფართოფარაკიანი (ტაბ. VI—29), 3 ვიწროფარაკიანი (ტაბ. VI—28, 31), რკინის სამაჯური, ბოლოებმო-

კაუჭებული, გატეხილი, ნაკლული (ტაბ. VI—32). ბრინჯაოს წყვილი საყურე მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა; პირგახსნილი, უსწორო ფორმის რგოლებია (ტაბ. VI—33, 34).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 14. სამარხის სიგრძე 0,76 მ, სიგანე თავთან — 0,39 მ. ქვაყუთი შედგება 4 გვერდითი სიპისაგან და ახურავს ერთი მთლიანი ფილაქვა. გასხნილი სამარხის ზომებია 0.63×0,31. სამარხში ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული. სამარხის ზომებისა და ძვლოვანი მასალის ზოგი გადარჩენილი ნაშთით (მაგ., სარძევე კბილებით) მიცვალებული მცირეწლოვანი ბავშვი უნდა ყოფილიყო.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: ბრინჯაოს „ჯამისებრთვალბუდიანი“ ბეჭედი (ტაბ. II—34), დაზიანებული; აღმოჩნდა მარჯვენა ხელთან; მინის სხვადასხვა ზომის და ფორმის 9 ცალი მძივი — ერთი მრგვალია (d—0,8 სმ) (ტაბ. II—31), ერთი მრგვალბრტყელი, ასიმეტრიული მსხლის ფორმის (d—1,2 სმ) (ტაბ. II—35). დანარჩენი მილაკისებრი (0,25×0,95 სმ; 0,4×0,75; 0,35×1,5; 1,85×0,45 სმ და სხვ.) (ტაბ. II—36, 32, 33) — აღმოჩნდა მუცლის არეში.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 15 (სურ. 13, 14). მდებარეობს „ცენტრალური ჯგუფის“ სამარხთა შორის, № 1 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით (სურ. 5). ქვაყუთი შედგენილია 4 სიპისაგან და გადახურულია 3 სიპი ქვითვე. სამარხის სიგრძე — 1,92 მ, სიგანე დასავლეთ მხარეს — 0,83 მ. ახდილი — 1,71×0,73 მ. სამარხის ჩრდილო ნაწილში წევს მარჯვენა გვერდზე მოკეცილი მოზრდილი გოგონას (12—14 წლის?) ჩონჩხი (№ 3 მიცვალებული; მისი თავის ქალა დაშლილი იყო და სურათზე არ ჩანს). სამარხის სამხრეთ ნაწილში წევს მარცხენა გვერდზე მოკუნტული გოგონას ჩონჩხი (№ 1 მიცვალებული), ხოლო მათ შორის, ცენტრში, გაშოტილია მცირეწლოვანი ბავშვი (№ 2—სქესის დადგენა ვერ შევძელით; ინვენტარის მიხედვით თითქოს ბიჭი უნდა იყოს).

№ 3 ი ნ დ ი ვ ი დ ი ს (მოზრდილი გოგონას) ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: საკინძები — ბრინჯაოსი მთლიანადსხმული (3 ც.), მათ შორის ერთი თავბურთულა ყელწიბოიანი (l—12,1 სმ) (ტაბ. VII—3), ორი „ტაძრისებრი“ თავით (l—15,3; 16.3) (ტაბ. VII—1,2). ძვლის საკინძი ყაყაჩოს პარკისებრი თავით (გატეხილია) (ტაბ. VII—4). სამაჯურები: ბრინჯაოსი (d—5,8 სმ), მრგვალგანივკვეთიანი, დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის სახის გამოსახულებით (ორადაა გატეხილი) (ტაბ. VII—8); რკინისა, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ქსოვილის ნაშთიანია) (ტაბ. VII—3). რკინის ჯვრისებრი მშვილდსაკინძის ნატეხები (2 ც.); მშვილდი შემკული აქვს ბრინჯაოს ფირფიტით (ტაბ. VII—5), დაჟანგული, ქსოვილის ნაშთიანია. ბეჭდები: ბრინჯაოსი— მაღალ, ცილინდრულ თვალბუდეში (d—0,7 სმ) (ტაბ. VII—10), რომელსაც ირგვლივ გრეხილი შემოუყვება, ზის ამობურცული უფერო მინის თვალი. თვალბუდე ჩამაგრებულია წვრილგანივკვეთიანი პირგახსნილი რგოლის ბოლოებს შორის (რგოლის d—2,1 სმ). მეორე ბეჭედიც ბრინჯაოსია, ბრტყელგანივკვეთიანი რგოლის (რგოლის d—2,1 სმ). გაფართოებულ ბოლოებს შორის დარჩილულია ოვალური ფარაკი, რომელზეც გამოსახულებაა ამოკვეთილი (ტაბ. VII—11). ერთი ჰორიზონტული შტრიხით გამოსახულია მიწა; მარჯვნივ დგას „პალიუმიანი“ მამაკაცი, რომელსაც თავზე ნათელი ადგას, ხოლო მარცხნივ პალმისებრი (?) ხეა. აქვე იყო რკინის ბეჭდის ძლიერ დაჟანგული ორი ნატეხი (ტაბ. VII—12). მძივები: ორი ცალი ელიფსოიდური „ეგვიპტური პასტისაგან“ დამზადებული (ტაბ. VII—14, 15), 91 ცალი მთელი და ერთი გატეხილი (ირიზებული. ახლა მოშავო—უმეტესი იასამნისფე-

რი, მომელნისფრო-მონაცრისფრო ელფერისაა) მომრგვალო-მობრტყო ფორმის მინის მძივი (ტაბ. VII—19—25); 5 ცალი კაური (ტაბ. VII—16—18).

თავის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე, მობრტყოგანივკვეთიანი „კვერცხის“ ფორმის საკიდი რგოლით, რომლის ერთ ბოლოზე მიმაგრებულ მცირე ყუნწზე მძივსაკიდი ჰკიდია (ტაბ. VII—7)„ მძივსაკიდი შედგება პატარა მრგვალი მინის და დიდი წვეთისებრი დანახშირებული ფისისებრი გულისაგან, რომელსაც ვერცხლის გარსაკრავი უნდა ჰქონოდა (№3 მიცვალებულს უნდა ეკეთნოდეს). ასეთივე საყურე დაფიქსირდა № 1 მიცვალებულის გულ-მკერდის არეში (ტაბ. VII—6). ქარქაში— მოკლე მახვილისა; დამზადებულია ხისგან. სპილენძის სალტე-გარსაკრავებით. იგი გოგონას მარცხენა გვერდზე ეკიდა. მასვე უნდა ეკუთვნოდეს ჯაჭვი და ჭვირული ზარაკი (ტაბ. VII—13; ტაბ. VIII—45, 46). სასანური ვერცხლის მონეტები— 2 ცალი (იეზდიგერდის და ხოსრო I-ის) (ტაბ. VII—32, 34), აღმოჩნდა მკლავთან.

№ 2 მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ი ს ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: ბეჭედი ბრინჯაოსი, მობრტყო ოვალური, ოდნავ გამსხვილებული რგოლის (d—2 სმ) (ტაბ. VII—31). ბოლოებზე დარჩილულია ბრინჯაოსავე ოვალური ფარაკი; მასზე გამოსახულების კვალია. ბეჭედი დაზიანებულია. ბრინჯაოს სამაჯური, „კვერცხის“ ფორმის, დაბრტყელებულ ბოლოებზე გამოსახულების ნაშთით (d—5.8 სმ) (ტაბ. VII—30) — აღმოჩნდა ბავშვის მკლავთან. მშვილდსაკინძი რკინისა, ჯვრისებრი, დაჟანგული, გატეხილი, ქსოვილის ნაშთიანია (ტაბ. VII—29). აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. მძივი ლურჯი მინისა, თოთხმეტწახნაგა (1,5×0,7 სმ) (ტაბ. VII—26), 1 ცალი, ერთიც მრგვალი, ძლიერ გამოფიტული მინისა (ტაბ. VII—27).

№ 1 მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ი ს ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: საკინძები — მთლიანადსხმული ბრინჯაოსი, ბურთულთავიანი, ყელწიბოიანი (ორს წყვილი წიბო აქვს, ოთხს კი ორი წყვილი. უდიდესის ზომა 12,5 სმ. უმცირესისა — 11 სმ) (ტაბ. VIII—1—6)—6 ცალი. რვაწახნაგა სარდიონის საკინძის თავები (2 ც.) (ტაბ. VIII—9,10). ბრინჯაოს საკინძის თავები (ტაბ. VIII—7,8); ერთი გამოსახავს ხელის მტევანს, მეორე კი „ხამყურას“. ეს ნივთები მიცვალებულის ყელის არეში აღმოჩნდა. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ისინი ავგაროზის მოვალეობას ასრულებდნენ. სამაჯური ბრინჯაოსი, ორმხრივ შედრეკილი, ოვალურგანივკვეთიანი, დაბრტყელებულ ბოლოებზე გამოსახულებები უნდა ყოფილიყო (d—6 სმ) (ტაბ. VIII—12); აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი, ენა დაკარგული (l—4 სმ, h—1,5 სმ) (ტაბ. VIII—18). აღმოჩნდა წელის არეში. რკინის მშვილდსაკინძი, ჯვრისებრი ძლიერ ფართო მშვილდით, ბუდის ასაბმელთან ჩახრილი; დაჟანგული და დამტვრეულია (l—5 სმ) (ტაბ. VIII—19). საყურეები: მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს მავთული ქმნის ერთიან დიდ რგოლს და მცირე მძივსაკიდის საკიდ მარყუჟს. მძივსაკიდი ყუნწიანი ბრინჯაოს ღეროა. მას შერჩენილი აქვს პატარა მინის მძივი. დიდი მძივები დაკარგული უნდა იყოს (3,5×2,7 სმ; 2 ც.) (ტაბ. VIII—20, 21). ორთავე საყურე ბავშვის თავის ქვეშ იდო. მობრტყოგანივკვეთიანი „კვერცხისებრი“ საყურე. მის საკიდზე მიმაგრებულია პატარა რგოლი მძივსაკიდისათვის. მძივსაკიდი შედგება მინის პატარა მძივისა და წვეთისებრი საკიდი „დანახშირებული“ მასისაგან, რომელსაც ვერცხლის გარსაკრავი უნდა ჰქონოდა (აღმოჩნდა № 3 მიცვალებულის მკერდის არეში). ბრინჯაოს ეჟვანი (2×1,4 სმ) (ტაბ. VIII—11); აღმოჩნდა თავთან. ბრინჯაოს ნახევარსფერული, ორხვრელიანი, ქსოვილზე (თავსაფარზე) დასაკერებელი ბალ-

თები, ნაპოვნია თავის არეში (ტაბ. VIII—13—16). მძივები მინისა: დიდი მომრგვალო ფართოხვრელიანი (d—16 მმ. d—11 მმ; 1 მოშავო, ირიზებული, d—16 მმ, d—14 მმ) (ტაბ. VIII—40), ინკრუსტირებული (2 ც.) (ტაბ. VIII—41, 42); მოზრდილი, მრგვალი, თითქმის ბიკონუსური, მსხვილი ხვრელით (1,15×1,5 სმ, ხვრელის d—0,3 სმ). (ტაბ. VIII—39), თაფლისფერი; თოთხმეტწახნაგა (1,1×1,0 სმ) (ტაბ. VIII—36), მწვანე „ბოთლისფერი"; ლურჯი წვეთისებრი (ორმხრივამობურცული) (ტაბ. VIII—38), 1 ცალი; ძლიერ ირიზებული, მომწვანო კასრისებრი, ფართო ხვრელით (d—7,5 მმ, d—7 მმ, ხვრელის d—3,5 მმ) (ტაბ. VIII—37); მუქი მელნისფერი, იასამნისფერი, მოლურჯო და მოყავისფრო; მრგვალი, ბიკონუსური მომსხო და სხვ. — 122 ცალი; 4 ცალი ირიზებული გამოფიტული, კასრისებრი (0,7×0,6 სმ) (ტაბ. VIII—21, 23); წვრილი, მრგვალი, ცილინდრული ფორმისა (ტაბ. VIII—29, 30, 33, 34), ზოგი სარჩულიანი, ზოგი მწვანე ან ჭრელი (ლურჯ-თეთრი) (ტაბ. VIII—32, 33, 34, 35), უმეტესად ძლიერი ირიზებული — 320 ცალი; 3 კაური (ტაბ. VIII—47, 48), მონეტა ვერცხლისა, სასანური — ყველა ბავშვის ყელის არეში აღმოჩნდა.

ქვისსამარხი № 16. სამარხი შედგენილია 4 ფილაქვისაგან და ახურავს 3 ფილაქვა. სამარხის სიგრძე 2, 0 მ-ია, სიგანე თავისკენ 0,86 მ. სამარხის სამხრეთ ნაწილში წევს ზურგზე გაშოტილი ზრდასრული ინდივიდი, რომელსაც ხელები მხრებზე უწყვია, ხოლო მის ჩრდილოეთით კი — 10 წლის ასაკამდე ბავშვი.

ზრდასრული ინდივიდის მენჯის არეში ბრტყელფარაკიანი ბეჭედია (ფარაკი მომრგვალებული ოთხკუთხედია, ზედ გამოსახულების ნაშთით) (ტაბ. IX—12); სპილენძის ორი პირგახსნილი რგოლი (რომლის ბოლოები დაბრტყელებულია, d — 1,7 სმ) (ტაბ. IX—10,11) და ვერცხლის სასანური მონეტა ხოსრო I-ისა; აღმოჩნდა მხარზე, მარჯვენა მუჭში (ტაბ. IX—9). მარცხენა მხართან დაფიქსირდა რომბისებრი საკიდები (ტაბ. IX—25), 21 ცალი წვრილი მრგვალბრტყელი, ერთი არასწორი ცილინდრული, ირიზებული მინის მძივები (ტაბ. IX—23, 24), თეთრად მოხატული სარდიონის მძივები (0,8×0,6 სმ) (ტაბ. IX—16—21) და წვეთისებრი ლურჯი მინის მძივი (1,4×0,9 სმ) (ტაბ. IX—15). რკინის ბეჭდის ნატეხი, ძლიერ დაჟანგული (ტაბ. IX—13).

ბავშვის თავის არეში აღმოჩნდა; რომბისებრი საკიდი (ტაბ. IX—26), რკინის თავმოკაუჭებული (ხატისუღლისებრი) სამაჯურის ნატეხები (ტაბ. IX—14) და წვრილი, მრგვალბრტყელი, ფერადი მინის მძივები (5 ცალი მუქი ლურჯი, ერთი კი მოცისფრო) (ტაბ. IX—22).

ქვისსამარხი № 17. იგი № 15 სამარხის აღმოსავლეთით მდებარეობს. შეკრულია 4 ფილაქვით, ახურავს 3. სამარხის სიგრძე 2,00 მ, სიგანე თავთან —0,88 მ. სამარხში მარხია ზურგზე გაშოტილი ორი ინდივიდი: ერთი 20—22 წლისა, მეორე კი 17 წლამდე ასაკისა. № 1 მიცვალებულის მუცლის არეში ბავშვის ჩონჩხის ნაშთებია (სარძევე კბილები და სხვ.). № 1 მიცვალებული გაშოტილია და ხელები მუცელზე უწყვია.

I მიცვალებულის ინვენტარია: მძივები 180 ცალი, მრგვალ-მობრტყო, ძლიერ ირიზებული; მათგან 60 ცალამდე ოქროს და ვერცხლის სარჩულითაა (ტაბ. IX—37, 38, 41—44), უმეტესობა ძლიერ ირიზებულია, იფქვნება და იშლება; 120 ცალამდე კი მუქი მელნისფერი მძივია (ტაბ. IX—40, 45, 46), შედარებით ცოტა ცისფერი და ლურჯი მინისა (ძლიერ ირიზებული) (ტაბ. IX—35,36). 9 ცალი დამტვრეული, 8 ჩურჩხელისებრი, 1 მრავალწახნაგა სარდიონის (ტაბ. IX—34). სამაჯური ბრინჯაოსი, თავებგადაწნული (7×6 სმ)

(ტაბ. IX—47), ეკეთა მარცხენა ხელზე. ბეჭდები: 1. ბრინჯაოსი, წვრილი, ნახვაღრიულგანივკვეთიანი რგოლი, გადადის ოვალურ, ბრტყელ ფარაჯში (ქსოვილის ნაშთით. რგოლის d—2,1 სმ, ფარაჯი 1,1×0,9 სმ) (ტაბ. IX—30)— აღმოჩნდა მარჯვენა ხელის თითზე. 2. ბრინჯაო. მაღალ სალტიან თვალბუდეში ზის მინის გემა (h—0,6, d—1 სმ) (ტაბ. IX—29). გემაზე გამოსახული უნდა იყოს „მალტური" ჯვარი (ან ოთხფურცლა ყვავილი). თვალბუდე ოვალურგანივკვეთიანი გახსნილი რგოლის (რგოლის d—2,2 სმ) ბოლოებს შორის ზის, ხოლო აქეთ-იქიდან დარჩილული აქვს პატარა, ოვალური „ყურისებრი" შეერთებები. აღმოჩნდა მარცხენა მუხლთან. ბრინჯაოს მშვილდსაკინძები ჭვინტიანი მუხლზამბარიანი (l—3,7, h—1,4 სმ) (ტაბ. IX—46) და ჭვინტიანი მუხლსახსრიანი (l—3,7, h—1,7 სმ) (ტაბ. IX—27); აღმოჩნდა მუცლის არეში. ვერცხლის მონეტები, დაფიქსირდა (ქავადის, მეფობის მეორე პერიოდი) — ერთი მკერდის არეში, მეორე კი მარჯვენა ხელის ქვემოთ (ტაბ. IX—31, 32).

II მიცვალებულის ინვენტარი: წვრილი ირიზებული და გამოფიტული მძივები. ბევრ მათგანს ეტყობა, რომ ვერცხლის სარჩულიანი იყო (ტაბ. IX—39); 60 ცალი. ისინი მიცვალებულის თავის არეში დაფიქსირდა. სასანური ვერცხლის მონეტა (ქავადისა, მეფობის II პერიოდი) (ტაბ. IX—33) თავის ქალას მარჯვნივ აღმოჩნდა. რკინის მშვილდსაკინძი სახსრიანი მუხლით (ტაბ. IX—28), ქსოვილის „ანაბეჭდით". სამარხის მიწაში იყო ნახშირის მცირე ჩანართები.

ქვისსამარხი № 18. იგი შეკრულია 4 და გადახურულია ამდენივე ფილაქვით. სამარხის ყუთის შიგა ზომებია 1,87×0,72 მ. სამარხი სანახევროდ მიწით იყო სავსე. მის ზედაპირზე, შუა ადგილას ეგდო 2 ცალი სარდიონის რვაწახნაგა საკინძის თავი (თავის ზომა 2,0×0,9 სმ) (ტაბ. X—7,8), მინის რვაწახნაგა საკინძის თავი (13×6 მმ) (ტაბ. X—9) ბრინჯაოს ვარდულითა და რკინის ღეროს ნატეხებით. ირიზებული მინის „კვერცხისებრი" საკინძის თავი ბრინჯაოს ღეროთი და ბრინჯაოსვე ვარდულით (საერთო სიგრძე 7,5 სმ. 2 ც.) (ტაბ. X—3); ლურჯი მინის სფერული თავით (d—0,9 სმ), ბრინჯაოს ვარდულებით და რკინის ღეროთი (ტაბ. X—10). მინის წვეთისებრი საკიდი (1,5 X 1,2 სმ) სპილენძის ყუნწით (ტაბ. X—16); სარდიონის თეთრადმოხატული მძივები (ზომები: 7,5×5 მმ; 6,5×5 მმ; 8×6 მმ; 7×4,5 მმ 4 ც.) (ტაბ. X—22—25); წვრილი მძივები ძლიერ გამოფიტული მინისა (ტაბ. X—21), ზოგს ცისფერი ელფერი აქვს. ძვლის საკინძი, ფიგურულთავიანი, რომელიც ირანულ (სასანურ) მონოგრამას მოგვაგონებს (ტაბ. X—11).

სრული პრეპარაციის შემდეგ გამოჩნდა მარჯვენა გვერდზე მწოლი, ხელფეხმოხრილი ერთი ზრდასრული ინდივიდი. ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი. მიცვალებული ქალია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას მიწა წაეყარეს დაკრძალვისთანავე.

ინვენტარი: მარცხენა ხელზე ბრინჯაოს ორმხრივ შედრეკილქნედიანი, დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველისსახიანი სამაჯური ეკეთა (d—6.7 ×6,6 სმ) (ტაბ. X—18). ბრინჯაოს ჭვინტიანი მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძი (l—3,7; h—1,55 სმ) (ტაბ. X—17), აღმოჩნდა მარცხენა წვივზე. თავის არეში აღმოჩნდა მინის (გამოფიტული) კვერცხისებრთავიანი, ბრინჯაოს ვარდულიანი და რკინისღეროიანი საკინძები (ტაბ. X—4—6); მათგან 2 ცალს რკინის ღერო დამტვრეული აქვს, ერთი კი მთლიანად დაშლილია. ბრინჯაოს მთლიანადსხმული ბურთულათავიანი „ყელზიბოიანი" წყვილი საკინძი (l—11,6 სმ) (ტაბ. X—1,2) — დაფიქსირდა თავის ქვეშ. მძივები სარდიონისა, თეთრად მოხატუ-

ლი (5 ცალი) (ტაბ. X—19, 20, 21—32); მინისა, მოლურჯო, ირიზებული, გამოფიტული, წვრილი (26 ც.) — თაიის არეში. სახის წინ აღმოჩნდა ბეჭედები 1. მომსხო მრგვალგანიეკვეთიანი გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ბრინჯაოს ცილინდრული თვალბუდე ზის, რომელშიც მონოგრამიანი გემაა (ტაბ. X—13); 2. ასეთივე ბეჭედი (რგოლის d—2,3 სმ), სარდიონის წაკვეთილკონუსური ინტალიოთი. გამოსახულია იხვი (ტაბ X—14, 15).

ქვისსამარხი № 19. ქვაყუთი შეკრულია 4 ფილაქვისაგან და ახურავს 4 სიპი. ახდილის სიგრძე 1,72 მ, სიგანე თავთან (დასავლეთით) — 0,72 მ. სამარხი მდებარეობს № 18 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით და № 20 სამარხის აღმოსავლეთით. სამარხში 3 ინდივიდის ჩონჩხი დაფიქსირდა. ორი მოზრდილის, ერთი კი ბავშვისა. სამხრეთის მიცვალებული დაკრძალულია გაშოტილი, გულხელდაკრეფილი. იგი უფრო გვიან უნდა იყოს დაკრძალული, ვიდრე ჩრდილოეთისა, რომლის ფეხებთან მოკუნტული ბავშვი წევს.

ინვენტარი: ჩრდილოეთის მიცვალებულის თაიის მარჯვნივ დაფიქსირდა ორად გატეხილი რკინის ქვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი (l—6 სმ; h—2,2 სმ) (ტაბ. X—33), ავრეთვე რკინის თაემოკაუჭებული სამაჯურის ნატეხი და ქსოვილის ნაშთი (ტაბ. X—34,35).

ქვისსამარხი № 20. გადახურულია 3 ფილაქვით. დამხრობილია თითქმის ზუსტად აღმ.-დასავლეთის ხაზზე. სამარხის სიგრძე 1,80 მ, სიგანე დასავლეთით— 0,8 მ. ქვისსამარხში დადასტურდა სამი (?) დაშლილი და არეული მიცვალებული.

ინვენტარი: მძივები მინისა (1 დაშლილი), 29 ცალი. მწვანე მინის მრგვალბრტყელი, ირიზებული, 2 ც. გამოფიტული (ტაბ. X—41—44). საყურეები — ბრინჯაოსაგანაა (?) დამზადებული, ასიმეტრიული ოვალური (l 1—1.5 სმ. 2—1,3 სმ) (ტაბ. X—36, 37). რგოლი პირგახსნილი. გახსნილი ბოლოები დაბრტყელებული აქვს (d—2, 1 სმ) (ტაბ. X—39), ბეჭედი რკინის, ძლიერ დაჟანგული, რგოლგატეხილი, დიდი ფარაკით (d—2,5 სმ) (ტაბ. X—38); ვიწრო ფარაკით ძლიერ დაჟანგული რკინისა (d—2,1 სმ) (ტაბ. X—40).

ქვისსამარხი № 21 (სურ. 15, 16). დამხრობილია აღმ.-დას. ხაზზე (ოდნავ გადახრილია ჩრდილო-აღმოსავლეთით). სამარხი ყუთი შეკრულია 4 მთლიანი ქვისაგან და გადახურულია სამი ფილაქვით (მათ შორის ღიობები ამოვსებულია ხურდა ქვით). სამარხის საერთო სიგრძე 1,5 მ, სიგანე 0,75 მ-ია. შიდა სიგრძე 1.4 მ, სიგანე თავთან (დასავლეთით)—0,5 მ, ფეხებთან (აღმოსავლეთით)—0.42 მ. სამარხი სავსე იყო მიწით. პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ სამარხში წევს ზურგზე გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული ერთი ინდივიდი. მიცვალებული ქალი უნდა იყოს. ორთავე ხელზე უკეთია ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოებდაბრტყელებული სამაჯური (ტაბ. XI—3,4). მარცხენა ხელზე უკეთია ბრინჯაოს მსხვილი, მაღალთვალბუდიანი ბეჭედი ლურჯი გემით (ტაბ. XI—5), მარჯვენაზე კი ბრინჯაოსვე წვრილკალიანი ბრტყელი, ოვალურფარაკიანი (ფარაკზე გამოსახულია ჯვარი) ბეჭედი (ტაბ. XI—6). ნიკაპთან აღმოჩნდა ვერცხლის სასანური შონეტა კავადისა (ტაბ. XI—7), ყელთან — წვრილი ირიზებული მინის მძივები, მათ შორის 60 სარჩულიანია (ტაბ. XI—14, 15), 2 ც. კი ლურჯი მინის (ტაბ. XI—12, 13). თაიის ორთავე მხარეს, დაზიანებული, ბრინჯაოსრგოლიანი, მინის მძივსაკიდებიანი საყურეებია, მძივსაკიდის ყუნწი პირდაპირაა წამოცმული წვრილ რგოლზე (ტაბ. XI—10, 11). მიცვალებულის კოჭებს შორის და მენ-

ჯის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთწილადი თითო აბზინდა. ორთავეს ჰერალდიკური ფარაკი და ოთხკუთხა ჩარჩო აქვს; ერთის ფარაკი „წვერიანია“, მეორესი არა. ამ უკანასკნელს ენა რკინისა აქვს (ტაბ. XI—1.2).

ქვისსამარხი № 22 (სურ. 17, 18). იგი მდებარეობს № 21 ქვისსამარხის აღმოსავლეთით. დამხრობილია აღმ.-დას. ხაზზე (ოდნავ გადახრილია ჩრდილო-აღმოსავლეთით). სამარხის ყუთი შეკრულია 4 მთლიანი ქვისაგან და გადახურულია სამი დიდი ფილაქვით. სამარხის საერთო სიგრძე 2, 35 მ-ია, სიგანე—1,20 მ. შიდა სიგრძე — 1,93 მ. სიგანე ფეხებთან — 0,63 მ, თავთან — 0,65 მ. სამარხში იწვა ორი ზრდასრული მიცვალებული. სამხრეთის (№ 1) მიცვალებული გაშოტილია თითქმის სამარხის შუაში. მას მარჯვენა ხელი ბეჭზე უდევს, მარცხენა კი მუცელზე. ჩონჩხის სიგრძე 1,68 მ-ია. მისი ინვენტარია: ნაკლული რკინის მშვილდსაკინძი (ქსოვილის ნაშთით) (ტაბ. XII—21), მარცხენა მკლავთან; ბრინჯაოს ორი ბალთა — წელის არეში (ტაბ. XII—14, 15); მუცლის, ფეხებისა და წელის არეში — მინის წვრილი ირიზებული მძივები (ტაბ. XII—20)

ჩრდილოეთის (№ 2) მიცვალებული კედლისკენაა შევიწროებული და მისი პოზიცია რამდენადმე დარღვეულია, მაგრამ კარგად ჩანს, რომ იგი მარჯვენა გვერდზე უნდა წოლილიყო, მოკუნტული. მისი ინვენტარია: ბრინჯაოს მთლიანადსხმული „ტაძრისებრთავიანი“ საკინძები, 2 ც. (ტაბ. XII—1,2) საკინძები რვაწახნაგა სარდიონის თავითა და რკინის ღეროთი (ტაბ. XII—5). რვაწახნაგა პასტის თავითა და ბრინჯაოს ღეროთი (ტაბ. XII—3,4). ყველა ეს ნივთი თავის არეში აღმოჩნდა. აქვე იყო ფართორგოლიანი საყურე სარდიონისა და მარგალიტის მძივსაკიდით (ტაბ. XII—10, 11), ასეთი მეორე საყურე მუცლის არეში აღმოჩნდა. აქვე დაფიქსირდა ბოლოებდაბრტყელებული ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XII—16), რომელზედაც დაშტამპულია ცხოველის სახეები (ცუდადაა დაშტამპული). აქვე აღმოჩნდა მინის დიდი მოზაიკური (ტაბ. XII—22), თითისტარისებრი, წვეთისებრი და ბევრი წვრილი, მრგვალი, ძლიერ ირიზებული მძივი (ტაბ. XII—17, 19, 27—32). ახლა მძივთა უმეტესი ნაწილი ლურჯი, მწვანე და ყვითელი ფერისაა. რკინის ნაკლული მშვილდსაკინძი (ტაბ. XII—12), ბრინჯაოს ბეჭედი, ოვალური თვალბუდე მობრტყო რგოლის ბოლოებზე ზის (ტაბ. XII—9).

ქვისსამარხი № 23 (სურ. 19, 20) დამხრობილია აღმ.-დასავლეთის ხაზზე. იგი გადახურულია 3 ფილაქვით. საერთო სიგრძე 2,20 მ, სიგანე — 1,13 მ, ახდის შემდეგ გაირკვა, რომ სამარხში მიწა მცირედ ჩასულა. შიდა ზომები: სიგრძე 1,94 მ,სიგანე— 0,65 მ. სამარხში იწვა ერთი ზრდასრული მამაკაცი, რომლის ზემოდან, მუცლის არეში, ბავშვის, ჩონჩხი დაფიქსირდა. მამაკაცი წევს სამარხის თითქმის შუაში, გაშოტილი, ხელები მუცელზე დაკრეფილი, სახით აღმოსავლეთისაკენ. იგი მძვალმსხვილი, ფართობეჭებიანია. ჩონჩხის 1-1,70 მ. ყველა კბილი ჯანსაღი აქვს. მას თავის ქალის ყიფლიბანდზე ღრმული აქვს — ძველი, შეხორცებული ჭრილობის კვალი? ბავშვი კბილების მიხედვით 9 წლამდე ასაკისა უნდა იყოს.

ინვენტარი: მამაკაცის თავთან, მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა რკინის, ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. XIII—15); მუცლის არეში ბავშვის ნეშტის ქვეშ, დაკრეფილი ხელის მტევნებთან აღმოჩნდა ვერცხლის

სასანური მონეტა ფეროზისა (ტაბ. XIII—17). მკერდის არეში — მინის მძივები, შავი, ოქროსსარჩულიანი (ტაბ. XIII—19,20) და სხვ. საფიქრებელია, რომ მძივები მის მკერდზე დაკრძალულ ბავშვს ეკუთვნოდა. მასვე ეკუთვნის რკინის ბუდემთლიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. XIII—16). სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მამაკაცის მარცხენა ბარძაყის მარცხნივ აღმოჩნდა მოვერცხლილი აბზინდები და ბალთების ჯგუფი (ტაბ. XIII—1—14). ზოგ მათგანს ტყავის ნაშთი ეტყობოდა. მათი განლაგება გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს განგებ დაუდევრად დაგდებულ-დახვეული ქამრის სრულ აკაზმულობასთან. ჩონჩხის ალაგების შემდეგ სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა მუქი ყავისფერი თუ მოშავო თხელი ფენა, რაც შეიძლება საგებელის (ნაბდის) ან სუდარის ნაშთი იყოს[11].

ქვისსამარხი № 24 (სურ. 21, 22). იგი მდებარეობს დასავლეთის თხრილში. გადახურულია 4 სქელი ფილაქვით. საერთო სიგრძე 2,18 მ. სიგანე კი 1,10 მ-ია. სამარხის ყუთი შეკრულია 6 ქვით. წყვილ-წყვილი გვერდითა და თითო თავ-ბოლოს ქვებით.

სამარხის სამხრეთ ნაწილში მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ იწვა მიცვალებული (№ 1). ჩრდილოეთით მწოლი ჩონჩხი მის მიერ შევიწროებული და არეულ-დარეულია (№ 2). მათი ფეხებისკენ, ე. ი. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში კიდევ ორი ჩონჩხი აღმოჩნდა მიწყობილი. სამარხში აღმოჩენილი მთელი ინვენტარი მათთან ერთად იყო: შავი და მუქი თიხლისფერი მინისგან დამზადებული ბეჭდები (XXIII—31—32); რკინის მშვილდსაკინძის ნატეხები (ტაბ. XXIII—30); ბრონზეულის ყავილისებრთავიანი საკინძები (ტაბ. XXIII—9, 23, 27), სფერული და ნახევარსფერულთავიანი ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს ნემსი (ტაბ. XXIII—20—22); 7 ცალი მინის ირიზებული მძივი (ტაბ. XXIII—33—37), მათგან ერთი მომწვანოა, დანარჩენი — მოშავო, რკინის 2 ნაკლული ბეჭედი (ტაბ. XXIII—33, 34), რომელიც თანდათან გადადის ოდნავ გაფართოებულ ფარაჭში; ნაკლული საყურეები მარყუჟისებრი საკიდით (ტაბ. XXIII—25—26).

ქვისსამარხი № 25. სამარხის ყუთი შეკრული იყო 4 და გადახურული 2 ფილაქვით. სამარხის საერთო სიგრძე 1,7 მ, სიგანე — 0,52 მ; შიგა სიგრძე 0,93 მ, სიგანე თავთან — 0,3 მ, ფეხებთან — 0,24 მ. სამარხში ძვლოვანი მასალა ცუდად იყო შენახული, მაგრამ ზომისა და კბილების მიხედვით გაირკვა, რომ იგი ბავშვს ეკუთვნოდა.

ინვენტარის აბსოლუტური უმეტესობა წელის არეში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ისინი „შეუწირავთ". მინის მძივები: 50 ცალი, უმეტესად ლურჯი მინისა, წვრილი მრგვალბრტყელი ფორმის (ტაბ. XIV—23,24); კაური (ტაბ. XIV—10) (მათ შორის 8 ცალი წვეთისებრი) (ტაბ. XIV—11—17) და დიდ. ზომის 4 ბეჭედი — ორი მაღალი ცილინდრული თვალბუდით, წყვილი მრგვალერაკიანი ბრინჯაოსი. ერთ-ერთ მათგანზე ფანტასტიკური არსების (რაღაც, ზღარბისმაგვარი) გამოსახულებაა (ტაბ. XIV—18—20); საკინძები სამტოტა, მრავალწახნაგა და მრგვალი თავით (ტაბ. XIV—1—6). სამი ძვლის საკინძი; ორი ორკაპა ხოლო ერთი ყაყაჩოს პარკისებრი თავით (ტაბ. XIV—7—9).

ქვისსამარხი № 26 (სურ. 23, 24). სამარხის ყუთი 4 ქვითაა შედგენილი, გადახურულია ამდენივე ფილაქვით. სამარხის საერთო სიგრძე 2, 3 მ.

---

11 № 23 სამარხის ინვენტარი, განსაკუთრებით კი ქამარი, განხილულია ცალკე სტატიაში — „მხედრის სამარხი ქვემო ალევიდან", სსმმ, XXXVIII—B.

სიგანე 0,9 მ; შიდა სიგრძე 1,8 მ, სიგანე თავბოლოში—0,64 მ. სამარხში დაფიქსირდა თავით დასავლეთისკენ მიმართული, მარჯვენა გვერდზე ძლიერ ფეხებმოკუნტული ქალის ჩონჩხი. მას მარჯვენა ხელი ბოქვენზე უდევს, ხოლო მარცხენა მარჯვენა იდაყვთან. მიცვალებულს გაცვეთილი კბილები აქვს, ე. ი. ასაკოვანია. იგი სამარხის ჩრდილო ნაწილში წევს. მის სამხრეთით მკერდის გასწვრივ ბავშვის ჩონჩხის ნაშთია (სარძევე კბილები და სხვ.). დიდი მიცვალებულის თავის ქალის ორთავე მხარეს ბრინჯაოს საყურეები (საკიდი რგოლები) აღმოჩნდა (ტაბ. XV—5,6). თავის ქალაზე კი დაფიქსირდა საკინძები: ლურჯი მინის მრგვალთავიანი, რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულებით (2 ც.); აგრეთვე ლურჯი მინის მრავალწახნაგა სფეროიდულთავიანი საკინძი (ტაბ. XV—1—4), სპირალური ნიჟარა (ტაბ. XV—8). სამარხში ჩაყრილი მიწის თავზე აღმოჩნდა უენო აბზინდისებრი რკინის რგოლი (იგი შემთხვევით ჩავარდნილა და სხვა დროის უნდა იყოს).

სამარხის ძირი ცეცხლითაა „გაპატიოსნებული". ძირზე შეიმჩნევა აგრეთვე მუქი ყავისფერი თხელი ფენა (სუდარის თუ ნაბდის საგების ნაშთი?).

ქვისსამარხი № 27 (სურ. 25, 26). გადახურულია ერთი მთლიანი ფილაქვით. სიგრძე 0,98 მ, სიგანე თავში (დასავლეთით) — 0,42 მ. მისი ზედაპირი მიწის თანამედროვე დონიდან 1, 15 მ-ზეა. სამარხი საესე იყო მიწით, რომელსაც ნახშირი ^ ერია. სამარხის შიდა სიგრძე 0,75 მ, სიგანე 0,37 მ. სამხრეთ ნაწილში იყო „წამოწოლილი" და ფეხებმოკეცილი, დაახლოებით 7—8 წლის ბავშვის ჩონჩხი; მარცხენა ხელი მუცელზე ედო, მარჯვენა კი ბოქვენზე. სამარხის ჩრდილო ნაწილში კი ძალიან პატარა მიცვალებულის ძვლების და სარძევე კბილების ნაშთია. № 1 მიცვალებულთან დადასტურდა მინის მძივით შემკული რკინისღეროიანი ორი საკინძი (ტაბ. XV—9, 10), ბრინჯაოს ორი დაშლილი საყურე უძრავად მიდუღებული საკიდითა და მძივით (ტაბ. XV—11, 12). სამარხში ჩაყრილ მიწაში აღმოჩნდა საქონლის კბილის ნატეხი (ტაბ. XV—13).

ქვისსამარხი № 28. მდებარეობს სამარხთა ცენტრალურ ჯგუფში, № 27 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გადახურულია 3 მოზრდილი ფილაქვით. სიგრძე 2,08 მ-ია, სიგანე თავბოლოში 1 მ. იგი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,25 მ სიღრმეზეა. ახდის შემდეგ გამოჩნდა, რომ სამარხი შეკრული იყო ოთხი მთლიანი ფილაქვისაგან. სამარხის შიდა სიგრძე 1,78 მ, სიგანე დასავლეთით 0,75 მ. მისი კედლების ძირი გამაგრებული იყო ხურდა ქვით.

ქვისსამარხში დადასტურდა წყვილთა დაკრძალვა. სამხრეთ ნაწილში იწვა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ, მუცელზე ხელებდაწყობილი მამაკაცი (სიგრძე 1,78 მ). ჩრდილოეთით კი მარჯვენა გვერდზე (თავით დასავლეთისაკენ). მოკუნტულად მწოლი ქალის ჩონჩხი; ხელფეხმოხრილი, ხელები სახის წინ ეწყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჯერ დაკრძალულია ქალი, შემდეგ მამაკაცი. მამაკაცის მარცხენა მხარს ქალის ხელები დაუფარავს.

ინვენტარი: მამაკაცის მკერდის არეში, მარცხნივ, რკინის მშვილდსაკინძი აღმოჩნდა (ტაბ. VI—9). მარჯვენა ხელზე უკეთია ორი ბეჭედი. ერთს რკინის რგოლი და მრგვალი ბრინჯაოს ფარაკი აქვს; მეორეს კი, რომელიც ბრინჯაოსია, კვადრატული თვალბუდე. მეორე ბეჭდის თვალბუდე გახსნილი რგოლს ბოლოებს შორისაა ჩასმული, ხოლო ბრინჯაოსფარაკიანი რკინის რგოლის გახსნილ ბოლოებზეა დარჩილული (ტაბ. VI—10, 13). ქალის ჩონჩხთან დადასტურდა: მარცხენა ხელზე კოპიანი ბეჭედი, ლურჯი მინის გემით და რკინის ბე-

ბედი ოვალური ფარაკით (ტაბ. VI—12, 14): საკინძები: მთლიანადსხმული, ბრინჯაოსი, წყვილი რგოლისებრი თავით და „უყლზე“ წიბოთი (ტაბ. VI—1,2). ერთი აღმოჩნა თავის ქალასთან მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, მესამე კი თავბურთულა, წიბოიანი — აღმოჩნდა თავის მარჯვნივ (ტაბ. VI—3); სამი ცალი მარჯვნისთავიანი, ბრონწეულის გამოსახულებით (ტაბ. VI—4—6); 2 ცალი სარდიონის მძივით შემკული ბრინჯაოს ვარდულებით და რკინის ღეროთი (ტაბ. VI—7,8). მარცხენა და მარჯვენა საფეთქელთან — თხელფურცლოვანი ვერცხლის გოფრირებული მილაკები იყო (ტაბ. VI—11) (დაიშალა). შემდგომი აღმოჩენებით დადასტურდა, რომ ისინი ნაწნავის ბოლოებში იყო ჩაწნული და ჩამოკიდებული.

ორთავე მიცვალებულს თავის ქვეშ თითქოს ქვის ფირფიტა უდევს, ხოლო სამარხის მიწაში შეიმჩნევა ნახშირის ჩანართები; ე. ი. სამარხი ორმო ცეცხლით „გაუპატიოსნებიათ“ (?).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 29. დამხრობილია სამხრეთ-აღმ.— ჩრდილო-დას. ხაზზე. სამარხის ყუთი შეკრულია 4 ფილაქვისაგან და გადახურულია ამდენივე სხვადასხვა ზომის სიპით. საერთო სიგრძე 0,97 მ-ია, სიგანე 0, 52 მ, შიდა სიგრძე 0,7 მ, სიგანე 0,24 მ.

სამარხში დაფიქსირდა ძლიერ დაშლილი ბავშვის ჩონჩხი, რომელსაც მცირე ინვენტარი ახლდა. კერძოდ, ყელის არეში აღმოჩნდა ძლიერ ირიზებული მინის მრგვალი მძივები (23 ც.); ხოლო მუცლის არეში— მაღალთვალბუდიანი ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XV—30, 31).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 30. დამხრობილია აღმ.-დას. ხაზზე. სამარხის ყუთი შეკრულია 4 გვერდითი ქვისაგან და გადახურულია 3 დიდი ფილაქვით. სამარხის შიგა სიგრძე 2,02 მ, ხოლო სიგანე თავთან 0,71 მ, ფეხებისკენ — 0,65.

სამარხის აღმოსავლეთით მიწყობილი იყო ძვლები. მიცვალებულის ძვლები უწესრიგოდ ეყარა სამარხის ცენტრალურ ნაწილშიც. იგი უთუოდ მოგვიანებითაა ჩაყრილი, რადგან მასა და ქვედა ჩონჩხს შორის მიწის ფენა შეინიშნება.

საბოლოოდ, პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ სამარხის დასავლეთ ნაწილში იწვა თავით ამავე მხარეს, ზურგზე გაშოტილი 3 მიცვალებული (სამივე ღრმა მოხუცი—უკბილო. ყბებზე კბილის ბუდეები შეხორცებული ჰქონდათ). მათ ზემოთ დაკრძალული იყო ერთი ჩონჩხი. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილ ორმოში კი მიხვეტილი იყო ორი ზრდასრული და ერთი ბავშვის ჩონჩხი. სამარხში აღმოჩენილი ნივთიერი მასალიდან ყველა ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდათ. ამდენად მათი პოზიცია, რა თქმა უნდა, დარღვეული იყო. საყურე ბრინჯაოსი, უბრალო ოვალური ფორმის პირგახსნილი რგოლი (ტაბ. XV—18), ბრინჯაოს მთლიანადსხმული, ბურთულათავიანი საკინძი (ტაბ. XV—14); ბრინჯაოს ჯვრისებრი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. XV—15) და ორი ბეჭედი: 1. მსხვილი გახსნილი რგოლით, რომელთა შორისაც ზის მაღალი თვალბუდე (ტაბ. XV—17). თვალბუდეში ლურჯი მინის გემის ნახეკარი ზის; 2. ბრინჯაოს მომსხო რგოლი გადადის ოთხკუთხა თვალბუდეში. თვალბუდეში კი უფერო მინის გემა ზის, ზედ გამოსახულია „ანტილოპა“ (ტაბ. XV—16). მძივები: სარდიონისა (ტაბ. XV—30) და მინის (ტაბ. XV—31) დიდი, მრგვალი; აგრეთვე მოგრძო ცილინდრული ლურჯი (ტაბ. XV—23) და მუქი ყავისფერი მინისა (ტაბ. XV—24—29).

ქვისსამარხი №31. სამარხის ყუთი შეკრულია 4 და გადახურულია 2 ფილაქვით. სამარხის საერთო სიგრძე 1,9 მ, სიგანე 0,95 მ-ია. შიგა სიგრძე 1,71 მ, სიგანე თავთან 0,58 მ, ბოლოში — 0,48 მ.

სამარხში ორი ინდივიდი დაფიქსირდა. სამხრეთით სამარხის უმეტესი ნაწილი უკავია მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად, თავით დასავლეთისკენ მწოლ ქალს. მეორე კი მისგან შევიწროებულია ჩრდილო კედლისკენ. იგი ნაწილობრივ დაზიანებულია. ამიტომ თავდაპირველი პოზის დადგენა ძნელია.

I ქალის ინვენტარი: რკინის ჯვრისებრი მშვილდსაკინძი (ტაბ. XVI—20); მთლიანად ბრინჯაოსაგან სხმული ბურთულათავიანი, ყელწიბოიანი საკინძი (ტაბ. XVI—5); მარჯნისგან ნაკეთები ბროწეულის ყვავილის მსგავსი თავებით (ტაბ. XVI—1,2), ბრინჯაოს მსხვილი ვარდულებითა და ბრინჯაოსაეე გრძელი ღეროთი. თავზე დამატებით მარგალიტი აზის. საკინძი 2 მრავალწახნაგა ლურჯი მინის თავით და რკინის ღეროთი (მათგან ერთი ექვსწახნაგაა, მეორე — რვაწახნაგა) (ტაბ. XVI—10, 11); სარდიონის მრგვალი თავითა და რკინის ღეროთი; რვაწახნაგა სარდიონის თავით და რკინის ღეროთი (ტაბ. XVI—8,9); სარკის მინა (d—2,15 სმ) (ტაბ. XVI—15) (ბუდე დაკარგულია). მარცხენა ხელთან, წელის დონეზე აღმოჩნდა წყვილი საყურე, დიდი ბრინჯაოს რგოლითა და მძივსაკიდით (ტაბ. XVI—25, 26). მასთანვე წვეთისებრი მინის მძივი (ტაბ. XVI—17, 18).

II ქალის ინვენტარი: ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. XVI—16), მკერდის არეში; აქვე, ბრინჯაოს ცალ მხარეს თავდაბრტყელებული სამაჯური (ტაბ. XVI—22); ბრინჯაოსაგან მთლიანადსხმული ბურთულათავიანი, ყელწიბოიანი საკინძი (ტაბ. XVI—6), ნახევარსფერული თავით და ნემსისებრი (ტაბ. XVI—13, 14); მარჯნის ბროწეულის ყვავილით თავშემკული საკინძები რკინის ღეროთი, 2 ც. (ტაბ. XVI—3,4); წვრილი მინის მძივები სარჩულიანი, ძლიერ ირიზებული და გამოფიტული (ტაბ. XVI—27, 29); აღმოჩნდა ყელის არეში.. რკინის მშვილდსაკინძი ქსოვილის ნაშთით (ტაბ. XVI—21).

ქვისსამარხი №32. სამარხის ყუთი შეკრულია 4, ხოლო გადახურულია 3 ფილაქვით. სამარხის შიგა ზომები — სიგრძე 1, 86 მ, სიგანე დასავლეთით 0,72 მ, აღმოსავლეთით 0,68 მ.

სამარხის ცენტრში, მარჯვენა გვერდზე, იწვა მოკუნტული ზრდასრული მიცვალებული, რომელმაც მეორე ინდივიდი შეავიწროვა ჩრდილოეთისკენ და ნაწილობრივ ქვეშ მოიქცია.

№1 მიცვალებულის ინვენტარი: შედარებით სიმეტრიული ფორმის, ნამგალამთვარისებრი, მუცელშესქელებული წყვილი საყურე (ტაბ. XVII—10,11); ერთი მათგანი უფრო სიმეტრიულია. იგი აღმოჩნდა თავის ქალასთან. მიცვალებულის მკერდის არეში იყო ბრინჯაოს „ბეჭდის“ რგოლი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ბოლოებდაბრტყელებული (ტაბ. XVII—13). ბეჭდები: 1. ბრინჯაოს, გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ჩამაგრებული ოვალური დაბალი თვალბუდით, რომელშიც სარდიონის გემა ზის (ტაბ. XVII—14), გამოსახულება ცუდად იკითხება. 2. ბრინჯაოს მსხვილი რგოლითა და მაღალი თვალბუდით. თვალბუდე გახსნილი რგოლის ბოლოებს ზემოდან ზის (დაზიანებულია) (ტაბ. XVII—15).

№2 მიცვალებულის ინვენტარი: მკერდის არეში რკინის მუხლსახსრიანი, ბუდემთლიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. XVII—9); 6 ცალი სარდიონის სხვადასხვა ზომის მძივით თავშემკული, ბრინჯაოსღეროიანი საკინძები (ტაბ. XVII—3—8); ხელებთან წყვილი დისკოსებრთავიანი საკინძი; დისკო ოდ-

ნავ ამოზნექილია და ირგვლივ სამრიგად „ბურცობები“ შემოუყვება. შუაში ზის მინის ამობურცული თვალი (ტაბ. XVII—1,2). წყვილი საყურე წვეთისებრი საკიდით და მოზრდილი ბრინჯაოს რგოლით (ტაბ. XVII—16, 17); ბრინჯაოს სამაჯური, დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის „სახის“ გამოსახულებით (ტაბ. XVII—12): მძივები: გიშრის ოთხკუთხა, ელიფსოიდური (ტაბ. XVII—24) წერტილწრით შემკული (18 ც.) (ტაბ. XVII—18—22). ერთი სარდიონისა, მრგვალი (ტაბ. XVII—26); ერთიც დაშლილი ქარვისა (ტაბ. XVII—29, 30) და ბევრი წვრილი, ირიზებული, ლურჯი და მოშავო გამოფიტული მინისა. ლურჯი მინის მილაკისებრი (ტაბ. XVII—25); ერთი მარჯნისა, მოგრძო არასწორ-ცილინდრული (ტაბ. XVII—23).

სამარხი № 33. იგი „ხისსარკოფაგიანი“ ორმოსამარხია (სურ. 27). მდებარეობს № 2 ქვისსამარხის ჩრდილო-დასავლეთით. სამარხის სიღრმე მიწის დღევანდელი ზედაპირიდან 1,45 მ. სამარხი ორმო მოგრძო, გვერდებ-ჩამრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისაა. ორმოს სიგრძე 1,50 მ-ია, სიგანე 0.4 მ. ორმოს სამხრეთ და ჩრდილო კიდეში კარგად შეინიშნებოდა ამავე ძიძართულებით გადებული თითო მსხვილი ძელის დანახშირებული ნაშთები. ძელების ნაშთები ზოლებად ჩანდა მიცვალებულის ზემოდანაც. ისინი სამარხის დამხრობის შესაბამისად ეწყო. ორმოში მარჯვენა გვერდზე, თავთან დასავლეთისაკენ, იწვა გოგონა (12—14 წლისა?). მოხრილი ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი. ხელის არეში დადასტურდა სარდიონის ფარაკწკვეთილი ბეჭედი (ტაბ. XVIII—36). თავის ქალაზე დაფიქსირდა საკინძები (2 ც.): სარდიონისთავიანი (ტაბ. XVIII—33, 35) — ერთს დამატებით მარგალიტის მძივი აზის თავზე; უვარდულო და ცილინდრული მწვანე მინისთავიანი, ბრინჯაოს ღეროთი (ტაბ. XVIII—32). ერთიც შეიდწახნაგა მწვანე მინისაგან (ტაბ. XVIII—34). თავის არეში წყვილი საყურე იყო; ბრინჯაოს „ჭიაყელასებრ“ რგოლზე უძრავადაა მიმაგრებული მძივსაკიდი. იგი შედგება ბრინჯაოს ღეროზე აგებული აგურისფერი მინის (?) და წვეთისებრი მოზრდილი მარგალიტის მძივისაგან (ერთი საყურე დაზიანებულია) (ტაბ. XVIII—36, 37).

ქვისსამარხი № 34. იგი ფაქტიურად წარმოადგენს სიგრძეში ერთმანეთზე გადაბმულ ორ ქვისსამარხს (სურ. 28, 29). მათ საერთო აქვთ ტიხარი. ტიხრის დასავლეთით მდებარე სამარხს ეწოდეთ 34 B, ხოლო აღმოსავლეთისას — 34 A. ორივე სამარხი შედგენილია 8 გვერდითი ფილისაგან. A ჩასასვენებლის შიდა ზომებია: 1,8 მ×0,5 მ×45 მ. სამარხში დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად მწოლი მოხუცი მიცვალებული. მის აღმოსავლეთის კუთხეში კი მიხვეტილია 2 მიცვალებულის ჩონჩხი. სამარხში მწოლი მიცვალებული რომ მათ შემდეგაა დაკრძალული, იქიდანაც ჩანს, რომ იგი ფხვიერ მიწაზე წევს. აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ორმო, რომელშიც მიუხვეტიათ შედარებით ახალგაზრდა მიცვალებულის ჩონჩხი. მთელი სამარხეული ინვენტარი მასთან აღმოჩნდა: მშვილდსაკინძები ბრინჯაოსი, ჭვინტიანი მუხლსახსრიანი (ტაბ. XVIII—47); ბრინჯაოს პირგახსნილი რგოლები (ტაბ. XVIII—41—43, 45) რკინის და ბრინჯაოს საკინძთა ღეროს ნატეხები, ბეჭედი (ტაბ. XVIII—39, 40, 44) და სხვ. სამარხის B ნაწილში, რომლის ზომები 2,10×0.60 ×0,45 მ-ია, ორი მიცვალებული ასვენია. სამხრეთით მოკუნტული, ქალი; ჩრდილოეთიდ კი მამაკაცი, ზურგზე გაშოტილი.

სამარხი № 35. „ხის სარკოფაგიანი“ ორმოსამარხია (სურ. 30). იგი მდებარეობს № 33 ორმოსამარხის აღმოსავლეთით და № 2 სამარხის ჩრდილო-

ეთით, კედლის გასწვრივ. დამხრობა — O—W. სამარხის სიგანე ხის გვერდით ფიცრებს შორის 0,75 მ-ია, სიგრძე 1,70 მ-მდეა. მიცვალებული ქალია, წევს თავით დასავლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული. ხელები მკერდზე უწყვია (სურ. 30[1]). დანახშირებული ძელების ნაშთები ზოლებად ჩანს მიცვალებულის ზემოდან. თავის ქალაზე დადასტურდა საკინძები: „პრიზმულთავიანი" 2; ერთი შვიდწახნაგა, მეორე — ექვსწახნაგა (ტაბ. XVIII—12, 13), გრანატის სფერულთავიანი (ტაბ. XVIII—6), დაწახნაგებულ წვეთისებრი (ტაბ. XVIII—10,11), 2 ცალი სამტოტა, 2 ცალი ორადგანტოტვილი მინისა და სარდიონის მძივებით შემკული (ტაბ. XVIII—1—4, 7); ერთი ძვლისა წრეწერტილით შემკული (ტაბ. XVIII—16), ქნარისებრთავიანი მთლიანად სპილენძისა (ტაბ. XVIII—14, 15, 2 ც). თავზევე აღმოჩნდა სარდიონის მძივები, 29 ც. (ტაბ. XVIII—31), 151 ცალი მომსხო მრგვალი მინის მძივები (ტაბ. XVIII—20, 22). მარცხენა ხელზე — ცხოველისსახიანი ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XVIII—17). ქარვის საბეჭდავი; შებმული ჰქონდა მაჯაზე. მასზე გამოსახულია დიდებულის პორტრეტი მარცხენა პროფილში (ტაბ. XVIII—30). აქვეა მოყავისფრო აქატის საბეჭდავი ღომის გამოსახულებით (ტაბ. XVIII—19). თითებზე სამი ბეჭედი ეკეთა. ერთი ბრინჯაოსფარაკიანი (გემიანი), შუა თითზე; რკინისა — საჩვენებელ თითზე, ვერცხლისა — არათითზე (ტაბ. XVIII—25, 18, 26). ყველა ბეჭედი ეკეთა თითების მეორე ფალანგებზე. ყელთან დადასტურდა ღვინისფერი მინის (?) მძივები. მარჯვენა მხარეს ბრინჯაოს საყურე (ტაბ. XVIII—24). ბრინჯაოს მშვილდსაკინძი აღმოჩნდა სახის წინ, ხელებთან (ტაბ. XVIII—29).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 36. დამხრობილია O—W ხაზზე (ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით გადახრილი). სამარხი მდებარეობს № 31 ქვისსამარხის აღმოსავლეთით და № 38 ქვისსამარხის ჩრდილოეთით. ქვისსამარხი № 36 გადახურულია სამი ფილაქვით (აღმოსავლეთის ფილაქვა შუაზეა გატეხილი). სამარხის საერთო ზომებია: 1,90×1,04×0,8 მ. შიგა ზომები კი 1,77×0,45×0,47 მ. სამარხის ყუთი შეკრულია 4 ფილაქვით (მათგან სამხრეთის კედელი ორადაა გატეხილი).

სამარხში დადასტურდა ქალისა და ბავშვის ცუდად დაცული ჩონჩხი. ქალი მოკუნტული წოლილა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ. ხელები სახის წინ ეწყო. მისი მუცლის გასწვრივ, სამარხის სამხრეთ ნაწილში დადასტურდა ბავშვის თავის ქალა.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: ქალის თავის არეში აღმოჩნდა საკინძები — წყვილი, ბრინჯაოსაგან მთლიანადსხმული, მრგვალთავიანი და ყელწიბოიანი (წიბოები ორ წყვილადაა განლაგებული), სწორი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ტაბ. XIX—1,2). სიგრძე 12,5 სმ-ია. წყვილი სამტოტად განლაგებული გამოფიტული მინის მძივებითა და რკინის ღეროთი. მძივები ღეროზე დამაგრებულია ვარდულების გარეშე (ტაბ. XIX—7,8). მათ როლს სპილენძის პატარა ბურთულები ასრულებს. საკინძთა რკინის ღეროები დამტვრეული და ძლიერ დაჟანგულია. მათზე შერჩენილია თმისა და ქსოვილის ნაშთი, რაც მიგვანიშნებს, რომ საკინძებით თმაზე (ნაწნავებზე) დამაგრებული იყო ხილაბანდი (ზოგჯერ ჩიხტიკოპისებრი სალტით). სამი საკინძი რვაწახნაგა კურკისებრი სარდიონის თავით, ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (ტაბ. XIX—11—13). საკინძისთავი რვაწახნაგა წვეთისებრი ლურჯი მინისა (გატეხილია სამად) (ტაბ. XIX—14). წყვილი საკინძი ლურჯი მინის მრგვალი თავით და რკინის ღეროთი (იგი ძლიერ დაჟანგულია და ზედ თმისა და ქსოვილის ნაშთია შერჩენილი) (ტაბ. XIX—9,10). საკინძი — თავი ოვალური ბრინჯაოს თვალ-

ბუდეა, რომელშიც ამობურცულზედაპირიანი ირიზებული მინის თვალი ზის (ტაბ. XIX—15). თვალბუდის ირგვლივ სიმეტრიულად განლაგებულია ოთხი წვრილი მარგალიტის მძივი. საკინძის თავი რკინის ღეროზე მოძრავადაა დამაგრებული (ღერო ძლიერ დაჟანგული და გატეხილია).

აღსანიშნავია, რომ აღწერილი № 9, 10 და № 15 საკინძები ქალის მენჯთან აღმოჩნდა და შესაძლოა ისინი მის მახლობლად დადასტურებულ ბავშვის ნაშთებს ეკუთვნის. ბეჭდები: 1. ვერცხლისა, დაბალი ოვალური თვალბუდე, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებისკენ ოდნავ გამსხვილებული რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ზის (ტაბ. XIX—16). თვალბუდეს მოწითალო სარდიონის ინტალიო ამკობს. მასზე სქემატური, შტრიხულ-ესკიზური მანერით მამაკაცის პროფილია შესრულებული (რგოლის d—2.5 სმ, თვალბუდის d—0,9 სმ, h—0,3 სმ). 2. ბრინჯაოს ბეჭედი; ოვალურგანივკვეთიანი, გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის მაღალი ოვალური ფორმის თვალბუდეა ჩამაგრებული (ტაბ. XIX—21). თვალბუდეში ლურჯი მინის გამოფიტული, ამჟამად გაურკვეველგამოსახულებიანი თვალი ზის (რგოლის d—2,3 სმ, თვალბუდის d—1,30 სმ, h —0,55 სმ). 3. ბრინჯაოს ბეჭედი; ჯამისებრი თვალბუდე, რომელიც ამოვსებულია მოყვითალო მასით (მას ალბათ ზემოდან გადაკრული ჰქონდა ბრინჯაოსავე ფირფიტა, შესაძლოა გამოსახულებით) (ტაბ. XIX—22), ზის მობრტყოგანივკვეთიან გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის. 4. ბრინჯაოს ბეჭედი; მობრტყოგანივკვეთიან რგოლზე ზის მომაღლო, ფართოძირიანი თვალბუდე, რომელშიც ძლიერ ამობურცულზედაპირიანი მინის თვალია ჩასმული (ტაბ. XIX—23). I, II, IV ბეჭდები აღმოჩნდა ზრდასრულ მიცვალებულთან; I, II მოხრილ ხელებს შორის, ხოლო IV — მარცხენა ხელის თითზე. III ბეჭედი ბავშვს უნდა ეკუთვნოდეს.

ქალის სახის წინ დაწყობილი ხელების არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს წყვილი თავებდაბრტყელებული სამაჯური (მკლავებზე თითო ეკეთა). ერთის თავები უფროა დაბრტყელებული და ცხოველის „სახის“ გამოსახულებაც უკეთ ჩანს (d—6,5 სმ და 7 სმ) (ტაბ. XIX—3,4).

საყურეები — წყვილად, აღმოჩნდა ქალის თავის არეში (ტაბ. XIX—5,6). ბრინჯაოს წყვილმარყუჟიანი ფართო პირგახსნილი რგოლი. „მარყუჟებზე“ შესაბამისად წყვილი მძივსაკიდი ჰკიდია. მძივსაკიდი ბრინჯაოს ყუნწიანი ღეროა, რომელზედაც წამოცმულია ერთი მრგვალი შავი მინის მძივი და ერთი წვეთისებრი მოზრდილი შავი მძივი, რომლის გული რაღაც შავი მასისგანაა (ფისი, ცვილი) ნაკეთები, გარედან კი ვერცხლის გარსაკრი უნდა ჰქონოდა (ასეთი საყურეები ალეევის სამაროვანზე ბლომადაა აღმოჩენილი). მათ შორის კი ბრინჯაოს ვარდულა ზის (საერთო სიგრძე 5,5 სმ და 4 სმ-ია).

სამარხში, სავარაუდოდ ბავშვის ჩონჩხის არეში, აღმოჩნდა რკინის დაჟანგული რგოლი ნახევარი და დაჟანგული ვერცხლის (?) ნივთის ნატეხი (ტაბ. XIX—17, ბეჭედი უნდა იყოს). ბავშვსვე უნდა ეკუთვნოდეს ერთადერთი გიშრის მძივი (ტაბ. XIX—25).

ქალის ყელის არეში აღმოჩნდა 150-ზე მეტი მწვანე და ლურჯი მინის წვრილი მრგვალ-ბრტყელი და წაკვეთილი ფორმის მძივი. 30 ცალზე მეტი წვრილი მოგრძო, ოვალური ფორმის გიშრის მძივი და ერთი ცალი დაზიანებული ნიჟარა კაური (ტაბ. XIX—19, 20, 24, 18). სამარხი № 36 საინტერესოა როგორც დაკრძალვის წესის, ისე ინვენტარის მიხედვით. თვით სამარხი მოწყობილობა გაუმართავთ ქრისტიანულ წესზე. ქვისსამარხი თავისი ზომით, პროპორციით და დამხრობით ქრისტიანული დამარხვის წესისთვისაა მოწყობილი. ამ დროს

ქალის დაკრძალვის პოზა ტიპოლოგიურად „წარმართულია". მაგრამ მის დაკრძალვის წესში შეიძლება შევნიშნოთ ქრისტიანობის გარკვეული გავლენაც. აქ მხედველობაში გვაქვს არა იმდენად სამარხი მოწყობილობის ქრისტიანულობა. რადგან თავისთავად ამ მოვლენას კონკრეტულ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა. უფრო ნიშანდობლივია სამარხის მცირე ინვენტარიანობა, რაც მთავარია, ისეთი ინვენტარის ჩაუტანებლობა, როგორიცაა კერამიკა, იარაღი და სხვ.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 37 (სურ. 31). დამხრობილია O—W ხაზზე. მის დასავლეთით მდებარეობს № 36 ქვისსამარხი. აღმოსავლეთით კი № 40, № 41 „ორსართულიანი" ქვისსამარხი. ქვისსამარხი გადახურულია სამი ფილაქვით. სამარხის საერთო ზომებია: 1,81×0,92 მ; შიგა ზომებია: 1,52×0,52×0,49. სამარხი ყუთი შეკრული იყო 4 ფილაქვით.

სამარხის სამხრეთ ნაწილში იწვა თავით დასავლეთისკენ მიმართული 6—7 წლის გოგონას (?) ძლიერ ცუდად დაცული ჩონჩხი. მიცვალებულს თავის ქვეშ ედო სიპი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი. საკინძები, წყვილი, სარდიონის რვაწახნაგა თავით, ბრინჯაოს ეარდულებითა და რკინის ნაკლული ღეროთი, რომელზეც მიჟანგულია ქსოვილის ნაშთი (ტაბ. XX—3,4). ერთი მათგანი აღმოჩნდა მიცვალებულის თავ-უელის, მეორე კი მკერდის არეში. სამაჯურები: 1 — რკინისა, წრიული ძლიერ დაჟანგული, ქსოვილის ნაშთით (ტაბ. XX—2); 2 — ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული (ტაბ. XX—1); მის გახსნილ დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის სახეებია დაშტამპული. ორივე სამაჯური აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში.

დაახლოებით წელის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფუყე, შუაში ოდნავ გამსხვილებული რგოლის ნატეხი (ტაბ. XX—5). თავ-უელის არეში დაფიქსირდა 230-ზე მეტი მძივი, მათგან ერთი მრგვალი სარდიონისა (ტაბ. XX—6), დანარჩენი კი მინის წვრილი ლურჯი (ტაბ. XX—7—9) და ლითონისსარჩულიანია (ტაბ. XX—11, 13). უმეტესი ნაწილი მძივებისა გამოფიტულია.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 38. დამხრობილია O—W ხაზზე (15° ჩრდილო-აღმოსავლეთით გადახრით). იგი მდებარეობს № 36 სამარხის სამხრეთით და № 53 ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხის ჩრდილოეთით (იხ. სურ. 31. უკანა პლანი — სამარხი ლარტყით). № 38 ქვისსამარხი გადახურულია სამი ფილაქვით. სამარხის ყუთი შეკრულია ექვსი, თითო თავ-ფეხისა და წყვილი გვერდითი ფილაქვისაგან. სამარხის საერთო ზომებია: 1,85×0,75 მ; შიგა ზომები: 1,5×0,47×0,49 მ.

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებული, ორივე ქალია. სამხრეთ ნაწილში იწვა მარჯვენა გვერდზე მოკუნტული ხნიერი ქალი, თავით დასავლეთისკენ მიმართული. მას თავის ქალა დაზიანებული ჰქონდა. თავის ქალის ზედა ნაწილი საკინძებითურთ სამარხის დას. კედლიდან 0,5 მ-ის დაცილებით იყო, ხოლო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. სამარხის ჩრდილო ნაწილში მწოლი ქალის ჩონჩხი კი კედლისკენ იყო მიჭეჭყილი. ამიტომ მის თავდაპირველობაზე საუბარი ძნელია, თუმცა ხელები სახესთან ეწყო. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მიცვალებულიც თავის დროზე მარჯვენა გვერდზე მოკუნტული იწვა. როგორც ჩანს, პირველად ის დაუკრძალავთ.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: 1—წყვილი საკინძი, ნაკეთებია მთლიანად ბრინჯაოსაგან (ტაბ. XX—22, 23), ყელზე ერთი წყვილი წიბოთი

და მრგვალი თაიით (სიგრძე 12,2 სმ). 2 — წყვილი საკინძი (ტაბ. XX—20, 21). ბრინჯაოსი, ყელზე ორი წყვილი წიბოთი და მრგვალი თაიით (ერთის სიგრძეა 11 სმ, მეორის — 9 სმ). 3 — საკინძები სარდიონის, ოვალური მრავალწახნაგა თაიით, თავ-ბოლოში ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი. სულ სამი ცალია (ტაბ. XX—28—30).4 — წყვილი საკინძი „პრიზმული“ (შვიდწახნაგა), გამოფიტული, მოთეთრო-მომწვანო მინისა, რკინის ღეროიანი (ტაბ. XX—25, 27). 5 — წყვილი საკინძი, რომლის თავი შედგენილია მინის მრგვალი ლითონისსარჩულიანი მძივებით; ექვსი მოზრდილი მძივია; ხუთ მათგანზე ბაზის პატარა მსგავსი მძივი. მძივების განლაგება რთულ ფორმას ქმნის, იგი „სივრცულ ჯვარს“ (ექვსმხრივ სიმეტრიულად განლაგებულ ბურთულას) წარმოსახავს (ტაბ. XX—24, 25). საკინძს ღერო რკინისა აქვს. საკინძთაგან ერთი აღმოჩნდა სამხრეთ, დანარჩენი კი ჩრდილო მიცვალებულთან.

სამაჯურები: 1 — ვერცხლისა (?), განივკვეთში ოვალური, ქედშესქელებული, დავიწროებული გახსნილი ბოლოებით (ტაბ. XX—34). 2 — ვერცხლისა (?), მომსხო. განივკვეთში ოვალურკუთხოვანი. თანაბრად მორკალული გახსნილი დავიწროებული ბოლოებით (ტაბ. XX—33). სამაჯურები აღმოჩნდა ჩრდილო მიცვალებულთან.

ბეჭედი ბრინჯაოსი, მსხვილგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ზის „ჯამისებრი“ თვალბუდე (ტაბ. XX—36). რგოლის d—2.6 სმ. რგოლის განივკვეთის d—0,4 სმ, თვალბუდის d—1,6 სმ, სიმაღლე — 0,8 სმ. მასთან ერთად აღმოჩნდა რკინის რგოლის ნატეხი. ბეჭედი რკინის რგოლითურთ. აღმოჩნდა ჩრდილო მიცვალებულთან (ტაბ. XX—35).

ბრინჯაოს ფიბულა — „მედალიონი“. იგი მრგვალი თვალბუდეა ტიხრული ზედაპირით, რომელიც ახლა ძლიერ დაჟანგული და დეფორმირებულია (ტაბ. XX—32) ტიხრული არე ამოვსებულია ფერადი მინით და წრეში ჩაწერილ ყვავილს უნდა გამოსახავდეს. „მედალიონის“ გარე პირი დაბლულია. ზურგზე, კიდისკენ აქვს სამაგრი. ენა დაკარგულია. მედალიონის d—3 სმ, სისქე — 0,5 სმ. ზურგზე შერჩენილი აქვს მეჩხრად ნაქსოვი ქსოვილის ნაშთი. „მედალიონი“ — ფიბულა აღმოჩნდა სამხრეთ მიცვალებულის თავის არეში.

მძივები: დისკოს ფორმის თაფლისფერი მინისა (d—1,5 სმ. d—0.55 სმ) (ტაბ. XX—14) 1 ცალი; 16 ცალი მილაკისებრი (ღეროვანი) ლურჯი მინისა (ტაბ. XX—37), 10 ცალი მსხვილი მომრგვალო ფორმის (d—0,8-დან 1, 0 სმ-მდე) (ტაბ. XX—15—19); 60 ცალამდე წვრილი, მომრგვალო ფორმის ძლიერ გამოფიტული (სარჩულიანი?) მძივები (ტაბ. XX—38, 39); 20 ცალამდე „წაკვეთილი“ ფორმისა — ცილინდრული (ტაბ. XX—40). ყველა მძივი ჩრდილო მიცვალებულის თავ-ყელის არეში აღმოჩნდა.

საინტერესოა, რომ სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა ნახშირისებრი ფენა.

სამარხეული ინვენტარიდან საინტერესო სიახლეა, ადრე შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურისათვის ორიგინალური „სივრცულჯვრისებრთავიანი“ საკინძები და მედალიონი — ფიბულა.

ქვისსამარხი № 39. დამხრობილია O—W ხაზზე. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადახრით. სამარხი მდებარეობს № 38 ქვისსამარხის დასავლეთით. სამარხის ზომებია: საერთო 1,93×0,78 მ; შიგა 1,7×0,47×0,52 მ. სამარხი გადახურულია 4 ფილაქვით. სამარხის ყუთი შეკრულია 5 ფილაქვით: თავ-ფეხთან თითო, ჩრდილოეთით ერთი მთლიანი, სამხრეთით კი ორი ფილაქვა. სამარხში იყო ქალის ჩონჩხი, თავით დასავლეთისკენ მიმართული, მარჯვენა გვერდზე

მწოლი; ფეხები ოდნავ მოხრილი ჰქონდა; ხელები სახის წინ ეწყო. მიცვალებული სამარხში დიაგონალურად იწვა, ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხისკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი. საკინძები: 1 — ბრინჯაოსაგან მთლიანადსხმული, თავბურთულა, ყელწიბოიანი (2 წყვილი პატარა წიბო აქვს) (ტაბ. XXII—1,2); 1—11,5 სმ. 2 — ბრონის ოვალური, მრავალწახნაგა მძივით და ბრინჯაოს ორი ვარდულით შემკული, რკინისღეროიანი სამი საკინძი (ტაბ. XXII—6—8). ღერო დამტვრეული და ძლიერ დაჟანგული აქვთ. ზედ მიდღეტებულია ქსოვილისა და თმის ნაშთი. 3 — ორი ცალი ექვსწახნაგა პრიზმული მინის მძივით და პატარა ვარდულებით შემკული, რკინისღეროიანი საკინძი (ტაბ. XXII—9,10), 4—წყვილი სამტოტა ძლიერ გამოფიტული მძივით შემკული, რკინისღეროიანი საკინძი (ტაბ. XXII—4.5) თმისა და ქსოვილის ნაშთით. 5—წყვილი საკინძი, მრგვალი ფაიანსისებრი მინის მძივის თავით, ბრინჯაოს ვარდულებით და რკინის ღეროთი (ტაბ. XXII—11, 12). 6— წყვილი საკინძის თავი მრგვალი, ჟოლოსფერი სარდიონის მძივით, ბრინჯაოს ვარდულებით და რკინის ღეროს ნაშთით (ტაბ. XXII—13, 14). 7 — საკინძი „სივრცული ჯვრის“ ფორმის თავით (ექვსმხრივ სიმეტრიულად განლაგებული ბურთულები) და რკინის ღეროთი, რომელზეც ქსოვილის ნაშთია (ტაბ. XXII—3).

სამაჯური, მრგვალგანივკვეთიანი სქელი ბრინჯაოს მავთულისა, რომლის დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის სახეებია დაშტამპული. სამაჯურის სილუეტი „მსხლისებრია“.

ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XXII—15), მობრტყო, მრგვალი რგოლის გახსნილ ბოლოებზე დამაგრებულია ბრინჯაოსავე ფარაკი, რომელზედაც გამოსახულების ნაშთია.

ს ა ყ უ რ ე ე ბ ი: 1 — ბრინჯაოს პირგახსნილ, თავებგადასულ რგოლზე თავისუფლად წამოცმულია ყუნწიანი მინის მძივი (მძივი გამოფიტულია) (ტაბ. XXII—18). 2 — ბრინჯაოს პირგახსნილ, თავებგადასულ რგოლზე წამოცმულია წყვილი ყუნწიანი მძივსაკიდი, რომელიც აქეთ-იქიდან ჩაკეტილია და ერთმანეთისაგანაც გაყოფილია პატარა ბურთულოვანი სალტეებით (ტაბ. XXII—19). ვერცხლის მილაკის ნატეხები, გოფრირებული (ტაბ. XXII—17).

მ ძ ი ვ ე ბ ი: ქარვის მძივის ნატეხები (2 მძივისა უნდა იყოს) (ტაბ. XXII—23). გიშრის მძივები ცერადკვეთილი გვერდებით, 2 ცალი (ტაბ. XXII—22). სხვადასხვა ზომის მინის, ოქროსა და ვერცხლისსარჩულიანი მინის მძივები; 41 ცალი (ტაბ. XXII—25—27). ლურჯი მინის (გამოფიტული) სხვადასხვა ზომის, წაკვეთილი ცილინდრული ფორმის მძივები (17 ცალი). ლურჯი მინის მრგვალბრტყელი ფორმის (გამოფიტული) მძივები, 70 ცალზე მეტი (ტაბ. XXII—20, 21).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 40. იგი პატარა ქვაყუთია და ზემოდან ადგას მომცრო, ოღონდ მასზე დიდ № 41 ქვისსამარხს (სურ. 32—33¹). მათ შორის შეიმჩნევა თხელი მიწის ფენა (5—10 სმ-ის სისქისა). დამხრობილია O—W ხაზზე. სამარხი მდებარეობს № 37 ქვისსამარხის აღმოსავლეთით და № 54 ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხის დასავლეთით. № 40 ქვისსამარხის გარე ზომაა —0, 86×0,50 მ, ხოლო შიგა—0,60×0,30×0,25 მ. მისი სიმაღლე № 41 ქვისსამარხის ზედაპირიდან 0,22 მ-ია. გადახურულია სამი ფილაქვით, ყუთი კი შეკრულია 4 ქვისაგან.

სამარხში დადასტურდა თავით დასავლეთისკენ მიმართული, მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილად მწოლი 4—6 წლის გოგონას ჩონჩხი (სქესი სამ-

კაულის მიხედვით ვივარაუდეთ). მიცვალებულს მარცხენა ხელი, რომელზედაც დიდი მინის გამოფიტული მძივი ჰკიდია, მუცლის წინ უდევს, მარჯვენა კი სახესთან (სურ. 32). თავის ქალა დეფორმირებული აქვს ხელოვნურად.

ბავშვის ყელის არეში დადასტურდა ბრინჯაოს ბუდეებშეული „ჩახრილი" მშვილდსაკინძი (ტაბ. XXI—3). მის ცოტა ქვემოთ კი (ალბათ იგი მშვილდსაკინძზე ეკიდა) ბრინჯაოსავე თითქმის ნახევარსფერული ფორმის ზარაკი, რომელსაც ენად ცისფერ-მომწვანო „პრიზმული" მინის მძივი ჰკიდია (ტაბ. XXI—5.6). მარჯვენა ყურთან დადასტურდა ძელის გრძელი ბოტყელთავიანი, მრგვალგანივკვეთიანღეროიანი, გატეხილი საკინძები. ისინი წრეწერტილითაა შემკული (ტაბ. XXI—1,2). ბავშვის ყელის არეში აღმოჩნდა მძივების ასხმა. რომელიც შედგება მინის ოქროსსარჩულიან „ჩურჩხელისებრი" (ტაბ. XX!—7. 13), მრგვალგანივკვეთიანი ღეროვანი (ტაბ. XXI—10), მომრგვალო მობრტყო ფორმის ლურჯი (ტაბ. XXI—11, 12) და თეთრად ინკრუსტირებული, ჭრელი (ტაბ. XXI—8,9) მინისავე მძივებისაგან ყველა ძლიერ გამოფიტულ-ირიზებულია. ბავშვის მარცხენა ხელის არეში აღმოჩნდა რკინის ნივთი; რგოლი, ძლიერ დაჟანგული, ერთ ადგილას გაფართოებული (ტაბ. XXI—4). იგი ბეჭედია უთუოდ.

ქვისსამარხი №41 (სურ. 33!). როგორც აღვნიშნეთ, იგი უფრო მოზრდილია, ვიდრე მის თავზე. აღმოსავლეთ ნაწილისკენ მდგომი №40 ქვისსამარხი. სამარხის ზომებია: საერთო 1,14×0,45 მ, შიგა—0,88×0,33×0,25 მ. სამარხი გადახურულია ორი არათანაბარი ზომის ფილაქვით, ყუთი კი შეკრულია 4 კარგად დამუშავებული ფილაქვისაგან. სამარხში დაკრძალული იყო 10 წლამდე ასაკის გოგონა (სქესი ინვენტარის მიხედვით ვივარაუდეთ. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული).

ინვენტარი: წყვეილი საკინძი, მრგვალი, სარდიონის მძივით თავშეკული, ბრინჯაოსღეროიანი (ტაბ. XXI—15, 16). ისინი მიცვალებულის წელის არეში აღმოჩნდა.

მარცხენა ხელზე დადასტურდა ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, თავდაბრტყელებული, რომელზედაც ცხოველის სახის გამოსახულებებია დაშტამპული (d—4.6 სმ) (ტაბ. XXI—19). მარჯვენა საფეთქელთან ახლოს აღმოჩნდა ბრინჯაოს პირგახსნილი საყურის რგოლი, რომელზედაც უძრავადაა მიმაგრებული მომწვანო მინის პატარა ცილინდრული მძივები და ამჟამად მკვდარი მარგალიტის პატარა მრგვალი მძივი (საყურის რგოლის d—2 სმ) (ტაბ. XXI—18). მეორე საყურე მრგვალგანივკვეთიანი, პირგახსნილი ოვალური რგოლია (ტაბ. XXI—20).

მიცვალებულის თავის არეშივე აღმოჩნდა რკინის პატარა, დაბალი ჯამის ფორმის ნივთი. იგი სარკის ბუდე უნდა იყოს (d—2,5 სმ) (ტაბ. XXI—17).

მძივები: ყელის არეში აღმოჩნდა 7 ცალი, უფერო მინის ძლიერ ირიზებული, სასანური საბეჭდავების მსგავსი მომსხო მძივი (ტაბ. XXI—21, 22), d — დაახლ. 1,2, 1 სმ. 1 ცალი ძლიერ გამოფიტული მოზაიკური მძივი (ტაბ. XXI—23). იგი ჩამოგავს გვიანანტიკურ „მზისებრსახიან" მძივებს. 8 ცალი წვრილი, ცილინდრული ფორმის გამოფიტული (ტაბ. XXI—30) და 21 ცალი ლურჯი მინის მომსხო, ელიფსური და ელიფსოიდური ფორმის მძივები (ტაბ. XXI—27, 28, 29).

აღსანიშნავია, რომ სამარხის იატაკი მომწვარი იყო.

რა თქმა უნდა, სამარხი №41 უფრო ადრეა მოწყობილი, ვიდრე №40, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის მოწყობისას კარგად ახსოვდათ №41-ის

არსებობა. ამიტომაც იგი მასზე კარგად მოურგიათ (მათ შორის წმინდა თხელი მიწის ფენაც ამაზეევე მეტყველებს). მართლაც, მათი ინვენტარის შედარებისას მათ შორის მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური სხვაობა თითქოს არ შეიმჩნევა.

ქვისსამარხი № 42. დამხრობილია O—W ხაზზე (ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთის გადახრით). იგი მდებარეობს № 37 ქვისსამარხის სამხრეთით და № 38 ქვისსამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის ზომებია: საერთო — 1.16×0,50×0,40, შიგა — 0,85×0,35×0,33 მ. გადახურულია სამი, ყუთი კი შეკრულია 6 ფილაქვით (თითო თავ-ფეხისა და წყვილი გვერდის ფილაქვები). სამარხის გვერდითა ფილების ძირები, ისევე როგორც სხვა ქვაყუთებისა, გამაგრებულია „ხურდა ქვით".

ქვისსამარხში დაკრძალული, სამარხის ზომისა და კბილების, აგრეთვე ძვლოვანი მასალის ზოგიერთი დეტალის მიხედვით ბავშვი ყოფილა, მაგრამ მიცვალებულის პოზის ზედმიწევნით დადგენა, გარდა იმისა, რომ თავით დასავლეთისკენ იყო მიმართული, ვერ მოხერხდა. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული და მღრღნელების მიერ გაფანტულიც კი.

სამარხეული ინვენტარი: მძივები — მოზრდილი სარდიონისა (d—1,1 სმ) (ტაბ. XXII—28), 1 ცალი; მოცისფრო მინის პრიზმისებრი (ტაბ. XXII—29), 1 ცალი; მინის, გამოფიტული მრავალწახნაგა ელიფსოიდის ფორმის (ტაბ. XXII—30), 1 ცალი; მინის, გამოფიტული თოთხმეტწახნაგა (ტაბ. XXII—34, 36) 3 ცალი; 57 ცალი ლურჯ-ცისფერი მინის ძლიერ გამოფიტული მრგვალბრტყელი ფორმისა (ტაბ. XXII—33, 38—44); ცილინდრული ლურჯი მინისა — 2 ცალი (ტაბ. XXII—37); ელიფსოიდური — 1 ც. (ტაბ. XXII —35).

ქვისსამარხი № 43. დამხრობილია O—W ხაზზე. იგი მდებარეობს № 23 ქვისსამარხის სამხრეთით და № 44 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხი გადახურულია 4 (სურ. 34), ყუთი კი შეკრულია 6 ფილაქვით (წყვილი გვერდითა და თითო თავ-ფეხისა). სამარხის ზომები: საერთო — 2,07×0,86×0,90, შიგა — 1,87×0,54×0,52 მ. სამარხის დასავლეთით, თავში, დადასტურდა სანიშნე ქვები. ისინი უბრალო ფილაქვის ნატეხებია სამარხის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიმაღლეზე გაწყობილი. ერთი ვერტიკალურად დგას, მეორე კი ჰორიზონტალურადაა დაწვენილი და პირველის ძირს ამაგრებს[12].

სამარხში აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული, ერთი ხნიერი მამაკაცის (50 წლის) ჩონჩხი (№ 1). მის ქვეშ აღმოჩნდა ბავშვისა და კიდევ ერთი (№ 2) მიცვალებულის ნაშთი. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიწყობილია მიცვალებულის ნაშთები (მისი ნაწილი № 2 მიცვალებულის უნდა იყოს). სამარხში დაკრძალულ მიცვალებულ მამაკაცს (№ 1) ინვენტარი არ ახლავს.

ინვენტარი: მშვილდსაკინძი რკინისა, ჯვრისებრი, მუხლსახსრიანი, ძლიერ დაჟანგული (ტაბ. XXIII—4); აღმოჩნდა № 2 მიცვალებულთან სამარხის დასავლეთ ნაწილში. აქვე იყო ბრინჯაოს ოვალურგანივკვეთიანი სამაჯური, რომლის ერთი ბოლო უბრალოდაა მომრგვალებული, მეორე კი დაბრტყელებულია (ტაბ. XXIII—1). მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა შავი მინის 2 მთელი და 1 გატეხილი ბეჭედი (ტაბ. XXIII—13—15). იქვე დადასტურდა ლურჯი მინის საკინძის ყვავილისებრი თავის ნატეხი და ბრინჯაოს ვარდულა

12 ამ ხანის სანიშნე ქვების დაფიქსირება ძლიერ იშვიათი შემთხვევაა. ერთ-ერთი სანიშნე, მაღალი სტელისმაგვარი ქვა დადასტურდა 1986 წ. კორინთის „საკირეების" სამაროვანზე.

(ტაბ. XXIII—3); მკერდის არეში ორად გატეხილი, ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი რგოლი იყო (ტაბ. XXIII—10).

ბ ე ჭ დ ე ბ ი: 1 — ბრინჯაოს მსხვილ, მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ზის ცილინდრული (სალტიანი) თვალბუდე, რომელშიც ძლიერ გამოფიტული სქემატურგამოსახულებიანი მინის გემაა. თვალბუდეს ცალ მხარეს კოპი აზის (ტაბ. XXIII—8). 2 — ბრინჯაოს ბეჭედი; ნახევარწრიულგანივკვეთიანი რგოლი თანაბრად მსხვილდება და გადადის თვალბუდეში, რომელშიც ზის სქემატურგამოსახულებიანი მინის გემა (ტაბ. XXIII—9). 3— ბრინჯაოს ბეჭედი, ბრტყელგანივკვეთიანი წვრილი რგოლის ბოლოებზე დარჩილულია ოვალური ფარაკი, გაურკვეველი გამოსახულებით (ტაბ. XXIII—12). ყველა დასახელებული ბეჭედი აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიწეულ ძვლებთან. ზემოაღწერილ ბეჭდებთან ერთად აღმოჩნდა წყვილი საყურე — ბრინჯაოს მარყუჟისებრ რგოლზე ჰკიდია მძივსაკიდის ღერო (ტაბ. XXIII—5,6). ბურცობებიანი ორი დისკო (მათგან ერთი ნაკლული), ბრინჯაოსი, d—2,1 მმ (ტაბ. XXIII—7). თიხის კვირისტავის d—4,6 სმ, ხვრელის d—1,1 სმ, h — 1,8 სმ (ტაბ. XXIII—2).

სამარხის ინვენტარს შორის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს უკანასკნელი ნივთია. როგორც ჩანს, ინვენტარის უმეტესი ნაწილი ქალის სამკაულია. ამაზევე მეტყველებს კვირისტავიც, მეურნეობის ეს „ქალური" იარაღი.

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 44 (სურ. 36). დამხრობილია O—W ხაზზე. მდებარეობს № 25 ქვისსამარხის სამხრეთით და № 34 სამარხის აღმოსავლეთით. ზომები: გარე — 1,75×0,95 მ, შიგა — 1,65×0,80×0,75 მ.

სამარხში აღმოჩნდა ორი ინდივიდის ჩონჩხი. ორთაჟე საშუალო ასაკის ქალია, მარჯვენა გვერდზე დაკრძალული, მოკუნტული, თავით დასავლეთისკენ. თავდაპირველად დაუკრძალავთ ჩრდილო კედელთან მყოფი ჩონჩხი. კარგად ჩანს, რომ სამხრეთის მიცვალებულს იგი შეუვიწროებია (სურ. 37).

სამხრეთით დაკრძალულ მიცვალებულთან აღმოჩენილი ინვენტარი: 1 — წყვილი ბრინჯაოს საკინძი, თავბურთულა, ყელწიბოიანი (l—12,5 სმ). (ტაბ. XXIV—16,17). 2 — წყვილი საკინძი სამტოტა მარჯნის მძივებიანი (?) თავით და ბრინჯაოს ღეროთი (ტაბ. XXIV—18, 19). 3 — წყვილი სარდიონის; ელიფსოიდური გამოფიტული მინის თავით და რკინის ღეროთი (ტაბ. XXIV—22, 23). 4 — ერთი ცალი მინის გამოფიტული პრიზმული თავით და რკინის ღეროთი (ტაბ. XXIV—29). ბეჭდები: 1—ბრინჯაოსი, მსხვილი, მრგვალგანივკვეთიანი გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ცილინდრული, სალტიანი თვალბუდე ზის, (ტაბ. XXIV—28). მასში ძლიერ ირიზებული ლურჯი მინის გემაა ჩასმული. გამოსახულება არ იკითხება. 2 — ბრინჯაოს ბეჭედი, მრგვალგანივკვეთიანი გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ცილინდრული თვალბუდე ზის, ცალ მხარეს კოპით. თვალბუდეში ლურჯი (?) მინის ძლიერ გამოფიტული გემაა, რაღაც შტრიხოვან-სქემატური გამოსახულებით. რგოლზე რკინის ბეჭდის ნატეხია „მიდუღებული" (ტაბ. XXIV—26, 27). 3—რკინის ბეჭდის ნატეხები (ტაბ. XXIV—30) რკინის მშვილდსაკინძი, ბუდემთლიანი (?) (ტაბ. XXIV—4). 4 — წყვილი საყურე, ვარდულებიანი (ტაბ. XXIV—24, 25).

ინვენტარი, რომელიც აღმოჩნდა ჩრდილო მიცვალებულთან, ასეთია: 1. ბრინჯაოს საკინძები, წყვილი, ბურთულა თავით და ყელწიბოიანი (l—9,5 სმ)

(ტაბ XXIV—5.6). 2. საკინძები მრგვალი სარდიონის თავით და ბრინჯაოს ღეროთი (2 ც.). ვარდულის მაგივრობას მძივის ქვემოთ დამაგრებული ბრინჯაო\ პატარა ბურთულა სალტე სწევს. ერთ საკინძს თავზე დამატებით პატარა მინის მძივი ამკობს(ტაბ. XXIV—7), მეორეს იგი მოსტეხია (l—8.5 სმ) (ტაბ. XXIV- - 8). 3. საკინძები 14 წახნაგა მინის მძივით, რკინის ღეროთი (ტაბ. XXIV—11, 12). 4. წყვილი პრიზმული მინის მძივით (7 წახნაგა) თავშემკული რკინისღეროიანი საკინძი (ტაბ. XXIV—9, 10). 5. წყვილი ბრინჯაოს დისკოსებრთავიანი საკინძი (ტაბ. XXIV—1,2). დისკოს ძირი ბრტყელია, ზედა ნაწილი კი რელიეფურად დამუშავებული. მათ შორის სივრცე ამოვსებულია პატარა კოპებით. ზედაპირი შემდეგნაირია: ცენტრში მინის თვალია, მის გარშემო წრეები, კიდეჩე კი ბურცობებია. საკინძის ღერო ბრინჯაოსია. იგი ცალი დაბრტყელებული ნაწილითაა დაკავშირებული დისკოს. საკინძები ძლიერაა დაზიანებული. ს. ძველის საკინძი „კლიტის“ ფორმისა (ტაბ. XXIV—13, 14). 7. საყურე— ბრინჯაოს მძივსაკიდის ყუნწი პირდაპირაა აგებული ბრინჯაოსვე პირგახსნილ რგოლზე, აქეთ-იქიდან კი ჩაკეტილია მასზევე აგებული პატარა რგოლებით. მძივსაკიდი შედგება მინის სამი პატარა (გამოფიტული) მძივისაგან (მათგან შუა მძივი უფრო მოზრდილია) და ორი ვერცხლის გარსაკრავიანი მძივისაგან (ტაბ. XXIV—15).

როგორც ჩანს. მიცვალებულთა ინვენტარს შორის გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობაა. ეს ჩანს თუნდაც ბრინჯაოს მთლიანადსხმული, ბურთულათავიანი, ყელწიბოიანი საკინძების შედარებისას.

ქვისსამარხი № 45. დამხრობილია O—W ხაზზე. მდებარეობს №29 ქვისსამარხის სამხრეთით და № 44-ის აღმოსავლეთით (სურ. 38). ზომები: 1,80×0,75. მისი სახურავი 0.75 მ-ით დაბლაა, ვიდრე № 29 სამარხის სახურავი.

სამარხის ჩრდილო ნაწილში იწვა თავით დასავლეთისკენ მიმართული, ზურგზე გაშოტილი, მენჯზე ხელდაკრეფილი მამაკაცი, რომელსაც არავითარი ინვენტარი არ აღმოაჩნდა. სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში კი დადასტურდა მიწეული ჩონჩხის ნაწილები — თავის ქალა, ბარძაყის ძვლები და სხვ. მასთან ერთად შეიმჩნეოდა ბავშვის თავის ქალას და სხვა ძვლების ნაშთები. აღწერილი ჩონჩხისა და ძვლოვანი ნაშთების, აგრეთვე 10—15 სმ-ის სისქის მიწის ფენის აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამარხის ძირზე ასევენია ნაკლული ჩონჩხი (სურ. 39). როგორც საბოლოოდ გაირკვა, მისი უნდა ყოფილიყო სამარხის აღმოსავლეთით მიხეტილი ჩონჩხის უმეტესი ნაწილი. მასვე უნდა ეკუთვნოდეს სამარხეული ინვენტარის უმეტესი. ბავშვის ინვენტარი: წყვილი „გაბეჩილმუცლიანი“ ვერცხლის საყურე (ტაბ. XXV—12, 13), ბრინჯაოს ორხვრელიანი, ნახევარსფერული „ღილები“ (ტაბ. XXV—9).

სამარხის ძირზე დაკრძალული (იგივე მიწეული) მიცვალებულის (ქალის) ინვენტარი: საკინძები: 1. მრგვალი სარდიონის თავით და ბრინჯაოს ღეროთი. ვარდულების მაგივრობას ყელზე (მძივის ქვეშ) ბურცობი და თავზე მომრგვალებული ბურთულა სწევს (l—4,8 სმ) (ტაბ. XXV—11). 2. მრგვალი სარდიონის (?) თავით და ბრინჯაოს ღეროთი (l—7,1 სმ) (ტაბ. XXV—2). 3. მინის მრავალწახნაგა ძლიერ გამოფიტული მძივით და რკინის ღეროთი (ტაბ. XXV—3). 4. ოვალური ფორმის, სამტოტად განლაგებული მინის მძივებით (გამოფიტულია) და ბრინჯაოს ღეროთი (l—7,6 სმ) (ტაბ. XXV—1). 5. ქარვის, წვეთის ფორმის ექვსწახნაგა მძივით და ბრინჯაოს ღეროთი (ტაბ. XXV—5). 6. პატარა მარჯნის (?) მძივით შემკული, ბრინჯაოს ბრტყელღეროიანი. მათთან ერთად იყო აგრეთ-

ვე ბრინჯაოს ბრტყელი ღეროს ნატეხი. საკინძის მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღეროს 10 ნატეხი (ტაბ. XXV—7,8).

რკინის ბუდეაბმული (ჯვრისებრი?) მუხლსახსრიანი. ძლიერ დაჟანგული და ნაკლული მშვილდსაკინძი (ტაბ. XXV—10). ბრინჯაოს ბეჭედი, ბრტყელგანივკვეთიანი რგოლის ოდნავ გაფართოებული ბოლოები გადადის ძლიერ დაბრტყელებულ, ოვალურ ფარაკში რომელზედაც გაურკვეველი (დაჟანგვის გამო) გამოსახულებაა (ტაბ. XXV—14). ბრინჯაოს (?) ბეჭდის რგოლი, მრგვალგანივკვეთიანი. მისი გახსნილი ბოლოები დაბრტყელებულია (ტაბ. XXV—16); ზედ ალბათ ამჟამად დაკარგული თვალბუდე იყო დარჩილული. სარდიონის საბეჭდავი, ვიწრო. ზონრის გასაყრელი ხვრელით (ტაბ. XXV—15). წაკვეთილ ფარაკზე შტრიხულ-ესკიზური მანერით, ძლიერ სქემატურად, გამოსახულია ტოტზე მჯდომი ფრინველი. საყურე — ბრინჯაოს რგოლზე აცმულია წყვილი მძივსაკიდი, რომელიც აქეთ-იქიდან ჩაკეტილია პატარა რგოლებით (ტაბ. XXV—5). მძივსაკიდი ბრინჯაოს ყუნწიანი ღეროა, რომელზედაც აგებულია პატარა მრგვალი სარდიონის, მინის (?) და მკვდარი მარგალიტის მძივები. ერთ მძივსაკიდზე წყვილი მარგალიტია. მეორეზე კი კენტი. საყურის რგოლი ნაკლულია. ბრინჯაოს ნივთის ნატეხები: ფირფიტა, რომელზეც ამოტვიფრულია მოზრდილი ბურცობი ირგვლივ პატარა ბურცობებით (ტაბ. XXV—18).

მძივები: ლურჯი მინის, წვრილი მომრგვალო, შობრტყო (36 ც.) (ტაბ. XXV—26, 27); ლურჯი მინისვე მოზრდილი ბიკონუსური (წაკვეთილი, 6 ც.) (ტაბ. XXV—21, 22). მინის ძლიერ გამოფიტული და დიდი სფერული მძივი (d—1,2 სმ) (ტაბ. XXV—24). 35 ცალი ლურჯი მინის მსხვილი, მომრგვალო მძივი (d—0,7; 0.9 სმ) (ტაბ. XXV—20, 28. 29, 30).

განხილული სამარხის ინვენტარიდან ყველაზე საინტერესო ჩანს სარდიონის საბეჭდავი ფრინველის გამოსახულებით.

ქვისსამარხი № 45 დამხრობილია O—W ხაზზე, ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთის გადახრით. სამარხი მდებარეობს № 44 ქვისსამარხის სამხრეთით № 43 და № 45 სამარხებს შორის. სამარხის ზომები: საერთო — 1,33×0.46×0,52 მ; შიგა—1,5×0.35×0.34 მ. ქვაყუთი გადახურული იყო ორი მოზრდილი ლოდით, რომელთა შორის ფარღიატები შევსებული იყო ხურდა ქვით. სამარხში დადასტურდა მარჯვენა გვერდზე. თავით დასავლეთისკენ. მოკუნტულად მწოლი 5—7 წლის გოგონას ცუდად დაცული ძვლები.

ინვენტარი: თავის არეში აღმოჩნდა წყვილი საყურე (ტაბ. XXVI—1,2). ბრინჯაოს პირგახსნილ რგოლზე უძრავადაა მიმაგრებული მძივსაკიდი; რომლის ზედა ნაწილზე მინის პატარა მძივია, ქვემოთ კი სტალაქტიდისებურია. რკინის ბეჭედი: მობრტყო რგოლის გახსნილ ბოლოებზე დარჩილულია მოზრდილი ოვალური ფარაკი (ტაბ. XXVI—3). იგი აღმოჩნდა სახის წინ დაწყობილ ხელებთან. ყელის არეში დადასტურდა ოქროსსარჩულიანი მძივები: 32 ცალი ერთმაგი (ტაბ. XXVI—5). 7 ცალი ორმაგი (ტაბ. XXVI—6), ერთიც სამმაგი (ჩურჩხელისებრი) (ტაბ. XXVI—7). მიცვალებულის წელის არეში დადასტურდა ბრტყელგანივკვეთიანი სპილენძის ხვია (ბურბუშელასებრი) (ტაბ. XXVI—4).

ქვისსამარხი № 47. დამხრობილია O—W ხაზზე. მდებარეობს № 36 სამარხის ჩრდილოეთით. სამარხი გადახურულია სამი ფილაქვით (სურ. 40) შეკრულია 4 ფილაქვისაგან. ქვისსამარხის ზომები: საერთო — 2.18×1,17×0.93 მ., შიგა 1,8×0.7×0,7 მ. სამარხში დაკრძალული ყოფილა სამი მიცვალებული. ბოლო მათგანი სამარხის ჩრდილო კედლისკენ (სურ. 41) წევს თავით დასავ-

ლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე მოკუნტული. სამარხის ძირზე კი თავით დასაკლეთით მიმართული და გაშოტილი (!) ორი მიცვალებულის ნაშთი დადასტურდა. ინვენტარი: მხოლოდ ბოლოს დაკრძალულ მოკუნჭნჭულ მიცვალებულს (ქალს) აღმოაჩნდა-რკინის ძლიერ დაჟანგული ქსოვილის ნაშთიანი 2 ბეჭედი (ტაბ. XXVI—52, 53).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 48. დამხრობილია O—W ხაზზე. იგი მდებარეობს № 37 ქვისსამარხის ჩრდილოეთით, №47 და №55 სამარხებს შორის. სამარხის ზომები: საერთო 1,97×1,04×0.87 მ; შიგა — 1,70×0,67×0,66 მ. სამარხი გადახურულია სამი, ყუთი კი შეკრულია 4 ფილაქვისაგან.

სამარხში სამი მიცვალებული ესვენა. ბოლოს დაკრძალული იყო, თავით დასავლეთისკენ მიმართული, მარჯვენა გვერდზე მოკუნტული ქალი. სამხრეთით დადასტურდა ბავშვის ჩონჩხი, ხოლო შუაში — გაშოტილი მიცვალებული, რომელსაც ხელები მხრებზე ეწყო.

ბოლოს დაკრძალული მოკუნტული მიცვალებულის ინვენტარი: 1. საკინძები მთლიანად ბრინჯაოსი (ტაბ. XXVI—9,10), ხელის გამოსახულებით (l— 14,5 და 14 სმ). 2. წყვილი ბურთულათავიანი ყელწიბოიანი (ტაბ. XXVI— 11, 12, l—10,5 სმ). 3. „ტაძრისებრთავიანი" (ტაბ. XXVI—13), 1 ცალი l— 16 სმ). 4. „ყელმოხრილი", პატარა ბურთულა თავით (ტაბ. XXVI—8) (1 ც. l—13,7 სმ).

სამაჯურები აღმოჩნდა მარცხენა ხელზე: ბრინჯაოსი. თავებდაბრტყელებული — 1 ც. (ტაბ. XXVI—16), მეორე მცირედ თავდაბრტყელებული (ტაბ. XXVI—17); მესამე რკინისა, ძლიერ დაჟანგული, ქსოვილის ნაშთით (ტაბ. XXVI—33). პატარა საყურე ასიმეტრიული, ბოლოებისკენ თანაბრად დაწვრილებული (ტაბ. XXVI—20). საყურეები ბრინჯაოს რგოლით და მასზე წამოცმული წვეთისებრი საკიდით. საკიდის შიდა მასა მოშავო ხეს ჰგავს (შესაძლოა ფისიანი „ბამბაა"), გარედან კი გადაკრული აქვს ვერცხლის თხელი ფირფიტა (ტაბ. XXVI—18, 19). მძივები, ლურჯი მინის მომსხო. მომრგვალო ფორმისაა (h—0,5—0,8 სმ), 120 ცალამდე. წვრილი სხვადასხვა ფორმის (ტაბ. XXVI —36—38) (მომრგვალო, მობრტყო, წაკვეთილი) ლურჯი, ცისფერი და მწვანე მინისა (ზოგიერთი ლითონის სარჩულიანი უნდა იყოს), სულ 75 ცალი. 1 ცალიც პატარა ცილინდრული ფორმის, ვერტიკალური ცისფერ-თეთრი ზოლებით (ტაბ. XXVI—43).

ბავშვის ჩონჩხთან აღმოჩნდა: საკინძი დაწახნაგებული მთის ბროლის (სფეროიდული) თავით, ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (ტაბ. XXVI—27). წყვილი ვერცხლის (?) საყურე, მორკალული, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ბოლოები ოდნავ ვიწროვდება (ტაბ. XXVI—30, 31). ბრინჯაოს ბეჭედი. მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ჯამისებრი თვალბუდე ზის, რომელშიც მინის ოდნავ ზედაპირამობურცული თვალია (ტაბ. XXVI—32). მძივები: ლურჯი მინისა, ცილინდრული ფორმის (9 ც.) (ტაბ. XXVI—37); ვერცხლისსარჩულიანი (1 ც.); წვეთისებრი, შეტყუპებული უფერო მინისა, დავიწროებულ ადგილას საკიდი ხვრელით (ტაბ. XXVI—39) (1 ც.).

შუა მიცვალებულის ინვენტარი: საკინძები — ბრინჯაოსაგან მთლიანადსხმული, ტაძრისებრთავიანი (ტაბ. XXVI—15) (1 ც.); მინის ცილინდრული მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით თავშემკული, რკინის ღეროიანი (ტაბ. XXVI—23, 24) (2 ც.); მთის ბროლის დაწახნაგებული მძივით და ბრინჯაოს ვარდულით შემკული, რკინისღეროიანი (ტაბ. XXVI—26) (1 ც.); მინის მძივე-

ბით სამტოტად შემკული (ძლიერ გამოფიტული) (ტაბ. XXIV—25). ბრინჯაოსღეროიანი (1 ც.); სარდიონის მრგვალი მძივებით სამტოტად შემკული, ბრინჯაოსღეროიანი (ტაბ. XXVI—21) (1 ც.); მრგვალი სარდიონის მძივით თავშემკული, ბრინჯაოსღეროიანი (ტაბ. XXVI—22) (1 ც.). ყველა ნივთი ქსოვილისა და ქეჩისებრ დიდ მასასთან ერთად იყო, რომელიც თავის ქალაზე ჩიხტიკოპის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ჰვინტიანი, მუხლსახსრიანი (ტაბ. XXVI—41), ენა რკინის აქვს. ბეჭდები — ბრინჯაოსი; მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ზის ცილინდრული სალტიანი თვალბუდე. მასთან ერთად ლურჯი მინის გემაა (ტაბ. XXVI—47,48). გამოსახულება ახლა არ იკითხება, ბეჭედიც დაზიანებულია. ასეთივეა მეორე ბრინჯაოს ბეჭედიც (ტაბ. XXVI—51). მაშთან ერთად იყო რკინის ძლიერ დაჟანგული გატეხილი ბეჭედი. მძივი მინის „წვეთისებრი“ შეტყუპებული (ძლიერ გამოფიტულია) (ტაბ. XXVI—35).

მონეტა სასანური, ვერცხლისა, კავადის მეფობის I პერიოდისა. აღმოჩნდა მიცვალებულის სახესთან (ტაბ. XXVI—40).

ქვისსამარხი № 49 (სურ. 42, 43). დამხრობილია O—W ხაზზე. მდებარეობს № 32 სამარხის სამხრეთით. სამარხის ზომებია: საერთო 2.19×0,98×0,76 მ, შიგა 2,10×0,52×0,46 მ. სამარხი გადახურულია სამი ფილაქვით, უუთი კი 4 ფილაქვისგანაა შეკრული.

სამარხში დაკრძალულია ორი ზრდასრული მიცვალებული. სამხრეთით დაკრძალულ მიცვალებულს სამარხის უმეტესი ნაწილი უკავია. იგი დაკრძალულია ქრისტიანულად, თავით დასავლეთისაკენ, გაშოტილი და გულხელდაკრეფილი. მისი მარცხენა იდაყვი ზემოდან ადევს ჩრდილო ნაწილში დაკრძალულ მიცვალებულს, რომელიც შევიწროებულია სამხრეთის, ე. ი. ბოლოს დაკრძალული მიცვალებულის მიერ. ჩრდილო ნაწილში დაკრძალული მიცვალებულიც ქრისტიანული წესით უნდა იყოს მიწას მიბარებული.

სამარხი ძლიერ მცირეინვენტარიანია. სამხრეთით დაკრძალული ინდივიდის თავთან აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე რკალისებრად მოხრილი, შუაში ოდნავ შემსხვილებული (ტაბ. XXVI—54).

ქვისსამარხი № 50. დამხრობილია O—W ხაზზე. მდებარეობს № 42 ქვისსამარხის სამხრეთით და № 53 ორმოსამარხის აღმოსავლეთით. სამარხი გადახურულია ოთხი ფილაქვით, უუთიც შეკრულია იმდენივე ქვისაგან. სამარხის ზომებია: საერთო — 1,87×0,95×0,90 მ, შიგა 1,70×0,65×0.62 მ. სამარხში დაკრძალულია ქალი თავით დასავლეთისკენ, ზურგზე გაშოტილი. ძვლოვანი მასალა დაზიანებული იყო, ამიტომ ინვენტარი ხშირად თავის ადგილზე არ აღმოჩნდა.

სამარხეული ინვენტარი. საკინძები: 1. წყვილი, ბრინჯაოს დისკოსებრი, ცენტრში მინის თვალით. ცენტრიდან გამოდის მორკალული სხივების წყებები, რომელიც „ბორჯღალისებრ“ სახეს ქმნის (საკინძის ღერო ბრინჯაოსია) (ტაბ. XXVII—2.3). საკინძები დაჟანგულია; ქსოვილის (ლეჩაქის?) და ნაწნავის ნაშთი მიჟანგვია ზედ. ორთავე მიცვალებულის თავის არეში აღმოჩნდა. 2. საკინძები დიდი ბურთულა თავით (d—1,2 სმ) და ბრინჯაოს ღეროთი. ბურთულას გული რაღაც ღია ყავისფერი მასისგანაა (ცვილი?) ნაკეთები და ზედ გადაკრულია თხელი ვერცხლი (ტაბ. XXVII—5,7) (2 ც.). 3. ზემოაღწერილის ანალოგიური წყვილი საკინძი, ოღონდ უფრო პატარა თავებით (d—0,7 სმ) (ტაბ. XXVII—10—12, 15) ყველა დაზიანებულია. 4. საკინძები (წყვილი) ლითონის სარჩულიანი მინის მძივებით, სამტოტად ქმნილი, ბრინჯა-

ოს ღეროთი (ტაბ. XXVII—4.5). 5. მრგვალი სარდიონის მძივით და ზედ პატარა მარგალიტით თავშემკული. ღერო ბრინჯაოსი აქვს (ტაბ. XXVII—9) (1 ც.). 6. წუვილი საკინძი, სარდიონის ბიპირამიდიული (მრავალწახნაგა) მძივით თავშემკული. ღერო ბრინჯაოსია (ტაბ. XXVII—8,14). საკინძთა უმეტესი ნაწილი მიცვალებულის მენჯის არეში აღმოჩნდა.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ჯვრისებრი, ასაბმელთან ჩაუხრელი, მუხლსახრიანი (ტაბ. XXVII—13). ბრინჯაოს „ღილები" ნახევარსფერული, ორხვრელიანი (ტაბ. XXVII—32, 33), 18 ცალი მთელი, 1 ცალი დამტვრეული. ბრინჯაოს სამჯური, თანაბრად მორკალული მრგვალგანივკვეთიანი, მსხვილღეროიანი. ერთი ბოლო ბურთულისებრ ბოლოვდება, ხოლო მეორე თანაბრად ვიწროვდება (ტაბ. XXVII—1). ბეჭედი ვერცხლის (?), მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილ ბოლოებს შორის ზის დაბალი ცილინდრული თვალბუდე, რომელშიც მინის თვალია (ტაბ. XXVII—16). საყურეები (წუვილი), მომცრო, პირგახსნილ ბრინჯაოს რგოლზე წვეთისებრი მძივსაკიდი ჰკიდია, რომლის ყუნწი პირდაპირაა რგოლზე წამოცმული. აქეთ-იქიდან კი ჩაკეტილია პატარა რგოლებით (ტაბ. XXVII—17. 18). ერთი მათგანი თავის, მეორე კი მენჯის არეში აღმოჩნდა. ბრინჯაოს პატარა ჯაჭვის ნაწყვეტები (ტაბ. XXVII—29, 30). მძივები: ქარეისა, მობრტყო უსწორო მრგვალი ფორმის (ტაბ. XXVII—23). მინის. მოგრძო ღეროვანი წაკვეთილი ბოლოებით (4 ც.). 30 ცალი ბიკონუსური ლურჯი მინის. 300 ცალზე მეტი წვრილი, მრგვალი, ცილინდრული და სხვა ფორმის ლურჯი და მწვანე მინისა, ძლიერ გამოფიტულ-ირიზებული (ტაბ. XXVII—20—27). რკინის ნივთის ნატეხები, ლურსმნისებრი სამაგრები (?), ღერძზე წამოცმული დისკო. აბზინდისებრი ნატეხები, ბორბლისებრი და სხვ. ცხენის აკაზმულობის ნაწილები ხომ არაა? (ტაბ. XXVII—31, 34—42).

ქვისსამარხი № 51. დამხრობილია O—W ხაზზე. გადახურულია 2 ფილაქვით. სამარხი ყუთი შეკრულია 4 ფილაქვით. ზომები: გარე—0.92×0.50 მ. შიგა 0.82×0,25 მ. მდებარეობს № 52 სამარხის დასავლეთით. ძვლოვანი მასალა ძლიერ ცუდად იყო დაცული. სამარხში წვიმის წყალს უდენია. ზომების მიხედვით სამარხი ბავშვის უნდა იყოს. თავის ქალის ნარჩენები ქვაყუთის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა.

ინვენტარი: საყურეები (2 ც.) ბრინჯაოსი, გახსნილი რკალის მახლობლად უძრავადაა მიმაგრებული მძივსაკიდი, რომელზეც ახლა თითო მინის მძივია შერჩენილი (ტაბ. XXVIII—1.2). მინის მძივები — 10 ცალი, შედარებით მომსხო. მომრგვალო ფორმის. ირიზებული და გამოფიტული. 30 ცალამდე კი ძლიერ წვრილი აგურისფერი მძივი (ტაბ. XXVIII—3,7).

ქვისსამარხი № 52. დამხრობილია O—W ხაზზე. გადახურულია 2 ფილაქვით. სამარხი ყუთი შეკრულია 4 ფილაქვით. ზომები: გარე 1,30×0,50 მ, შიგა 1.05×0,40 მ. სამარხში ასვენია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული ბავშვი. მას ხელები ბოქვენზე უწყვია. სამარხეული ინვენტარი ძლიერ მწირია: ყელის არეში აღმოჩნდა 1 ცალი უსწორმასწორო მომრგვალებული სარდიონის მოზრდილი მძივი (ტაბ. XXVIII—33) და 7 ცალი წვრილი აგურისფერი მინის მძივი (ტაბ. XXVIII—34. 35).

„ხისსარკოფაგიანი" ორმოსამარხი № 53. დამხრობილია O—W ხაზზე. სამარხი ორმოს სიგრძე 1,7 მ-ია, სიგანე 1,1 მ. ძელების სიგანე 7—8 სმ. სამარხი მდებარეობს № 52 და № 38 სამარხებს შორის.

სამარხში ასვენია მარჯვენა გვერდზე მოკუნტული, თავით დასავლეთისკენ მიმართული ქალი. მას მარცხენა ხელის მტევანი მკერდის წინ უდევს, ხოლო

მარჯვენა ხელის მტევანი მარცხენა მხარეზე. ასე რომ. მიცვალებული „ცეკვის“ პოზაშია. ძელის ნაშთები აღმოჩნდა ჩონჩხის ზემოდანაც.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: საკინძები—წყვილი, მოქსოვილი მინის „ყაყაჩოსპარკისებრი“ მძივით, ბრინჯაოს ვარდულითა და რკინის ღეროთი (ტაბ. XXVIII—8,9); დაფიქსირდა თავის არეში. მათ მახლობლად აღმოჩნდა მოშავო მინის მრგვალი, რკინისღეროიანი 2 მძივი (ალბათ საკინძის) (ტაბ. XXVIII—10, 11). იქვე დაფიქსირდა გაურკვეველი ნივთის თხელი ვერცხლის გარსაკრი ფურცელი (ტაბ. XXVIII—12). მარჯვენა ხელის მტევანთან აღმოჩნდა დიდი მრგვალფარაკიანი რკინის ბეჭედი (ტაბ. XXVIII—14). მას მობრტყოგანივკვეთიანი რგოლი აქვს, ფარაკიც მის ბოლოებზეა დარჩილული. მძივები: 8 ცალი ლურჯი მინის, მომსხო მრგვალი ფორმის, 47 ცალი მწვანე მინის. შედარებით წვრილი, მობრტყო-მომრგვალო (ტაბ. XXVIII—15—17); ყველა აღმოჩნდა თავის არეში.

„ხ ი ს ს ა რ კ ო ფ ა გ ი ა ნ ი“ ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 54. დამხრობილია O—W ხაზზე. სამარხის სიგრძე 1,40 მ, სიგანე 0,9 მ-ია. სამარხი მდებარეობს № 40—41 (ორსართულიანი) სამარხის აღმოსავლეთით და № 55 სამარხის სამხრეთით. ოვალურ სამარხ ორმოში ასვენია ზურგზე გაშოტილი. თავით დასავლეთისკენ მიმართული გულხელდაკრეფილი ბავშვი. ჩონჩხის სიგრძე 1.1 მ-ია (ბავშვი 7—8 წლის უნდა იყოს). ინვენტარი: მარჯვენა ხელის თითზე (მუცლის არეში) აღმოჩნდა რკინის ბეჭედი (ტაბ. XXVIII—36). ბეჭედს მოზრდილი ოვალური ფარაკი აქვს, რომელიც მობრტყოგანივკვეთიანი რგოლის ბოლოებზეა დარჩილული.

„ხ ი ს ს ა რ კ ო ფ ა გ ი ა ნ ი“ ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 55 (სურ. 44). დამხრობილია O—W ხაზზე. სამარხი ორმოს სიგრძე 2 მ, სიგანე კი 1.1 მ-ია. სამარხი მდებარეობს № 48 ქვისსამარხის აღმოსავლეთით და № 54 ორმოსამარხის ჩრდილოეთით. სამარხში თავით დასავლეთისკენ მიმართული, მარჯვენა გვერდზე წამოწოლილი. მცირედმოხრილი ერთი ინდივიდია. იგი ქალია. მარცხენა ხელი მკერდის წინ უდევს, მარჯვენა კი მუცლის არეში. ძელების ნაშთი მხოლოდ აქა-იქ იყო შერჩენილი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: თავის ქალას არეში, კეფასთან აღმოჩნდა საკინძები — მრგვალთავიანი, მთლიანად ბრინჯაოსაგან ნაკეთები (ტაბ. XXVIII—18, 19) (2 ც., სიგრძე 9,2 და 9,4 სმ). წყვილი, მრგვალი სარდიონის მძივით თავშემკული ბრინჯაოსღეროიანი (ტაბ. XXVIII—21,22), სიგრძე 7,5 სმ; 1 ცალი — ბრტყელი წვეთის ფორმის ქარვისთავიანი საკინძი (ტაბ. XXVIII—20); ღერო ბრინჯაოსი აქვს. მიცვალებულის სახის წინ აღმოჩნდა ვერცხლის (?) პირგახსნილი რგოლი (ტაბ. XXVIII—30). მარცხენა მკლავზე (მკერდის არეში) აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი, დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის სახეებდაშტამპული სამაჯური (ტაბ. XXVIII—29); ვერცხლის (?) წყვილი საყურე — მრგვალგანივკვეთიან პირგახსნილ რგოლზე მიმაგრებული იყო ბუთი ბურთულისაგან შედგენილი მტევანი (ტაბ. XXVIII—27, 28) (ახლა დაშლილია). საყურეები თავის არეში დაფიქსირდა. მიცვალებულის სახის წინ აღმოჩნდა რკინის მთლიანბუდიანი, მუხლსახსრიანი. ნაკლული და ორად გატეხილი მშვილდსაკინძი (ტაბ. XXVIII—24). თავის არეში აღმოჩნდა ვერცხლის ქაფქირისებრი (ტაბ. XXVIII—25) ნივთის ნატეხები და 4 ცალი ძლიერ გამოფიტული მინის (მწვანე და შავი) მძივი (ტაბ. XXVIII—31, 32).

„ხ ი ს ს ა რ კ ო ფ ა გ ი ა ნ ი“ ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 56. დამხრობილია O—W ხაზზე. სამარხის სიგრძე 1,30 მ, ხოლო სიგანე ძელებს შორის 0,50 მ-ია.

მისი დასავლეთი ნაწილი საკმაოდ ღრმად შედიოდა № 28 ქვისსამარხის აღმოსავლეთი ნაწილის ქვეშ. სამარხში დაფიქსირდა თავით დასავლეთისკენ მიმართული. ზურგზე გაშოტილი გულხელდაკრეფილი მოზარდის ჩონჩხი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: თავის მარცხნივ აღმოჩნდა ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი რკინის მშვილდსაკინძი (ტაბ. XXVIII—38). მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს ბეჭედი, მოზრდილი ოვალური ფარაკით (ტაბ. XXVIII—37), რომელზეც გამოსახულია არწივი (?) და დარჩილულია რგოლის ბოლოებზე. მკერდის არეში აღმოჩნდა ძლიერ გამოფიტული მინის 4 წვრილი მძივი (ტაბ. XXVIII—39, 40).

ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ი № 57 (სურ. 45). დამხრობილია O—W ხაზზე. ზომები: გარე — 2,0×1,2 მ, შიგა 1,64×0,65 მ. სამარხი გადახურულია 3 მოზრდილი ფილაქვით, ყუთი კი შეკრულია 4 მთლიანი ფილაქვისაგან. სამარხი მდებარეობს № 34 ქვისსამარხის დასავლეთით.

სამარხში სამი ინდივიდი დაფიქსირდა — მამაკაცი, ქალი და ბავშვი. მამაკაცი იწვა სამარხის სამხრეთ ნაწილში ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ მიმართული, იგი ბოლოს დაუკრძალავთ. მას შეუვიწროებია სამარხის ჩრდილო კედლისკენ მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად მწოლი (სურ. 46), დასავლეთისკენ მიმართული ქალი. ქალის ქვეშ დაფიქსირდა ბავშვის ჩონჩხი.

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი მთლიანად ქალს უნდა ეკუთვნოდეს. ესენია: საკინძები (2 ც.) რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულისებრი თავით, რომელთა ცენტრში ლურჯი მინის თავზე ზის (ტაბ. XXIX—1,2). წყვილი საკინძი (ტაბ. XXIX—3,4) — ლურჯი მინის „ბროწეულის ყვავილის“ ფორმის თავით და რკინის დაშლილი ღეროთი (აღმოჩნდა თავის არეში). ბრინჯაოს სამაჯური, (1) ქედშესქელებული, განივკვეთში ნახევარწრიული რგოლით და (2) ოდნავ დაწვრილებული გახსნილი ბოლოებით (ტაბ. XXIX—12, 13). ორივე სამაჯური აღმოჩნდა მიცვალებული ქალის თავის არეში. როგორც ჩანს, ისინი სახესთან მიტანილ ხელებზე ეკეთა. ბრინჯაოს წყვილი საყურე, ფართო მარყუჟისებრ საკიდ რგოლზე ჰკიდია გრძელი ბრინჯაოსვე მძივსაკიდი (ტაბ. XXI—5—6), რომელსაც მობრტყო-მომრგვალო ლურჯი მინის მძივი ამკობს (დაფიქსირდა დედაკაცის თავის არეში). რკინის რგოლის ნატეხი — აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში. რკინის ჰვინტიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი (ქსოვილის ნაშთით) (ტაბ. XXIX—10); მასზე ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ექვსრგოლიანი ჯაჭვი (ავგაროზი უნდა იყოს) (ტაბ. XXIX—11), აღმოჩნდა დედაკაცის ყელის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი: 1 ც. მთის ბროლის, ოვალური ფორმისა (ტაბ. XXIX—27). (d—1,4 სმ); 1 ც. ქარვის პატარა უსწორმასწორო ოთხკუთხა ფორმისა (ტაბ. XXIX—25); 1 ც. გამოფიტული მინის პრიზმული ფორმის (ტაბ. XXIX—21) (d—1,4 სმ); 1 ც. მსხლისებრი ფორმის ცისფერი მინისაგან ნაკეთები (ტაბ. XXIX—23); 2 ც. მომსხო, წაკვეთილი ფორმის (ცილინდრული?) მომწვანო გამჭვირვალე ელფერის (გარედან მოხატული?) მინის მძივი (ტაბ. XXIX—28). 60 ცალი უსწორო მრგვალი ფორმის, მწვანე მინის მძივები (ტაბ. XXIX—15); 2 ც. წვრილი მოწითალო მინისა (ტაბ. XXIX—14); 3 ც. წვრილი მოყვითალო ელფერის, გამოფიტული მინისა (ტაბ. XXIX—26). 75 ცალზე მეტი მომსხო მრგვალბრტყელი, მუქი იისფერი (მოშავო) მინის მძივი (ტაბ. XXIX—7—9). მძივების ასხმა აღმოჩნდა დედაკაცის თავ-ყელის არეში.

მეორე თავი

დაკრძალვის წესი

სამარხი მოწყობილობანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვ. ალევის სამაროვნის შესასწავლი 57 სამარხიდან 51 ქვაყუთია (სურ. 3—26 და სხვ.), ხოლო 6 „ხისსარკოფაგიანი ორმოსამარხი“ (იხ. სურ. 27, 30, 44), ე. ი. სამაროვანზე ქვაყუთები სამარხი მოწყობილობის აბსოლუტური უმეტესობაა[1].

სამარხთა აღნიშნული სახე ტიპიურია ადრეულ შუა საუკუნეთა ალმოსავლეთ საქართველოსათვის და აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენს სამარხ მოწყობილობათა საერთო მასაში. ქვაყუთები გვხვდება: მცხეთაში (სამთავრო, არმაზისხევი, მარტაზისხევი, სანგრისხევი. ტუიაქოჩორა, კარსნისხევი), დილომში, ავჭალაში, ნახშირგორაზე, ბეთანიაში, წყნეთში, ცხვარიჭამიაში, რაჭისუბანში (ბოლნისი), სანთაში, განთიადში (დმანისის რ-ნი)[2], ლოჭინის ხეთან (სადგური ველი), მარტყოფში, კაჭრეთში, სართიჭალაში, ძველ გავაზში, გურჯაანში, იახსარის სამაროვანზე, ნეკრესში, ჭერემში, ივრის ზემო წელზე (მაგრანეთი, ქუშანაანთგორი, საცხვრეგორი, თრანის საცხვრეგორი, სიმონიანთხევი, დიდი სიონი, ჯიჯეთი და სხვ.)[3], ზარიძეებში[4], მლაშეში, რუსთავში, ვაშლაჯვარში, ჟინვალში, ბერბუკში, კორინთაში, მოსაბრუნში, იკოთში, სოხთაში[5]. და სხვ.

ქვ. ალევის სამაროვნის ქვაყუთები უმეტესად შეკრულია 4 ფილაქვისაგან (ორი გრძელი, გვერდითა და თითო თავ-ბოლოსი) და გადახურულია სამი სიპით, თუმცა ხშირად გვხვდება 4,5 ან სულაც 2 ფილაქვით გადახურული, ე. ი. ამ მხრივ განსაკუთრებული სისტემა არ შეიმჩნევა (იხ. სურ. 7, 8, 15—18, 22, 25). ჩვეულებრივ, სამარხის ყუთის ძირები გარედან პატარა ქვებითაა ხოლმე გამაგრებული ხოლო სახურავის ფილასა და კედლებს შორის პუპრუტანები — პატარა სიპებით.

---

1 საქართველოში გვიანანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში გავრცელებულ დაკრძალვის წესებს სწავლობს კ. გოცაძე. იგივე მკლევარი უფრო დაწვრილებით განიხილავს ქვ. ალევის სამაროვნის სამარხთა ტიპებსა და დაკრძალვის წესებსაც.

2 გ ი ვ ი ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი დმანისის რაიონიდან, „ძეგლის მეგობარი“ № 66, 1984, გვ. 37.

3 ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, გვ. 79. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 189—196.

4 მ ე დ ე ა წ ო წ ე ლ ი ა, სასანური ჭარმოშობის მასალა სოფ. ზარიძეებიდან, „ძეგლის მეგობარი“; № 70, 1985, გვ. 52.

5 ბ. კუფტინის მიხედვით სოხთაში ქვაყუთები გაითხარა — К у ф т и н Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, с. 21, რასაც ე. პჩელინა არ ეთანხმება—П ч е л и н а Е. Г. Погребальные комплексы из Сохта, Урс-Дзуар и Рока. ИЮОНИИ, ХУ, 1969, с. 132.

ინდივიდუალურ სამარხთა ზომები მერყეობს მიცვალებულთა ასაკის შესაბამისად; გეხვდება პატარა, ბავშვებისათვის გამართული ქვაყუთები (მაგ., სურ. 25, 26, 32—33[1]), იშვიათად საშუალო ზომისა; უმეტესია მოზრდილი და დიდ., საოჯახო ქვაყუთები, რომელთა სიგრძე 1,80 მ-დან 2,2 მ-მდე მერყეობს. სამარხთა სიგანეს განსაზღვრავს ის, თუ რამდენი მიცვალებულია შიგ ჩასვენებული. სამარხთა უმეტესობა ორი, ე. ი. წყვილი (საოჯახო) მიცვალებულისთვისაა განკუთვნილი. ბშირად მოზრდილებთან ერთად სამარხში დაკრძალული არიან ხოლმე ბავშვებიც: ერთი, ორი ან ზოგჯერ სამიც კი. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მართლაცდა საოჯახო საძვალესთან. სამარხის სიგანე ამის მიხედვით მერყეობს 0,4 მ-დან 1 მ-მდეც კი[6].

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ყველა სამარხი დამხრობილია O—W ხაზზე, რომლიდანაც გადახრა სხვადასხვა ხარისხისაა. უკიდურესი გადახრა ჩრდილო-აღმოსავლეთ — სამხრეთ-დასავლეთ ღერძს აღწევს (არა უმეტეს). ასეთი გადახრები ჩვეულებრივია შუა საუკუნეების სამაროვნებისათვის. ზოგჯერ ეკლესიებიც კი გადახრილია „კანონიკური ღერძიდან" მეტ-ნაკლებად.

ალევის სამაროვანზე სამარხები ხელმეორედ იშვიათად გამოიყენება. აქ მხედველობაში გვაქვს ადრე დაკრძალული ჩონჩხის (ან ჩონჩხთა) აღმოსავლეთით გამართულ ორმოში მიწერა და ახალი მიცვალებულის ჩასვენება. ასეთ შემთხვევაში თითქოს უნდა ვიუარაუდოთ მიცვალებულთა სხვადასხვა ოჯახისა თუ საგვარეულოსადმი კუთვნილება და უფრო მეტად კი მათ შორის გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობა.

შესასწავლი მასალიდან თავისებური იყო № 34 ქვაყუთი, რომელსაც ზემოთ შევეხეთ და აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (სურ. 28, 29).

როგორც აღვნიშნეთ, შესასწავლთაგან 6 „ხისსარკოფაგიანი" ორმოსამარხია (იხ. მაგ., სურ. 27, 30, 44. სახელი პირობითია). ეს სამარხები ყოველთვის ინდივიდუალურია. თითო მიცვალებული წევს მოგრძო ბლაგვკუთხა ორმოში, რომელსაც თავ-ბოლოში კიდეები ამოღებული აქვს ძელების ბოლოების ჩამოსადებად. ორმოს ძირი საგულდაგულოდაა ხოლმე მოსწორებული. შემდეგ ჩასვენებულია მიცვალებული, რომელსაც (ორმოსაც) ზემოდან ხის ფიცრებისაგან შეკრული „ლასტი" აფარია. ლასტის განივ ფიცრებს, თავ-ბოლოში, თითო ძელი ამაგრებს. ისინი ალბათ თოკით, ან ლაფანით იყო გადაბმული, რადგან ამ არეებში რკინის ლურსმნის არავითარი კვალი არ დაგვიდასტურებია. ლასტს ზემოდან ჯერ ერთ ფენად მიწას აყრიდნენ, შემდეგ კი წვრილი სიპების ნატეხებს. ამ სამარხების მოწყობაც მცირე დეტალებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეს სამარხები ჩვეულებრივ ქვისსამარხთა მსგავსად იყვნენ დამხრობილი O—W ხაზზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით მათში იშვიათია ბავშვის დაკრძალვა.

აღნიშნულ „სარკოფაგთა" ანალოგად პირობითად შეიძლება დავასახელოთ ურბნისისა და ზღუდრის ხისსარკოფაგიანი ორმოსამარხები[7], რადგან უკანასკნელნი თითქოს მართლაც „ხის კუბოებს" წარმოადგენენ; ალე-

---

6 რაც შეეხება სანიშნე ქვებს, სტელებს, ერთ შემთხვევაში თითქოს დავაფიქსირეთ იგი ალევის № 43 ქვისსამარხის გათხრისას სამარხის დას. ნაწილში (სურ. 34). უფრო მაღალი სტელისებრი ქვა დავაფიქსირეთ 1986 წელს კორინთის „საკრებულის" სამაროვანზე.

7 გ. ნ ე მ სა ძ ე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, სსმაე1, 1969; ლ. ჭი ლ აშ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964.

ვურები კი ასეთ შთაბეჭდილებას არ ახდენენ[8]. ისინი ჯერჯერობით არც ქრონოლოგიურად ემთხვევიან ერთმანეთს. ზღუდრისა და ურბნისის სარკოფაგები III—IV სს-ით თარიღდებიან, ხოლო ქვ. ალევურები მოიცავენ პერიოდს V ს-ის მეორე ნახევრიდან VII ს-ის დასაწყისამდე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უშუალო პარალელი, თუ ანალოგი ალევურ სარკოფაგებს არ ეძებნებათ; ისინი ან სრულიად დამოუკიდებლად წარმოიშვნენ, ან ზღუდრისა და ურბნელთა გვიანდელ რეპლიკას წარმოადგენენ[9].

მოკლედ ასეთია ზოგადად ქვ. ალევის სამაროვანზე 1981—1982 წლებში გათხრილ სამარხთა ტიპები. მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური დანაწევრება ასეთია: ქვისსამარხები (ქვაყუთები). რომლებიც სამარხთა უმეტესობას შეადგენენ,V ს-ის მეორე ნახევრიდან VII ს-ის ბოლომდე არსებობენ. ხოლო „ხის სარკოფაგიანი“ ორმოსამარხები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, V ს-ის მეორე ნახევრიდან VII ს-ის დასაწყისს აღწევენ.

მიცვალებულთა პოზა

ახლა შევეხებით თვით მიცვალებულთა დაკრძალვის პოზას. ეს ქვ. ალევის სამაროვნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტია.

ჩვენ მიერ გათხრილ ხელუხლებ 53 სამარხიდან 44-ში მეტ-ნაკლები სისრულით დადგინდა მიცვალებულთა პოზა (და უმეტესად სქესიც)[10].

მოზარდთა შორის (36 განსაზღვრულიდან) 9 ქალი დაკრძალული იყო გაშოტილი (ყველა თავით დასაელეთისკენ. მაგ., ქვს № 21-იხ. სურ. 16), მათგან ორს (№12—სურ. 10 და № 16 ქვს) მხრებზე ეწყო ხელები, ერთ მათგანს (№ 6 სამარხი — სურ. 8) ფეხები კოჭებში ჰქონდა გადაჯვარედინებული. დანარჩენი 27-დან, 25 მათგანი მარჯვენა გვერდზე იწვა მეტ-ნაკლებად ხელფეხმოკეცილი (იხ. სურ. 12, 13, 24, 29, 36), ხოლო ორი მარცხენა გვერდზე (№ 24—სურ. 22 და № 69 1984 წ. გათხრილ ქვისსამარხებში)[11], ე. ი. დედაკაცთა აბსოლუტუ-

---

8 ზუსტად ასეთი სამარხები 1986 წ. გავთხარეთ კორინთის „საკრეების“ სამაროვანზე.

9 ალევის სამაროვნისათვის სამარხის ამ სახეობის ასეთი „შეგვიანება“ მთლად გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან, მიუხედავად გარკვეული დაწინაურებულობისა და ფაქტიურად ბარის პარალელურად განვითარებისა, ქსნის ხეობის ეს ნაწილი მაინც მთისწინა ზოლია და ამიტომ ვფიქრობთ, აქ ორივე მექანიზმი უნდა მოქმედებდეს — როგორც კულტურული მოელენის ერთგვარად შეგვიანება-შენახვისა, ისე სწრაფად ათვისებისაც.

10 სქესის დადგენაში გვეხმარებოდა როგორც სამარხეული ინვენტარის რაობა, ისე ექსპედიციის წევრის არქეოლოგ კ. გოცაძის გარკვეული ანთროპოლოგიური კვალიფიკაცია. აგრეთვე ვიყენებდით სპეციალურ ანთროპოლოგიურ ლიტერატურას, მაგ., მ ა ლ ა ხ ა ბ ე დ ი შ ვ ი ლ ი, კრანიოლოგია, თბ., 1976; აღ. ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი, ადამიანის ნორმალური ანატომია, თბ., 1965. და სხვ.

11 სინტერესოა, რომ მარცხენა გვერდზე მწოლნი სრულიად უინვენტარონი არიან და ჩვენი დაკვირვებით ყველაზე გვიან ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ალევის ქვაყუთებში, ორიოდე შემთხვევის გარდა, მიცვალებულთა რაოდენობა (მოზრდილ ინდივიდთა) 2—3-ს არ აჭარბებს, მაშინ როცა თუნდაც ერწოს ველის სამარხებში მათი რაოდენობა ერთიდან თხუთმეტამდე მერყეობს — იხ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, გვ. 67. ამასთან ძალიან საინტერესო ჩანს იაზონ კიკეიძის დაკვირვება, რომ „მტრის შემოსევა, ისევე როგორც ეპიდემია, ისეთ დიდ მსხვერპლს იწვევს, რომ აუცილებლად უნდა აისახოს სამაროვანზე, კერძოდ უნდა გვქონდეს კოლექტიური უინვენტარო სამარხები“ — იხ. ი. კ ი კ ე ი ძ ე, 1976, გვ. 54. მეცნიერის ეს დაკვირვება, ჩვენი აზრით, უნდა გაერცელდეს ქვ. ალევის სამაროვანზეც და ამის დამადასტურებელია № 12, 19, 24, 30 და 45 სამარხები. მათში გვხვდება სამარხის ხელმეორედ გაშოყენება (მიცვალებულთა მიწევა ალმოსაელეთისკენ), ბოლოს დაკრ-

რი უმრავლესობის დაკრძალვისას დარღვეული იყო ქრისტიანული რიტუალის უმთავრესი მოთხოვნა; ისინი დაკრძალული იყვნენ არა გულაღმა გაშოტილი, ხელფეხგამართული, არამედ გვერდზე, მოკუნტულ პოზაში „წარმართულად“. ამასთან 9 გულაღმა დაკრძალული დედაკაცისაგან სამს თითქოს მაინც დარღვეული ჰქონდა „კანონიკური“ წესი. ორს მხრებზე ეწყო ხელები, ერთს კი ფეხები კოჭებში ჰქონდა გადაჯვარედინებული.

საინტერესოა, რომ ჩვენი დაკვირვება ქვ. ალევის სამაროვნისთვის ემთხვევა ისტ. მეცნ. დოქტორის რ. რამიშვილის განზოგადებას, რომ: „... ადრეულ შუასაუკუნეებში თუ კი სადმე გვხვდება მოხრილი პოზა, ჩვენი დაკვირვებით ყველა ქალის სამარხია“[12]. ასეთივე დასკვნამდე მივიდა მოდინახეს სამაროვნის შესწავლისას ისტ. მეცნ. კანდიდატი ჯ. ნადირაძე[13]. დაახლოებით იგივე სტატუაცია ჩანს ურბნისის ნაქალაქარის IV—V სს-ის სამარხებშიც[14]. ასეთივეა VI—VIII სს-თა სამაროვნების მონაცემებიც: ჟინვალში[15], ბეთანიაში[16], იახსარის სამაროვანზე[17], ვაშლაჯვარში[18], სანთაში [19], რაჭისუბნისა[20] და განთიადის სამაროვნებზე[21]. აქ კიდევ ერთხელ გვსურს გავიმეოროთ, რომ ყველა დადგენილ შემთხვევაში მამაკაცთა პოზა თითქმის ყოველთვის „მკაცრად“ ქრისტიანულია.

მაშასადამე. დაკრძალვის რიტუალის ორი მთავარი ელემენტით — სამარხის მოწყობილობითა და მიცვალებულის პოზის მიხედვით — ვასკვნით, რომ ქვ. ალევის სამაროვანზე V—VII სს-ის მანძილზე გაბატონებულია ქრისტიანული დაკრძალვის წესი, თუმცა დედაკაცთა უმეტესი ნაწილი მას „სრულად არ იცავს“. ეს გამოიხატება როგორც მათ პოზაში, ისე იმ შემთხვევაში, რომ ჩატანებული ინვენტარის. ძირითადად სამკაულის უმეტესი ნაწილი მათ ეკუთვნით. როგორც რამინ რამიშვილი ბრძანებს, ადრეულ შუა საუკუნეებში „... მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების ენერგიული დანერგვისა, მოსახლეობის

ძალული მიცვალებულის სრული უინვენტარობა და სხვ. ნივთიერი მასალის შეჯერება აღნიშნულ მომენტებთან გვაფიქრებინებს, რომ ქვ. ალევის „გრძელების“ სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვა შეუწყვეტიათ VII ს-ის ბოლოს ან VIII ს-ის დასაწყისში. იგი უნდა გამოეწვია არაბთა და ხაზართა შორის გამუდმებულ ომებს, რომლის ასპარეზი ხშირად აღმ. საქართველო იყო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოსევა იყო 684 წ. (Артаманов М. И. История хазар, 1962, с. 190. „...одно из наиболее значительных нашествий хазар на Закавказье“). ამ დროს დაღუპულა ქართული, სომხური და ალბანი არისტოკრატის ბევრი წარმომადგენელი.

12 რ. რამიშვილი, ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971—73 წწ. განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბ., 1983, გვ. 112.

13 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 76.

14 ლ. ჭილაშვილი, 1964, გვ. 76.

15 ეახტანგ ნიკოლაიშვილი, ვერა ჩიხლაძე, ჟინვალის სამაროვანზე წარმოებული შეშაობის ანგარიში, ჟინვალის ექსპედიცია, მეორე სამეცნიერო სესიის ანგარიში, თბ., 1981, გვ. 18.

16 ი. კიკვიძე, ლ. ჭილაშვილი, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან. სსმმ XXII—B, 1961, გვ. 118.

17 Рамишвили Р. М. Исследование раннесредневекового могильника Иагсари, ТКЭ, I, 1969, с. 119.

18 ვ. ნიკოლაიშვილი, ვაშლაჯვარის სამაროვანი, სას, თბ., 1978, გვ. 76.

19 Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, с. 21, рис. 22.

20 Синауридзе М. Результаты археологического изучения Болнисского района Тбилиси, 1977, с. 31.

21 გ. ბოლქვაძე, 1984, გვ. 39, 41.

ფართო ფენებში წარმართული ტრადიციები ჯერ კიდევ არ ყოფილა მიეიწყებული[22]... დაკრძალვის წესში ქრისტიანული ელემენტები უცილობლად გაბატონებულია, მაგრამ ძველი ტრადიციისამებრ კვლავ გრძელდებოდა სამარხებში ნივთებისა და სამკაულის ჩატანება"[23].

დაკრძალვის წესის ზოგიერთი სხვა ელემენტის შესახებ

სანამ სამარხეული ინვენტარის განხილვაზე გადავიდოდეთ, რაც რა თქმა უნდა, დაკრძალვის წესის ერთ-ერთი შემადგენელი დეტალია, გვსურს აღვნიშნოთ სამარხებში აღმოჩენილი მონეტების შესახებ.

ჩვენო ალევის სამაროვანი იმითაც არის საინტერესო, რომ სამარხეულ კომპლექსებში მონეტები უხვად აღმოჩნდა. მართლაც, ბევრი შეიძლება ვეუწოდოთ ადრეული შუა საუკუნეების 12 სამარხში აღმოჩენილ 31 მონეტას. ასეთი რამ ჯერ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიას არ ახსოვს. ამასთან მათი უმეტესობა აღმოჩნდა შესასწავლ 1981—1982 წლების სეზონზე გათხრილ სამარხებში (ამასთან შემთხვევით „გახსნილ"№ 1 სამარხში 9 ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა). გარდა ამისა, მონეტები აღმოჩნდა № 9, 10, 12, 15, 16, 17, 21, 48, 66 და 79 ქვისსამარხებში; მათგან 6—№ 10 სამარხში, 3—№ 17, 3—№ 15, 2—№ 9 და 79, ხოლო თითო № 12, 16. 21, 23, 48 და 66 სამარხებში. ე. ი. სულ 31 მონეტა, მათგან 1 ბიზანტიური (ჰერაკლესი)[24], დანარჩენი კი სასანური ვერცხლია, უმეტესად ფეროზის, კავადის და ხოსრო I-ისა.

საინტერესოა, რომ სასანური მონეტები ადრეც იყო დაფიქსირებული ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხებში[25], რაც ბოლო ხანებში კიდევ უფრო გახშირდა. ასე რომ, ალევის სამაროვანი ამ მხრივაც საერთო სისტემაში ექცევა. საინტერესოა ისიც, რომ ალევის სამაროვანზე, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს VII ს-ის სამონეტო განძებში, სასანური და ბიზანტიური ფული თანაარსებობს პირველური აბსოლუტური უპირატესობით[26]. ქვ. ალევში აღმოჩენილ მონეტებს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მათი როგორც დაკრძალვის რიტუალის ნაწილს, აგრეთვე არქეოლოგიური ქრონოლოგიის დამხმარე ელემენტს.

---

22 აქ გვსურს შევნიშნოთ, რომ საქმე არა მარტო წარმართულ ტრადიციებშია, არამედ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხალხური აზროვნების სტიქია, ხალხური კულტის უტილიტარიზმი, ხალხური მითოლოგიზაციის მექანიზმი, მარად ცოცხალი ფენომენია, რომელიც ჟამდამ ქმნის „წარმართული" ტიპის ხალხურ რწმენებს.

23 რ. რამიშვილი, სიონი, 1970, გვ. 131; წარმართობის გაღმონაშთებისა და მისი პერიოდული „აფეთქების" შესახებ ჩვენც მიეუთითებდით ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 109, 112.

24 მონეტა განსაზღვრა ისტ. მეცნ. კანდ. თ. აბრამიშვილმა. საინტერესოა, რომ მსგავსი ბიზანტიური მონეტა აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1911 წელს ნავთსადენის ადრე შუა საუკუნეების სამარხში — იხ. Таканишвили Е. Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Императорской Археологической Комиссии летом 1902 г. близ станции Мцхета. Археологические экскурсии разыскания и заметки. Вып. II, 1905, с. 79.

25 ისინი აღმოჩნდა ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე, სტირფაზის სამაროვანზე, ქოშიგორის სამაროვანზე, სანთაში, ზარიძეების სამარხში და სხვაგან იხ. Куфтин Б. А. 1941, с. 22; Абрамишвили Р. Н... Археологические раскопки в Тбилиси, ПАИ за 1981 г., Тбилиси, 1984, табл. XLII, с. 35; М. Цоцелия, 1985. с. 230—233.

26 ი. ჯალაღანია, საქართველოსა და სასანიანთა ირანის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით V—VII სს., თბ., 1971 (ხელნაწერი).

საფლავში ჩატანებული მონეტა მკვლევართა მიერ, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება როგორც ელინური (თუ ელინისტური) ტრადიციის გავლენა და უკავშირებენ მითოლოგიურ „ქარონის ობოლს"[27]. ეს ჩვეულება თვით საბერძნეთში საკმაოდ ფართოდ მხოლოდ ელინისტურ ხანაში გავრცელებულა, ამასთან ყოველისმომცველი მოვლენის სახე არ მიუღია[28].

საინტერესოა ისიც, რომ ანტიკურ-ელინისტური ხანის რიგ ბერძნულ სამაროვანებზე (მაგ., ოლინთოსში) ქარონისფულიანი სამარხები სამარხთა საერთო რაოდენობის მეათედს ძლივს შეადგენენ[29]. ე. ი. ამ მხრივ ალეური მონაცემის პროცენტი საკმაოდ მაღალია (დღესდღეობით გათხრილ (1987 წ.) 118 სამარხიდან „ქარონის ფული" 12 სამარხში აღმოჩნდა). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თითქმის ყველა ფაქტი VII საუკუნის სამარხებზე მოდის, იგი ამ წესის გავრცელების (დროის მოცემული მონაკვეთისათვის) დიდ ინტენსიურობაზე მეტყველებს[30]. ქვემო ალეში, შესასწავლ სამარხებში მონეტა სამ შემთხვევაში პირში ედო მიცვალებულს, დანარჩენებს კი ხელში ეკავა. ეს ფაქტები, განსაკუთრებით კი პირველი, თითქოს მეტყველებს ზემოხსენებული ელინური ტრადიციის სასარგებლოდ. ჩვენ ამჯერად არ შეუდგებით მრავალრიცხოვანი ანტიკურ-ელინისტური თუ სხვა ხანის პარალელების მოყვანას ქართული არქეოლოგიიდან. გესურს მხოლოდ შევნიშნოთ, რომ თუ IV საუკუნემდე (ან. წ.) ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირად გვხვდება, V—VI სს-ის კომპლექსებისათვის იგი თითქმის (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის) უცნობია, და ასეთი ლაკუნის შემდეგ VII საუკუნეში ეს წესი კვლავ „გამოცოცხლდება". ახლა ძნელია თქმა, თუ რა უნდა იყოს ამის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გადაწყდეს იგი, აშკარაა, რომ მას ვერ ჩავთვლით ქრისტიანული დაკრძალვის რიტუალის ნაწილად და კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული ინფორმაციის მატარებელია[31].

---

[27] „В источниках неоднократно упоминается, что Харону за перевоз полагается плата, которая, по преданию была установлена еще Тезеем. Согласно Аристофану („Лягушки", 140—141, 270—272), она составляет два обола, но обычно говорится об одном оболе, который зажимали между зубами покойника". Литвинский Б. А., Седов А. В. Культы и ритуалы кушанской Бактрии, М., 1984, с. 151.

საქართველოში ანტიკურ-ელინისტური ხანის სამარხებში აღმოჩენილი მონეტები განხილულია როგორც ელინური წესებისა და წარმოდგენების ღრმა და ძლიერი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე—იხ. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. 2, Тбилиси, 1950, с. 76; Лордкипанидзе Г. Колхида в VI—II вв. до н. э., Тбилиси, 1978, с. 132.

[28] Авторы новейшей монографии по греческому погребальному обряду пишут: „Раскопки показывают, что практика не была универсальной. Монета обыкновенно была бронзовая, редко серебряная или золотая, она находилась во рту, в руке или же просто валялась в могиле. Однажды она была найдена в сосуде для масла". Литвинский Б. А., Седов А. В. 1984, с. 152.

[29] Литвинский, Б. А., Седов А. В. 1984, с. 120.

[30] თუმცა მკვლევართა ნაწილი ეჭვის თვალით უცქერის მონეტების აღმოჩენის ასეთ ატრიბუციას—იხ. Литвинский Б. А., Седов А. В. 1984, გვ. 153—161. მონეტები გვხვდება „ხოროსტრულ" სამარხებშიც—იხ. Литвинский Б. А., Седов А. В. Тепан-Шах, М., 1983, с. 114.

[31] ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 112. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიური ხანის ხალხურ ლიტერატურაში შემონახულა ქარონის სახე, რომელიც მუდამ მონაწილეობს ნაწარმოების გმირთა სიკვდილში. დაფიქსირებულია ერთადერთი შემთხვევა, როცა მას დიგენისი აბრაცხებს—იხ. Попова Т. В. Византийская народная литература, М., 1985, გვ. 60. არაა

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოდ ნივთების საფლავში ჩატანება ტიპოლოგიურად წარმართული რიტუალის ნაწილია; იქნებ „ძველი წარმართობის" გადმონაშთებიც იყოს და აქ მას აღარ შევეხებით, არამედ უფრო დაწვრილებით მას განვიხილავთ ნივთიერი მასალის შესწავლისას. ახლა ყურადღებას გავამახვილებთ განსაკუთრებით თვალშისაცემ მხოლოდ ზოგ წესსე. რომელიც ზოგადი შეფასებით „ქარონის ობოლის" რიგისაა, წარმართული ტიპის რწმენის შედეგია. ასეთია მიცვალებული გოგონებისათვის (თუ ქალიშვილთათვის) ცარიელი ქარქაშების ჩატანება № 15 სამარხში[32] (იხ. სურ. 13. 14) და მოხსნილი ქამრის ცალკე, „დაუდევრად მიგდება" № 23 სამარხის კუთხეში. სამარხებში გვხვდება აგრეთვე დაზიანებული ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, საგანგებოდაა გაფუჭებული და არა ბუნებრივად, სიძველის ან სხვა შემთხვევის გამო. პრეპარაციისას, როგორც წესი, უმეტესი მათგანის ნაკლულ ნაწილებს ვერ ვპოულობთ ხოლმე; ამასთანავე თვით ფაქტურასაც ემჩნევა. რომ ნივთები ძველადვე იყო გაფუჭებულ-დაზიანებული. საინტერესოა, რომ ნივთების ხელოვნური, თუ შეგნებული გაფუჭება-დაზიანების წესი დღესაც გვხვდება დაკრძალვის რიტუალში [33]. ხშირია დამტვრეული ჭურჭელი განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნების ზედა ფენაში[34]. წარმართულია ტიპოლოგიურად № 57 და № 82 ქვისსამარხებში დამოწმებული მიცვალებული ქალებისათვის მკერდზე სპილენძის ჯაჭვების დაკიდების ფაქტები. ხომ არ ნიშნავდა ეს, რომ მიცვალებული ჯაჭვით იყო დაბმული, „შეკრული"[35].

ასეთია „წარმართულობის" ზოგი გამოვლინება ქვ. ალევის სამაროვნის მიხედვით. როგორც ჩანს, და ამის დამატებით, მაგალითებს ქვემოთაც მოვიყვანთ. იგი საკმაოდ მძლავრია, მაგრამ სტრუქტურის მთავარი ნაწილი და წამყვანი, შესასწავლ მასალაში მაინც ქრისტიანულია. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ „წარმართული" ელემენტები ამ შემთხვევაში და სხვაგანაც ყოველთვის „გადმონაშთური" არ უნდა იყოს. ხალხური ფსიქიკა, ხალხური მითოსი, ზღაპრული წარმოდგენები, ხალხური რწმენის უტილიტარიზმი მუდამ ქმნიდა „ახალ

გამორიცხული, რომ „ბიზანტიური გზით" მოხდა ქარონისა და მასთან დაკავშირებული „ქარონის ფულის" „გახსენება" შუა საუკუნეთა, ე. ი. VII ს-ის ქართლში. საინტერესოა, რომ დღესაც ხალხური დაკრძალვის რიტუალების ჩატარებისას გვხვდება მიცვალებულისთვის ფულის, განსაკუთრებით „ვერცხლის ფულის" (ლითონის მანეთიანების) ჩატანების შემთხვევები. ეს დავაფიქსირეთ თვით ქსნის ხეობაშიც.

32 რამდენადმე მსგავსი შემთხვევა გვხვდება კისლოვოდსკთან გათხრილ ალევურთა თითქმის თანადროულ კატაკომბებში—იხ. Рунич А. П. Катакомбы Рим-Горы, СА, № 2, 1970, с. 198—208.

33 საფლავზე ღადგმულ ჭურჭელს დაზიანებენ ხოლმე.

34 ნივთების დამსხვრევა—„მოკვლის" მაგალითები: „В связи с находками в захоронениях черепков Бар-Адон высказывает предположение, что они символизируют смерть. В талмудическом трактате Bava Qamma 54a, на текст которого ссылается Бар-Адон о гончарных изделиях, говорится: „Разбивание их—их смерть" — Амусин И. М. Кумранская община, М., 1983, с. 120. ანალოგიური წარმოდგენები: Домик Г. О. О похоронном обряде кетов, СА. 1961, № 3, с. 103; Плетнева С. А. От кочевни к городам, М., 1967, с. 164; Литвинский Б. А., Седов А. В. 1983, с. 105; Кропоткин В. В. Могильник Суук-Су, СА, № I, 1959, с. 190.

სამარხეული ინვენტარის, სამკაულის, იარაღის „ძალადაკარგვა-გაუვნებლობის" მაგალითები ქართულ არქეოლოგიურ მასალაში სხვაგანაც ხშირია — იხ. ლ. ჯალაშვილი, 1964, გვ. 69, 70, 75, ტაბ. XXIV, 1—4. წებელდა — კრემაციული სამარხი № 4, მკფ ინვ. 2—58—17.

35 ძეწკვი, შიბი ერთ ადგილზე დაკავების ნიშანი არის ხოლმე — იხ. ზურაბ კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985, გვ. 73.

წარმართობას". „ხალხური ქრისტიანობა" თითქმის ყოველთვის წარმართობის ზღვარზე იდგა. ქრისტიანობის არსებობის მთელ მანძილზე ბრძოლა იყო არა იმდენად ძველ წარმართულ რელიგიასა და ქრისტიანობას შორის (იგი პირველ საუკუნეებშივე შედარებით იოლად დაემხო), არამედ ხალხურ „ახალ წარმართობას", „ფოლკლორულ ქრისტიანობას", ხალხურად მითოლოგიზებულ ქრისტიანობასა და ორთოდოქსალურ, „სწორ" ქრისტიანობას, ეზოთერიულ რწმენას შორის; ხალხურ ფსიქიკასა და ეკლესიას შორის.

:ამავე დროს, როგორც გაირკვა, „წარმართული წესით" ქვემო ალევის სამარო:ანზე უმეტესწილად ქალებს კრძალავდნენ. როგორც ჩანს. სქესთა ასეთ იდეოლოგიურ (თუ ფსიქიკურ) გათიშვაშიც არის გარკვეული კანონზომიერება. როგორც სხვა მაგალითებითაც ჩანს, ქალები ყოველთვის იყვნენ (და დღემდე არიან) ტრადიციული წეს-ჩვეულებების, რელიგიური სისტემების თუ მათი გადმონაშთების უმთავრესი შემნახველნი; მაგალითად, თურქთა უღელქვეშ მყოფ სამცხე-საათაბაგოში „... ქრისტიანობას განსაკუთრებით მტკიცედ იცავდნენ ქალები. რენეგატი ფაშებისა და სხვა გამგებელთა ოჯახებშიაც ქალები კვლავ ქრისტიანობდნენ"[36]. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის დროს „... მ ი რ ი ა ნ მ ე ფ ე ს ა ქ უ ნ დ ა ს უ რ ვ ი ლ ი ქრისტეს სჯულისა. რამეთუ ასმოდა სასწაული ქრისტეს სჯულსა საბერძნეთით და სომხითით, და არა აბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა პისთა... ხოლო ნანა დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ დ ა ქადაგებასა მას"[37] (ხაზი ყველგან ჩვენია, ნ. ა.) ამ შემთხვევაში ქალი მოწინააღმდეგე ჩანს ახალი სარწმუნოების (თუნდაც უფრო პროგრესულისა) და ტრადიციულის მხარესაა[38].

რაც შეეხება მეუღლეთა იდეოლოგიურ გათიშულობას, რაც თითქოს კარგად დასტურდება ქვ. ალევის სამაროვანზე, უცხო არ ჩანს, დამახასიათებელიც კია ადრექრისტიანული სიტუაციისათვის, უფრო სწორად ადრეული შუა საუკუნეებისათვის. ქრისტიანობა სრულიად არ ებრძოდა ამ მოვლენას, პირიქით, სამადლო საქმედაც კი მიიჩნევდა ასეთ „შერეულ" ქორწინებას, რადგანაც წარმართი მეუღლე მორწმუნე ქრისტიანი მეუღლისაგან განიწმინდებოდა[39].

„წარმართულობის" რიგისა უნდა იყოს ქვ. ალევში აღმოჩენილი თავების ხელოვნურად დეფორმაციის ორიოდე შემთხვევა (მაგ., სამარხი № 21,

---

36 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 496.

37 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 102—103.

38 საინტერესოა, რომ როგორც აკადემიკოსი რ. გირშმანი გადმოგვცემს, (ირანში) **еще сегодня женщины и девушки** (ხაზი ჩვენია, ნ. ა.) соседних деревень приходят **зажечь либо масляные лампочки, либо свечки в руинах древних священных мест...**" საქმე ეხება მასჯიდი სოლეიმანის წმინდა ტერასას, სადაც თავის დროზე ზერვანისტული ტაძრები**ყიდა**— Гиршман Р. М. Религии Ирана от УШ века до н. э. до периода ислама. Культура Востока. Древность и средневековье, Л., 1978, с. 72.

39 „12... უკეთუ ძმასა ვისმე ესუას ცოლი ურწმუნოჲ და მას ჯერ უჩნდეს ყოფაჲ მის თანა ნუ დაუტევებენ მას. 13. დედაკაცსა თუ ესუას ქმარი ურწმუნოჲ და მას ჯერ უჩნდეს ყოფაჲ მის თანა, ნუ დაუტევებენ ქმარსა მას. 14. რამეთუ განწმიდნების ქმარი იგი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი ურწმუნოჲ ქმრისა მისგან მორწმუნისა, უკეთუ არა, შვილნიმცა თქუენნი არა წმინდა იყვნეს, ხოლო აწ წმიდა არიან".

I კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლე თ. 7, პავლენი, თბ., 1974. გვ. 112—113.

№ 40). ყველა შემთხვევაში მიცვალებული ქალია. რა თქმა უნდა, ეს წესი დაკრძალვის რიტუალის ნაწილი არაა, მაგრამ თავისთავად მიგვითითებს სუბტი სქესის „კულტურულ-იდეოლოგიურ“ ორიენტაციაზე. ეს წარმართული, ბარბაროსული წესი, თავის ქალების დეფორმაცია, ამ დროის საქართველოსათვის უცხო არ ყოფილა და ამის შემთხვევები დადასტურებულია ქვემო ქართლში[40], მცხეთაში, აღაიანში[41], ედისის ნაქალაქარის ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხებში[42] და სხვ. ჩვენთვის ცნობილი ფაქტებით მათ თითქმის ყოველთვის ქალები მისდევდნენ.

ასეთია ზოგადად ქვ. ალევში გათხრილი და შესწავლილი 57 სამარხი და მათში დადასტურებული დაკრძალვის წესების ზოგიერთი დეტალი.

[40] Куфтин Б. А. 1941, გვ. 20, 21. იგრეთვე — Полевой дневник, с. 86.

[41] ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 105.

[42] Дзаттиаты Р. Г. Раннесредневековый могильник в селении Едыс, СА, №2, 1986, с. 201, 203, 204, 205.

მესამე თავი

სამარხეული ინვენტარი (ნივთიერი მასალა)

მონეტები

ქვ. ალევის სამაროვანზე აღმოჩენილი მონეტების შესახებ ზემოთ ნაწილობრივ ვისაუბრეთ და შევეცადეთ გაგვერკვია მათი, როგორც დაკრძალვის წესის შემადგენელი კომპონენტის რაობა. აქ კი გვსურს გავარკვიოთ მათი, როგორც ქრონოლოგიური ფასეულობის ნივთთა რაობა, რადგან არქეოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპებზე იგი თითქმის ერთადერთი ქრონოლოგიური საყრდენი იყო ხოლმე და არც დღეს დაუკარგავთ გარკვეული როლი ამ მხრივ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევებში და ზოგადადაც დღეს მათ „ბრმად" ვეღარ ვენდობით. ალევის სამაროვნის მაგალითებმაც დაადასტურეს, რომ მონეტა იძლევა სამარხეული კომპლექსის მხოლოდ post quem-ს.

მაგალითად, № 23 ქვისსამარხში VII ს-ის პირველი ნახევრის საქამრე გარნიტურთან ერთად აღმოჩნდა ფეროზის (459—484) ვერცხლის მონეტა. როგორც ჩანს, მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობა სულ ცოტა 120 წელია. რაღა თქმა უნდა, სამარხს ათარიღებს უახლესი ნივთი, ე. ი. ქამარი.

მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური ამპლიტუდა შეიმჩნევა სასანური მონეტების შემცველ სხვა სამარხებსა და ინვენტარს შორისაც. სამარხის რეალური თარიღის შედარებითი სიახლოვე მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება თითქოს. ესაა № 12 ქვისსამარხი, სადაც ჰერაკლე კეისრის ვერცხლის მონეტასთან ერთად გვხვდება „მარჯნის ბროწეული" და შავი მინის ბეჭდები. ასეთი მონეტები 630 წლამდე იჭრებოდა[1], ხოლო „ბროწეულები" VII ს-ის შუა წლებიდან ჩნდებიან. სამარხი ინვენტარის რეალური თარიღი მონეტის თარიღზე 20—30 წლით ახალგაზრდა მაინც უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ ალევურ ნუმიზმატიკურ „კოლექციაში" თითქმის ყველა სასანიანი მეფის მონეტა დავადასტურეთ, მოყოლებული იეზდიგერდ II-დან (?) ხოსრო I-ის ჩათვლით. შემდეგ მოვისაკლისებთ ხორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ის ფულს და სამონეტო ჯაჭვს ჯერჯერობით ჰერაკლე კეისრის ჰექსაგრამა „ჰკეტავს". ეს მაშინ, როცა სამარხთა დიდი ნაწილი ხოსრო II-ის ხანას უნდა ემთხვეოდეს. თუმცა სამაროვნის საბოლოოდ შესწავლამდე ეს დაკვირვება მხოლოდ წინასწარულია. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით სამარხებში აღმოჩენილი მონეტების მიხედვით ყველაზე პოპულარული კავადის მო-

---

1 თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, გვ. 63.

ნეტებია, შემდეგ კი ფეროზისა და ხოსრო I-ის სახელით მოჭრილი ფული[2]. აღმოსავლეთ ქართულ სამარხეულ კომპლექსში ხოსრო II-ის ფულის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი, ისიც სპილენძის წვრილი მონეტაა[3].

საერთოდ კი, ქვემო ალევში აღმოჩენილი მონეტების შემადგენლობა მოგვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოს VII ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე დაფლული განძების სტრუქტურას, რომლებშიც თანაარსებობენ სასანური და ბიზანტიური მონეტები, პირველთა დომინირებით[4].

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვფიქრობთ, რომ მართებულნი არიან შკლევარები, რომელნიც მონეტების მნიშვნელობას აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის ეჭვით უყურებენ[5]. მაგალითად, არმაზისხევის ტყის უბნის № 82 ქვისსამარხში (1945 წ.) „არაბული ფელსი“ აღმოჩნდა სამარხში ჩაყრილი მიწის თავზე, რის გამოც ბუნებრივია, გამთხრელები მის დამათარიღებელ მნიშვნელობას „ნაკლებ მტკიცეს“ უწოდებენ.[6]

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ამ სამი ათეული წლის წინ ცნობილი ნუმიზმატიკოსი დ. კაპანაძე „ლეონ I-ის“ მონეტების შესახებ ბრძანებდა: „... რომ ამ მონეტების ინვენტარით დათარიღება უფრო სანდო და მართებული იქნებოდა, ვიდრე პირიქით“[7]. მართლაც, დღეისათვის, როცა გაირკვა, რომ სამთავ-

---

[2] კავადი — სანთაში, ზარიძეებში, ალევში, სამთაროში; ხოსრო I—ჭოშიგორაზე, ალევში; ფეროზი — ალევში.

[3] М. Цоцелия, Сасанидские монеты Грузии, Тбилиси, 1981, с. 231, № 38; ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, XI—15—44.

[4] Джалагания И. Л. Монетные клады Грузии, Тбилиси, 1980, с. 141; მისივე, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тбилиси, 1979, с. 18—19.

[5] Д. Капанадзе О продолжительности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, СА, № 4, М., 1962. ასე მაგალითად, სამთაროს № 89 (39 s) ავგუსტეს დენარები (27—14 ჭჭ.) შაბურ I-ის (243—273) მონეტასთან ერთად დადასტურდა. А м б р о з А. К. Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы, СА, 1972, № 2, с. 96. „Монеты сами по себе не дают точной даты комплексов. Даже в некрополях античных городов они нередко запаздывают на 100—400 лет. Еще более это относится к „безмонетным“ периодам и территориям... В могилах второй половины VI и VII вв. из Суук-Су найдены следующие платиновые и медные монеты, две 279—308 гг. по одной III в., 408—450, 518—527, 527—565, 597—602 гг. В Галиате лежат в месте монеты 613—614 и 701 гг. В могилах, датированных арабскими монетами VIII—IX вв. часты византийские и сасанидские монеты (и брактеаты) VI и VII вв... Его же, Бирский могильник и проблемы хронологии Приуралья в IV—VII вв., СДЕС, М., 1980, с. 11—12. ასევე 1976 წ. მარტან-ჩუს № 15 სამარხში, რომელიც XI საუკუნით თარიღდება, აღმოჩნდა იმპერატორ ვალენტიანე II-ის ნიერ 378—383 წლებში კონსტანტინოპოლში მოჭრილი სპილენძის მონეტა—იხ. В и н о г р а д о в В. Б., М а м а е в Х. М. К изучению византийско-северокавказских связей. ВВ, № 44, М., 1983, с. 191.

[6] მცხეთა I, გვ. 146. სხვათა შორის, სამთაროს სამაროვანზე (და სხვაგანაც) სამარხებს გარეთ კულტურულ ფენაში ხშირია სხვადასხვა ნივთიერი მასალა — საკნძები, მშვილდსაკანძები, კერამიკისა და მინის ფრაგმენტები; არც ისე იშვიათია მონეტებიც. ბათი შეხვედრია კი ქვისსამარხებსა და კრამიტსამარხებში არაა ძნელი, თუ გავიხსენებთ, რომ აქაური ნიადაგი სატუნეთა მანძილზე „ბრუნავდა“. ამიტომ ისეთ „უცნაურობებს“. როგორიცაა VII საუკუნის ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი № 9 „კრამიტსამარხში“ გვაკმბრიწყაია ნივთებთან ერთად კრიტიკული თვალთ უნდა შეხედოს მკვლევარმა და თავის სასარგებლო „არგუმენტად“ არ გამოიყენოს.

[7] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მსკა I, თბ., 1955, გვ. 82.

როს სამაროვანზე აღმოჩენილი „არაბული ფელსები“ სასანური მონეტებიან, მათთან ერთად ლეონ I-ის მონეტებიც თავისი „კანონიერი“ ადგილისაკენ უნდა „დაიძრას“. ყოველ შემთხვევაში, მათი დათარიღება VIII და IX სს-ით აღარ მოხერხდება[9]. „არაბული ფელსების“ არსის გარკვევამ „ხელი უნდა აგვაღებინოს“ ადრე შუა საუკუნეების სამაროვანთა IX საუკუნეში გადაყვანის სურვილზეც და უნდა გაირკვეს გვაქვს თუ არა იქ VIII ს-ის სამარხები. თავის დროზე ჩვენც უეჭველი მიგვაჩნდა თუნდაც სამთავროს სამაროვანზე VIII ს-ის დასაწყისისა და პირველი ნახევრის კომპლექსების გამოყოფა, მაგრამ დღეისათვის ეფიქრობთ, რომ ამას სათანადო მყარი არგუმენტაცია სჭირდება. როგორც ჩანს, სწორი იყო აწ განსვენებული ა. კ. ამბროზი, როცა წერდა, რომ: „...ყველაზე უფრო შეფარდებითი ქრონოლოგიის მეთოდია ობიექტური.“[10].

ყოველ შემთხვევაში, ალევის სამაროვანზე ჯერჯერობით გათხრილ 118 სამარხში VIII ს-ის რაიმე აშკარა დამახასიათებელი ნიშანი არ ჩანს. მთელი სამარხეული ასორტიმენტი ძირითადად V—VII სს-თა შინაგან ევოლუციაზე მიგვითითებს. ერთადერთი ელემენტი, რომელიც რამდენადმე ფორმაცვლილი სახით VIII—IX სს-შიც გვხვდება, შავი მინის ბეჭდებია. ასეა თუ ასე, ჯერჯერობით მისაღები შეფარდებითი ქრონოლოგია ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის შემუშავებულია. დღეს მისი შემდგომი დახვეწისა და დაზუსტების დრო დადგა. ამისათვის უნდა მოიძებნოს უფრო მყარი ქრონოლოგიური კრიტერიუმები, დაზუსტდეს მთელი რიგი ნივთების რაობა და ევოლუცია. ისტორიული პროცესის განვითარების პერსპექტივის მხრივ სწორი ჩანს, მაგრამ ქრონოლოგიის მხრივ დახვეწას ითხოვს აზრი, რომ „...ადრეფეოდალური ხანის IV—VIII ს-ის სამაროვნები უმეტესად თავის არსებობას აგრძელებს ტრადიციულ სამაროვნებზე და მხოლოდ IX საუკუნიდან „დაძრულა“ სასაფლაოები ეკლესიებისაკენ და თანდათანობით მომხდარა სასაფლაოთა და ტაძართა ტერიტორიული შერწყმა“[11]. მით უმეტეს, სამაროვანთა დიდ ნაწილს (ა. შ. — ადრეული შუა საუკუნეებისას) ხშირად არც წინამორბედი გვიანანტიკური სამარხები გააჩნიათ (იხ. ქვ. ალევი, დიღომი, ერწოს ველი), არც მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის ზღაპრული იერის ცნობა გამოგვადგება მთელი რიგი არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიის დასაზუსტებლად[12]. ასეთ შემთხვევებში მეთოდოლოგიურ შეცდომებთან გვაქვს ხოლმე საქმე. „არქეოლოგიამ“ უპირველესად „საკუთარი თავი“ თვითონ უნდა დაითარიღოს[13]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს მისი შედარება, იდენტიფიკაცია სინქრონიზაცია ნარატიული წყაროების მონაცემებთან.

---

[9] М. Цоцелия, 1981, სამარხები № 92 (38 N) კავადი, № 363 (39 N) კავადი, № 619 (46 წ.) ხოსრო II, ლეონ I, გვ. 231—233.

[9] „სამთაროსა და არმაზისხევის სამაროვნები IX ს-მდე მოქმედებენ“ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 540.

[10] Амброз А. К. 1971, № 2, с. 96.

[11] რ. რამიშვილი, 1970, გვ. 132—133.

[12] „ჯუანშერს მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობად მიუჩნევია, რაც არაა მართებული“ — იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 79. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მაინც 716—717 წწ. მუჰამედ იბნ-მურვანს ულაშქრია და სწორედ იგი დამარცხებულა ანაკოფიასთან (მიპირის და არჩილის) წინააღმდეგ ბრძოლაში. გ. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 26—35.

[13] IV—VIII ს-ის ძეგლთა მკვლევარებთან გეხებით, ჩვენი აზრით, დიდი შეუსაბამობა. ძალიან ეცნაურია ის, რომ ყოველგვარი კომენტარისა და შეფასების გარეშე იყენებენ ერთმა-

ასეთია კონკრეტულად ალევის სამაროვნის მონეტების დამათარიღებელი მნიშვნელობა. ეფიქრობთ, მისი მონაცემებითაც უეჭველი უნდა იყოს ის, რომ საქართველოს (VI?)—VII სს-ის სამარხებში უმეტესად სასანური, იშვიათად კი ბიზანტიური მონეტები გვხვდება. არაბული ფული VII—VIII ს-ის პირველი ნახევრის სამარხებში აღმოჩენილი არაა. აღსანიშნავია, რომ მონეტა არ გვხვდება არც ერთ ალევურ „ორმოსამარხში“ (რომელთა თარიღი უმეტესად VI საუკუნეა) და არც ერთ მათ თანადროულ ქვისსამარხში.

მშვილდსაკინძები (ტაბ. XXX)

ქვემო ალევის სამაროვანზე აღმოჩენილი მშვილდსაკინძები თითქმის სრულიად იმეორებს აღმოსავლეთ საქართველოს V—VII საუკუნეების სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ მშვილდსაკინძთა ასორტიმენტს. ზოგადად ესენია: ბუდეებმული მშვილდსაკინძები (I ჯგ.), ჭვინტიანი მშვილდსაკინძები (II ჯგ.) და ბუდემთლიანი მშვილდსაკინძები (III ჯგ.).

I ჯგუფის მშვილდსაკინძთაგან აქ გვხვდება II სერიის II ვარიანტის ერთი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი (ქვისსამარხი № 40) და I ჯგუფის III სერიის („ჯვრისებრი“) მშვილდსაკინძები (15 ც.). ამ უკანასკნელთა შორის 3 ცალი III, ხოლო 12 ცალი IV ვარიანტისაა.

გარდა № 40 სამარხის მშვილდსაკინძისა — I ჯგუფის II სერია, II ვარიანტი (ტაბ. XXX—1), ალევში ყველა აღმოჩენილი ბუდეებმული მშვილდსაკინძი მუხლსახსრიანია. მხოლოდ იგია მუხლზამბარიანი; აქეს ძალიან ფართო (10,6 მმ) ბუდის ასაბმელთან ჩახრილი მშვილდი. ჩვენ თავის დროზე მსგავსი ნივთები IV ს-ის ბოლოთი და V ს-ით დავათარიღეთ[14]. კონკრეტულ შემთხვევაში მისი თარიღი V ს-ის მეორე ნახევარი უნდა იყოს[15]. ამის საფუძველს გვაძლევს ის რომ № 40 სამარხი თავზე ედგა № 41 ქვისსამარხს. ამ უკანასკნელში კი აღმოჩნდა მინის მრგვალი მძივით თავშემკული ბრინჯაოსღეროიანი საკინძები, რომელთაც ვარდულის ნაცვლად „ყელზე“ პატარა სალტე აქვთ. ასეთი საკინძები V ს-დან ჩნდება[16]. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

ნეთთან არცთუ ისე ადვილად შესათანხმებელ ნ. უგრელიძის, ო. ტყეშელაშვილისა და სხვათა ნაშრომთა მონაცემებს. გარდა ამისა, ალბათ ჩვენზეც ვრცელდება ს. ა. პლეტნევას სიტყვები, რომ: ...исследователи, как правило, ссылаются друг на друга и забывают, что ни у кого из археологов, занимающихся материалами почти всего I тысячелетия н. э. нет достоверно обоснованной относительной хронологии вещей“ — Плетнева С. А. рец. на кн. Л. Р. Кизласова, История Тувы..., СА, 1971, № 1, с. 297.

14 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 31—32.

15 სრულიად მსგავსი მშვილდსაკინძები აღმოჩნდა ისტორიულ ჩერქეზეთში (ნოვოროსიისკთან) მდ. დიურსოსთან არსებულ სამაროვანზე. იხ. Дмитриев А. В. Раннесредневековые фибулы из могильника на р. Дюрсо. ДЕВПН У—УШ вв., М., 1982, рис. 5—3, 9—15.

16 ისინი არ ჩანან ურბნისის, სამთავროსა და მოდინახეს (აგრეთვე სხვა ძეგლების) IV ს-ით მყარად დათარიღებულ სამარხებში, „მსხლის“ ფორმის ნაბრიალებ დოქებთან, IV ს-ის კოპებიან და მხრებიან ბეჭდებთან, არმაზისხევურ საუერეებთან, IV ს-ის მშვილდსაკინძებთან (გამონაკლისია ერთი შემთხვევა სამთავროს ქვს. № 403 (40 N) — იხ. ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. III—1), მაშინ როცა ხშირადაა V ს-ის მშვილდსაკინძებთან, მინის ჭურჭელთან. ფაქტურად ასეთი დათარიღებისკენ იხრება თავისდაუნებურად ნ. მირიანაშვილი ალიანში აღმოჩენილი მასალის მიმართ (იხ. ნ. მირიანაშვილი, 1980, გვ. 85), თუმცა მათ გამოჩენას ხანად IV ს-საც ეარაუდებს და იმეორებს ადრე გამოთქმულ არგუმენტებს, რომ „... საკინძები უველა ადრეულია და IV—V სს-ით თარიღდება, ვიხიდან არც ერთ მათგანზე არ არის გვირ-

განხილულ სამარხთა ინვენტარი პრაქტიკულად თანადროული უნდა იყოს, რადგან, როგორც ზემოთ განვიხილეთ, № 40 სამარხი № 41-ის თავზე მალე მოუწყვიათ.

№ 40 სამარხი მშვილდსაკინძითურთ V საუკუნეზე ადრეული რომ არ არის ისიც მეტყველებს, რომ ქვემო ალევის სამაროვანზე ჯერ არ აღმოჩენილა შიდა ქართლის მთიანეთის IV საუკუნის კომპლექსებისათვის ისეთი დამახასიათებელი მშვილდსაკინძები, როგორიცაა ადგილობრივი რკალური, ორწილადი მშვილდსაკინძები და ბუდეპამული თანაბარადმოხრილი მუხლზამბარიანი, ორწილადი ფიბულები (I ჯგუფი; II სერია, I ვარიანტი). სხვათა შორის, პირველი მათგანი აღმოჩენილია „ახალგორის“ მდიდრულ სამარხეულ კომპლექსში[17].

ქვ. ალევში აღმოჩენილი სხვა ბუდეპამული მშვილდსაკინძები ყველა ჯგუფისებრი და მუხლსახსრიანია, ასაბმელთან ჩაუხრელი (III ვარიანტი, ტაბ. XXX—2,3,7) და ჩახრილი (IV ვარიანტი, ტაბ. XXX—4—6,8) მშვილდით. ყველა ისინი ტიპური „მცხეთურია“. ისევე როგორც მცხეთაში, ზოგ რკინის ეგზემპლარის მშვილდი ბრინჯაოს ფირფიტითაა შემკული (მაგ., ქვს. № 9—ტაბ. XXX—ბ).

ჯგუფისებრი მშვილდსაკინძები: №1, 6, 8, 9, 10, 15, 28, 30, 31, 43, 45, 50 სამარხებში (№ 15-ში სამი ცალია)[18], სულ 15 ერთეული. მათგან 2 ცალი ბრინჯაოსია, დანარჩენი კი რკინისა.

ნივთების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ სწორი ანალიზისათვის საინტერესოა III და IV ვარიანტის მშვილდსაკინძთა შეხვედრა № 15 სამარხეულ კომპლექსში (ტაბ. VII—5,29; ტაბ. VIII—19). ასეთი შეხვედრები აუცილებელიცაა, რადგან ხშირად ამოწმებს, თუ რამდენად სწორადაა შედგენილი ამა თუ იმ ნივთთა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური შკალა. თუ ასეთი შეხვედრის შემთხვევები საერთოდ არა გვაქვს, მაშინ საეჭვოა, რომ შესადარებელ ნივთებს შორის დიდი ქრონოლოგიური ზღვარია, ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად თანმიმდევარი ნივთები კი შედარებით იშვიათად, მაგრამ გარკვეული სიხშირით (არა უმეტეს ნორმისა) უნდა ერთმანეთს ხვდებოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, მშვილდსაკინძთა ეს სახეობა თავისი გენეზისითა და ევოლუციით ქართული ჩანს. იგი წარმოიშვა ერთწილადი ბუდეპამული მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძისაგან, რომლისაგან განვითარდა ერთწილადი ჯგუფისებრი მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძები, ვიდრე ორწილად ბუდისასაბმელთან ჩახრილ, მუხლსახსრიან მშვილდსაკინძებამდე. მისი გავრცელების ტერიტორია თითქმის მთლიანად ემთხვევა ისტორიულ საქართველოს. უკანასკნელ ხანს იგი აჭარაშიც, ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩნდა (მასალა გაგვაცნო ნინო ინანიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ). ამ ტიპის მშვილდსაკინძთა თითო-ოროლა ეგზემპლარი აღმოჩენილია საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებსა თუ პუნქტებშიც: დიურსო, ჩმი. ხარაჩოი, დაღესტანი,

---

გვინოვანი ვარდული (! ნ. ა.) მათში არ არის არც ერთი ისეთი საკინძი, რომელიც დამახასიათებელია თუნდაც VI საუკუნისათვის, მაგალითად, ბრონზეულის ნაყოფისა და ყვავილის გამომსახველი თავებით“. სქოლიოში კი (63) უთითებს ო. ტყეშელაშვილისა და ნ. უგრელიძის ნაშრომებს. რაც, ჩვენი აზრით, გამართლებული არაა, რადგან აღნიშნულ საკითხზე ავტორებს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი აქვთ გამოთქმული.

[17] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 225; ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXV—27.

[18] შესაბამისად ტაბ. I—11; III—21; IV—30, 31; V—27; VI—39; VII—5,29; VIII—19; VI—9; XV—15; XVI—20; XXIII—4; XXV—10; XXVII—13.

ხინისლი. მინგეჩაური, დვინი. ბოლო დროს ამ სახეობის მშვილდსაკინძთა ქარ-თულობაში ეჭვი შეიტანა ი. ვორონოვმა[19], რომელიც აქაც ისევე სუბიექტურია, როგორც მრავალ სხვა საკითხში. ამასთან საინტერესოა, რომ იგი მოდინახე'ზე აღმოჩენილ ორწილად ჩახრილ ბუდეებმულ მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძ-ების შესახებ აცხადებს, რომ მათი დათარიღება IV ს-ის მეორე ნახევრით და V ს-ის პირველი ნახევრით მას ეკუთვნის. უნდა ითქვას, რომ უფრო ადრე ეს თარიღი ჩვენ შევიმუშავეთ[20]. ამჯერად აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული მშვილდსაკინძები და ბუდეებმული ერთწილადი მუხლზამბარიანი მშვილდსა-კინძები კომპლექსებში ერთმანეთს არსად არ ხვდება მაშინ როცა ერთიცა და მეორეც ცალ-ცალკე გვხვდება მათთვის ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიუ-რად საშუალედო ბუდეებმულ ორწილად მუხლზამბარიან თანაბარდმორკალულ მშვილდსაკინძებთან[21]. ამდენად მათი ქრონოლოგია შესაბამისად III, IV და V ს. ძალაში რჩება და ვ. ლექვინაძის მიერ შემოთავაზებული თარიღი ურა-კული მშვილდსაკინძებისა (რომელსაც ი. ვორონოვი იზიარებს) არგუმენტა-ციას მოკლებულია[22].

ჩვენ მიერ განხილულ III და IV ჯგუფის ჯვრისებრ მშვილდსაკინძთა თა-რიღი ასეთია: პირველი თარიღდება VI საუკუნით, ხოლო მეორე—VII სა-უკუნით. მათი შემცველი სამარხების ინვენტარი კი არ ეწინააღმდეგება. არამედ მხარს უჭერს ასეთ მონაცემებს, ხოლო ქვს. № 15, რომელშიც ეს ორი სახეობა ერთმანეთს ხვდება, სავარაუდოა, რომ VI—VII სს-ის მიჯნით, უფრო კი VII ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს (თარიღებში კორექტივს შევიტანთ სხვა ინვენტარის განხილვისას).

ჰვინტიან მშვილდსაკინძთაგან (II ჯგუფი, სულ 12 ცალია), 2 მუხლზამბა-რიანია (ტაბ. XXX—9—11—I სერია), 10 კი მუხლსახსრიანია (ტაბ. XXX—12—16—II სერია). ერთ შემთხვევაში, № 17 ქვისსამარხში[23], ეს ორი სახეობა თანაარსებობს (ტაბ. IX—48, 27.) ამის გამო სამარხეული კომპლექსი VI—VII სს-ის მიჯნის ან VII ს-ის დასაწყისის უნდა იყოს. დაახლოებით თანადროულია № 18 ქვისსამარხიც მასში აღმოჩენილი ჰვინტიანი მუხლზამბარიანი მშვილდ-საკინძის მიხედვით (ტაბ. X—17—II ჯგუფი, I სერია). ამაზეც მეტყველებს ამ უკანასკნელში აღმოჩენილი სარდიონის თეთრად მოხატული მძივები. ასეთი მძივები ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის კომპლექსებში VI—VII საუკუნეებით

---

[19] Воронов Ю. Н. Восточное Причерноморье в железном веке, М., 1984 (Автореферат), с. 29. „...крестовидными проволочными и ранними пластинчатыми фибулами, полу-чившими через эти крепости (ზღისპირა „რომაული" ციხე-ქალაქები—ნ. ა.) распространение среди аборигенного населения".

[20] ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, გვ. 13.

[21] ამის კარგი მაგალითია სამთავროს № 303 (39 N) ქვისსამარხი და „წებელდის" ზოგ-ერთი სამარხი—იხ. Воронов Ю. Н. Позднескифские памятники села Азанта, ТАГМ IV, Сухуми, 1974 აქ № 5 სამარხში ერთწილადი და ორწილადი ბუდეებმული, ჩაუხრელი, მუხ-ლზამბარიანი ფიბულები ერთმანეთს ხვდებიან. კომპლექსი ალბათ IV ს-ის დასაწყისისაა.

[22] აგრეთვე დისერტაციის ავტორეფერატის 26-ე გვერდზე ი. ვორონოვი წერს: „...показано, что одночленные фибулы бытовали в Восточном Причерноморье до конца IV в." მაშინ როცა ანალოგიურ ორწილად მშვილდსაკინძს წაბილეთმიდან IV ს-ით თარიღებს—იხ. Воронов Ю. Н. Шенкао Н. К. Вооружение воинов Абхазии IV—VII вв. ДЭВПН V—VIII вв., М., 1982, рис. 11—23.

[23] ასეთი შეხვედრის მაგალითი გვაქვს ცხვარიჰამიაში, № 3 ქვისსამარხში—ნ. ა ფ ხ ა-ზ ა ვ ა, ადრეული შუასაუკუნეების სამარხები ცხვარიჰამიადან, სსმმ, XXXVII—B, გვ. 161—162.

თარიღდება (გვხვდება VIII—IX სს-შიც)[24]. ჩვენი სამარხების თარიღის დაზუსტებისათვის საინტერესოა, რომ გ. ბეკი ამ ტიპის (მცენარეული ორნამენტით შემკულ) მძივებს VII—XI ს-ით ათარიღებს[25].

ამრიგად, განხილული მასალითაც ჩანს, რომ ჩვენში მუხლზამბარიანი ჭვინტიანი მშვილდსაკინძების ფართოდ გავრცელება VI ს-ის მიწურულითა და VII ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ისე კი მათი ცალკეული ეჯზემპლარების შემოღწევა (ჩრდ. კავკასიიდან?) არაა გამორიცხული, რომ უკვე V—VI სს-ში ხდებოდა. მთელი VII საუკუნის მანძილზე კი საქართველოში დიდი რაოდენობით ამზადებენ მათ მუხლსახსრიან ვარიანტს, რომელიც ალბათ გააქვთ მეზობელ ქვეყნებში. არც ისაა გამორიცხული, რომ VII ს-ის აღმოსავლურქართულ ცალკეულ კომპლექსში მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძი შეგვხვდეს, რადგან მისი დამზადება გრძელდება მეზობელ და ამ დროისათვის გაცხოველებულ ურთიერთობაში მყოფ ჩრდილო კავკასიაში (ჩდ. ოსეთში)[26]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მიუხედავად რიგ ავტორთა მტკიცებისა, რომ მსგავსი ნივთები ჩრდილო კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული, ჭვინტიანი მშვილდსაკინძები VII საუკუნის საქართველოსათვის ბევრად უფრო დამახასიათებელი ჩანან[27].

III ჯგუფის ანუ ბუდემთლიანი მშვილდსაკინძები 1981—1982 წწ. გათხრებისას ალევში 5 ცალი აღმოჩნდა (ტაბ. XXX—17, 18). ისინი I სერიის II ვარიანტს განეკუთვნებიან, სამკუთხა ბუდითა და სახსრიანი მუხლით (ქვს. №1, 23, 32 და „ხისსარკოფაგიანი“ ორმოსამარხები № 55, 56). ისინი სამთავრული მასალის მიხედვით VI—VIII სს-ის დასაწყისით თარიღდებიან[28]. თუმცა დღევანდელი მონაცემებით მათი VIII ს-ში გადასვლა მეტ არგუმენტაციას ითხოვს. სამარხი № 1 VI-I ს-ის მეორე ნახევრისაა „ბროწეულის“ მიხედვით; №23 ქვისსამარხი კი ჰერალდიკური ქამრის მიხედვით VII ს-ის პირველი ნახევრისაა; № 32 ქვისსამარხი VII საუკუნისა უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი გიშრის ოთხკუთხა მძივები, რომელთა ნაწილი შემკულია წრეწერტილით, ხოლო ზოგი ორხვრელიანია[29] ანალოგიური სამთავრული მძივები ჩვენ V—VI სს-ით დავათარიღეთ[30]. ამ თარიღს მხარს უჭერს მორკალული ოდნავ მუცელშესქელებული საყურეები. ისინი VI და ნაწილობრივ VII ს-ისათვის უნდა იყვნენ დამახასიათებელი. მათი ადრეული ვარიანტია IV ს-ის ბოლოს და V საუკუნის სიმეტრიული, მუცელშესქელებული საყურეები. ხოლო VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ში უმეტესად გავრცელებულია ასიმეტრიული

---

[24] Деопик В. В., Классификация и хронология аланских украшений, МИА № 114, М., 1963, с. 114—115, рис. 6; Лобода И. А., Чофер М. Я. Вновь открытый в Белбекской долине раннесредневековый могильник. КСИА, № 140, 1974 г.

[25] Деопик В. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[26] Археология СССР, Степи Евразии в эпоху средневековья, М., „Наука“, 1980, გვ. 179, ნახ. 62, 76, 77, 92.

[27] ბოლო ხანებში გაბშირდა მათი აღმოჩენა დას. საქართველოში — აღმოჩნდა პალიასტომის ტბაში ბიზანტიურ მონეტასთან და ბრინჯაოს თავბურთულა საკინძთან ერთად (1985 წ., აღმოჩენილი მასალა გაგვაცნო გ. გამყრელიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

[28] ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 34.

[29] ასეთი მძივები IV—VI სს-თა კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი — იხ. იქვე, ტაბ. II—6, 7, ტაბ. XV—12.

[30] ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 100.

პირგახსნილი რგოლები, ე. ი. № 32 ქვისსამარხის საყურე თითქოს მათი საშუალედოა[31].

№ 55 სამარხში (ტაბ. XXVIII—24, 27, 28) მშვილდსაკინძთან ერთად გვხვდება ვერცხლის საყურე; პატარა პირგახსნილ რგოლზე ოთხბურთულიანი მტევანია მიმაგრებული. ასეთი საყურე აღმოჩნდა ურბნისის ნაქალაქარზე 1959 წ. გათხრილ ორმოსამარხების თავზე. ვფიქრობთ, რომ იგი სამარხიდან უდა იყოს „ამოვარდნილი". აქაური სამარხები კი V—VI სს-ისა უნდა იყო[32]. № 53 სამარხის V ს-სადმი კუთვნილებას გამორიცხავს ვერცხლის „ქაფქირისებრი საკიდი, (ტაბ. XXVIII—23), რომელთა მსგავსები ჩრდილო კავკასიაში VI—VII სს-შია გავრცელებული[33], ე. ი. განსახილველი სამარხი II ს-ის უნდა იყოს. ალბათ ამავე დროისაა № 56 ორმოსამარხიც თავისი მშვილდსაკინძით.

საინტერესოა, რომ № 32 სამარხის წვეთისებრსაკიდიანი საყურეების ანალოგიურია № 50 ქვისსამარხში, რომელშიც VI ს-ის ჯვრისებრი მშვილდსაკინძია (I—III—III). თავის მხრივ, № 32 და № 50 სამარხებს აერთიანებს საკინძთა ზოგიერთი ტიპიც (იხ. ტაბ. XVII და ტაბ. XXVII), კერძოდ, ორთავეში დისკოსებრთავიანი (დისკოს ცენტრში მინის თვლით) საკინძებია. ამავე დროს ამ სამარხთა საკინძებს ვარდულები არ გააჩნიათ. მათში ბეჭდებიც ერთნაირი აღმოჩნდა. ესენია დაბალი, ცილინდრულთვალბუდიანი (თვალბუდე გარდიგარდმო ოვალურია), რომელიც შედარებით ვიწროგანივკვეთიან, გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ზის (ტაბ. XVII—14, XXVII—16).

ესე იგი, განხილული სახეობის მშვილდსაკინძები ქვემო ალევის სამაროვანზე VI—VII სს-ით თარიღდება. საბოლოოდ გვსურს აღვნიშნოთ რომ კარგად ფიქსირებულ მშვილდსაკინძთა აბსოლუტური უმეტესობა მიცვალებულთა მკერდის არეშია აღმოჩენილი უმეტესად მარცხენა მხართან. ერთ მიცვალებულს ჰვინტიანი მშვილდსაკინძით, გულზე ეკიდა ბრინჯაოს ჯაჭვი — „ავგაროზი" (№ 57 ქვისსამარხი)[34]. ძალიან საინტერესოა სხვა შემთხვევა, როცა № 18 ქვისსამარხში, მარჯვენა გვერდზე საკმაოდ მოკუნტულად მწოლი დედაკაცის მარცხენა წვივზე ჰვინტიანი, მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძი დაფიქსირდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მშვილდსაკინძით მიცვალებულს წინდა ჰქონდა დამავრებული (თუმცა არაა გამორიცხული, რომ ფეხები ჰქონდა შეკრული).

საკინძები (ტაბ. XXXI—XXXIII)

საკინძების (თმის ქინძისთავების) კლასიფიკაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმეა. რადგან ისინი დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან როგორც მასალის, ისე ფორმის, შემკობის ხერხების, გამოსახულებათა კომბინაციებისა და

---

31 ანალოგიური საყურეების შესახებ იხ. ქვემოთ შესაბამის თავში. ასეთივე საყურეები აღმოჩენილია № 45 ქვისსამარხში, რომელიც ჯვრისებრი ჩაუბრელი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძით VI ს-ისა უნდა იყოს.

32 ლ. ჭილაშვილი მათ IV—V სს-ით ათარიღებს (ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, 1964, გვ. 84—86, სურ. 36). დღეისათვის განვიხილავთ რა ამ მასალს გაცილებით ფართოდ დაგროვილის ფონზე, ვფიქრობთ, რომ მათი თარიღი ოდნავ უნდა გაახალგაზრდავდეს — V—VI სს. V ს-ისა მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ყუნწიანი სარკე, გემა „კირჩხიბის" გამოსახულებით, ხოლო VI ს-ისა უნდა იყოს საკინძთა უმეტესი ნაწილი და ზემოაღნიშნული საყურეც მტევნისებრი „საკიდით".

33 Археологія СССР, 1980, рис. 62—70, 82, 83.

34 ასეთი რამ აღმოჩნდა № 80 და № 82 ქვისსამარხებშიც (1984 წ.), ხოლო № 73 სამარხში მშვილდსაკინძზე წყვილი საყურე იყო წამოგებული.

დეკორის სხვა დეტალთა მხრივ. ამიტომ მათი კლასიფიკაციისას, ერთი მხრივ, საშიშროება იქმნება ზედმეტი დანაწევრებისა. მეორე მხრივ კი ზოგიერთ საკმაოდ მთავარ, მაგრამ თვალშისაცემ ნიშანთა გაუთვალისწინებლობისა.

ქვ. ალეთის სამაროვანზე აღმოჩნდა თითქმის ყველა ტიპისა თუ სახეობის საკინძი, რაც კი დღემდე საქართველოში აღმოჩენილა ადრეულ შუა საუკუნეთა სამაროვნებზე. უფრო მეტიც, აქ აღმოჩნდა სრულიად უნიკალური საკინძიც.

ერთი მასალისაგან დამზადებული საკინძები. ტიპოლოგიური კლასიფიკაციისას გავითვალისწინებთ, უპირველეს ყოვლისა, მასალას და საკინძის ზოგად ფორმას. ამის კვალობაზე ჯერ განვიხილავთ მთლიანად, თაღეროიანად ბრინჯაოსაგან დამზადებულ საკინძებს სერია I „მრგვალთავიანი“ საკინძები (ტაბ. XXXI—1—9), ტიპი I ვარიანტი I—პატარა ბურთულათავიანი საკინძები ყელზე წყვილი წიბოთი: სამარხი № 55—2 ც. VI ს., სამარხი № 44—2 ც. VI—VII სს. მიჯნა (ტაბ. XXXI—1,2).

ტიპი I, ვარიანტი II — პატარა მრგვალბრტყელი თავით, წყვილი ოთხკუთხა წიბოთი. № 8 — 1 ც. VII ს. მეორე ნახევარი; № 39—2 ც. VII ს. პირველი ნახევარი (ან VI—VII სს. მიჯნა); № 48—2 ც. VII ს. პირველი ნახევარი (ტაბ. XXXI—3—5).

ტიპი II, მსხვილი მრგვალი, ან მრგვალბრტყელი თავით, დიდი ზომის საკინძები. ვარიანტი I ფართო წყვილი წიბოთი № 8—1 ც. VII ს. მეორე ნახ., № 24—1 ც. VII ს. მეორე ნახ., № 31—2 ც. VII ს. მეორე ნახ.; № 38—2 ც. VII ს. პირველი ნახ., № 15—3 ც. VII ს. პირველი ნახ., № 30—1 ც. VII ს. (ტაბ. XXXI—6,7).

ტიპი II, ვარიანტი II ორი წყვილი წიბოთი: სამარხი № 39, 44—2 ც. VII ს-ის დასაწყისი, № 15—4 ც. VII ს. პირველი ნახ., № 6—2 ც., № 36—2 ც., № 38—2 ც.—ყველა VII ს. პირველი ნახ., № 18—2 ც. VII ს. დასაწყისი (ან VI—VII სს-ის მიჯნა), № 1,8—4 ც. № 28—1 ც. VII ს. მეორე ნახ. (ტაბ. XXXI—8,9).

სერია II. ფიგურულთავიანი ბრინჯაოს საკინძები (ტაბ. XXXI—10—23, 33, 34).

ტიპი I „შენობისებრთავიანი“ საკინძები. ვარიანტი I ოთხსვეტიანი, გუმბათიანი შენობის მსგავსი თავით. სამარხი № 15—2 ც., № 22 — 1 ც., № 48—2 ც. — ყველა VII ს. პირველი ნახ.; სამარხი № 1—2 ც. VII ს. მეორე ნახ. მათ მეტნაკლებად წოწოლა „გუმბათი“ აქვთ (ტაბ. XXXI—11—11[1]).

ვარიანტი II. ორფერდასახურავიანი შენობისებრი („ბაზილიკისებრი“) საკინძები (ტაბ. XXXI—33, 34), ქვისსამარხი № 72.

სერია II, ტიპი I — კამათლისებრთავიანი საკინძები — ქვს. № 8 — VII ს-ის მეორე ნახ. (ტაბ. XXXI—10); ტიპი II, რგოლისებრთავიანი საკინძები — ქვს. № 28—2 ც., VII ს. მეორე ნახ. (ტაბ. XXXI—14—15); ტიპი III, ხელისგამოსახულებიანი საკინძები— ქვს № 15—1 ც., № 48—2 ც. VII ს. პირველი ნახ. (ტაბ XXXI—16); ტიპი IV, „ჭუდისებრი“ თავით — ქვს. № 24—1 ც. VII ს. შუა ან მეორე ნახ. (ტაბ. XXXI—22); ტიპი V, ყელმოხრილი საკინძები — ქვს. № 48—1 ც. VII ს. პირველი ნახ. (ტაბ. XXXI—17); ტიპი VI. „სამყურასებრი“ — ქვს. № 15—1 ც. VII ს. პირველი ნახ. (ტაბ. XXXI—18); ტიპი VII. ქნარისებრი საკინძები — ორმოსამარხი № 35 — 2 ც. VI—VII სს. მიჯნა ან VII ს. დასაწყისი (ტაბ. XXXI—19); ტიპი VIII, საკინძები წყვილი მტრედის გამოსა-

ხულებით — ქვს. № 13—1 ც. ქვს № 31—1 ც. ყველა VII ს. მეორე ნახ[35]. (ტაბ. XXXI—20, 21).

I სერიის I ტიპის და II ვარიანტის საკინძები შედარებით იშვიათად ვეხვდება არქეოლოგიურ მასალებში (თარიღი VI—VII სს., შესაძლოა VI ს-ის მიწურულიდან). არის არმაზისხევის № 23 (?) ქვისსამარხში (საველე № 434 — თარიღი VII ს. დასაწყისი)[36]. სამთავროს № 655 სამარხში: № 153 ქვს. № 354 ქვს. და № 46) ქვს., თრანში — ბაღები № 4 სამარხი[37]. II ტიპის საკინძები ძალიან გავრცელებულია[38]. ისინი დამახასიათებელია VII ს-ის კომპლექსებისათვის. მაგ., არმაზისხევის № 16 ქვისსამარხში VII ს. II ნახ). 1941 წელს გათხრილ მე-16 ქვისსამარხში (VII ს. შუა — ამასთან ერთად აქ ოთხსველიანი „ტაძრისებრი" საკინძია II სერია ტიპი I ვარიანტი I). ქვს. № 17—2 ც. (VII ს. ძეორე ნახ.); ქვს. № 66 (1944 წ. — VII ს. პირველი ნახ.); № 71 ქვისსამარხი (VII ს. მეორე ნახ. — აქ მასთან II სერიის IV ტიპის საკინძია — „ქუდისებრი" თავით); № 82 ქვისსამარხი (VII ს-ის შუა წლები[39]. აქ მასთან II სერიის I ტიპის II ვარიანტის საკინძია), სამთავროში ქვს. № 32 (39 N), ქვს. № 13 (39 N); აღმოჩენილია ცხვარიშამიაში[40]; აქვეა IV ტიპის საკინძი[41]. ანალოგიური საკინძები გვხვდება ურბნისის ნაქალაქარზეც[42], მათ შორის კამათლისებრთავიანიც. არმაზისხევსა და ერწოს ველზე ხშირია ხელისგამოსახულებიანი საკინძები[43]. განხილული საკინძები დამახასიათებელია VII ს-ის კომპლექსისათვის.

საინტერესო აზრი გამოთქვა საკინძთა ზოგიერთი ტიპის შესახებ არქეოლოგმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ჯორბენაძემ: „... საკინძი „ხელის" გამოსახულებით... ისევე როგორც საკინძები „შენობის" გამოსახულებით. ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა ყოფილიყო თავსაბურავზე ან ტანისამოსზე. შესაძლოა ამ მოვლენაში დავინახოთ ქრისტიანული სიმბოლიკის შეჭრა სამკაულებში (ხაზი ჩვენია, ნ. ა.), თუ ვივარაუდებთ, რომ ხელის ზოგიერთი გამოსახულება „სამების" გამოხატავს, ხოლო დაფანჯრული „თაღოვანი" თავი ეკლესიისა თუ სამრეკლოს გუმბათს[44].

---

35 ეს საკინძები უნიკალურია. აქამდე ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ კენტ ფრინველის გამოსახულებიანი საკინძები არმაზისხევიდან, დაღესტნიდან, მინგეჩაურიდან; ამ უკანასკნელთა მსგავსი საკინძები, უნდა ითქვას, რომ გვხვდება გვიანრომაული ხანის პანონიასა და დაკიაში — იხ. G. Popilian—Un quartier artisanal a Romula, „Dacia" XX, 1976, Fig. 12—13.

36 ნ. უგრელიძე, ადრეფეოდალური მცხეთის მატერიალური კულტურა არმაზისხევის და ნავთსადგნის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1956 (ხელნაწერი).

37 ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982, სურ. 14—610; ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXXIV—32, XLII—8.

38 ბოლო ხანებში ასეთი საკინძი აღმოჩნდა ედისის № 6 ორმოსამარხში — იხ. Р. Г. Джапиашвили, 1986, рис. 6—20.

39 ბ. ჯორბენაძე, 1982, სურ. 14—610.

40 ნ. აფხაზავა, 1984, სურ. 1—1,2.

41 იქვე, გვ. 163. ასეთივე საკინძია არმაზისხევის № 15 სამარხში.

42 ლ. ჭილაშვილი, 1964, გვ. 124.

43 არმაზისხევის № 20 ქვისსამარხი — იხ. ბ. ჯორბენაძე, 1982, სურ. 17.

44 იქვე, გვ. 72. საკინძები რომ თავსამკაულადაა გამოყენებული, ეს უეჭველია მრავალი კარგად დაფიქსირებული ფაქტით (მაგ., ქვს. № 8, 15, 22, 22, 44, ორმოსამარხი № 33, 35 და სხვ. იხ. სურ. 14, 18, 26, 29, 37, 43, 48). მათზე არაერთგზის დავაფიქსირეთ თმა (სურ. 49), ქსოველს ნაშთები, მათ შორის ზოგი უნიკალური ნაქსოვი ისინი ყოველთვის ქალის ჩონჩხთანაა ხოლმე. ტანსაცმლის შესაკრავად ისინი არ უნდა გამოეყენებინათ. ამისთვის ამ ხანაში

გამოთქმული მოსაზრებები ძალიან საინტერესოა; ძირითად იდეაში გასაზიარებელი, მაგრამ დაზუსტებას ითხოვს, რადგან ჩვენთვის უცნობია ფაქტი, რომ ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი დოგმატი „სამება“ სიმბოლურად ხელით გამოეხატოთ, მით უმეტეს, რომ საკინძეზე ხშირად მარცხენა ხელია გამოსახული. პატივცემულ ავტორს ალბათ მხედველობაში აქვს პირჯვრის საწერად გამზადებული ხელი. როცა შეერთებულია სამი თითი — ცერი, საჩვენებელი და შუა თითი (ხოლო არათითი და ნეკი მოხრილია)[45]. დასაზუსტებელია აზრი, რომ ზოგი საკინძი სამრეკლოს გამოხატავს. საქმე ისაა, რომ გ. ჩუბინაშვილი და სხვა მკვლევარნი ჩვენში უძველესად გუდარეხის სამრეკლოს მიიჩნევენ (XIII-ს). სხვაგანაც ზარის რეკვის წესი და ალბათ სამრეკლოც IX—XI ს-ებე ადრე არ ჩანს[46]. მითითებული საკინძები კი VII საუკუნისაა. შენობის მოღელის მსგავსი საკინძები კი მართლაც ეკლესიებს უნდა გამოსახავდეს. ამის მიმანიშნებელია ის, რომ ზოგი საკინძი გუმბათიანი (ცენტრალურ-გუმბათიანი) ტიპისაა. ზოგი კი ორფერდასახურავიანი (ბაზილიკის) ტიპის[47]. მართლაც, VII ს-ის ქართველისათვის შენობის (საკულტო შენობის) ორივე ტიპი კარგადაა ცნობილი. სხვა საკითხია. თუ როგორ მოხდა. რომ იგი სამკაულად (სიმბოლოდ) იქცა. საფიქრებელია. რომ ეკლესიის მოდელის „გაფეტიშებისათვის“ ხელი უნდა შეეწყო ადრექრისტიანულ სიმბოლიკაში „სახლის“ (როგორც დამოუკიდებელი, ისე საფლავის ან ეკლესიის. მნიშვნელობით) სიმბოლოს არსებობას[48], რომლის „გაწარმართულება“ მომხდარა ამ ხანაში[49].

ძ ვ ლ ი ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი (ტაბ. XXXI—24—32). ტ ი პ ი I, „ნიჩბისებრი“. მათ შედარებით მოკლე ოვალურგანივკვეთიანი ღერო და მოგრძო ოთხკუთხა ბრტყელი პირი აქვთ, რომელიც შემკულია ორმხრივ ჩრეწერტილით (ტაბ. XXXI—24, 25). ეს უკანასკნელი ორნამენტული მოტივი ძველისგან დამ-

---

V—VII სს. გავრცელებული ჩანს მშვილდსაკინძები. სამარხში ისეთივად დაფიქსირებული საკინძი მიცვალებულის მკერდის ან მუცლის არეში მექანიკური გადაადგილების შედეგი უნდა იყოს. ამის გამომწვევი მიზეზი, როგორც ჩანს, ხშირად მღრღნელები არიან.

45 „სამების“ ამ სახით გამოხატვა ჩვენ არც ერთ ქრისტიანულ ძეგლზე არ შეგვხვედრია.

46 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობა ძველ საქართველოში, 1946, გვ. 89—90; ვ. ცისკარიშვილი, ქართული ზარები, „მაცნე“, № 1, 1982 გვ. 155; ა. ქ ა თ ა მ ა ძ ე, აგრიპინას შესახებ, ჯვარი ეახისა, I, 1979, გვ. 44.

47 ასეთი საკინძები აღმოჩენილია არმაზისხევში (ქვს. № 22, აღელში (ქვს. № 82), ერწოს ველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ოთხსვეტოვან ეკლესიას თავზე ბრონეულის ყვავილს მსგავსი გამოსახულება ადგას.

48 У в а р о в А. С Христианская символика, ч. I, М., 1903, с. 170—172. ჩვენი აზრით, ქრისტიანულ სიმბოლიკასთანვე უნდა ჰქონდეს კავშირი ფრინველთა (მტრედების?) შეწყვილებულგამოსახულებიან საკინძებს ქვ. აღელის № 13 და 31 ქვისსამარხებიდან — იხ. იქვე, გვ. 147. 156—157. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, ქვ. აღელის № 48 ქვისსამარხსა და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი „ყელმოხრილი საკინძები“ იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXXVIII—52; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, სურ. 11—212) იმავე ქრისტიანული სიმბოლიკიდან იღებენ სათავეს—იხ. იქვე. У в а р о в А. С. დასახ. ნაშრომი, გვ. 183. „Загнутый посох...“.

49 რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს ხალხურ, ფოლკლორულ ახოვნებასთან, არსებული რელიგიური სისტემის ხელმეორე მითოლოგიზაციასთან, როცა ქრისტიანული სიმბოლოებისა და კულტის საგნების, საკულტო შენობის „ფეტიშიზაცია“, „გაღმერთება“ ხდება. საინტერესოა, რომ სწორედ მსგავსი მოვლენები მიმდინარეობდა თანადროულ VII—VIII სს-ის ბიზანტიის იმპერიაში; რომელშაც გამოიწვია მოძრაობა, ბიზანტიის ისტორიაში ცნობილი „ხატმებრძოლობად“.

ზადებული სრულიად სხვადასხვა დროის ნივთების გავრცელებული შემკობის ხერხია. განსახილველ საკინძთა 2 ცალი აღმოჩნდა № 40 სამარხში. თარიღდება V ს. მეორე ნახევრით. ანალოგები ჩვენთვის ცნობილია დმანისის ნაქალაქარიდან, სადაც იგი XI—XIII ს-ითაა დათარიღებული[50].

ზემოგანხილული საკინძის მსგავსია № 35 ორმოსამარხში აღმოჩენილი გვერდებდაკბილული საკინძი (ტაბ. XXXI—27). იგი თარიღდება VI—VII სს-ის მიჯნით (ან VII ს-ის დასაწყისით).

ტ ი პ ი II, საკინძი რგოლისებრი თავით და ყელზე წყვილი წიბოთი (ტაბ. XXXI—26, 32) საერთო ფორმით კლიტეს მოგვაგონებს. აღმოჩნდა № 44 ქვისსამარხში. VI—VII სს. მიჯნა. შესაძლოა ანალოგიური იყო № 18 სამარხის დამტვრეული, ნაკლული საკინძი (სამარხი VII ს-ის დასაწყისის ან VI—VII სს-ის მიჯნისაა).

ტ ი პ ი III ორკაპათავიანი, ყელწიბოიანი საკინძები (ტაბ. XXXI—29) (ქვს. № 25). მათი პარალელები ჩვენთვის უცნობია. თარიღდება VII ს-ის პირველი ნახევრით.

ტ ი პ ი IV, საკინძები ყაყაჩოს პარკისებრი თავით (ტაბ. XXXI—28. 30) ქვს. № 15 და № 25. ეს სამარხები თანადროულია (VII ს. პირველი ნახ.). ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე[51], ვაშლაჯვარაში[52], ურბნისის ნაქალაქარზე (ინვ. 1—57/1472)[53].

ტ ი პ ი V, ძელის საკინძი სასანური მონოგრამის მსგავსი თავით: წრეს ორმხრივ შვერილი წიბო აქვს რომლის ზედა ნაწილზე ზის ნამგალა მთვარისებრი გამოსახულება (ტაბ. XXXI—31). მსგავსი გამოსახულებანი გვხვდება სასანური ხელოვნების ძეგლებზე[54], მონეტებზე[55].

აქ გვსურს შევნიშნოთ, რომ ქართლში V—VII სს-ის სამარხებში თითქოს მეტია ირანული (სასანური) სიმბოლოები, ვიდრე ქრისტიანული[56] თუმცა ზოგჯერ, შესაძლოა ირანული ტიპის ნივთები და მათზე გამოსახული სიმბოლოები ქრისტიანულადაც კი იყო გააზრებული. მაგ., № 35 ორმოსამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ლომის გამოსახულებით, ან არწივის გამოსახულებიანი საბეჭდა-

---

50 თ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, ძელის ნივთების კატალოგი, თბ., 1978, გვ. 44, ტაბ. III—5, ტაბ. XXIII. შესაძლოა დმანური ძელის ნივთი ალეუერის სინქრონულიცაა. დმანისის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში საკმაოდაა აღმოჩენილი ადრეულ შუა საუკუნეთა ცალკეული ნივთი. ბოლო ხანებში აქ ითხრება ადრე შუა საუკუნეთა სამაროვანიც.

51 ქვს. № 647 (47 წ.) — ინვ. № 12—54—7741. საინტერესოა, რომ ამ ფორმის რკინის საკინძი აღმოჩენილია სამთავროს № 96-ე (38 N) ქვისსამარხში.

52 ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XVI—3. კომპლექსი, ჩვენი აზრით, VII ს-ის მეორენახევრისაა.

53 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, 1964, სურ. 58—3, გვ. 129, გვ. 124. იგი, პატივცემული ავტორის აზრით, ბროწეულის ყვავილს გამოსახავს, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ბროწეულს ყოველთვის მკვეთრად დაკბილული გვირგვინით გამოსახავდნენ ხოლმე, განსახილველს კი ასეთი რამ არ ახასიათებს. ბროწეულისებრი ძელის საკინძი საგარეჯოს მუზეუმშია დაცული.

54 ფირუზაბადისა და ნაუში რაჭაბის რელიეფებზე—იხ. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы, Л., 1963, с. 39.

55 იქვე, 43; Луконин В. Г. Культура сасанидского Ирана, М., 1969, табл. IX—24, табл. XIX.

56 თუმცა ქრონიკის ცნობა, რომ „წვრილი ერი მიიქცა ცეცხლის მსახურებად" მატერიალურ-ფაქტობრივ, არქეოლოგიურ დასაბუთებას ჯერჯერობით ვერ პოულობს.

ვი № 45 ქვისსამარხიდან. ლომსა და ორბს — (არწივი) ქრისტიანულ სიმბოლიკას და სახისმეტყველებაში დიდი ადგილი უკავია[57].

სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული საკინძები. 1. მძივით თავშემკული საკინძები. სერია I, ტიპი I A — მრგვალი (ტაბ. XXXII—33[1], 34[1]), უმეტესად სარდიონის (ან გრანატის) მძივით თავშემკული საკინძები. მძივი ვარდულების გარეშე, თავბოლოში პატარა სალტეებითაა დამაგრებული ბრინჯაოს ან რკინის ღეროზე. ქვს. № 32—6 ც. (ერთი მათგანი უფრო ელიფსურია) — VI ს. ორმოსამარხი № 35—3 ც. სარდიონი, გრანატი VI—VII სს. მიჯნა (ან VII ს-ის დასაწყისი); ქვს. № 41—2 ც., V ს-ის შუა ან მეორე ნახ.; ქვს. № 44—2 ც. სარდიონი — VI—VII სს. მიჯნა; ქვს. № 45—2 ც. სარდიონი — VI ს.; ქვს. № 48—1 ც. სარდიონი — VII ს. პირველი ნახ.; ორმოსამარხი № 55—2 ც., VI ს. მათვე შეიძლება მივათვალოთ საკინძები, რომელთა მძივი ვერცხლის გარსაკრიან (ცვილისგულიან) ბურთულას წარმოადგენს — ქვს. № 50—VI ს. (პირველი ნახ.?). თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, განსახილველი ტიპის საკინძები ფართოდ, საკმაოდ ვიწრო დროის მანძილზე არიან გავრცელებული — V ს-ის შუიდან VII ს-ის დასაწყისამდე[58].

ტიპი I B — ზემოდან დამატებით პატარა მძივი აქვს დამაგრებული (ტაბ. XXXII—35—38). ორმოსამარხი № 33—2 ც. VI ს-ის მეორე ნახ. ქვს. № 50—2 სარდიონისა, მარგალიტის დამატებითი მძივით; 2 მინისა მარგალიტას მძივით — VI ს. (პირველი ნახ.?)[59].

ტიპი I C — დიდი მინის სფერული მძივი, დამატებითი მინისავე(?) პატარა მძივით (ტაბ. XXXII—39) — ქვს. № 25, VII ს. პირველი ნახ.

ტიპი II, მრგვალი მძივითა და ვარდულებით შემკული საკინძები (ტაბ. XXXII—40, 41). № 18—1 ც. მინა, VI—VII სს. მიჯნა (ან დასაწყისი VII ს.); № 26—3 ც. მინა, VI—VII სს., მიჯნა; № 27—2 ც. მინა, VI—VII სს. მიჯნა ან VII ს. დასაწყისი; № 28—2 ც. სარდიონის, VII ს. მეორე ნახ. ან VII ს-ის შუა? № 31—1 ც. მინა, VII ს-ის შუა ან მეორე ნახ.; № 36—2 ც. მინა (ფაიანსი?), VII ს. პირველი ნახ.; № 39—2 ც. სარდიონი, 1 ც. მწვანე მინა, VII ს. პირველი ნახ. (ან VII ს. დასაწყისი).

მოცემული მაგალითები მეტყველებენ, რომ განხილული საკინძები ქვაღევის სამაროვანზე უფრო VII ს-ის სამარხებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ცხვარიჭამიასა და თითქოს ვაშლაჯვარის № 8 და № 16 სამარხთა მონაცემები. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა არმაზისხევის „გვიანდელ სამაროვანზე" — № 13 ქვისსამარხი (VI—VII სს. მიჯნა), № 18 (VII ს. შუა ან მეორე ნახ.), № 79 და სხვ[60].

---

[57] Уваров А. С. 1903, გვ. 204, 205. „შენ, რომელი გფარავს გულსმოდგინედ გამოუჩინებელ ღმერთსუ ქრისტე, რომელმან სძლო სოფელსა..." მწვეთათჯს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქმული წმინდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისა. შატბერდის კრებული, 1979, გვ. 175. „განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი", იქვე, გვ. 179.

[58] 1984 წელს გათხრილ № 62 სამარხში ასეთი საკინძები VI ს. მეორე ნახევრით თარიღდება (შესაძლოა მიწურულითაც კი), ხოლო № 71 სამარხში — VII ს-ის დასაწყისით.

[59] ასეთი წყვილი საკინძი 1984 წ. გათხრილ № 73 ქვისსამარხში VI ს-ით თარიღდება.

[60] ნ. უგრელიძე, 1956; ვ. ნიკოლაიშვილი, 1979, ტაბ. XVI—32, 47, გვ. 75. უნდა აღინიშნოს, რომ ვარდულით შემკული საკინძები სამთავროს სამაროვანზე უკვე V ს-დან ჩნდებიან (იხ. ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. III—12 ქვს. № 303 (39 N), მაგრამ VI ს-ის ბოლომდე დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. მასობრივად კი მხოლოდ ამ დროიდან იკიდებენ ფეხს (ქვს. № 101 (39 N), 38 (38 N), 116 (38 N) და სხვ.) და დომინირებენ მთელი

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, „სოფლურ“ სამაროვანთა მონაცემები უფრო სანდონი უნდა იყვნენ, ვიდრე ქალაქური. ამიტომ ქვ. ალევის, ვაშლაჯვარისა და სტირფაზის სამაროვანთა მონაცემები უფრო ფართოდ უნდა შემოვიდეს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ტ ი პ ი III. ელიფსოიდური მძივით თავშემკული საკინძები (ტაბ. XXXII—42). ქვს. №44—2 ც. მინისაა, ვარდულებით შემკული — VI-VII სს-ის მიჯნა; ქვს. № 22—6 მინისა, ვარდულებიანი, VII ს. პირველი ნახ[61].

ტ ი პ ი IV „კვერცხისებრი“ მძივით თავშემკული საკინძები (ტაბ. XXXII—43—50): ქვს. № 48—VII ს. პირველი ნახ., № 18 ქვისამარხი — 4 ც. VI—VII სს-ის მიჯნა, ან VII ს-ის დასაწყისი; ქვს. № 13—2 ც. ნაკლული, VII ს-ის შუა ან მეორე ნახევარი. ტიპი IV A (ტაბ. XXXII—48, 49): ქვს. № 10—2 ც. ქარვის უსწორო კვერცხის ფორმისა, ვარდულებით. VII ს. პირველი ნახ.; ორმოსამარხი № 55—1 ც. ბრტყელი, კვერცხის ფორმის ქარვის მძივი, VI ს.; ტიპი IV B (ტაბ. XXXII—50) — კვერცხის ფორმის, ცალ მხარეს ამობურცული მძივი ასეთივე ფორმის სპილენძის თვალბუდეში ზის. ცალ მხარეს (ვიწრო) ხვრელი აქვს ღეროს დასამაგრებლად, ხოლო მეორე მხარეს ვარდული — ქვს. № 6—1 ც. VII ს. პირველი ნახ?. II ქრონოლოგიური ჯგუფის ნივთებს განეკუთვნება.

IV ჯგუფის საკინძთა თარიღი უმეტესად VII ს-ით შემოიფარგლა[62]. ქარვის მძივებიანები (A ვარიანტი) VI ს. და VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა.

ტ ი პ ი V, ცილინდრული ფორმის მძივით თავშემკული საკინძები (ტაბ. XXXII—76). მძივი მომწვანო დახშული ფერის მინისაა, დაგებულია ბრინჯაოს ღეროზე უვარდულოდ. აღმოჩენილია № 33 ორმოსამარხში. თარიღდება VI ს-ით.

დ ა წ ა ხ ნ ა გ ე ბ უ ლ ი მ ძ ი ვ ი თ შ ე მ კ უ ლ ი ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი. სერია II, ტიპი I. მოგრძო ელიფსოიდური, დაწახნაგებული სარდიონის და ბროლის მძივით შემკული საკინძები (ტაბ. XXXII—59—61). ქვს №6—1 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. პირველი ნახ.;№ 9—3 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. პირველი ნახ.; № 15—2 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. პირველი ნახ.; № 13—2 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. მეორე ნახ; № 18—2 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. დასაწყისი (თუ VI—VII სს. მიჯნა?); № 22—1 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. პირველი ნახ.; № 31—1 ც. რკინის ღეროიანია — VII ს. მეორე ნახ.; № 36—3. რკინის ღეროიანია — VII ს. პირველი ნახ.; № 37—2 ც. რკინის ღეროთი — VII ს. პირველი ნახ.; № 38—2 ც. რკინის ღეროთი—VII ს. პირველი ნახ.; № 39—2 ც. (ბროლი) რკინის ღეროთი — VII ს. პირველი ნახ.; № 44—2 ც.

VII ს-ის მანძილზე ქვს. 446 (40 N), 85 (38 N), როგორც ჩანს, უნდა გასწორდეს ჩვენ მიერ ადრე VI ს-ის დასაწყისით დათარიღებული ამბროლაურის კომპლექსის თარიღი VI ს-ის ბოლოთი ან VI—VII სს-ის მიჯნით (ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. III, 32—39), რადგან მსგავსი საყურეები ვერცხლის გარსაკრიანი საკიდებით, კონუსურფარაკიანი ბეჭედი, რომლის ბოტყუელი რკალი თანაბრად გამსხვილებულ ფარაკში გადადის, უფრო VII ს-ის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი (მაგალითად, ქვ. ალევის სამაროვანზე).

61 დაახლოებით ამავე დროისაა სამთავროს ანალოგიური მასალები — ქვს. № 446 (40 N) (VI—VII სს. მიჯნა) — აქ ერთმანეთს ხვდებიან ელიფსოიდური და კვერცხისებრი მძივებით შემკული ვარდულიანი საკინძები (ასევე № 116 (38 N), 339 (39 N).

62 შდრ. სამთავროს მონაცემები: ქვს. № 326 (59); № 790 (58)—VII ს. ქვს. № 691 (47 წ. —VII ს. მეორე ნახ.).

რკინის ღეროთი — VI—VII სს. მიჯნა; № 46—2 ც. სარდიონი, ბროლი? VII ს. პირველი ნახ.

საკინძთა ეს ტიპი პოპულარულია ქვემო ალევის სამაროვანზე. ისინი საოცრად ერთი სახის არიან; ყველა რვაწახნაგაა, ყველას სპილენძის ვარდულა აქვს თავბოლოში და რკინის ღეროზეა დაგებული. ამასთანავე კარგად თარიღდება VII ს-ის ფარგლებში (უმეტესად კი VI—VII სს. მიჯნიდან VII ს-ის შეორე ნახევრის ჩათვლით, თუმცა ამ დროის კომპლექსებში შედარებით იშვიათია).

ანალოგიური საკინძები გვხვდება სამთავროში (იშვიათად)[63], არმაზისხევში, ნავთსადენში[64], ვაშლაჯვარაში[65], მაგრანეთში (ქუშანაანთ გორი)[66].

ტ ი პ ი I—B მინის (ტაბ. XXXII—62). ქვს. № 26—გამოფიტული მინა. ბრინჯაოს ვარდულები, რკინის ღერო — VI—VII სს. მიჯნა; № 9 — ირიზებული მინა, ვარდულები, რკინის ღერო — VII ს. პირველი ნახევარი.

ტ ი პ ი II (ტაბ. XXXII—63—66). დაწახნაგებული, წვეთის ფორმის ქარვის ან მინის მძივით შემკული[67]. ქვს. № 6—2 ც., VII ს-ის დასაწყისი; № 35—2 ც. VI—VII სს. მიჯნა (ან VII ს-ის დასაწყისი); № 45—2 ც. მობრტყოებია ბრინჯაოს ღეროთი და მარგალიტის დამატებითი მძივით — VI ს.; ამათივე მსგავსია № 36 სამარხში აღმოჩენილი მინის მძივიანი საკინძი — VII ს. პირველი ნახევარი[68].

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია თხოთის მთის სამარხებში[69].

ტ ი პ ი III (ტაბ. XXXII—67—69), წახნაგოვანი, პრიზმული თავით, უმეტესად ცისფერი მინისაა: ქვს. № 18—1 ც. რკინის ღეროთი — VII ს. მეორე ნახ. ქვს. № 25—2 ც. ვარდულით (ზემოდან) და ბრინჯაოს ღეროთი — VII ს. პირველი ნახ.; № 31—2 ც. VII ს. მეორე ნახ.; ორმოსამარხი № 33—1 ც. უვარდულო, ღერო ბრინჯაოსია — VI—VII სს. მიჯნა; ორმოსამარხი № 35—2 ც. უვარდულო—VI—VII სს. მიჯნა; №38—2 ც. VII ს. პირველი ნახ.; № 39—2 ც. თავბოლოში ვარდულებით — VII ს. პირველი ნახ.; № 44—2 ც. რკინის ღეროთი — VI—VII სს. მიჯნა.

ე. ი. საკინძთა თარიღი მოდის VI—VII სს. მიჯნიდან VII ს. მეორე ნახევრამდე[70]. მძივები უმეტესად რვაწახნაგაა (ხოლო № 31 და № 35 სამარხებისა —

---

63 ო. ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, 1955 წ., ტაბ. IV, სურ. 34—10.

64 ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, 1956, გვ. 22. მცხეთა I—XVII.

65 ვ. ნ ი კ ო ლ ა ე შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XVI—4.

66 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, გვ. 44—45, სურ. 17—18.

67 მსგავსი საკინძები აღმოჩნდა ქვ. ალევის № 62 ქვისსამარხში — 6 ც. VI ს. ამ თარიღს მხარს უჭერს გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის მჯდომი დაბალცილინდრისებრი თვალბუდიანი ბეჭედიც — ტაბ. XXXVIII—1—25.

68 ასეთივეა არმაზისხევის № 21 და ნავთსადენის № 2 სამარხებში — იხ. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, 1956.

69 ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, 1983, გვ. 97, სურ. 140—4.

70 საინტერესოა, რომ ამ ფორმისა და ფაქტურის მინის მძივები გვხვდება № 40 და №42 სამარხებში. პირველი მათგანი V ს. მეორე ნახევრის უნდა იყოს.

ექვსწახნაგა). ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია ურბნისში[71], ვაშლაჯვარაში[72], არმაზისხევში[73].

IV ტიპი (ტაბ. XXXII—70), საკინძები „ბიპირამიდული“ თავით — ქვს. № 50—2 ც. მძივი სარდიონისაა, ღერო ბრინჯაოსი — თარიღი VI ს.

V ტიპი (ტაბ. XXXII—71—73), საკინძები შემკული 14 წახნაგა მძივით. მძივი უმეტესად მინისაა. ქვს. № 1—1 ც. ვარდულებითა და ბრინჯაოს ღეროთი —VII ს. მეორე ნახ.; № 9—2 ც. მწვანე მინისა, თაზე დამატებითი პატარა სარჩულიანი მძივით — VII ს. პირველი ნახ.; № 44—2 ც. ვარდულებითა და რკინის ღეროთი — VI—VII სს. მიჯნა; № 45—1 ც. რკინის ღეროთი — VI ს.

ამრიგად, საკინძთა განხილული სახეობა დამახასიათებელი ჩანს VI—VII სს. სამარხთათვის. იგი სამთაროს სამაროვანზე მაინცდამაინც ხშირად არ გვხვდება[74]. არაა ვაშლაჯვარასა და არმაზისხევში. მათი უვარდულო ვარიანტები გვხვდება თხოთის მთის სამაროვანზე[75].

VI ტიპი (ტაბ. XXXII—74, 75), საკინძები მინის, ყაყაჩოს პარკის გამოსახულებით. ისინი ზედმიწევნით გვანან ასეთსავე ძვლის საკინძის თავებს, ემთხვევიან დროითაც. ორმოსამარხი № 53—2 ც. მომწვანო ელფერის გამჭვირვალე მინისაა. ასეთი საკინძები ბოლო ხანებში აღმოჩნდა სამთაროს სამაროვანზე[76], მანამდე ცნობილი იყო იახსარის სამაროვნიდან[77]. არსებული მასალებით იგი VI ს-ით თარიღდება, თუმცა შესაძლოა VII ს-შიც გადადიოდეს[78].

საკინძები განტოტვილი თავით — სერია III. ქვ. ალევის სამაროვანზე, ისე როგორც საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ბევრ სხვა სამაროვანზე, გვხვდება საკინძები, რომელთაც თავი რამდენიმე მძივით აქვთ შემკული. ამასთან ისინი სრულიად სხვადასხვა კომბინაციებს ქმნიან.

I ტიპი, ჯერისებურად განლაგებული სამი მრგვალი მძივით შემკული საკინძები. მძივები მინის, სარდიონის ან გრანატისაა. იშვიათად აქვთ პატარა დამატებითი მძივებიც (ტაბ. XXXII—51—54). ღერო ბრინჯაოსი (უმეტესად) ან რკინისა: ქვს. № 11—2 ც. პასტისებრი მინის მძივებით, ბრინჯაოს ღეროთი და ბრინჯაოსავე „ჯანოპებით“ დამაგრებული — VII ს. პირველი ნახ.; ქვს. № 25—2 ც. ერთს ბრინჯაოს ღერო აქვს, მეორეს კი რკინისა. VII ს. პირველი ნახ.; ქვს № 50—2 ც. ბრინჯაოს ღეროთი და „სარჩულიანი“ მინის მძივებით, VI ს. პირველი ნახ.; ქვს. № 48—2 ც., 1 გრანატის მძივებით, მეორე სარჩულიანი მინის მძივებით — VII ს. დასაწყისი ან პირველი ნახ; ქვს. № 39—2 ც. გამოფიტული მინა, რკინის ღერო—VII ს-ის დასაწყისი ან VII ს. პირველი ნახ.; ქვს. № 45—1 ც. მოგრძო ოვალურსარჩულიანი მინის მძივი და ბრინჯაოს ღერო — VI ს.; ქვს.

---

71 ლ. ჭილაშვილი, 1964, სურ. 36—4,5.

72 ვ. ნიკოლაშვილი, 1979, ტაბ. XVI—35.

73 ნ. უგრელიძე, 1956—ქვს. № 57 VI ს-ის მიწურულს (ან VI—VII სს. მიჯნას); № 13, № 21—VII ს-ის დასაწყისისა; № 7, № 79 და ნავთსადგნის № 2 სამარხები VII ს. მეორე ნახევრისა.

74 ო. ტუეშელაშვილი, 1955, ტაბ. IX—7; კ. გოცაძე, 1978, ტაბ. 1—24.

75 ნ. მირიანაშვილი, 1983, ტაბ. 140.

76 კ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1—7, სამარხი № 14.

77 Р. М. Рамишвили, Яхсарский могильник. ТКЭ I, с. 101. პატივსემული მკვლევარი მას ბრინჯაოს ნაოფად მიიჩნევს, რაც უზუსტობაა. ბრინჯაო ყოველთვის მკვეთრად დაბალეული გეირგვინითაა ხოლმე გამოხატული.

78 ზუსტად ასეთი მძივები აღმოჩენილია VII ს. კომპლექსებში — ქვ. ალევი ქვს. № 57 და ცხისძირთან (ანანური) აღმოჩენილ № 2 სამარხში.

№ 44—2 ც., მინა, ბრინჯაო — VI—VII სს. მიჯნა; № 36—2 ც. მინა, რკინა — VII ს. პირველი ნახ.; № 8 — 2 ც. „პასტა", ბრინჯაო — VII ს. შუა ან მეორე ნახ.; ქვს. № 13—2 ც. გრანატი, სარდიონი, ბრინჯაო — VII ს. შუა ან მეორე ნახ.; ქვს. № 6 — 1 ც. გრანატი, რკინა — VII ს. პირველი ნახ.; ორმოსამარხი № 35—2 ც. ერთი სარდიონის მძივებით და რკინის ღეროთი, მეორე მინის (?) მძივებით და ბრინჯაოს ღეროთი, VI—VII სს. მიჯნა.

როგორც ვხედავთ, საკინძთა ეს ტიპი ძალიან პოპულარულია ქვ. ალევში[79], რასაც ვერ ვიტყვით სამთავროსა[80] და სხვა ძეგლებზე[81]. ზემოთ დასახელებული ყველა საკინძი უვარდულოა. ვარდულიანი და თან 4 მძივისაგან შედგენილი მსგავსი საკინძები აღმოჩნდა ეშლაჯვარაში. რამდენადმე მსგავსია ბ. კუფტინის მიერ სანთაში აღმოჩენილი განტოტვილი საკინძი[82].

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ განხილული საკინძები VI—VII სს-სათვის ჩანან დამახასიათებელი. ჯერჯერობით ამ თარიღის უფრო დაზუსტება არ ხერხდება, თუმცა ჩვენ მნიშვნელოვან მონაცემად მიგვაჩნია ის, რომ ისინი V ს-ის სამარხებში არ გვხვდებიან[83]. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ისინი VII ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ ჩანან[84].

II ტ ი პ ი, საკინძები ორად განტოტვილი თავით (ტაბ. XXXII—55, 56): ორმოსამარხი № 53 — მოშავო მინის მძივებითა და რკინის ღეროთი — VI ს-ის მეორე ნახ.; ორმოსამარხი № 35—3 ც. პასტის და გრანატის მძივები, რკინა — VI—VII სს. მიჯნა (ან VII ს. დასაწყისი); ქვს. № 8 — 2 ც. პასტისებრი მინა, რკინა — VII ს-ის მეორე ნახ.

---

79 კვლავ ბლომად აღმოჩნდა 1984 და 1985 წლების გათხრებისას მაგ., № 62 ქვისსამარხში და სხვ.

80 ო. ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, 1956, ტაბ. VIII—4; ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXX—53.

81 ბოლო ხანებში მომრავლდა მათი აღმოჩენები სამთავროში. მაგ., ფილით გადახურულ ორმოსამარხ № 204. იგი რკინის დაზიანებულ მშვილდსაკინძთან, 14-წახნაგა ბრინჯაოსთაიან და მორკალულ ბრინჯაოსღეროიან სასაფეთქლესთან ერთადაა კომპლექსში — იხ. კ. გ ო ც ა ძ ე, გვიანდელი ორმოსამარხები სამთავროდან, თბ.,1978 (სადიპლომო ნაშრომი). ასეთი სასაფეთქლეები ჩნდებიან ხალხთა დიდი გადასახლების დროის ევროპაში V ს-დან. ჩრდილო კავკასიის VI და VII ს-ის კომპლექსებშიც კი დასტურდებიან — იხ. Археология СССР, 1981, ნახ. 62—69, 135; ნახ. 62—69, VI ს. ამდენად № 204 სამარხი VI ს-ით უნდა დათარიღდეს. სხვათა შორის, მასში აღმოჩენილი საკინძებიც ამ დროის უნდა იყოს — ორტოტა ელიფსური და კვერცხისებრი ფორმის თავით. ყველა უვარდულოა. სხვა ძეგლებიდან იხ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, გვ. 53, სურ. 12—234, 235, 236; ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XVI—46 ათარიღებს VI—VII სს. (! ნ. ა.).

82 ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XVI—46; К у ф т и н Б. А. 1941, ნახ. 25, 5.

83 პროფ. ღ. ჭილაშვილმა IV—V სს-ით დაათარიღა სამარხთა ის ჯგუფი, რომელშიც აღმოჩენილია ასეთი საკინძები (ღ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, 1964, სურ. 36—1 თიხის სარკოფაგი № 3), რადგანაც მათში ვერ ხედავს IV ს-თვის დამახასიათებელ ბევრ ელემენტს. ამდენად პრაქტიკულად მან V ს-ის სამარხები გამოჰყო. ჩვენი დაკვირვებით კი მათში შესაძლოა VI ს-ის ნივთების პოვნაც, მაგ., საკინძები, რკინის ბეჭედი და შესაძლოა სარეც VI საუკუნისა იყოს. ამდენად ეფიქრობთ, რომ ურჭნისის თიხის სარკოფაგთა და აღაიანურთა ნაწილიც VI საუკუნისა უნდა იყოს. ნ. მირიანაშვილი მათ ნაწილს სამტოტა საკინძებით V ს-ით ათარიღებს (იხ. ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, 1983, სურ. 140—10, გვ. 98—99). თუმცა ავტორის განცხადება ვითომც „...ანალოგიური საკინძები ორტოტა და სამტოტა თავებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი V—VIII სს-ით დათარიღებულ სამარხებში" (გვ. 98), არაზუსტია, რადგან მის მიერ მითითებული ძეგლების 10-ოდე საკინძი ამის უფლებას არ აძლევს.

84 „... лишь основной период сравнительно кратковременного бытования предмета характеризует и датирует хронологический этап". — А м б р о з А. К. 1980, с. 4.

როგორც ჩანს, ეს საკინძები თანაარსებობენ I ტიპის საკინძებთან და VI —VII სს-ით თარიღდებიან. საინტერესოა, რომ მათი უშუალო ანალოგი ჯერჯერობით „საცხერეგორის“ № 3 სამარხში[85]. და სამთავროს მასალაში მოვიპოვეთ[86].

ქვ. ალეევში აღმოჩენილ საკინძთა შორის გამოიყოფა საკინძთა მცირე ჯგუფი, რომლებსაც თავი ყოველმხრივ განტოტვილი მძივებით აქვთ შემკული და „სივრცულ ჯვარს“ მოგვაგონებენ — ტიპი III. ქვს. № 38—2 ც. იგი უფრო რთულია, რადგან ქვედა მძივის გარდა ყველა დანარჩენს დამატებითი პატარა მძივები აქვთ. თარიღდება VII ს. პირველი ნახ.; ქვს. № 39—1 ც. იგი უფრო შარტივია, დამატებითი მძივები არ ამკობს. თარიღი — VII ს. პირველი ნახ. (ან VI—VII სს. მიჯნა).

ასე რომ, განხილულმა მასალამ, ვფიქრობთ, უკვე მოგვცა დამატებითი არგუმენტი ჩვენ მიერ გამოთქმული აზრისა, რომ მძივით შემკული საკინძები მხოლოდ V საუკუნიდან ჩნდებიან, ხოლო მათი ვარდულით „გამშვენიერება“ VI ს-ის ბოლოდან იკიდებს ფართოდ ფეხს[87].

ბროწეულის ყვავილისა და ნაყოფის გამომსახველი საკინძები. ბროწეულის ყვავილის ფორმის საკინძები, სერია IV, (ტაბ. XXXIII—1—9). I-მარჯნის ბროწეულის ყვავილის ფორმის საკინძები: ქვს. № 8 —2 ც. რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულებით, პატარა ზომის — VII ს. მეორე ნახ.; ქვს. № 13—1 ც. რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულებით; ქვს. № 12—1 ც. ბრინჯაოს ვარდულებით, ბრინჯაოს ღეროთი და ბრინჯაოსვე პატარა ფოთლებით; ქვს. №28—1 ც. რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულებით ქვს. № 31—4 ც. 2 ც. დიდი ბრინჯაოს ღეროთი, დიდი ვარდულებით და თავზე დამატებითი მარგალიტის მძივით, 2 ც. პატარა, რკინის ღეროთი და ბრინჯაოს ვარდულებით. ყველა VII ს. მეორე ნახევრისაა (XXXIII—1—3,6).

I A — ბროწეულის ყვავილები გამოსახული ლურჯი მინით (ტაბ. XXXIII —7—9): № 1 ქვისსამარხი — 2 ც. ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი; № 5—1 ც. ანალოგიური; № 24—2 ც. ანალოგიური; № 24—2 ც. ანალოგიური; № 43—1 ც. ანალოგიური; № 57—2 ც. ანალოგიური. ყველა VII ს. მეორე ნახევრისაა.

II — საკინძები ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებით (ტაბ. XXXIII —4,5). დამზადებულია მარჯნისაგან, ახლა გამოფიტულია: ქვს. № 28—2 ც. მცირე ზომისაა, ბრინჯაოს ვარდულები აქვს. ერთი რკინის ღეროზეა დამაგრებული, მეორე კი ბრინჯაოზე.

საკინძთა ეს ტიპები ძალიანაა დამახასიათებელი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოსათვის და წლითიწლობით, ახალ კვლევასთან ერთად იცვლება მისი გავრცელების რუკა. მაგალითად. როგორც მარჯნის, ისე ლურჯი „მინის „ბროწეულები“ ბოლო ხანებში აღმოჩნდა დმანისის რაიონის სოფ. ვარდისუბნის ქვაყუთებში[88]. ქოშიგორას სამარხებში (თბილისთან)[89], ცხეარიჭამიაში[90],

85 ბ. ჯორბენაძე, 1982, სურ. 12—239.

86 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XVI—7; კ. გოცაძე, სამარხები № 15, 41, 48, 204.

87 სრული ანალიზის წარმატებით ჩატარებაში ხელს გვიშლის და საშველს გვიძნელებს ის, რომ სრულიად დაუმუშავებელია საქართველოს (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს) გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსთა ქრონოლოგია. ამ დროისათვის ბშირია თარიღები, I—III სს., II—III სს., III—IV სს., რომლებიც სუსტადაა არგუმენტირებული და სუბიექტურ საწყისებზეა აგებული.

88 გივი ბოლქვაძე, 1984, გვ. 40.

89 Абрамишвили Р. 1981, ტაბ. XLII, გვ. 35.

90 ნ. აფხაზავა, 1984, სურ. 1—5—7.

ვაშლაჯვარაში[91], სამთავროში[92], არმაზისხევში[93], წყნეთში[94], ჟინვალში[95], ციხისძირში (ანანურთან)[96], ნახშირგორაში[97], ბეთანიაში[98], რუსთავში[99], ერწოს ველზე[100], სანგრისხევში[101], მლაშეში[102] და სხვაგან. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით თეთრ ლაქად რჩება თითქმის მთელი შიდა ქართლი კასპიდან ბაშურამდე[103] და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიები[104], თუმცა აქ გათხრილია ისეთი ეტალონური ადრეული შუასაუკუნეების ნაქალაქარი, როგორიცაა ურბნისი. იმედისმომცემი ნიშნები გაჩნდა შიდა ქართლის მთიან ზოლში, სადაც მუშაობენ ცხინვალელი მკვლევარები. გარკვეულ სიახლოვეს „მცხეთურ“ კულტურასთან ამჟღავნებს მოდინახეს სამაროვანიც, თუმცა VI—VIII სს. კომპლექსები აქ არაა გამოყოფილი[105]. გარკვეული ნიშნები ჩანს „ჩხარის ქვეყნიდან“ და ქუთაისიდან. მაგალითად, ქუთაისის მუზეუმში დაცულია „მარჯნის ბროწეულები“, რომლებიც თითქოს 20-იან წლებში უნდა იყოს მოპოვებული ქუთაისის თეატრის მშენებლობისას. ახალი საიმედო მასალები მოგვცა პალიასტომის აღმოჩენებმა, სადაც აღმოჩნდა სრულად მცხეთური ტიპის ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები, ბრინჯაოს მრგვალთავიან საკინძთან და იუსტინე II-ის (565—578) მონეტასთან ერთად. ამ ფონზე თითქოს უსაფუძვლო ჩანს ბ. კუფინის ეჭვი ერმაკოვის ალბომში გამოქვეყნებული „მცხეთური“ კომპლექსის მიმართ, რომელიც სოხუმთან აღმოჩენილა.

რაც შეეხება მათს, როგორც კულტურულ მოვლენას, ჩვენს მოსაზრებას 1979 წ. გამოთქმულს, ბევრს არაფერს დავუმატებთ. კვლავაც იმ აზრისა ვართ, რომ ისინი (ისევე როგორც სხვა საკინძები) გარკვეული რწმენის გამოვლინე-

---

91 ვ. ნიკოლაიშვილი, 1979, ტაბ. XVI—1,2.

92 ნ. უგრელიძე, 1967, ტაბ. II, გვ. 76; ნ. აფხაზავა, 1979. ტაბ. XXXIV—31, ტაბ. XXXV—12, 13 და სხვ.

93 ნ. უგრელიძე, 1956, გვ. 27, 31, 36; მცხეთა I, ტაბ. XVII—24, 25.

94 მასალა პირადად ვნახეთ შუა წყნეთში გახსნილ ქვისსამარხში.

95 Р. М. Рамишвили и др. Основные результаты работ Живальской археологической экспедиции, ПАИ в 1980 году, Тбилиси, 1982, табл. XXV—9, 10, 15.

96 მიმდინარე შემოსულობათა ფონდი, ანანური, სამარხი № 2.

97 ო. ტუშელაშვილი, 1966, გვ. 27—29.

98 ი. ქიქვიძე, ლ. ჭილაშვილი, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან, სსმმ XXII—B, თბ., 1961, გვ. 116.

99 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXXVIII—39, 44.

100 ბ. ჯორბენაძე, 1982 სურ. 6—10, 7—12.

101 ნ. უგრელიძე 1956, გვ. 82.

102 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXXVIII—1,2.

103 არქეოლოგმა გ. ნემსაძემ გაგვაცნო ასეთი ნივთების შემცველი სამარხეული კომპლექსი ზღუდრიდან, რომლის გამოქვეყნებას თანაავტორობით ვაპირებთ.

104 ლაქვარდის ბროწეული (1 ც?) აღმოჩენილია ვარძიის გათხრებისას მაგრამ ეს ვერ ცვლის სიერთო სურათს. Ломтатидзе Г. А., Артилаква В. Н. Начало археологических раскопок пещерного монастыря Вардзиа. Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тбилиси, 1971, II, с. 234.

105 შესაძლოა ამ დროისაა 1969 წ. გათხრილი № 19 სამარხი, რომელშიც სამი მინის „მთვარისებრი“ მძივი და დისკოს ფორმის თეთრად მოხატული სარდიონის მძივია. ასეთი მძივები ეკ VII და VIII სს-თვისაა დამახასიათებელი—იხ. Плетнева С. А. От кочевий к городам, М., 1967, ტაბ. 3—16

მოდინახეს მასალის გაცნობით და გამოყენების ნებართვით ისტ. მეცნ. კანდიდატმა ჯ. ნადირაძემ ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია მუშაობაში, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ბაა[106]. განსახილველ შემთხვევაში კი დაკრძალვის რიტუალის ნაწილია. ამის ნათელი დადასტურებაა ვაშლავარის № 11 ქვისსამარხში თვით ბროწეულის ნაყოფის ჩატანების ფაქტი[107]. ამასვე მიგვანიშნებს უცხოური პარალელი[108], კერძოდ, მერვეში აღმოჩენილ ერთ-ერთ ოსუარიუმზე გამოსახულია გარდაცვლილი „გმირის“ ცხოვრების სცენები, მათ შორის სიკვდილის სცენაც. ნახატის ფონი შევსებულია ბროწეულის ყვავილებით და აღნიშნულ პერსონაჟსაც ბროწეულის ნაყოფი უკავია ხელში[109].

აქვე გვსურს შევეხოთ საკითხს, თუ რამდენად მართებულია ლურჯი მინისგან დამზადებული საკინძისთავების ბროწეულის ყვავილებად ჩათვლა. მათი ფერი ხომ ბროწეულისას არ შეესატყვისება. იქნებ სხვა ყვავილს გამოსახავს, ვთქვათ, შროშანს ან სხვას. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ჯერჯერობით უფრო იმის სასარგებლოდ მეტყველებენ, რომ განსახილველი ნივთი ბროწეულის ყვავილია. ამის საფუძველს გვაძლევს სამთავროს № 13 (39 N) ქვისსამარხის მონაცემი. აქ მარჯნისაგან დამზადებულ ბროწეულს ყვავილთან ერთად გვხვდება ლურჯი მინის (თუ ლაქვარდის?) საკინძისთავი, რომელიც უოველგვარ ეჭვს გარეშე ნამდვილად ბროწეულის ნაყოფის ფორმისაა (მას მრგვალი მუცელი და დაბრილული გვირგვინიანი თავი აქვს[110]). ამრიგად, ვფიქრობთ რომ ლურჯი მინისა და ლაქვარდისაგან დამზადებულ ბროწეულს ყვავილისა და ნაყოფის ფორმის საკინძები ეჭვს არ იწვევს. რასაკვირველია, ასახსნელია თვით ფერის ასეთი „ალრევა“, რაც ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველია[111].

---

[106] ბროწეულის, როგორც სიმბოლოს თითქმის ანალოგიური აღქმა ჩანს მრავალ სხვა ხალხშიც, მაგ., ნაბატეელებში, ბერძნებში, ჩინელებში და სხვ. Палестинский сборник. Вып. 28 (91), Л., 1986, с. 214.

[107] აღმოსავლურ ქართულ ბროწეულსებრ ბრინჯაოს საკინძთა ანალოგი აღმოჩენილია თურქმენეთში, კაპარასის სახელოსნოში. ანალოგიური საკინძები ფართოდ ყოფილა გავრცელებული კუშანურ ხანაში. ისინი აღმოჩენილია ბეგრამის განათხარ მასალებშიც, იხ. Колясков С. М. Мастерская по обработке рога и кости в крепости Каварас, Этнография и археология Средней Азии, М., 1979, рис. 4а, с. 51—52.

[108] ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XVI—19, გვ. 66, გვ. 74. მ. ივამჩენკოს მოტანილი აქვს შარდენის ცნობა (გვ. 35), რომ ისპაჰანის დასპში (ზოროასტრთა დასაკრძალი აკლდამა) „В изголовье ставились бутылки с вином, гранаты, ножи и другие орудия и утварь“— Иващенко М. И. Погребения IV-го и последующих веков в Салтаво.

უნდა ითქვას, რომ გვიანი შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ფარსთა ეთნოგრაფიული ყოფის გათვალისწინება საჭიროა, თუმცა გარკვეული სიფრთხილით, რადგან უეჭველია, რომ მათ დროთა განმავლობაში მრავალი წესი გადაიღეს სხვა ხალხებისაგან, სხვა რელიგიურ სისტემათაგან, მაგ., ქრისტიანობისაგან. ეს მკვლევართა მიერ შენიშნული იყო სასანური ხანის ხელოვნების ძეგლებზეც კ. იხ. Луконин В. Библейский сюжет в сасанидской глиптике, СГЭ, XVII, с. 49—50.

[109] К о ш е л е н к о Г. А. Родина парфян, М., 1977, გვ. 150—157.

[110] ნ. ა ფ ა ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XLII—11.

[111] რუსთაველ მასალაში აღმოჩენილია საკინძები ბროწეულის ყვავილის გამოსახულებით, რომლის თავი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული — იხ. იქვე, ტაბ. XXXVIII—39. მისი სახით ხელთ გვაქვს ოქროსფერი ბროწეულის ყვავილი. ძველი ალთქმის მიხედვით ქურუმის (მღვდლის) სამოსელს ამკობდა ლურჯი და ძოწისფერი ქსოვილისაგან ნაქეთები ბროწეულები — იხ. გამოსვლათა 28,33 — მცხეთური ხელწერით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1981 გვ. 196. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ აღმოსავლეთის ხელოვნებაში ხშირად ფერს ძლიერ პირობითად, მხოლოდ ურთიერთშეხამებისთვის იყენებდნენ. ამიტომ ეხედებით, მაგალითად, „ლურჯწვერიან“ ხარებს, ცისფერ და ვარდისფერ ცხე-

ამ ბროწეულთა ფორმის საკინძების გაჩენას ჩვენ VII ს-ის შუა ხანებიდან ვვარაუდობდით. იგი თავის დროზე დავასაბუთეთ კიდეც ყველა მონაცემით[112]. ამის შემდეგ ჩვენ გაეცანით ნ. უგრელიძის ხელნაწერ ნაშრომს არმაზისხევისა და ნაცოსაღენის ადრე შუა საუკუნეების მასალების შესახებ. იქ აღმოჩნდა ჩვენი ქრონოლოგიის დამადასტურებელი 2, ხოლო „მოწინააღმდეგე" 4 სამარხული კომპლექსი[113]. ამ უკანასკნელებში ბროწეულები ხვდებიან VII ს-ის პირველი ნახევრის ჰერალდიკური ქამრის დეტალებს, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს მათი სინქრონულობა და ბროწეულთა გაჩენა უკვე VII ს. დასაწყისში ვივარაუდოთ. მაგრამ, ჯერ ერთი, მითითებული არმაზისხევის სამარხეული კომპლექსები მთლად ზუსტნი არ ჩანან მეცნიერული დოკუმენტაციის მხრივ და, როგორც ჩანს, კორექტივების გარეშე მათი გამოყენება ზუსტი ქრონოლოგიისათვის შეუძლებელია. მაგალითად, პატივცემული ავტორის მიხედვით № 77 ქვისსამარხში ხუთი მიცვალებული ყოფილა დაკრძალული. ერთმანეთის თავშეკვეთითი (? ნ. ა.), ორს თავი W-სკენ ჰქონდა, 3-ს კი O-სკენო[114] აბზინდებიან და „ბროწეულებიან" № 20 სამარხში კი ძვლები არეული იყო და მიცვალებულთა რაოდენობა ვერ დავადგინეთო[115]. № 7 სამარხში არაა დადგენილი თუ რომელი ნივთი რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა; არადა მათი აღწერის მეხედვით ერთდროული დაკრძალვა არ ჩანს[116]. ასე რომ, სუსტად დოკუმენტირებისა და სიტუაციების დაუდგენლობის გამო აღნიშნული მასალის გამოყენება ქრონოლოგიის საკითხებზე მუშაობისას შეუძლებლად მიგვაჩნია, იგი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანა მხოლოდ გარკვეული კომენტირების შემდეგ შეიძლება[117].

მეორე მხრივ ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთი ქრონოლოგიურად მომიჯნავე ნივთები, როგორიცაა VII ს-ის პირველი ნახევრის ქამრები და VII ს. მეორე ნახევრის საკინძები, ზოგ კომპლექსში კიდეც უნდა „ხვდებოდეს" ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის დიდი ქრონოლოგიური ინტერვალი უნდა გვევარაუდა. ასე რომ, ჩვენთვის ცნობილი 14 კომპლექსიდან 4-ში მათი შეხვედრა შეიძლება დასაშვებადაც მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა ნახევარი მაინც სამარხის ხელმეორედ გამოყენების შედეგი უნდა იყოს. სხვა დამატებითი არგუმენტები ჩვენი დათარიღების სასარგებლოდ ასეთია: რო-

---

ნებს და სხვ. (იხ. ე. აფანასევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, თბ., 1986, გვ. 108). რა თქმა უნდა, როგორც აღნიშნულ, ისე წარმოჩენილ ზოგ საკითხს შემდგომი ჩაღრმავებული კვლევა ესაჭიროება, მაგრამ ამჟამად ყურადღების გამახვილება მაინც საჭიროდ ვცანით.

112 იქვე, გვ. 90—92. ჩვენი მოსაზრებანი ბროწეულის სიმბოლიკისა და ადგილის შესახებ ადრე შუა საუკუნეების ქართულ მასალებში, მისი კავშირის შესახებ, ერთი მხრივ, წარმართულ კალენდართან, ხოლო მეორე მხრივ, ღვთისმშობლის კულტთან, გაეუზიარეთ 1984 წ. გაზაფხულზე თბილისში მყოფ აწ განსვენებულ ე. გ. ლუკონინს, რომელიც დაგვეთანხმა მისი როგორც თარიღის, ისე რიტუალთან და სიმბოლიკასთან დაკავშირებულ საკითხებში.

113 იხ. ნ. უგრელიძე, 1956, გვ. 31, 38, 83 და სხვ.

114 იქვე, გვ. 53. დაკრძალვის ასეთი შემთხვევა ადრე შუასაუკუნეებისათვის „უცნაურია" ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მასში ერთდროულ დაკრძალვაზე საუბარი სრულიად ზედმეტია და სხვადასხვა, მით უმეტეს მომიჯნავე პერიოდის ნივთების ურთიერთშერევაც გასაგები უნდა იყოს.

115 იქვე, გვ. 38.

116 იქვე, 1956, გვ. 31.

117 სხვათა შორის, ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ ამ სამაროვანზე აღმოჩენილ „ფელსებს" და სხვა ნივთიერ მასალას.

გორც სხვაგან, ისე ალევში, ბროწეული თითქმის ყოველთვის გვიანდელ, სამაროვნის ბოლო პერიოდის ნივთებთანაა ხოლმე; შავი მინის ბეჭდებთან (№ 12, 24, 43 სამარხები), ჰერაკლეს ვერცხლის მონეტასთან ერთად. მაშინ როცა სასანურებთან შეხვედრის მხოლოდ ერთი შემთხვევაა გვაქვს, ისიც შემთხვევით აღმოჩენილ (მეცნიერულად გაუთხრელ) № 1 სამარხში[118]. ამასვე მეტყველებს სამარხთა სტრატიგრაფიაც. ქვს. № 28, რომელშიც სამი მარჯნის ბროწეული, თავზე ადგას № 56 ორმოსამარხს. ეს უკანასკნელი VI ს. მეორე ნახევრის უნდა იყოს მშვილდსაკინძებისა და ბეჭდის მიხედვით. ხაზგასასმელია ისიც, რომ ზედა სამარხს ქვემოთა არ დაუზიანებია, ე. ი. მათ შორის მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ინტერვალი უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ სულ ცოტა VII ს-ის შუა წლები. და ზოგადად ისიც უნდა ითქვას, რომ ბროწეულიანი სამარხები სამაროვნის „ახალგაზრდა“ (ჩრდ.-დას.) ნაწილშია განლაგებული. ასე რომ, მარჯნის ბროწეულთა გავრცელების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ხანა VII ს-ის შუიდან VIII ს-ის დასაწყისამდე (შესაძლოა ზოგ ძეგლზე შუამდეც) კვლავ რეალური გვეჩვენება. აქვე გვსურს შევეხოთ განხილულ მასალასთან დაკავშირებულ ერთ საკითხს.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე ტომში, სტატიაში „ზოროასტრიზმი“ (უფრო სწორად, სტატიის მეორე ნაწილში — „ზოროასტრიზმი საქართველოში“, რომლის ავტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ი. გაგოშიძე) აღნიშნულია, რომ „VIII—IX სს-ში საქართველოში ხდება ზოროასტრული კულტების ერთგვარი გამოცოცხლება, რაც შეიმჩნევა ნივთიერი კულტურის ძეგლებში (გველდესის საკურთხეველი, ბ რ ო წ ე უ ლ ი ს უ ყ ა ვ ი ლ ი ს თ ა ვ ი ა ნ ი ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი და სხვ.) (ხაზი აქ და ქვემოთაც ჩვენია, ნ. ა.). ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას როგორც რეაქცია არაბთა მძლავრობაზე და შედეგი ირანიდან ლტოლვილ ცეცხლთაყვანისმცემელთა შემოხიზვნისა საქართველოში“. როგორც ჩანს, მოტანილი მოსაზრება მთლიანად ორიგინალურია, რადგან ავტორი არ იმოწმებს შესაბამის ლიტერატურას. ვერც დაიმოწმებდა, რადგან „ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები“ შუა საუკუნეთა ნივთიერი კულტურის მკვლევართაგან არავის დაუთარიღებია VIII—IX სს-ით. საქმე ისაა, რომ ქართლში მთელი V—VII სს-თა განმავლობაში გვაქვს როგორც ბრინჯაოსაგან, ძვლისაგან, მინისაგან და მარჯნისაგან დამზადებული ბროწეულის ყვავილის, ისე ნ ა ყ ო ფ ი ს გამომსახველი საკინძები. განსახილველი სტატიის ავტორს კი მხოლოდ ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი აქვს დასახელებული, თან ნაკეთობის მასალის მიუთითებლად. როგორც ჩანს, მას ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ს ფორმის საკინძებზე განსხვავებული მოსაზრება აქვს. ამასთან შემოთავაზებული თარიღი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშეა. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ეჭვით შევხედოთ ავტორის დაუსაბუთებელ განცხადებებს, რადგან მეტს მოვითხოვთ, მართალია მცირე მოცულობის, მაგრამ უზარმაზარი სამეცნიერო ინფორმაციის შემცველობის სურვილს მჭონე სტატიისაგან. ამიტომ მკითხველს წვრილმანად ნუ მოეჩვენება საუბარი „ბროწეულის ყვავილებსა და საყოფებზე“.

---

118 დაახლოებით ანალოგიური თარიღი (VII—VIII სს.) ჰქონდა მიღებული თავისი დაკვირვებების შედეგად მ. ივაშენკოს (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 14). ბროწეულიანი საკინძების გვიანდელობის აზრს იზიარებს ვ. ნიკოლაშვილიც (იხ. მისი — დიდმი ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1985, გვ. 100).

ვებრუნდებით განსახილველ საკითხს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ „ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები" VIII—IX სს-ით არ თარიღდებიან. საკინძები, რომლებიც ბროწეულის ნაყოფს ან ყვავილს გამოსახავს, აღმოსავლეთ საქართველოში უკვე V—VI ს-დან გვხვდება[119]. რაც შეეხება მარჯნისგან დამზადებულ ბროწეულის ყვავილისადანაყოფის გამოსახულებიან საკინძებს, მათ მკვლევართა უმეტესობა ადრეულ შუა საუკუნეთა II ეტაპის, ანუ VI—VIII საუკუნეებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს[120]. ჩვენ შევეცადეთ დაგვეზუსტებინა თარიღი და სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე VII ს-ის შუიდან, VIII ს-ის პირველ ნახევრამდე განვსაზღვრეთ მათი არსებობის ხანა (იხ. ზემოთ გვ. 74—75)[121]. ხოლო რაც შეეხება ამ ნივთების შემცველ სამაროვანთა IX საუკუნემდე მოღწევის საკითხს, ამაზე ზემოთ უკვე საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ (იხ. გვ. 54—57) და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ VIII ს-ის მეორე ნახევრისა და IX საუკუნის სამარხები არ გვხვდება არც სამთავროზე, არც არმაზისხევში („გვიანდელი სამაროვანი"), არც ალევში და არც სხვა მსგავს სამაროვანზე[122].

განსახილველ საენციკლოპედიო სტატიაში დაუსაბუთებელია დებულება, რომ ბროწეულის ყვავილის გამოსახულებიანი საკინძები „ზოროასტრულ კულტებთანაა" დაკავშირებული. სხვათა შორის, თავის დროზე მ. ივაშჩენკოს სამთავროს სამაროვნის მონაცემებში (დაკრძალვის წესი, ნივთიერი კულტურა, მათ შორის ბროწეულები და სხვ.) უძებნია ირანული კულტების კვალი, მაგრამ ბევრი საერთო ვერ აღმოუჩენია მასთან[123]. გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია აზრი, რომ „ბროწეულისებრი" საკინძები ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული[124]", „საფიქრებელია, რომ ეს არის ნაყოფიერების სიმბოლო, სავსებით ბუნებრივი ქალთა სამკაულებში" — გ. ლომთათიძე[125]. დაახლოებით ანალოგიური აზრი გამოთქვით ჩვენც: „ამავე დროიდან (VII ს-ის შუა წლები — ნ. ა.) ჩნდებიან მარჯნის ბროწეულებიანი საკინძები. შესაძლოა, ეგი წარმართობის კონსპირაციული გამოვლინება იყო (ნაყოფიერების ქალღვთაების, რომელიც ღვთისმშობლის კულტს „შეეფარა"). ასეთი რამ შესაძლებელია იმ დროის რელიგიური სიტუაციის მიხედვითაც"[126]. ბროწეული, როგორც სიმბოლო ნაყოფიერებისა (ან ნაყოფიერების ქალღვთაებებისა) გავრცელებული იყო მრავალ ხალხში (იხ. ზემოთ გვ. 73), მათ შორის ირა-

---

119 იხ. ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 85—86, 109; გ. ბოლქვაძე, 1985, გვ. 40.

120 ო. ტუშელაშვილი, სამთავროს ქვისსამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, სსმმ, XIX—A—XXI—B, გვ. 150—155; ნ. უგრელიძე, 1967, გვ. 76, ტაბ. II; ბ. ჯორბენაძე, 1982, გვ. 74.

121 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 89—91.

122 რაც შეეხება „გველდესის საკურთხევლის" საკითხს, აქ ბევრი გასარკვევი არაფერია. როგორ შეიძლება საუბარი ზოროასტრული კულტების გამოცოცხლების ასახვის შესახებ ქრისტიანულ ეკლესიაში და ისიც საკურთხეველში. „წარმართული საწყისების" მქონე სიმბოლოები ქრისტიანობაში, ქრისტიანული კულტის საგნებზე, ხელოვნებაში თუკი გვხვდება, ისიც ძველი წარმართული არსისაგან დაცლილი, დესაკრალიზებულია ხოლმე და გაიაზრება ქრისტიანული რწმენის, მისი სახისმეტყველების შესაბამისად.

123 „Мазденизм оказал крайне незначительное влияние на погребальные обряды жителей древней Мцхеты"—Иващенко М. И. Погребения IV-го и последующих веков в Самтавро (рукопись), с. 36.

124 Куфтин Б. А. 1941, с. 22.

125 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 337.

126 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 112.

ნელებშიც. კერძოდ, იგი ერთ-ერთი სიმბოლო იყო არდვისურა ანაჰიტასი. მაგრამ მხოლოდ ამიტომ დაგვენახა ქართლში მაზდეიზმის თუ ზოროასტრიზმის გავლენა, არ იქნებოდა მართებული; მით უმეტეს, რომ თვით ანაჰიტას (ისევე როგორც მითრას) კულტის არსებობაც სულ არ ნიშნავს ხოლმე მაზდეიზმის აღსარებას. „ანაჰიტას მრავალ ნიშან-თვისების სათავე ირანის ზეგანზე ირანელთა დამკვიდრებამდე მცხოვრებ უძველესი მოსახლეობის რწმენებშია, რის გამოც ანაჰიტას კულტი შეიძლება განვიხილოთ როგორც წინააზიური რელიგიური სუბსტრატისა და ირანული ელემენტების შერწყმა... დასავლეთ ირანსა და მესოპოტამიაში ანაჰიტა ქალღმერთ ნანასთან და ნაყოფიერების სხვა ქალღმერთებთან იყო უეჭველად ასოცირებული“[127]. ე. ი. ანაჰიტას სიმბოლოები და იპოსტასები არაირანულ ქალღვთაებებსაც ახასიათებთ.

ამიტომ, რელიგიურ სიმბოლიკაში ბროწეულის არსებობა სულაც არ უნდა ნიშნავდეს „ზოროასტრული კულტების“ გავრცელებას.

მით უფრო უცნაურია ავტორის აზრის შემდგომი განვითარება. თითქოს ზოროასტრული კულტების გამოცოცხლება. ერთი მხრივ, იყო რეაქცია არაბთა მძლავრობაზე, მეორე მხრივ კი, „შედეგი ირანიდან ლტოლვილ ცეცხლთაყვანისმცემელთა შემოხიზნვისა საქართველოში“. ჯერ ერთი, არაბები ქართლში ფეხს მყარად მხოლოდ VIII ს-ში იკიდებენ, მაშინ როცა „ბროწეულები“ აქ „გადაშენების გზაზეა“ (ამდენად ამ დროს ი. გაგოშიძისეული ზოროასტრიზმის ნიშნებიც წარმავალია) და, რაც მთავარია, ავტორს შეეახსენებთ, რომ ქვეყანა IV ს-დან მყარად და შეურყეველად დგას ქრისტიანობის აღმსარებლობაზე და არაბთა მძლავრობაზე რეაქცია გამოიხატა „ჰაბოს წამების“, „კონსტანტინე კახის წამების“, „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ სახით. არა გვგონია ამ ნაწარმოებებს რაიმე საერთო ჰქონდეთ ზოროასტრიზმთან. განა ზოროასტრიზმზე იყო დამყარებული ეროვნული სულისკვეთების ის მძლავრი აღმავლობა VIII—X სს-ში რომ ხედავენ მკვლევრები[128]?

ასევე უარგუმენტოა საენციკლოპედიო სტატიის ავტორის ცდა ბროწეულის ყვავილების გაჩენა საქართველოში ირანიდან ლტოლვილ სპარსელებს დაუკავშიროს. სხვათა შორის, თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ „მართალია არაბთაგან დევნილ სპარსთა „შემოლტვას“ ქართლში წყაროები ადასტურებენ (ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 148), მაგრამ არა გვგონია მათ უკავშირდებოდეს აღნიშნულ საკინძთა გაჩენა, რადგან ამ დროისათვის მსგავს ნივთთა დამზადება-გამოყენების დიდი ხნის ტრადიცია იყო ჩვენში“[129]. მართლაც, სხვადასხვა სიმბოლოებითა თუ სახეებით (სვასტიკა, ჯვარი, მტრედები, ბროწეულები და სხვ.) თავშემკული საკინძები აღმოსავლეთ საქართველოში V საუკუნიდან (სხვა მკვლევართა მიხედვით IV ს-დან) ჩნდებიან, სამარხეულ ძეგლებზე VIII ს-ის თითქმის შუახანებამდე აღწევენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ქალის თმის ქინძისთავები თუ საკინძები ადრეულ შუა საუკუნეებში გვხვდება უმთავრესად საქართველოში და მის მეზობელ ზოგიერთ, როგორც ჩანს, კულტურულ გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყანაში, მაგ., ჩრდილო ალბანეთში (ფაქტიურად ჰერეთში), მთიან დაღესტანში და ჩეჩ-

---

[127] Ф р а й Н. Р. Наследие Ирана, М., 1972, с. 167—168.

[128] გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავით გარეჯელის ცოცხალ ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 78.

[129] ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 91, სქოლიო 89. ჩვენ ამ ცნობის კომენტარი ამიტომ დაგვჭირდა, რომ მკვლევართა ნაწილში დღეს ფეხმოკიდებულია პოსტსასანური კულტურული გადმოღლინებების მსგავსი მოვლენებით (ირანელთა მიგრაცია და სხვ.). ახსნა.

ნეთში[130]. საკუთრივ ირანის ტერიტორიიდან ასეთი ნივთები უცნობია, მომავალში რომც აღმოჩნდეს, საკითხის არსს ვერ შეცვლის.

ასე რომ, სტატიის განხილული ნაწილის არც ერთი დებულება სწორი არაა. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ იგი საკითხში ნაკლებად ჩახედული მეცნიერის ნაღვაწია. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ისტ. მეცნ. დოქტორი ი. გაგოშიძე აღრეული შუა საუკუნეების მკვლევარი არაა და მისი მოღვაწეობის სფერო უფრო ანტიკური ხანაა; მაგრამ საენციკლოპედიო სტატიის არც „ანტიკური ნაწილია" სათანადო დონეზე შესრულებული. მაგალითად, ავტორი საქართველოში ზოროასტრული კულტების არსებობის სამ ეტაპს გამოჰყოფს, მათგან I პერიოდი ძვ. წ. VI ს. ახ. წ. III სს. მოიცავს თურმე. ამ პერიოდის დასახასიათებლად ჩამოთვლის ირანულ „ზოროასტრულ თეოსოფიურ" (კორ. „თეოფორულ"—ნ. ა.) სახელებს — ფარნავაზი, ბაგრატი, ბაკური, ბარტომი, მირდატი, ადარნასე, აზორკი და სხვ."[131]. საენციკლოპედიო სტატიის ეს და ზოგი სხვა ნაწილი, როგორც ჩანს, ემყარება ერთადერთ მითითებულ ნაშრომს, რომელიც პროფესორ მ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის[132]. შესაბამის წყაროებში ჩახედვამ გვიჩვენა, რომ ჩამოთვლილ სახელთაგან რამდენიმე არ შეესაბამება მითითებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს, ზოგი კი უბრალოდ ქართველს არ ეკუთვნის. მაგალითად, სახელი „ადარნასე" ქართულ არისტოკრატიაში მხოლოდ ახ. წ. V ს-დან ჩანს. იგი ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სამშვილდის ერისთავია"[133], „ბაგრატი კიდევ უფრო გვიანდელია[134]. ვახტანგ გორგასლისაც ეპოქისაა სახელი „არტავაზ". ხოლო ის არტავაზ, რომელიც ქართლის ცხოვრებაში დაფიქსირდა პირველ საუკუნეებთან დაკავშირებით. სომეხთა მეფის არტაშან (არტაბან)-ის ძეა[135]. სხვათა შორის „თეორიულ" სიაში ეს უკანასკნელიც შეუტანია ი. გაგოშიძეს მომდევნო ნაშრომში[136]. რატომ მოუვიდა გამოცდილ მკვლევარს ამდენი შეცდომა? პასუხი ალბათ ერთია—ავტორს სურდა გაემრავლებინა თავისი თეორიის შესაბაგრებლად ძვ. წ. VI—ახ. წ. III საუკუნეთა ქართლში ზოროასტრთა(თუ მაზდეანთა) არსებობის მაგალითები. ახლა მივადექით საკითხს, თუ რა გზით გავრცელდა „I ეტაპზე" საქართველოში მაზდეანური კულტები (თუ ზოროასტრიზმი). ავტორის მიხედვით თურმე იგი მშვიდობიანად გავრცელებულა. თეორიულად ეს სრულიად დასაშვებია (ანტიკურმა ხანამ ნაკლებად იცის უცხო კულტთა ძალით თავს მოხვევის მაგალითები). მაგრამ ისტ. მეცნ. დოქტორს ი. გაგოშიძეს

---

130 თითო-ოროლა ბრინჯაოს საკინძი აღმოჩენილია დვინში. ისინი ჯვრისებრ მშვილდსაკინძებთან ერთად ალბათ იბერიული იმპორტის საგანია იქ.

131 საკითხში ჩახედული მკითხველი მიხვდება, რომ ეს „თეოფორული" სახელებთან დაკავშირებით სრულიად ზედმეტია ძვ. წ. VI—IV სს., რადგან ამ დროის ან ამ ხანასთან დაკავშირებულ წყაროებში არაა დასახელებული არც ადგილობრივი მმართველები, არც ადგილობრივი არისტოკრატია. ქართლის სახელმწიფოებრიობა ხომ IV ს-ის ბოლოდან იქმნება. ავტორს ეს შეუსაბამობა შეუმჩნევია და უკვე ქვემოთ განხილულ რუსულ სტატიაში თეოფორულ სახელთა ქრონოლოგიის ახალი ვარიანტია მოცემული ძვ. წ. III ს. ახ. წ. IV ს. (?) — იხ. გვ. 102.

132 ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. I, 1966, გვ. 417—515.

133 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 176. იხ. აგრეთვე ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

134 მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 438—443. მოტანილი ფაქტი საეჭვოა იმითაც რომ, ქართული „ბაგრატ" შემოსულია სომხური გზით — თეო ჩხეიძე, ნარკვევები ირანული ონომასტიკონიდან, თბ., 1984, გვ. 16.

135 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 49.

136 Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II—I вв. до н. э. Дедоплис Мицдори), КСАДС, М., 1982, с. 102.

ეს ვარიანტი არ გამოადგებოდა რადგან ამ შემთხვევაში ირანელი რელიგიის ქართლში ძლიერი ფეხმოკიდება, მით უმეტეს სამეფო დინასტიაში, არ იქნებოდა დამაჯერებელი. ამიტომ ავტორმა არჩია მომგებიანი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც თურმე ქართველებმა (თუ ქართულმა ტომებმა) აქემენიანებს ნებით დაპყრობინეს თავი[137]. ხომ ნაცნობია: „მოდით, იმთავრეთ და გვეუფლეთ ჩვენ"[138], აქედან, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივია, რაკი ნებით დაემორჩილნენ, „ერთმორწმუნენიც" უნდა გამხდარიყვნენ (იქნებ იყვნენ კიდეც უკვე ერთმორწმუნე? მაშინ უფრო ბუნებრივი ჩანს „თვითდაპყრობის „სერვილი. ამას ისტორიის გვიანდელი მაგალითებითაც შევამაგრებდით). მაგრამ საქმე ისაა, რომ VI—IV სს-ში თვით ირანში რელიგიური სიტუაცია მთლად გარკვეული არ ჩანს[139] კულტის საკითხი მოუწესრიგებელია, ნამდვილი სატაძრო არქიტექტურაც კი არ აქვთ ძვ. წ-ს III საუკუნემდე (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ), მაშინ როცა ქართლში უკვე დგას ციხია გორას ტაძარი, IV ს-დან მაინც[140]. ძნელი მისახვედრია VI—IV სს-ში რა უნდა გავრცელებულიყო საქართველოში. საკითხები რელიგიასთან დაკავშირებით იმდენად ბუნდოვანია, რომ ი. გაგოშიძეც შესაბამის გამოთქმებს იყენებს „ზოროასტრიზმის რომელიღაც სახეობა", „მაზდეიზმის ერთ-ერთი ფორმა", „...одна из разновидностей маздеизма"[141] და თურმე ეს საკმაოდ გაურკვეველი რელიგია ქართლში „...შესაძლოა სამეფო კულტის დონემდეც კი ამაღლდა. ამის საბუთი უნდა იყოს „დედოფლის მინდორზე" (ქარელის რ-ნი) აღმოჩენილი ძვ. წ.II—I სს-ის სატაძრო კომპლექსი, რომელიც უეჭველად (ხაზი ჩვენია, ნ. ა.) უკავშირდება ცეცხლთაყვანისმცემლობას (იხ. დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლები)". უნდა ითქვას, რომ მითითებულ სტატიაში ვერ მივაგენით აზრს დედოფლის მინდვრის ტაძრის ცეცხლთაყვანისმცემლობასთან კავშირის შესახებ (იხ. ჩსე, ტ. 2.) სხვათა შორის ავ-

---

[137] „Добровольному подчинению Грузии персам"... см. Гагошидзе Ю. М. Картли (Иберия) в V—I веках до н. э. (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 1983, გვ. 4, გვ. 48. ზოგ ხალხთან დაკავშირებით წყაროები ასეთ რამეს თითქოს აღნიშნავენ, მაგრამ მათ შორის ქართველი ტომები არ იხსენიებიან, იხ. Ксенофонт. Киропедия, I, 1, 4.

[138] გარდასულ წელთა ამბავი. ძველი რუსული მწერლობა, I; თენგიზ ბუაჩიძე, თბ., 1973, გვ. 86.

[139] „Ахемениды были ли они зороастрицами? По-моему, ответ должен быть отрицательным... Были ли они зерванистами? Мне трудно дать положительный ответ—храмов не существовало, и был только культ Ахура Мазды, Анахиты и Митры... Башни Пасаргад и Накш-и Рустам были не чем иным, как исключением, допущенным для возвеличения двух ахеменидских грандиозных столиц, построенных двумя мировыми властелинами на земле их предков"—Гиршман Р. М. Религии Ирана от VIII века до н. э. до периода ислама, КВ, Л., 1978, с. 73. აქ უნდა დაეძინოთ, რომ აკადემიკოსი გირშმანი ამ საკითხებში უყველაზე დიდი ავტორიტეტია. მოვუსმინოთ სხვა ავტორებსაც: „...погребальные обряды Ахеменидов и персидского народа противоречили зороастрийским предписаниям", Дандамаев И. А., Луконин В. Г. Культура и экономика древнего Ирана, М., 1980, с. 323. „Религия самих Ахеменидов была далека от „чистого" зороастризма"—Абаев В. И. Пятый столбец Бехистунской надписи Дария I и антидевовская надпись Ксеркса. ВДИ, № 3, 1963, с. 117—118; Дорошенко Е. А. Зороастрийцы в Иране, М., 1982, с. 16—18.

[140] Цкитишвили Г. Результаты работ на Цихиагора (1971—1974), КС 151, с. 89—90. რ. გირშმანის მიხედვით ნამდვილი საკულტო არქიტექტურის ნიმუშები ირანში მხოლოდ პართული ხანიდან გვაქვს. იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[141] Гагошидзе Ю. М. 1983, с. 33.

ტორიტეტულ მეცნიერთა ნაწილს არც ამ კომპლექსის „ტაძრობა“ მიაჩნია უეჭველი და შესაძლოა არცთუ უსაფუძვლოდ[142].

„დედოფლის მინდორს“ უფრო გვიან მიეძღვნა ავტორის სტატია „ქართულ-ირანულ ურთიერთობათა ისტორიიდან (II-I ს-ის ტაძარი დედოფლის მინდორი)“[143]. სადაც იგი საბოლოოდ აყალიბებს დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის ცეცხლის კულტთან კავშირსა და „ქართული მაზდეიზმის“ იდეას (გვ. 114). მაგრამ აქ და მომდევნო ნაშრომებში ამ სერიისა აღარაა მითითებული 1978 წელს „მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, VI, სტატიაში დამოწმებული ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი, სადაც დიდი მეცნიერი ჯერ კიდევ 60 წლის (თუ მეტი ხნის) წინ წერდა: „...რაკი ქართველთა ეროვნული სარწმუნოება მნათობთა თაყვანისცემა იყო, საქართველოში შემდეგ შემოხიზნულ მაზდეიანობას სპარსულ მაზდეიანობასთან შედარებით თავისებური ელფერი ექნებოდა“[144]. ეს დებულება ხომ ქვაკუთხედია ი. გაგოშიძის თეორიისა. ახლა ვნახოთ, კიდევ რა მასალას იყენებს ავტორი თავისი ნააზრევის შესამაგრებლად. ათარიღებს რა დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსს II ს-ის ბოლო ან I საუკუნის დასაწყისით (გვ. 110) სქოლიო 5-ში წერს, რომ თითქოს „ასეთ დათარიღების არაპირდაპირ საბუთად შეიძლება დავიმოწმოთ ქრონოლოგიური ჩარჩოები საკულტო და სხვა ნივთების მცირე განძისა, რომელიც ნაპოვნია ტაძრის მიდამოებში 1926 წ“. (ხაზი ჩვენია, ნ. ა.). იქვე 113-ე გვერდზე წერია, რომ „...В упомянутом кладе, найденном в 1926 г. на Дедоплис Миндори“... მკითხველს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ, ამ ნაწყვეტთა მიხედვით გვექმნება შთაბეჭდილება, რომ „განძი“ აღმოჩენილია სატაძრო კომპლექსთან ახლოს, უშუალო კავშირში (არქეოლოგიურად), მაგრამ როგორც „საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კატალოგში“ (ავტორი ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილი) წერია, ნივთები ზემოდასახელებული განძი) ნაპოვნია არადეთის ორგორაზე, რომელიც რაღაცნაირად, ზოგადისტორიულ ასპექტში შესაძლოა დაკავშირებულია დედოფლის მინდვრის კომპლექსთან, მაგრამ კონკრეტულად, არქეოლოგიური სიტუაციით იგი ცალკე ძეგლია, მისგან დაცილებული რამდენიმე კილომეტრით (მათ შორის მანძილი სულ ცოტა 5 კმ უნდა იყოს) და შესაძლოა, ქრონოლოგიურადაც რამდენადმე განსხვავებული. მართლაც საინტერესოა, რომ მითითებული კატალოგის მიხედვით განძის ქრონოლოგიური ჩარჩო ახ. წ. I საუკუნეა. ასე რომ, ი. გაგოშიძე ვერც ამ დეტალებში იცავს სიზუსტეს.

ავტორი თავისი მოსაზრების სასარგებლო ძლიერ მწირი მასალის გასამდიდრებლად მოიხმობს „ზოგიერთი მკვლევარის“ აზრს, რომ ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება არმაზის სახელიც აქემენიდური ხანის „ახურამაზდას“ უკავშირდება. მაგრამ სულ ახლახან ცნობილმა მკვლევარმა კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა, რომ „...არმაზის კერპს ირანულ რელიგიურ სამყაროსთან არაფერი აქვს საერთო“[145]. რა ვუყოთ ამ აზრს? მართლაც,

---

142 „... დედოფლის მინდვრის არქიტექტურული კომპლექსი ფუნქციონალურად სხვაგვარ გააზრების საფუძველსაც იძლევა“. ო. ლორთქიფანიძე, ძვ. წ. V—I საუკუნეების ქართლის (იბერიის) ისტორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხის შესახებ. „მაცნე“, № 1, 1985, გვ. 144.

143 დაიბეჭდა 1981 წელს კრებულში „Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье“.

144 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 324.

145 გრიგოლ გოთრგაძე, ხეთურ-არმაზული „ტრიადები“, „მნათობი“, №7, 1985, გვ. 155, 147—157.

როგორც ქართული ნარატიული წყაროები მიგვითითებენ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვ.) არმაზი ანთროპომორფული ღვთაება იყო. მისი ქანდაკება შეიარაღებულ მეომარს გამოსახავდა[146]. როგორც წყარო გვაუწყებს, იგი „კერპის“ სახედ იყო შექმნილი, ისევე როგორც მეორე ღვთაება ზადენი. ახლა მოვუსმინოთ მეცნიერებს რას ამბობენ ისინი ზოროასტრულ ღვთაებათა იკონოგრაფიაზე: „სუსტ მინიშნებას ანთროპომორფულ გამომსახველობაზე ვხვდებით მხოლოდ გვიანდელ ზოროასტრულ ნაწარმოებებში. მართლაც, ანთროპომორფულად აღწერილია მხოლოდ ერთი ქალღმერთი ანაჰიტა (როგორც ლ. ლელეკოვი შენიშნავს, ისიც ავესტის აპოკრიფულ ნაწილში აბანიაშთში — ნ.ა.). ყველა დანარჩენი ზოროასტრული ღვთაება აღიწერება აბსტრაქტულად, მათ მხოლოდ იპოსტასები და გარდასახვები აქვთ (ძირითადად გარკვეული ცხოველებისა და ფრინველების სახით[147]“. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ არმაზის აჰურამაზდასთან კავშირი ფიქციაა, სახელის მსგავსი ფონეტიკური ჟღერადობა გენეტიკური არ უნდა იყოს. საინტერესოა, რომ ლეონტი მროველმა (თუ მისმა წყარომ) კარგად იცის, ცეცხლის მსახურნი „კერპებს“ (—გამოსახულებებს — ნ. ა.) ვერ ეგუებიან. ქართლის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ჯერ ზადენის კერპი შექმნა, გარკვეული დროის შემდეგ კი „შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგვნი, და დასხნა იგინი მცხეთას. აღგილსა მას რომელსა ქუან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა[148]. ვფიქრობთ, აქ სრულიად არაორაზროვნადაა ნაჩვენები, რომ კერპებს (ანთროპომორფულ ღვთაებებს) ცეცხლის მსახურებასთან, ზოროასტრიზმთან არაფერი აქვს საერთო. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული, რომ ქართულ წარმართობაზე ინდო-ირანული ტიპის რელიგიურ სისტემებს, თვით ზოროასტრიზმსაც გარკვეული გავლენა ჰქონოდა, მაგრამ არსებული წყაროების მიხედვით კერძოდ რომელს, გარკვევით არა ჩანს და დღემდე საკმაო სისრულით არავის უკვლევია. ერთი კი ცხადია, განსახილველი ნაშრომის მიერ შემოთავაზებული მასალა ანტიკური ხანის საქართველოში ზოროასტრიზმის გაბატონებული მდგომარეობის სასარგებლოდ არას იძლევა[149]. კერძოდ, რაც მთავარია, „არმაზი“ „აჰურამაზდას“ არ გულისხმობს.

საენციკლოპედიო სტატიის ავტორს თავისი თეორიის შესამაგრებლად მოჰყავს ზემოთ ნახსენები წერილობითი წყაროს მონაცემი „მოგვთას“ შესახებ: „მცხეთაში ძველთაგანვე არსებობდა ცეცხლთაყუანისმცემელთა — მოგვთა ცალკე უბანი და ცხოვრობდა ზ-ის მიმდევართა თემი“. ჩვენი აზრით, პირიქით, სახელ „მოგვთას“ ასე გამოყოფა მიკროტოპონიმად უნდა მიგვითითებდეს, რომ მის ირგვლივ მყოფ მოსახლეობის უმეტეს, მთავარ მასას „მოგვობასთან“ სა-

---

146 ‹ხ. მაგ., Мифы народов мира, т. I, სტატია—Армази.

147 Дандамаев И. А., Луконин В. Г. 1980, გვ. 100. ასეთივე აზრია გატარებული —Лелеков Л. А. Вопросы интерпретации среднеазиатской коропластики эллинистического времени. СА, № I, 1985, с. 57; ა. ფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 666.

148 ქართლის ცხოვრება, გვ. 29.

149 საინტერესოა, რომ ფარსის არც ერთ მმართველს — დინასტს, დაწყებული ძვ. წ. VIII საუკუნიდან ახ. წ. VII ს-მდე „მითრ-მირ“ ძირიანი სახელი არ რქმევია იხ. Лелеков Л.А. 1985, გვ. 59), მაშინ, როცა იბერიის დინასტთა შორის ასეთი სახელები ჩვეულებრივია: მარო, მირდატი, მითრიდატი, მირიანი და სხვ. ესეც იმის სასარგებლოდ ხომ არ მეტყველებს, რომ „აქემენიანთა ზოროასტრიზმს“ ქართლის არისტოკრატიაში არ შეუღწევია.

ერთო არ ჰქონდა. ე. ი. ეს არგუმენტიც, უკეთეს შემთხვევაში, არაფრის მთქმელია თუ არა საწინააღმდეგო. ასევე ნაკლებ დამაჯერებელია „ქართული" მაზდეანობის" სასარგებლოდ მოყვანილია ცნობა 1981 წელს გამოცემულ სტატიაში. ავტორი აქ თავის არგუმენტად იყენებს ფარნაჯომისა და მისი მომდევნო მეფის არშაკ (არშაკიანის) მეფობასთან დაკავშირებულ ისტორიულ მომენტებს. აღნიშნავს, რომ თურმე შიდა ქართლში, „სამეფო დომენში" (ასეთი დომენი მხოლოდ ი. გაგოშიძის სტატიებშია რეკონსტრუირებული) შენდება ტაძრები, პირველი ან მეორე დასახელებული მეფის დროს და რომ ეს ტაძრები ეძღვნებოდა ღვთაებებს, რომელთაც თაყვანს სცემდა სამეფო ოჯახი (ესეც ავტორის მიერ შექმნილი მომენტია, „გადმონერგილი" უცხოეთიდან). „Скорее всего это были иранские боги своеобразного толка, в значительной степени смешавшиеся с местными грузинскими астральными божествами" (с. 114.) მსჯელობის ფრთხილი სტილისა და აზრის ორჭოფულობის მიუხედავად, ავტორი თანმიმდევრული არ არის; თუ წყაროს ვიყენებთ, მას ბოლომდე ზუსტად უნდა მივყვეთ. წყარო კი, აი, რას ამბობს: ფარნაჯომმა, რომელმაც ადრე ზადენის კერპი შექმნა, შემდგომში შეიყვარა „სჯული სპარსთა, ცეცხლისი მსახურება". სხვათა შორის, წყარო სდუმს შიდა ქართლში მის დროს რაიმე მშენებლობის შესახებ, სამაგიეროდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან ნეკრესქალაქს ჩაუყარა საფუძველი. ერისთავებს არ მოსწონებიათ მეფის სჯულიდან განდგომა და მიმართეს სომეხთა მეფეს, აღარ გვსურს მისი მსახურება, მოგვეცი შენი ძე არშაკი, რომელსაც ცოლად ფარნავაზიანთა ნათესავი უზისო. „გუაშუელე ძალი შენი და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღები ახლისა სჯულისა" (ქცა, I, გვ. 29). ამის შემდეგ შეთქმულნი სომეხთა დახმარებით ამარცხებენ და კლავენ მას. ქართლის ტახტს იკავებს არშაკ. სომეხთა მეფის ძე, რომელიც თურმე აშენებს ციხესიმაგრეებს და ამაგრებს ქალაქ წუნდის ზღუდეს. ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ არ შეიძლება ამ მეფეთა მოღვაწეობის ერთ კონტექსტში განხილვა, როგორც ეს ი. გაგოშიძეს აქვს. ფარნაჯომი და არშაკი, წყაროს მიხედვით, ერთი კულტურულ-რელიგიური მშენებლობის (მიმართულების) მოღვაწენი კი არა არიან, არამედ დიამეტრულად განსხვავებულნი. ქართლმა მამაპაპური სჯულის ღალატისთვის მოიძულა ფარნაჯომი და მის ნაცვლად მოიყვანა ამ სჯულის „შემნახავი" და საზოგადოების (აქ ერისთავთა) ნების აღმსრულებელი არშაკი. წყაროს ნამდვილი აზრი ასეთია და არ შეესაბამება იმ რეზიუმეს, ი. გაგოშიძეს რომ გაუკეთებია. რაა ასეთი უზუსტობის მიზეზი? ალბათ ის, რომ ავტორს სურდა მაქსიმალურად მოეძებნა მონაცემები საკუთარი დებულების სასარგებლოდ. ასეთი გზით შეიქმნა ი. გაგოშიძის ქართული მაზდეიზმის თეორია: ქართლში, ანტიკურ ხანაში, აქემენიანთა გავლენით წარმოიშვა ადგილობრივი ტიპის მაზდეიზმი, რომელიც სასანურ ხანაში (II ეტაპი მაზდეიზმისა — საენციკლოპედიო სტატიით) ვეღარ იცნო მისმა ღვიძლმა ძმამ, ორთოდოქსურმა სასანურმა ზოროასტრიზმმა.

რა მასალას ემყარება ეს იდეა? — „თეოფორულ სახელებს", „ნარატიულ წყაროთა მონაცემებს", დედოფლის მინდვრის არქიტექტურას. მათ შორის არც ერთი არ აღმოჩნდა ბოლომდე სარწმუნო, მოზრდილი ნაწილი კი, უბრალოდ, არაზუსტი და შეუსაბამო.

თავისი თეორიის დამუშავებისას ავტორისათვის ამოსავალი მაინც წინაქრისტიანული არქიტექტურის ანალიზი იყო. როგორც თვითონვე აღნიშნავს,

მის მიერ „ყველაზე სრულად შესწავლილია ძვ. წ. V—I სს-ის ქართლის სატაძრო არქიტექტურა“[150]. ახლა საკითხთა გაცილებით რთულ ჯაჭვს მივადექით, რაც წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანი არაა; ჩვენ გვსურს მხოლოდ გადავხედოთ ზოგ ფაქტობრივ მონაცემს, რომელზეც აგებულია „ქართული ზოროასტრიზმის“ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ესაა უპირველესად სამადლო III-ზე აღმოჩენილი „კოშკის ტიპის ცეცხლის ტაძარი“, რომელიც აუგიათ V—IV სს-ში და II ს-ის ბოლომდე უარსებია[151].

1983 წ. გამოცემული ნაშრომის მიხედვით, ესაა შენობა სწორკუთხა შვერილებით, რომლის ჩრდილო კედელი (სიგრძე დაახლ. 14 მ) შემორჩა განათხარის აღმოსავლეთ ნაწილში[152]. კედლის პირი სწორი ფორმის დაუმუშავებელი. მორგებული ქვების ყოფილა, შუა ნაწილი კი „ჟყორით“ ამოვსებული[153]. კონტრფორსების ზომებისა და რელიეფის თავისებურებათა გათვალისწინებით[154], ავტორი აღადგენს მოზრდილ კვადრატულ შენობას (გარე ზომები 14 მ×14 მ; შიგა სივრცე კი 5.5 მ×5,5 მ)[155]. შემდეგ იგი განმარტავს, რომ ესაა ოთხკუთხა კოშკის ტიპის ტაძარი აქემენიანთა ხანისა, აგებული V ს-ში. ამ საკმაოდ იოლი და წარმატებული ანალიზის შემდეგ მოეუხმოთ პარალელებს ირანიდან (რასაც აკეთებს კიდეც ავტორი) და აღვადგინოთ ისტორია. მაგრამ... მოდი დავბრუნდეთ ცოტა უკან და გავიხსენოთ ი. გაგოშიძის ერთი ადრეული ნაშრომი. ესაა „სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში“[156]. აქ 62-ე გვერდზე გამოქვეყნებულია ის „ნედლი მასალა“, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოაღწერილ „ტაძარს“.

1972 წელს სამადლო III-ის ბრტყელ ზედაპირზე გაუთხრიათ შენობის ნაშთი, რომლის კედლის სისქე თითქმის 4 მ აღწევს, სიგრძით კი გასდევს მთელ თხრილს (20 მ)“[157]. დაიმახსოვროს დაინტერესებულმა მკითხველმა 20 მ. 1979 წლის ცნობით კედლის სიგრძე 14 მ-ია. რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? სხვათა შორის, 1972 წ. გამოხაზული გეგმაც პრინციპულად განსხვავდება 1979 წ. ვარიანტისაგან[158]. 1979 წ. ნახაზზე აღნიშნულია კედლის სიგანე (ციტა უცნაურად, მაგრამ მაინც), რომელიც 1972 წ. ნახაზზე არ ჩანს (ტექსტშიც ხომ „დაახლოებითაა“ განსაზღვრული, რომ იგი „თითქმის 4 მ აღწევს“, გვ. 62). მაშ ასე, კედელს, რომლითაც აღდგენილია „სამადლოს კოშკი“, სინამდვილეში „სიგრძე არ აქვს“(არც სიგანე). მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაუმთავრებელია. ასეთი ფრაგმენტის მიხედვით ყველაზე დახელოვნებული (და, რაც მთავარია, მიუკერძოებელი) ხუროთმოძღვარიც კი ვერ აღადგენს რაიმე შენობის გევ-

---

150 Гагошидзе Ю. М. 1983, с. 32.

151 მისივე, Дохристианские храмы Грузии, Тбилиси, 1983, გვ. 1—2, როგორც ჩანს, ტაძარი გადარჩენილა არტაშესისა და ზარეპის სამადლოზე „ფანტასტიკური“ ლაშქრობასას, II ს-ის პირველ ნახევარში.

152 Гагошидзе Ю. М. Самадло, 1979, с. 51.

153 იხ. სსმაე, IV, 1975, გვ. 62.

154 დაგვეთანხმებით, ეს „საუკეთესო ხერხია“ ქართული მაზდეიზმის საღერძო ძეგლის „სამადლოს ცეცხლის ტაძრის“ რაობის გასარკვევად.

155 Гагошидзе Ю. М. 1979, გვ. 51—52, ტაბ. VIII.

156 სსმაე, IV, 1975.

157 იქვე, გვ. 62. თუმცა თვით ნახაზის მიხედვით მისი სიგრძე 12 მ. უნდა იყოს.

158 სსმაე, IV, 1975, ტაბ. 1—3 და Гагошидзе Ю. М. 1979, ტაბ. VIII.

მას[159]; მით უმეტეს, მაინცდამაინც კვადრატულს. აქ რელიეფიც, რომელიც სამადლოზე სრულიად სახეცვლილია, არაფერს უშველის ადამიანს. რაც შეეხება კედლის სიგრძეთა მონაცემების სხვაობას (20 მ—14 მ) ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ მკვლევარს „ზედმეტად დიდი“ შენობა გამოსდიოდა; თუმცა არსებული მონაცემების მიხედვით არც „დაზუსტებული“ ზომის (14×14 მ 5×5 მ) „ათეშგებია“ გავრცელებული აქემენიანთა ირანში. ყველა მონაცემის მიხედვით ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ დღეისთვის სამეცნიერო მიმოქცევაში საკმაოდ ფართოდ შესული სამადლოს „კოშკისებრი ცეცხლის ტაძარი“ მხოლოდ ი. გაგოშიძის „არასწორი რეკონსტრუქციის“ შედეგია. სხვათა შორის, სამადლოზე „ათეშგას“ არსებობა სხვა არაპირდაპირი მონაცემის მიზეზითაცაა უარსაყოფი. აქემენიდური ირანის „ტერიტორიიდან“ დღეს შემორჩენილია ორად ორი „ათეშგა“, ისიც მხოლოდ დედაქალაქებში. მოვუსმინოთ აკადემიკოს რ. გირშმანს: „პასარგადისა და ნაყში რუსტამის კოშკები სხვა არა იყო რა, თუ არა გამონაკლისი აქემენიდთა ორი გრანდიოზული დედაქალაქის განსადიდებლად დაშვებული, აგებული ორი მსოფლიო მბრძანებლის მიერ წინაპართა მიწაზე“. „მხოლოდ ორი კოშკი, აშენებული ორ დედაქალაქში, პასარგადში და ნაყში რუსტამში... იყო სიახლე რომელთაც ვ ე რ პ ო ვ ე ს მ ი ბ ა ძ ვ ა“ [160] (ხაზი ჩვენია — ნ. ა.) მით უმეტეს, კოშკურა ცეცხლის ტაძრის აღმოჩენა აქემენიანთა იმპერიის ფარგლებს გარეთ არც იყო მოსალოდნელი. ამიტომაცაა ალბათ, რომ ი. გაგოშიძის ნაშრომებში სამადლოს ტაძრისათვის, დასახელებულთა გარდა, სხვა ირანულ პარალელებს ვერ ვპოულობთ. მკვლევარს ამ მხრივ, ეტყობა, იმდენად გაუჭირდა, რომ ურარტუს არქიტექტურასაც კი მიაშურა[161].

მიუხედავად ამისა, ი. გაგოშიძეს არ ეუცნაურება, რომ მხოლოდ მის მიერ რეკონსტრუირებული სამადლოს „კოშკური ცეცხლის ტაძარი“ ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე აქემენიანთა იმპერიის ცენტრების ათეშგები, ეს მაშინ, როცა კიროსს და დარიოსს პარადულობისა და თავისი სიძლიერის ნიშნად აუგიათ ისინი[162]. ი. გაგოშიძემ ოცზე მეტი წლის წინ გათხრილ ხიზანანთ გორაზეც „აღმოაჩინა“ მცირე ზომის კოშკისებრი ცეცხლის ტაძარი[163]. ე. ი. მათი რაოდენობით აქემენიანებს გაუთანაბრდით. ფარსში ორი კოშკური ცეცხლის ტაძარია (ათეშგა), ქართლშიც ამდენივე. მაინც რა ნიშნითაა ხიზანანთ გორაზე ათეშგა? საკითხის გასარკვევად მოვუსმინოთ ძეგლის გამთხრელს, ხუროთმოძღვარს პროფ. პ. ზაქარიას, რომლის აზრი ამ საკითხში უთუოდ ანგარიშგასაწევია: „დარჩენილი ფრაგმენტებით აქ მდგარა დიდი ზომის ნაგებობა“

---

159 ვგონებ, არც 1972 წლის ინფორმაციაა მთლად ზუსტი. კერძოდ, არაა მითითებული, რომ სამადლო III-ის თხრა ჯერ კიდევ 1971 წ. დაიწყო ექსპედიციამ — იხ. სსმაე III, 1974, გვ. 83. საყურადღებოა, რომ აქ წერია: „... ე. ი. სამადლო III-ზე მივაკვლიეთ ადრეულ დასახლებას (ძვ. წ. VII—VI სს. — ნ. ა.), რომელიც წინ უსწრებს ნამოსახლარის დანარჩენი ტერიტორიის ათვისებას“.

160 Гиршман Р. М. Религии Ирана от VIII века до н. э. до периода ислама. Культура Востока, Л., 1978, с. 73, 69.

161 Гагошидзе Ю. М. 1983, ტაბ. I, 2, 3, გვ. 2.

162 Гиршман Р. М. 1978. „Они были свидетельствами царского могущества и не вносили фактически никакого изменения в установленный ритуал, но лишь обогащали его внешней парадностью“, с. 69.

163 Гагошидзе Ю. М. 1983, с. 3. „...храм мог иметь только вид башни“, თან უცნაურია, რომ ალბათ „ათეშგა“ კრამიტით იყო დაბურული (ნ. ა.).

(ი. გაგოშიძე „ამტკიცებს“ პატარაააო?). „შენობაც ამის მიხედვით (კრებას — ნ. ა.) გრანდიოზული წარმოგვიდგება“[164]. იაზონ კიკვიძის აზრით კი, „როგორც ჩანს, მასიური კრამიტის ნატეხები უფრო ადრეულ შენობას ეკუთვნოდა, ვიდრე კიბიანი ნაგებობაა“[165]. ე. ი. ხიზანაანთ გორისთავზე არაერთფენიანი საკმაოდ რთული შენობაა, რაც ი. გაგოშიძის ნაშრომში არ ასახულა. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენთვის ნათელია, რომ სამადლოსა და ხიზანაანთ გორის კოშკური ტიპის ცეცხლის ტაძრები ხელოვნურადაა შექმნილი ი. გაგოშიძის მიერ. არსებული მონაცემებით არც ციხია გორის ცეცხლის ტაძრობაა უეჭველი (იგი შემდგომ შესწავლას ითხოვს). დედოფლის მინდვრის გრანდიოზულ ნაგებობასაც ჯერ ბოლომდე გათხრა, უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება და არა საეჭვო ფაქტებზე აგებული ინტერპრეტაციები.

განხილული შედარებით მცირე მასალითაც ჩვენთვის ნათელია, რომ ი. გაგოშიძის თეორია ზოროასტრიზმის განვითარების ეტაპებისა საქართველოში, რომელსაც საფუძველი, როგორც ჩანს, ზემოთ განხილულ საენციკლოპედიო სტატიაში ჩაეყარა, მის მიერ შემოთავაზებული ფაქტობრივი მასალით არ ბტკიცდება. ხშირ შემთხვევაში მკვლევარი იშველიებს ნაკლებსარწმუნო ან არარსებულ ფაქტებს და იძლევა ნებისმიერ ინტერპრეტაციას. უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად ასეთ მეთოდზე აგებულმა მისმა ნააზრევმა საკმაოდ ფართოდ მოიკიდა ფეხი არქეოლოგიურ ლიტერატურაში, რაც არცთუ სასიკეთოს მოასწავებს საღი მეცნიერული აზრის განვითარებისათვის.

ეს მოზრდილი ექსკურსი დასახელებული ავტორის მეცნიერული პროდუქციის შესახებ დაგვჭირდა იმიტომ, რომ გარდა ადრე შუა საუკუნეთა არქეოლოგიაში შტუდირებისა, საერთოდაც მისი უშუალო სფეროს (ანტიკური ხანის) კვლევის ხარისხიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომდევნო პერიოდის ქართული კულტურის კვლევის მიმართულებაზე.

„მედალიონისები“ ბალთებით დავარდულებით შემკული საკინძები — სერია V (ტაბ. XXXIII—10—17). ქვ. ალევის სამაროვანმა სხვა საინტერესო მასალასთან ერთად ადრე შუა საუკუნეების ხელოსნობის, „ხალხური“ ოქრომჭედლობის საინტერესო ნიმუშები მოგვცა, რომელთა მსგავსი არცთუ ბევრია აღმოჩენილი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია № 8 ქვისსამარხში (VII ს. მეორე ნახ.) აღმოჩენილი ოქროსთავიანი საკინძები (ტაბ. XXXIII—11). ისინი მედალიონისებრი ბალთებია: თხელფურცლა ოქროსგან დამზადებული ფუყე (გული ცვილისებრი მასითაა ამოვსებული) დაბალი, წრიული ბუდე ოქროსავე ტიხრით კვადრატულადაა გაყოფილი. სეგმენტები და ცენტრალური ნაწილი (კვადრატი) შევსებულია მინით (რომელსაც ფერი დაკარგული აქვს). კვადრატული მინის

---

164 ი. კიკვიძე, 1976, გვ. 125.

165 საინტერესოა ისიც, რომ ასევე ერთი ხელის მოსმით ი. გაგოშიძემ ქსნის ხეობის სოფელ წირქოლში „чахар—таг“-ი აღმოაჩინა (იხ. Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბ., 1983, გვ. 7). საქმე ეხება სოფლის ჩრდილო განაპირას ფერდობზე თეთრ გიორგიდ წოდებულ და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებს შორის შემორჩენილ მცირე შენობის ნაშთს. გაღარჩენილია საძირკვლის ქვების ერთი ფენა. „იკითხება“ აღმ.-დას. ხაზზე დამხრობილი მოგრძო ოთხკუთხა შენობის გეგმარება (თითქოს ჩრდ. მინაშენით). მას წირქოლელები „ნიშს“ ეძახიან. არც ერთი დეტალი მისი „ჩაჰარ-თაღობის“ სასარგებლოდ არ მეტყველებს. შენობის ეს ტიპი კი კარგადაა ცნობილი არქიტექტურაში.

ცენტრში არსებულ ღრმულში ზის ძალიან თხელფრფიტოვანი ოქროსგან დამზადებული ტოლმკლავა („მალტური" — „ბოლნური") ტიპის ჯვარი. ბალთის წიბოზე სიმეტრიულადაა განლაგებული ოთხი პატარა ყუნწი, რომელშიც ჩამაგრებული იყო წვრილი მარგალიტები (ვფიქრობთ, ირგვლივ ასეთივე მარგალიტები იყო ასხმული). საკინძის თავს ზურგზე პატარა, ოვალური ყუნწი აქვს. რომელშიც გაყრილი იყო სპილენძის ღეროს დაბრტყელებული და ოდნავ მოხრილი ბოლო.

განხილულ ნივთებს პირდაპირი ანალოგები ჩვენთვის ცნობილ მასალებში ვერ მოვუძებნეთ. რამდენადმე მსგავსია სამთავროში მოპოვებული წყვილი სპილენძის ბალთა, რომელშიც მინის ინკრუსტაციით მიღებულია ჯვრისებრი (რომელიც ოთხფურცლა ყვავილს ჰგავს) სახე[166]. ბოლო ხანებში მსგავსი სტილის (ოღონდ უჯვრებო) ნივთები აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვნის № 375 სამარხსა[167] და იმავე ალეევის № 82 ქვისსამარხში (1985 წელს). ჯვრიან საკინძის თავებს რამდენადმე მოგვაგონებს ქერსონესში აღმოჩენილი ბრინჯაოს აბზინდის დეტალი. იგი ბრინჯაოს თვალბუდეა, შუაში მინის ფონზე მყოფი ტოლმკლავა „მალტური" ტიპის ჯვრით[168].

ქვ. ალეევის № 6 სამარხის საკინძიც (ტაბ. XXXIII—10) საერთო სტილით მოგვაგონებს № 8 სამარხისას. იგი, უფრო სწორად მისი ოქროს თავი, თვალბუდისებრია, მრგვალი გაუტიხრავი ზედაპირით, ძირი კი ფართო აქვს და გამოდის წრის გარეთ. შემაღლებულ წრესა და ძირს შორის სიმეტრიულადაა განლაგებული ოქროსავე სამი პატარა ყუნწი. მძივები არ შემორჩენილა. თვალბუდეში უფრო მინის თვალი ზის. თვალბუდეს ზურგზე ორი ყუნწი აქვს, რომელშიც გაყრილია მასში ბრინჯაოს ღეროს ჩასამაგრებელი ღერძაკი.

შემდეგი სახის ოქროს საკინძის თავი № 8 სამარხიდანვეა (ტაბ. XXXIII—12). იგი მომცრო მრგვალი, ოდნავ ზედაპირამობურცული, ფუყე, ცვილისებრი მასით ამოვსებული ბალთაა, რომლის ცენტრში ამობურცული მრგვალი მინის თვალი ზის. მისი ბუდის ირგვლივ ერთი წყება „ცვარა" შემოუყვება. წიბოზე კი ჯვრიანი ბალთების მსგავსად წვრილი მარგალიტის მძივები შემოუყვებოდა. ბუდეს ზურგზე პატარა ყუნწი აქვს, რომელიც რკინის ღეროზე იყო დამაგრებული. ანალოგიური სამი საკინძისთავი აღმოჩნდა 1985 წ. ალეევის № 82 ქვისსამარხში[169]. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიაში პოპულარული იყო სამკაულის, საიუველირო ნაკეთობის შემკობა მარგალიტის ასხმით. ზოგჯერ ამის იმიტირებასაც კი ახდენდნენ[170].

№ 57 ქვისსამარხში აღმოჩნდა წყვილი ვარდულისებრი საკინძისთავი, ცენტრში ლურჯი მინის თვალი ზის (ტაბ. XXXIII—13). ვარდულის ზედაპირი ბურცობებიანია და მრავალფურცლა ყვავილს მოგვაგონებს (იგი ჩამოსხმულია?). ანალოგიური (წყვილი?) ოქროს საკინძისთავი აღმოჩნდა არმაზისხევის

---

166 სამთავროს ფონდი, საინვ. № I—54/13230, 13290.

167 Рамишвили Р. М. Работы Жинвальской археологической экспедиции, ПАИ за 1981 г. Тбилиси, 1984, გვ. 62, ტაბ. XXXVIII—1.

168 ОАК за 1901 г., Спб., 1903, გვ. 31, ნახ. 57.

169 საერთო სტილით, თხელფურცლოვანი ოქროს გლუვი, დაუმუშავებული ზედაპირი, „ცვარის" არშია, ძუნწი ინკრუსტაცია, მათ ჰგავს ერწოს ველზე აღმოჩენილი ოქროს საკინძები — იხ. ბ. ჯორბენაძე, 1982, გვ. 57, სურ. 14—615 და სხვ.

170 Амброз А. К. Бирский могильник и проблемы хронологии Приуралья в IV—VII вв. СДЕС, М., 1980, с. 14.

„ტყის უბნის“ № 12 ქვისსამარხში[171]. ისინი სინქრონულნი არიან (VII ს. მეორე ნახ.).

№ 50 ქვისსამარხის წყვილი, მრგვალი საკინძისთავები „ბორჯღალას“ მოგვაგონებს. ცენტრალურ თვალბუდეში დაბალი ბრტყელი მინის თვალი ზის. თვალბუდიდან კი გამოედინებიან დაბალი რელიეფით შესრულებული მბრუნავი სხივები (ტაბ. XXXIII — 15). წრის კიდესა და თვალბუდეს „კანტი“ შემოუყვება. ბალთები დამაგრებულია ბრინჯაოს ღეროზე. სამარხი ჩაუხრელი, ჯვრისებრი მშვილდსაკინძის მიხედვით VI საუკუნისაა.

წყვილი ვარდულისებრი ბრინჯაოს საკინძისთავებია № 44 სამარხშიც. ივი ნაკეთებია ორი ფირფიტისაგან. ქვედა ბრტყელი, რომელზედაც სამი სამაგრით (მანჭვლით) რელიეფურად ორნამენტირებული ზედა დისკოა დამაგრებული, ცენტრში თვალბუდეში მინის მრგვალი, ოდნავ ზედაპირამობურცული თვალი ზის. თვალბუდეს შემოუყვება სამი რიგი, მოგრძო, პატარა ნაკეწნებიანი წრეებისა. ირგვლივ კი. გარეპირთან ახლოს ნახევარწრიული ბურცობები ამკობს (ტაბ. XXXIII—16). ბალთის შიდა სივრცე წვრილი „კოხებით“ და ცვილის მასით /?/ იყო სავსე. ბალთები დამაგრებული იყო ბრინჯაოს ღეროს დაბრტყელებულ ბოლოზე. განხილულთან ახლოს დგას № 32 სამარხში აღმოჩენილი საკინძების ბალთები (XXXII—14). მისი ზედაპირი სამრიგად ნაჭდევი ბურცობების რიგისგან შედგება; ცენტრში მინის თვალი აქვს. ოღონდ იგი ერთმაგი ფირფიტისგანაა დამზადებული. განხილულ საკინძებს ზუსტი ანალოგი არ გააჩნიათ[172]. არაა გამორიცხული, რომ ისინი (და შესაძლოა სხვა პუნქტებში აღმოჩენილთა ნაწილი) ქსნის ხეობაში იყო დამზადებული.

საერთო სტილით ისინი ბიზანტიურ და ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის ევროპულ ნივთებს მოგვაგონებს. იქაც საკმაოდ პოპულარული იყო ძლიერ თხელი ოქროსაგან დამზადებული ბალთისებრი გატიხრული და ერთფეროვანი მინით ამოვსებული ფუყე, ცვილით შევსებული თვალბუდეები[173]. საერთო ჩანს პლასტიკურობისაკენ ნაკლები მიდრეკილება. ბრტყელი ოქროს ზედაპირი, მონოქრომულობა, მკვეთრი ტონების უარყოფა[174], ირგვლივ მარგალიტის მძივების ასხმით შემკობა.

---

171 მცხეთა I, ტაბ. XV, გვ. 142. მასთან კომპლექსში თითქოს არაბული ფელსია.

172 ოქროს სამკუთხათავიანი, მინანქრისებრი მასით ამოვსებული საკინძები გვხვდება სამთაუროში: ინვ. 12—54/12414, 5.

173 Jane C. Waldbaum, 1983; 684 pl 43171 1/8221 Manish 125 Early Buzantine. Bohuslav Chropovsky, Krasa Slovenskeho šperku; Pallas 1978. ტაბ. 48, გვ. 67. საინტერესოა, რომ ისიც VII საუკუნისაა. Gyula Laszlo—The art of the migration Period. Budapest, 1975, fig. 74.

174 ამ სტილის საკინძებს, აღმოჩენილს ერწოს ველზე (თრანი, ბაღები № 4 სამარხი) ბ. ჯორბენაძე V—VI სს-ით ათარიღებს ძირითადად „გვიანანტიკური“ ხანის ოქრომჭედლობის ტრადიციების გათვალისწინებით“ (იხ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე. 1982, გვ. 75, სურ. 14—613—614). ჩვენ ეს კომპლექსი უფრო გვიანი გვგონია, რადგან მასში არის კვ-ნტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს მრგვალთავიანი, ყელწნოპიანი საკინძები და სხვ. VII ს-ის ნივთები. თვით პატივცემული ავტორი გვ. 72-ე აღნიშნავს, რომ „სფერულთავიანი... ბრინჯაოს საკინძები გვხვდება VI—VII სს-ის კომპლექსებში“, ხოლო კვნტიანი მშვილდსაკინძების გავრცელების ხანა VI—VIII სს-ია (გვ. 75—76); ე. ი. აღნიშნული სამარხის თარიღი ტრადიციულ ქრონოლოგიითაც კი V ს-ში არ გადადის. რაც შეეხება ცნებას „არმაზული ტრადიციები“ აღნიშნულ ნივთთა მიმართ ალბათ ძლიერ პირობით უნდა მივიღოთ, რადგან როგორც ალეური, ისე თრანული საკინძისთავები დამზადების ტექნიკით და სტილით შესამჩნევად განსხვავდებიან არმაზული მაღალმხატვრული ხელოსნობის ნიმუშებისაგან. VI—VII სს-ის ოსტატი ცდილობს ოქ-

რა თქმა უნდა, შესასწავლ ხანაში (VI—VII სს). ალბათ უფრო მაღალმხატვრული, ნამდვილი საიუველირო და ლითონის პლასტიკის ნიმუშებიც იყო გავრცელებული. ჩვენ მიერ განხილული მასალა კი უფრო ხალხური ხელოვნების იერისაა. რომელსაც და რომელთა მსგავსსაც არაერთ ხელოსნობის ცენტრში ამზადებდენ. მათი სრული შესწავლა მომავლის საქმეა. ამჯერად კი გაჯ-სახილველი ნივთები სხვა საკინძებთან და ზოგ სხვა სახის სამკაულთან ერთად გვაინტერესებს, როგორც გარკვეული ხალხური რწმენისა და შეხედულებების გამოვლინება. აკი ქრისტიანული სიმბოლოები, ჯვრები № 8 სამარხში სრულიად „უცნაურ" კონტექსტშია. იგი წარმოდგენილია როგორც ახალგაზრდა ქალის თავსაბურავის ნაწილი[175], ბროწეულისებრ მარჯნისთავიან, სამად განტოტვილ, კამათლისებრ და სხვა საკინძებთან ერთად. ჯვარი ქალის ჩვეულებრივ თავსამკაულად. ეს ხომ ქრისტიანული მორალით, ეთიკით, ორთოდოქსიის თვალსაზრისით გაუგონარი ბკრეხელობაა. ასეთი სახით კი არა, როგორც ჩანს, მიცვალებულისთვის ვულსაკიდი ჯვრის ჩატანებაც კი უაზრობად ითვლებოდა ქრისტიანული დოგმატიკის, ეთიკის მიხედვით. სხვა საქმეა. რომ სამარხებში გვხვდება სიმბოლოები და ნივთები, რომლებიც საიქიო ცხოვრებასთან, სამოთხესთან. აღდგომასთან თუ სხვა მსგავს მომენტთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელნიც უმეტესად ადრექრისტიანულ ხანასთანაა ხოლმე დაკავშირებული.

თავის დროზე საქართველოს შუა საუკუნეთა არქეოლოგიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი გ. ლომთათიძე წერდა, რომ „ერთგვარი გაკვირვებით უნდა ითქვას, რომ სამარხეულ ინვენტარში (იგულისხმება VI—VIII სს. — ნ.ა.) უაღრესად იშვიათია მთავარი, უძველესი და უმარტივესი (?!—ნ. ა.) ქრისტიანული სიმბოლო — ყელსაბამი, ლითონის მცირე ჯვარი, მაშინ, როცა აქ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ სწორედ ყელსაბამებს, ნაირნაირი მძივებისა და მძივსაკიდებისაგან შემდგართ. ჩანს, ამ მოვლენას ახსნა სჭირდება და ქრისტიანობის ჯვრაც გაუვრცელებლობას მას ვერ მივაწერთ"[176]. მართლაც, აწ გარდაცვლილი მეცნიერის ბოლო ფრაზა ჰეშმარიტია: მაგრამ გაკვირვებას იწვევს მოყვანილი ფრაგმენტის დასაწყისი. ჩვენ ძალიან ვვეეჭვება. რომ ჯვარი ქრისტიანული დაკრძალვის წესის აუცილებელი ელემენტი იყოს. ჯვრის (ან სხვა ქრისტიანული სიმბოლოების) აღმოჩენის შემთხვე-

---

რო ცოტა დახარჯოს; ნივთს აკეთებს თითქმის „ფოლგისაგან", ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების ნაცვლად უმეტესად ფერადი მინით ამკობს. ცვარა ძუნწადაა გამოყენებული, თანაც უხეშია (ბერთულები სხვადასხვა ზომისაა) და ა. შ. ისე კი ალბათ გარკვეული „ტრადიციები" ადრეული ხელოსნობისა აქაც შეიმჩნევა, მაგრამ მათ მიხედვით ქრონოლოგიური უწყვეტობის დანახვა და უშეალოდ გადაბმა ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია. სწორედ ამიტომ პატივცემულმა ავტორმა მთელი სამარხეული კომპლექსი V—VII სს-ით დაათარიღა (გვ. 79), ისინი მაინც „არმაზულ" ხანას დაუახლოვა.

175 საინტერესოა, რომ ჩვეულებრივ ღვთისმშობლის გამოსახულებათა უმეტესობას შუბლზე, მაფორიონზე (თავსაფარზე) გამოსახული აქვს ჯვრისებრი ვარდულა. ასეთ გამოსახულებათაგან უძველესი ხატი (ენკაუსტიკა) VI სს-ით თარიღდება—Ikonen Aus Dem Katharinenkloster Auf Dem Benge Sinai, Kurt Weitzmann. Union Verlag Berlin, 1980, Tafel—I. ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი წმინდა თევდორესა და გიორგის შორის. ხომ არ იქონია ღვთისმშობლის იკონოგრაფიის ამ დეტალმა ქართულ ჭინჭისთავთა, ქართველი ქალის „შუბლის ქინძისთავის" შექმნაზე (ისევ ხალხური კულტურის მექანიზმის?). საკინძთა გაჩენის ჩვენ მიერ შემოთავაზებული თარიღი — V ს. ამ მოვლენის შესაძლებლობას არ ეწინააღმდეგება. ეს, რა თქმა უნდა, ჰიპოთეზაა მისი შესწავლა მომავლის საქმეა.

176 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 533.

ვები ჩვენ შუა საუკუნეების ათასობით გათხრილ სამარხიდან თითებზე ჩამოსათვლელი ვიცით. ასეთი მაგალითია ივრის სოინიდან, ძველი გავაზის სამაროკინიდან[177] (ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვარი XII—XIII სს. და რამდენადმე მსგავსი მომენტი არეშის ნაქალაქარის „საყდრისყურის“ ეკლესიის სამარხიდან, მედალიონი წმინდა გიორგის გამოსახულებით)[178]. შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე მაგალითის დასახელება, რაც საერთო სურათს ოდნავაც ვერ შეცვლიდა. საერთოდ არ ვიცით გულსაკიდი ჯვრის აღმოჩენის ფაქტი ადრექრისტიანული (ადრე შუასაუკუნეების) ხანის ქრისტიანული სამაროვნებიდან. გულსაკიდი ოქროს ჯვარი აღმოჩენილია წებელდაში V ს-ის სამარხეულ კომპლექსში[179]. მაგრამ, როგორც ცნობილია, წებელდური სამარხები უკლებლივ ყველა „წარმართული“ უნდა იყოს[180]. არსებობს ცნობა, რომ გულსაკიდი ჯვარი აღმოჩენილი იყო რუსთავის ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხში[181]. იგი არც სადმეა გამოქვეყნებული და ვერც რუსთავის მუზეუმში დაცულ მასალებში მოვიძიეთ, ამიტომ მას სრულფასოვან ცნობად ვერ მივიჩნევთ. ასე რომ, გულსაკიდი ჯვრების მიცვალებულისათვის ჩატანება არ უნდა იყოს ქრისტიანული დაკრძალვის წესის აუცილებელი ნაწილი. იგივე ითქმის უმეტეს ქრისტიანულ სიმბოლოზე. ჯვრის თაყვანისცემა ცალკე არ არსებობს; იგი ყოველთვის გულისხმობს ჯვარცმულ უფალს იესო ქრისტეს. მეორე მხრივ კი, არ არსებობს ქრისტიანობაში ცალკე მიცვალებულის კულტი, რადგან ყველა ადამიანი ღმერთისთვის ცოცხლად განიხილება[182]. პირიქით, საფლავში მიცვალებულისათვის რაიმეს ჩატანება, ტანსაცმლის, ავგაროზის, სამკაულის თუ სამკაულის მსგავსი ნივთის, კანონიკური წესიდან გადახვევაა, „ხალხური რწმენის „ნაყოფია[183]. საინტერესოა, რომ იუსტინიანეს კანონმდებლობაში მკაცრადაა ხაზგასმული: „...არ უნდა დაიმარხოს გვამებთან ერთად სამკაული და სამკაულის მსგავსი ნივთები, როგორც ამას სჩადიან სულელები“[184]. ქრისტიანული მრწამსი, მორალი, ეთიკა ცოცხალი ადამიანისაგან ითხოვდა მატერიალური ფასეუ-

---

117 ლევან ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, გვ. 66—67, სურ. 18; რ. რამიშვილი, 1970, ტაბ. XXXIV—22, 94,251.

178 ლ. ჭილაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა, არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, სსმაე, 1978.

179 Трапш М. М. Культура цебельдинских некрополей, 1971, с. 38, табл. Б—1.

180 უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ № 15 სამარხში (ბგიძრახუ) მიცვალებულის პოზა თითქოს ქრისტიანულს ემთხვევა, მაგრამ სამაროვნის მთელი კონტექსტი ისეთია, რომ მისი ქრისტიანულად ჩათვლა გვიძნელდება.

181 საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 346 და იმავე ნარკვევების ტ. II, გვ. 533, სქოლიო 3, რომელშიც მ. იაშვილის ნაშრომია მითითებული.

182 „ხოლო ღმერთი მკვდრების კი არა ცოცხლებისაა, ვინაიდან მისთვის ყველა ცოცხალია“ — სახარება ლუკასაგან 20, 38.

183 ყოველ შემთხვევაში, ადრეული ქრისტიანობის შემდეგ, უკვე ოფიციალურ რელიგიად გადაქცევისას ქრისტიანობა ებრძვის როგორც წარმართობის გადმონაშთებს, ისე ქრისტიანობის პაგანიზაციასაც. მაგალითად, ნეტარი ავგუსტინე ებრძვის სასიფლაოებზე ალაბების გადახდის „წარმართობიდან“ მომდინარე წესს: „ეს თავისებური ალაპები ძალიან მოგვაგონებენ წარმართულ ცრურწმენას. მე შევაგონებდი მათ მოსულიყვნენ ნაშუადღევს საღმრთო წერილისა და ფსალმუნთა გალობის მოსასმენად: ამგვარად, უფრო მეტი სიწმინდითა და ღირსებით უნდა აღინიშნოს ეს დღე“ (წერილი: ალიპიუსისადმი) — აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა. წიგნი მეექვსე (ავრთვე მისი კომენტარები). საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985, გვ. 204, 476.

184 Дигесты Юстиниана, М., 1984, с. 200, § 5.

ლობისაგან თავშეკავებას, უარყოფასაც კი; მით უფრო უაზრო იყო ნივთების ჩატანება მიწაში ადამიანისათვის. რომელმაც ხორციელი ცხოვრება დატოვა და მხოლოდ სულიერს აგრძელებს — მიცვალებული ასეთია ქრისტიანობის შიხედვით.

პავლე მოციქულის ეპისტოლე, რომელსაც ქრისტიანთათვის კანონის მნიშვნელობა ჰქონდა, გვამცნობს: „ეგრეთვე დედათა წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თჳსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროჲთა ანუ მარგალიტითა სამოსლით დიდფასისაჲთა“ (ტიმოთეს მიმართ 2,9), რადგანაც: „სამკაული ქრისტიანის თვალში ფუჭად დაკარგული სიმდიდრის სიმბოლო იყო, რომელიც მოიპოვებოდა ბოროტმოქმედების, სისხლის, კაცთადმი არაადამიანური დამოკიდებულების საფასურად. ყოველივე ეს ადრეულ ქრისტიანთა, ადამიანის ხელით შექმნილ სილამაზისადმი ნეგატიურ განწყობაზე არსებითად მოქმედებდა“[185].

მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ძნელი იყო ხალხის ფართო მასების ფსიქიკაში უეცარი გარდატეხის მოხდენა, მით უმეტეს, რომ ხალხური აზროვნება განაგრძობდა თვით ქრისტიანობის ხელახალ მითოლოგიზაციას[186]. ეს მით უმეტეს ძლიერდებოდა ისეთ მომენტებში, როცა ოფიციალური იდეოლოგია რაიმე მიზეზით ასუსტებდა თავის გავლენას[187], ან დგებოდა კრიზისული მომენტები, როცა ხალხი სასწაულთა იმედზე რჩებოდა ხოლმე. ამ მოვლენებს ალბათ იწვევდა როგორც ქვეყნის საგარეო წარუმატებლობა, ისე შინაგან ძალთა დაძაბვა. ამის შედეგად ხალხური აზროვნების სტიქია შობდა ხოლმე ახალ, მაგრამ „წარმართული“ ტიპის კულტთა მოდელებს და როგორც მითოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი აღნიშნავს. „აი, მაშინ აღდგება წარმართული სტიქია და როგორც ბუნებრიერელიგია (ხაზი ჩვენია, ნ. ა.) იგი შემოდის ცალკეული ელემენტებისა და არა ერთიანი სისტემების სახით“[188]. ამიტომ ხშირად დღემდე მოღწეული „წარმართული“ ელემენტები სულაც არაა ხოლმე აუცილებლად ქრისტიანობამდელი წარმართობის გადმონაშთი[189].

---

185 Бычков В. В. Формирование основных принципов византийской эстетики. Культура Византии, 1984, с. 509.

186 Вторичная мифологизация христианской идеологии, МНМ, т. I, ამის მაგალითები იხ. ანდრო ლეკიაშვილი, ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის, „მაცნე“, № 1, 1985, გვ. 47—55.

187 Воздействие официальной идеологии на народное мировосприятие, разумеется, нельзя мыслить в виде одностороннего процесса внесения новых представлений и верований в „девственную почву“—происходило взаимодействие церковной идеологии с дохристианской идеологии с дохристианской (или лучше сказать, внехристианской) народной культурой. В процессе этого сложного и противоречивого взаимного влияния складывался тот культурно-идеологический комплекс, который можно было бы называть „народным христианством“, „приходским католицизмом“ — Гуревич А. Я. Проблемы средневековой народной культуры, М., 1981, с. 24.

188 ზურაბ კიკნაძე, აუცილებელი განმარტების განმარტება, „მნათობი“, № 6, 1983, გვ. 162.

189 სხვათა შორის, არა მხოლოდ ქრისტიანობაში უნდა ყოფილიყო ასეთი „დაყოფა“ ოფიციალურ, ეზოთერულ რელიგიასა და ხალხურ, განსაკუთრებით „სოფლურ“ რწმენას შორის, როგორც ჩანს, ასეთი დაყოფა-განსხვავება იყო ზოროასტრიზმშიც, ინდუიზმშიც; უფრო მეტიც, ასეევე უნდა ყოფილიყო ძველ რომშიც. ვარონი წერდა, რომ კალაქელები და სოფლელები თაყვანს სცემენ ერთსა და იმავე ღმერთებს, მაგრამ ისინი განსხვავებულად ესმით. თუმცა

ეკლესია და ოფიციალური იდეოლოგია ამ ხალხურ რელიგიას პერიოდულად ითმენდა ხოლმე. მაგრამ, როგორც ჩანს, ხშირად იგი ისეთ საშიშ ფორმებს იღებდა, რომ .ძნელიც ხდებოდა მასში ნამდვილი ქრისტიანობის შეცნობა. ასეთმა მოვლენებმა ბიზანტიაში გამოიწვიეს ე. წ. ხატმებრძოლობა. აი, რას წერს ცნობილი ბიზანტინისტი გ. ქურბატოვი: ხატმებრძოლობა ფორმალურად წარმოიშვა, როგორც ხატთა თაყვანისცემის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელმაც ცნობილი გავრცელება პოვა VI ს. და განსაკუთრებით კი VII საუკუნეში (ხაზი ჩვენია, ნ. ა.). VII ს-ში ხატთა გავრცელება და თაყვანისცემა მიაჩნდათ წარმართული ტრადიციების შენახვად, გაძლიერებადაც კი, წარმართული კერპთაყვანისმცემლობისაკენ დაბრუნების საწყისად, რასაც ასე თავგამოდებით ებრძოდა IV—V სს-ში ქრისტიანული ეკლესია. VII ს-ში ხატთა თაყვანისცემის აყვავების მიზეზთა ამოცნობა შეიძლება: ესაა ალბათ კულტურის მკვეთრი დაცემა, უწიგნურობა. ესაა ისიც, როცა „ღვთაების“ „ცხადი სახე“ ქრისტიანულ აღზრდაში იმ დროს დიდ როლს ასრულებდა. იზრდებოდა წარმოდგენა არქეტიპთან მისი უშუალო კავშირის. VII საუკუნის უბედურებებმა უფრო მეტად გააძლიერეს ღვთისა და ღვთაებრივ მხსნელთა იმედი. ეს იყო ბაზა ადგილობრივი, ლოკალური წმინდანების კულტის უსაზღვრო განვითარებისა. ამავე დროს VII საუკუნის კანონები იუწყებიან ძველი წარმართული ზეიმების აღდგენის შესახებაც[190].

მართალია. წყაროები პირდაპირ არაფერს გვეუბნებიან საქართველოში მსგავს მოვლენებზე, მაგრამ ჩვენ სრულიად დამოუკიდებლად, ნივთიერი კულტურის (და ზოგ სხვა მოვლენათა) ანალიზით მივედით დასკვნამდე, რომ სწორედ VII ს-ში საქართველოში შეიმჩნევა „... წარმართულ კულტთა ერთგვარი გამოცოცხლება“[191]. ამას ჩვენში თითქოს ხატმებრძოლობა არ მოჰყოლია, მაგრამ ამჯერად ეს არაა მთავარი[192].

ჯერჯერობით, როგორც ჩანს, სრულიად შეუსწავლელია, თუ როგორ ჩამოყალიბდა ასეთი სხვაობა აზროვნებაში—იხ. Культура древнего Рима, т. I, М., 1985, с. 19.... чистейшие религии и культы столь же постоянно порождали новое идолопоклонство, новое многообразие, новое варварство...,“—Паломничество Германа Гессе в страну Востока, Восток-Запад, М., 1982, с. 20.

190 Курбатов Г. Л. История Византии, М., 1984, с. 82—83. „Иконопочитатели, поднимали икону до божеств, заменяя на практике культ единого бога культом множество локальных святын и поклонением местным иконам, дробили церковь как организацию“— Каждан Л. И. Возникновение и сущность православия, М., 1968, с. 39.

191 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 112.

192 ზოგი არაპირდაპირი ცნობა მეტყველებს თითქოს, საქართველოში არ იყო ხატმებრძოლობა. კერძოდ, ტავრიკის ანტიხატმებრძოლი ეპისკოპოსის ხელდასმა VIII ს-ში მცხეთაში მომხდარა Епископскую кафедру в Готии Иоанн занял около 759 г. (рукоположен был в Мцхете католикосом Грузии). Якобсон А. Раннесредневековый Херсонес МИА, № 65, 1959, с. 41. საქართველოში ხატმებრძოლობა ალბათ იმიტომ არ გავრცელდა, რომ ქვეყანა ამ დროს უმეტესად არაბთა სახალიფოს ესაზღვრებოდა და ბიზანტიის ხატმებრძოლ იმპერატორებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამასთან მკვლევარი ზ. სხირტლაძე (იხ. სამრეკლოს ფრესკული წარწერები, თბ., 1985, გვ. 107) აღნიშნავს გარეჯის მრავალმთაზე სომხური (მცირეაზიელ?) ნაკადის არსებობას IX—X სს-სათვის და მიჩნეულია, რომ ისინი არაბთა შეტევას გამოექცნენ. შესაძლოა მათი პირველი ნაკადების გამოჩენა უკვე VIII ს-ში ხატმებრძოლობასთან იყო დაკავშირებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ხატმებრძოლი იმპერატორები არანაკლებ (თუ არა მეტად) ავიწროებდნენ ბერებს, რომელთა დიდი ნაწილი შარდილის შენიშვნით, „ახიელები“ იყვნენ—იხ. Диль Ш. История Византийской империи, М., 1948, с. 60.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, № 8 სამარხიდან მომდინარე წყვილ ოქროს საკინძზე გამოსახულია ამ დროისათვის უკვე კარგა ხნის კანონიზირებული ქრისტიანული სიმბოლო ჯვარი, მაგრამ საცნაურია ის მომენტიც, რომ ისინი „თავსამკაულადაა" ქცეული სხვა ტიპის საკინძებთან ერთად, რომელთაგან ზოგი მაინც გარკვეულ რწმენასთან დაკავშირებულ (სრულიადაც არაქრისტიანულ) სიმბოლოს წარმოადგენს[193]. აშკარაა, რომ ჯვრების ამ ფორმით ტარებისა კონტექსტი ტიპოლოგიურად სრულიად „წარმართულია" თუმცა კი თვით მისი მფლობელი ალბათ თავს ქრისტიანად თვლიდა. შეადარე აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა „ქრისტიანული" თვითშეგნება რიტუალისა და რელიგიური კულტის „წარმართულობის" ფონზე.

ჩვენ აქ შევეცადეთ მოგვეყვანა კიდევ ერთი მატერიალური ფაქტი, რითაც აისახა ადრეული ქრისტიანობის ერთი რთული ეტაპი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, კერძოდ კი VII ს-ში. იგი თითქოს როგორღაც ემთხვევა აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე რთულ პროცესს, რომელიც ბიზანტიაში ხატმებრძოლეობაში გამოიხატა. მოტანილი ალევური მაგალითი ტიპური ხალხური კულტურის, ხალხური აზროვნების ნაყოფია, იმ კულტურისა, რომელიც მუდმივქმედებაში იყო. „ახლად მიღებული" თუ ახლად გამჯდარი ქრისტიანობა კი მას ახალი მზა სახეებით კვებავდა. ასე წარმოიშვა დასავლეთ საქართველოში „წარმართული ღვთაება აგუნა", რომელსაც დამაჯერებლად მოუძებნა მკვლევარმა ა. ლეკიაშვილმა საწყისები წმინდა გიორგის კულტში[194]. თვით წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული პოპულარობა საქართველოში „ხალხური ქრისტიანობის" შედეგი უნდა იყოს, რომ დიდი მოწამე წმინდანის სახე დაჩრდილა „ფოლკლორულმა", გველეშაპთან მებრძოლმა მეომარმა; ამას ალბათ ხელი შეუწყო ქართული საზოგადოების სოციალურმა არსმაც[195], ფეოდალიზმმა მეომარი წმინდანების წინწამოწევას შეუწყო ხელი[196].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა, მის ოფიციალურ რელიგიად აღიარებისთანავე, ჰკვებავდა და ქმნიდა არა მარტო ქართული ფეოდალური საზოგადოების ინტელექტუალურ ელიტარული ნაწილის კულტურას, რომლის

---

193 მით უმეტეს ასეთი რიგისაა „გაფეტიშება" საკულტო შენობისა, რომლის ორნაირი მოდელი, ჩვენი აზრით, შემოგვინახა „შენობისებრთაყვანება" საკინძებმა.

194 ა. ლეკიაშვილი, წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის, 1979, საიუბილეო კრებული, გვ. 146—152.

195 ამიტომ ივ. ჯავახიშვილის მიერ თავის დროზე უთუოდ საინტერესოდ შემოთავაზებულ ანალიზს ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალისას, რის შედეგადაც მან წმინდა გიორგის „უკან" ძველი, ქრისტიანობამდელი ქართული წარმართული პანთეონის მთავარის ღვთაება დაინახა, დღეს როცა სხვაგვარი აზრიცაა გამოთქმული, უეჭველად ვერ მივიღებთ. მაგალითად, იაშო კოკიძის მიხედვით, „ქრისტიანული წმინდა გიორგი წარმართული მთვარის ღვთაებას, მორიგე ღმერთს კი არ ჩაენაცვლა, არამედ ღვთისშვილებს, რომელთა განზოგადებული სახე კვირია უნდა ყოფილიყო" — იხ. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 225.

196 ეს მოვლენა კარგად ჩანს შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპაში — იხ. Мифы народов мира, т. I, სტატია Георгий. დაახლოებით იმავე მიზეზით უნდა აიხსნას წმინდა გიორგის პოპულარობა საქართველოს მთაში—„მთიულებმა თუმცა იწამეს ქრისტე, მაგრამ მეტად ტრანსფორმირებული, მათ ხატებთან უფრო ახლო მეომარი წმინდანები აღმოჩნდნენ" — ი. კიკვიძე, 1976, გვ. 230. ასევე ძლიერ პოპულარულია ადრეულ შუა საუკუნეთა ჩრდ. კავკასიაში ნაყოფიერების, მამაკაცთა მფარველი ღვთაება, რომელიც ხშირად ცხენოსნის, მხედრის ფიგურითაა ხოლმე წარმოდგენილი. შემდგომში იგი გაიგივებულ იქნა წმინდა გიორგისთან (ალანოსების „უასთირჯი"—უაც-გიორგი)—Археология СССР, 1980, с. 90.

სახით და გამოვლინებით ვიცნობთ დღეს უმეტესად შუა საუკუნეთა ქართულ ხელოვნებას, ლიტერატურას, არამედ შედარებით „დაბალი ფენების", ხალხურ-ფოლკლორულ, „ეთნოგრაფიულ" კულტურასაც, რომელიც ახალი. ზოგჯერ მზა სახეებითა და სტრუქტურებით იკვებებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ასეთი დაყოფა აბსოლუტურამდე არ აგვყავს და, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში მას საერთო, ერთიანი კულტურის ორ ნაკადად მივიჩნევთ (და არა იზოლირებულ განსხვავებულ „კულტურებად"), რომლის ფორმირებაში ქრისტიანობის როლი უპირატესია.

ამასთან დაკავშირებით მართალი ბრძანდება ბატონი რ. თვარაძე, როცა აღნიშნავს: „იმ ფაქტს. რომ საქართველო მეოთხე საუკუნის დასაწყისიდანვე ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოექცა, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის სულიერი ფორმირებისათვის საიმდროოდაც, ადრეულ შუა საუკუნეებში და შემდგომაც მრავალი საუკუნის მანძილზე, არც ევროპასა და არც აზიაში არ არსებულა სხვა მოძღვრება, რომელიც შეძლებდა კულტურული განვითარების მხრივ ქრისტიანობის ბადალი სტიმული მიეცა ხალხებისათვის. ეს თითქოს მარტივი ჭეშმარიტება დღემდე არ არის გააზრებული"[197]. ამიტომაცაა, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ გვხვდება ფრიად უცნაური ლაფსუსები საქართველოში ქრისტიანობის და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის თითქოს საკმაოდ მარტივი საკითხების შესახებ[198]. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ ნარკვევებში მხოლოდ თითქოს ეალის მოხდის მიზნითაა საუბარი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე და არაფერია ნათქვამი ამ კულტურული ფენომენის ადგილის შესახებ საქართველოს ისტორიაში[199]. ეს მაშინ, როცა ქრისტიანობამ თავის დროზე პირველმა წამოაყენა პრინციპი, რომ ადამიანი უმაღლესი ფასეულობაა ამ ქვეყნად[200]. ეს მაშინ, როცა ქრისტიანობა ელინური კულტურის ბუნებრივი პროდუქტია. ის სულიერი შედეგია, რომელზეც შინაგანად ორიენტირებულია ელინისტური კულტურა და რომელიც მან მისცა მსოფლიოს განვითარების მომდევნო ორიათასი წლის მანძილზე[201]. ქართული კულტურა,

---

197 რ. თვარაძე, სოფელი და ზესთასოფელი, „ცისკარი", № I, 1983, გვ. 139. ძნელია აგრეთვე არ დაეთანხმო პატივცემულ ავტორს იმაშიც, რომ „... V—XVIII საუკუნეთა ქართული კულტურა ერთობ ცუდად არის შესწავლილი" — რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985, გვ. 290.

198 „ამ თხზულებაში (მოკლევად ქართლისაა — ნ. ა.) ქართველები დაუფარავად ამცილავნებენ სურვილს თავის კულტურით გვერდით ამოუდგნენ ბიზანტიელებს. სახელდობრ, ამ თხზულებაში საგანგებოდაა (ნ. ა.) ხაზგასმული, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ნინო ქართლში ქრისტიანობის საქადაგებლად მოდის არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ იერუსალიმიდან..." (ნარკვევები, ტ. II, გვ. 583—584). ჩვენი აზრით, უბრალოდ საეჭვოა, რომ ნინოს კონსტანტინოპოლიდან შესძლებოდა მოსვლა, რადგან მისი ქართლში მოსვლის დროს (IV ს-ის 20-იან, ან უფრო ადრე, წლებში?) კონსტანტინეპოლი ის-ის იყო შენდებოდა, ხოლო საპატრიარქო აქ საერთოდ IV ს-ის ბოლოს შეიქმნა. პირველი პატრიარქი იყო ნექტარიუსი (გარდაიცვალა 397 წ. 27 სექტემბერს). ციტირებული და სხვა მაგალითებითაც (იქვე, გვ. 217 და სხვ.) კარგად ჩანს, თუ რამდენად არაზუსტადაა გაგებული ბიზანტიური კულტურისა და მისი ცენტრების როლი ქართული შუა საუკუნეების კულტურის საკითხებთან დაკავშირებით.

199 მაშინ, როცა ხშირია ასეთი ფრაზები: „ქრისტიანულმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ გადალახა საკუთრივ ბიზანტიის საზღვრები და სხვა ხალხებიც ჩაითრია და წარიტაცა" (?! ნ. ა.) — იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 575.

200 Бычков, В. В. Эстетика поздней античности, М., 1981, с. 39.

201 იქვე, გვ. 20.

ქართული ეროვნული თვითშეგნება, ქართული ეროვნული ფსიქიკის ჩამოყალიბება, ქართველთა ჩამოყალიბება ერად შუა საუკუნეებში მოხდა, ქრისტიანული კულტურის, მისი ეთიკის, ესთეტიკის, ხელოვნების გავლენით[202] ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საინტერესოა, რომ შუა საუკუნეთა ქართული ხელოვნების ძეგლებზე „წარმართულობის" რეციდივები, „წარმართული ტიპის" სიუჟეტები მცირე რაოდენობით გვხვდება და ისიც უმთავრესად ადრეულ შუა საუკუნეთა მანძილზე (ბოლნისის სიონის კაპიტელებზე და სხვ.), ადრე შუა საუკუნეთა მიწურულსა და განვითარებულ შუა საუკუნეებში „წარმართული" ელემენტები ხელოვნების ძეგლებზე გამქრალია[203].

აბზინდები და ბალთები

ქვემო ალევის სამაროვნის შესასწავლი 57 სამარხიდან აბზინდები და ბალთები აღმოჩნდა მხოლოდ 3 სამარხში (მათგან აბზინდები აღმოჩნდა №8 და № 21 ქალთა ინდივიდუალურ სამარხებში, ხოლო სრული საქმრე აკაზმულობა — აბზინდებიცა და ბალთებიც მხოლოდ № 23 სამარხში, რომელშიც დაკრძალული იყო მამაკაცი).

განსახილველი ნივთები შეიძლება გაიყოს ორ მთავარ ჯგუფად: ჰერალდიკური ტიპის აბზინდა-ბალთები, რომელშიც ერთიანდება უმეტესი ნაწილი (№ 21 და № 23 სამარხების მასალა — ტაბ. XI—1, 2; XIII—1—14) და ფიგურულფარაკიანი აბზინდა № 8 ქვისსამარხიდან (ტაბ. IV—11). ისინი შეესაბამება ჩვენ მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის III და VII ჯგუფებს[204].

№ 23 სამარხში აღმოჩენილი დიდი აბზინდა (ტაბ. XIII—1) განეკუთვნება III ჯგუფის I ტიპის I ქვეტიპის C ვარიანტს. № 21 ქვისსამარხის აბზინდები კი (ტაბ. XI—1,2) III ჯგუფის I ტიპის I ქვეტიპის Ч ვარიანტს.

ბალთები ასე ნაწილდება: 3 ცალი ნიღბისებრი ბალთაა — I ტიპის, 1 ქვეტიპის A¹ ვარიანტი (ტაბ. XIII—12—14); ნახევარწრიული ბალთები — I ტიპის 2 ქვეტიპი (I ნიღბისებრი — ტაბ. XIII—3 და 3 ცალი წრიული ჭრილით — ტაბ. XIII—4, 6, 7). დიდი ზომის ფართოჭრილიანი „ენისებრი" ბალთა — 1 ც. (ტაბ. XIII—5) — იგი შეიძლება გამოიყოს II ტიპის 2 ქვეტიპში. I ტიპის 1 ქვეტიპის B ვარიანტში შეიძლება გამოიყოს ხუთმიმიანი ბალთა, რომელსაც M-ისებრი ჭრილი აქვს (ტაბ. XIII—11). I ტიპის 1 ქვეტიპი C₁ ვარიანტისაა ოთხხვრელიანი შეწყვილებულ ნახევარმთვარისებრი ბალთა (ტაბ. XIII—8), Θ-სებრი ბალთა ერთიანდება III ტიპში (ტაბ. XIII—2).

განხილულ აბზინდებს და ბალთებს თან ახლავს დამხმარე ნაწილები, ორმანჯვლიანი ძელაკები და O-სებრი სამაგრი, რომელშიც ზონრის ბოლოები უნდა ყოფილიყო გაყრილი. ყველა ისინი დამზადებულია ბრინჯაოსაგან. ზოგი მათგანის ზედაპირი თავის დროზე დაფარული იყო ვერცხლით, რომლის ნაშთები ახლა მხოლოდ დიდ ენისებრ ბალთას შერჩა.

---

202 ამის ერთგვარი რეაბილიტაციაა სულ უკანასკნელ ხანებში გამოსული ფილოსოფოს ნოდარ ნათაძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური მოტივები", თბ., 1985.

203 მაგალითად, საინტერესოა, რომ „...грузинские эмали не содержали нехристианских мотивов... Это свидетельствует о высокоразвитой христианской культуре Грузии, неохотно допускавшей в искусстве темы языческого происхождения" — Василенко В. М., Даркевич В. П., Хускивадзе Л. З. „Грузинские эмали", Тбилиси, 1981, СА, № 4, 1984, с. 278.

204 Б. Апхазава, 1979, გვ. 46—55.

№ 23 სამარხში აღმოჩენილ ქამარს ჩვენ ცალკე წერილი მივუძღვენით[205], ამიტომ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ჰერალდიკური ქამრები თარიღდებიან VII ს-ის პირველი ნახევრით[206], ხოლო ფიგურულფარაკიანი აბზინდა — VI—VII სს-ით[207]. განხილულ ნივთებს ბევრი ანალოგი მოეძებნებათ სამთავროში, არმაზისხევში, ურბნისის ნაქალაქარზე, ბერბუკში[208], ერწოს გელზე[209], ედისის ნაქალაქარზე[210], წებელდაში[211], ნოქალაქევში[212] და სხვ.

ძალიან ბევრი ანალოგის დასახელება შეიძლება მათთვის აგრეთვე აღმ. ევროპის VI—VII სს-თა ძეგლებზე, რაც არაერთხელ გვაქვს მითითებული ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომებში, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ მათ. ყველა ისინი განეკუთვნებიან ერთ მოვლენას და ამ სტილის ჩამოყალიბების ცენტრად მკვლევარებს ყირიმი, ან დუნაისპირეთი მიაჩნიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად კიდევ ბევრი მასალაა მოსაძებნი და გასათვალისწინებელი, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში ცნობილი გახდა მათი დასავლეთ მცირე აზიაში, ისტორიული ბიზანტიის ტერიტორიაზე აღმოჩენის ფაქტები[213].

ზემოთ დასახელებულ სტატიაში აღვნიშნავდით, რომ „მთლიანი ქამარი" ქვემო ალევში მხოლოდ ერთ, № 23 სამარხშია აღმოჩენილი. იგივე მდგომარეობა რჩება დღეისათვის, როცა შესწავლილ სამარხთა რიცხვმა 116-ს მიაღწია. მაგრამ, როგორც ჩანს, არის ამაში გარკვეული კანონზომიერება. იგივე სურათი ჩანს სხვა მეტ-ნაკლებად სრულად შესწავლილი სამაროვნებიდანაც. მაგ., სამთავროს რამდენიმე ასეულ VI ს-ის მიწურულისა და VII საუკუნის სამარხთაგან მხოლოდ რამდენიმეშია აღმოჩენილი „მხედრის ქამარი" (—სრული, მთლიანი, მამაკაცის ქამარი). ასეთია უპირველესად № 251 (40 N) სამარხი, გაცილებით ღარიბულია სხვა ქამრები, მაგ., № 120 (38 N) სამარხიდან, № 623 (46) სამარხიდან და „დანგრეულ" სამარხიდან[214]. კიდევ რამდენიმე სამარხში გვხვდება ცალკეული აბზინდა და ბალთა, რაც რანგით ვერ გაუტოლდება ჩამოთვლილებს (აქ ქალის სამარხები არ იგულისხმება). მოყვანილი ფაქტები ალბათ მიგვითითებს, რომ „მხედრის ქამარი" მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. ეს კი ქართლის საზოგადოების ძლიერ სტრატიფიკაციაზე მიგვანიშნებს, მით უმეტეს, რომ მონაცემები აღებულია ჩვეულებრივი მასიური ქალაქური და სოფლური სამაროვნებიდან. სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, კვლავ უნდა აღ-

---

205 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, მხედრის სამარხი ქვემო ალევიდან, სსმმ, XXXIII—B, 1986.

206 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 58,59, 91—94.

207 იქვე, გვ. 55.

208 იქვე, გვ. 46—55.

209 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, ტაბ. XVII—4—500; XVIII—3—15, 18.

210 Дзаттиаты Р. Г. 1986, таб. 3—18, таб. 5—3, таб. 6—5, 23—26.

211 Воронов Ю. Н., Шенкао Н. К. Вооружение воинов Абхазии IV—VII вв., ДЭВПН V—VII веков, М., 1982, рис. 22—31.

212 ნოქალაქევი — არქეოპოლისი, 1981, ტაბ L—2. 1979 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა" ნაწილობრივ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო „ამოვარდა" ზოგიერთი მითითება; ახლა გვსურს ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა მოვახსენოთ პროფ. ბ. ზაქარაიას ნოქალაქევში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გამოყენების უფლებისათვის.

213 Jane C. Walobaum 1983, № 696 pl. 44 M. 58, 33: 390 Early Byzantine Copper alloy № 693, pl 44 M. C4. 6109 Early Bysantine Copper alloy და სხვა.

214 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXVIII—1—31, ტაბ. XXVII—38—44, ტაბ. XXVII—10—18, ტაბ. XXVII—19—28.

ვნიშნოთ, რომ ამავე ხანის აღმ. ევროპის ხალხთა სამარხებში თითქმის ყველა სრულასაკოვან მამაკაცს მხედრის ქამარი აქვს ჩატანებული[215]. ე. ი. ამ ფაქტშიც აისახა საზოგადოების სტრუქტურის შედარებით პრიმიტიულობა.

მეორე მხრივ, თუ ქართლში „მხედრის ქამრიანი", ე. ი. გარკვეულად დაწინაურებული რანგის პირთა სამარხები ჯერ კიდევ მაინც საერთო, ალბათ საგვარეულო (ან სათემო) სასაფლაოზეა მოწყობილი. ეს თავის მხრივ მიგვითითებს იმას, რომ გვარის და სასოფლო-ტერიტორიული თემის (ჩვენს შემთხვევაში), როგორც სოციალური ინსტიტუტის ძალა ჯერ კიდევ დიდია. ეს აზრი ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით კარგა ხანია შემჩნეული და დასაბუთებულია კიდეც[216]. ვფიქრობთ, განხილულ არქეოლოგიურ მასალაშიც ნაწილობრივ მაინც აისახა ეს მომენტი. ქვემო ალევის ადრეული შუა საუკუნეების მასიურ, სასოფლო (—სათემო?) სასაფლაოზე დაკრძალული ახალგაზრდა მამაკაცი (ჩვენი გათხრების მიხედვით № 23 სამარხში) გარკვეული რანგის პირია უთუოდ, რაზეც მიუთითებს ქამარი, როგორც სიმბოლო „მხედრისა" (თუ მეომრისა). საფიქრებელია, რომ იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც გააზნაურებისათვის იღწვოდა[217]. ახლა ძნელია თქმა, იყო თუ არა VII ს-ის ალევში რანგით მასზე მაღალი პიროვნება. პირადად ჩვენ უფრო იქეთ ვიხრებით რომ არა. არაა გამორიცხული, რომ სწორედ 23-ე სამარხში დაკრძალულის მსგავსთა ბრძოლისა და დაწინაურების შედეგი იყო ადრეულ შუასაუკუნეთა ბოლოს „მგდეურთა", „კორინთელთა" და სხვათა საგვარეულოების შექმნა[218].

საყურეები (ტაბ. XXXIV)

ზოგადი ფორმის, კონსტრუქციისა და შემკობის დეტალების მიხედვით განსახილველ სამარხებში აღმოჩენილ საყურეთა შორის რამდენიმე სახე გამოიყოფა. მათი მთავარი, ძირითადი განმასხვავებელია ერთწილადობა და ორ-

---

215 Плетнева С. А. От кочевий к городам, М., 1967, с. 161; Распопова В. И. Поясной набор Сегда VII—VIII вв., СА, № 4, 1965, с. 78.

216 დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე", № 2, 1980, გვ. 160.

217 განხილული და სხვა მასალებიც გვიჩვენებს, რომ ალევის ხევი მკვიდრადაა ჩაბმული საერთო ქართულ საზოგადოებრივ პროცესში და იგივე მოვლენები მიმდინარეობდა, რაც ქართლის ბარში. შესაძლოა გარკვეული აზრით უფრო აქტიურადაც, რადგან ფეოდალიზაციისთვის ნედლი მასალა, ერთგვარად მოდუნებულ ქართლის ბარს მთამ და მთისწინა ზოლმა მისცა და დაახლოებით მსგავსი როლი შეასრულა რაც „ბარბაროსულმა" სამყარომ რომის მიმართ (რა თქმა უნდა, მცირე მასშტაბით).

218 როგორც ჩანს, თვით ალეურას ხეობაში (და არა ხევში, რადგან „ალევის ხევი" მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს მდ. ალეურას ხეობას) ადრეულ შუა საუკუნეთა მანძილზე რამდენიმე პუნქტი იბრძოდა პირველობისათვის — ციხისსოფელი, გდუ, გრუ, ალევი, კორინთა (?) და შესაძლოა სხვაც. X საუკუნისათვის, როგორც ჩანს, იმარჯვეს გდუმ და კორინთამ, წყაროში სწორედ მგდეური და კორინთელი დაფიქსირდა. ამასთან გდუში შემოგვრჩა აქაური აზნაურული ბუდის მომანიშნებელი ყველაზე მეტყველი ძეგლი, დიდი „ბარული ტიპის" საშეკლესიანი ბაზილიკა, ნიშანი გდუს, მგდეურთა გამარჯვებისა და ახალ ეპოქაში წარმატებული გადასვლისა. ციხისსოფელმა, როგორც ჩანს, კონკურენციას ვერ გაუძლო და აქაური მშვენიერი კომპლექსი თითქოს ადრეულ შუასაუკუნეებშივე ჩანს „ჩამკვდარი"; იქნებ, „დამარცხდა" ალევიც აქ საერო საფორტიფიკაციო ნაგებობის არავითარი კვალი არ გადარჩენილა. იგი ბრძოლას გამოეთიშა და იქცა სატაძრო, საეკლესიო (წილკნელის?) მამულად, რამაც საბოლოოდ ჩაახშო აქ საერო, აზნაურული ტენდენციები. ყოველივე ზემოთქმული სამუშაო ჰიპოთეზაა და მისი ხორცშესხმა-დამოწმება მომავალი კვლევის საქმეა.

წილადობა. ერთწილადი საყურეები დამზადებულია ლითონის ერთი „ნაგლეჯი-საგან“ (I ჯგუფი), ხოლო ორწილადი საყურეები შედგენილია ორი მთავარი ნაწილისაგან, საკიდი რგოლისა და მძივსაკიდი ღეროსაგან. ამ უკანასკნელის მიხედვით კი განირჩევიან საყურეები რგოლზე უძრავად მიმაგრებული მძივსაკიდით და მოძრავად მიმაგრებული მძივსაკიდით.

I. ე რ თ წ ი ლ ა დ ი ს ა ყ უ რ ე ე ბ ი. ქართულ ძეგლებზე აღმოჩენილი ამ ჯგუფის საყურეებში ჩვენ თავის დროზე რამდენიმე ვარიანტი გამოვყავით[219]. ალევის განსახილველი მასალა ერთიანდება I ჯგუფის I B_1 ვარიანტში — ისინი წარმოადგენენ პირგახსნილ, მრგვალგანივკვეთიან (ან ოვალურ) ასიმეტრიულ რგოლებს, რომელთა შუა ნაწილი, მუცელი, მეტ-ნაკლებად შესქელებულია[220]. დამზადებულია ბრინჯაოსა (უმეტესად) და ვერცხლისაგან. მუცელშესქელებულ საყურეებს გამოვყოფთ II B ვარიანტში. ისინი აღმოჩენილია ქვს. № 20 (ტაბ. XXXIV—12). სამარხი VII ს-ის უნდა იყოს ბეჭდებისა და წვეთისებრი მძივების მიხედვით; ქვს № 32—2 ც. (ტაბ. XXXIV—11). სამარხი VI ს-ის უნდა იყოს ბეჭდების, მშვილდსაკინძისა და საკინძების მიხედვით (ტაბ. XVII); ქვს. № 45 (ტაბ. XXXIV—9,10). სამარხი საკინძების, მშვილდსაკინძისა და ბეჭდების მიხედვით VI საუკუნისაა (ტაბ. XXV—12, 13); ქვს. № 49 (ტაბ. XXVI—54). როგორც ჩანს. საყურეთა ეს ჯგუფი IV—V სს-ის სიმეტრიულად მორკალულ, მუცელშესქელებულ (და წიბოიან) საყურეებიდან უნდა იყოს წარმოშობილი და დათარიღდეს VI—VII სს-ით (შესაძლოა უფრო VII ს-ის მეორე ნახევრამდე). ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგადად მსგავსი საყურეები „სამხრეთ რუსეთში“ უკვე III ს-დან ჩნდება[221]. მკვლევარმა ნ. პიატიშევამ 1956 წელს გამოთქვა აზრი, რომ ისინი ალანურ ტომებს უკავშირდება[222]. შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევაში (ჩრდ. შავიზღვისპირეთში) საყურეები მართლაც ალანთა კუთვნილებაა, მაგრამ 1956 წლის შემდეგ მათი აღმოჩენის გეოგრაფია იმდენად გაფართოვდა, რომ გაძნელდება სადაც მორკალული მუცელშესქელებული საყურე აღმოჩნდება ყველგან ალანი დავინახოთ. ისინი ხომ უმეტეს შემთხვევაში სრულიად არაალანური ტიპისა და ინვენტარიან სამარხებშია აღმოჩენილი, ვთქვათ ჩხოროწყუში[223], ურბნისში[224], მინგეჩაურში[225], ადრეულ შუა საუკუნეების სამთავროში, არმაზისხევში[226], ერწოს ველზე[227].

---

219 დაწვრილებით იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 61—66.

220 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 65—66.

221 Арсеньева Т. М. Некрополь Танаиса, М., 1977, с. 137 (табл. XXXI, 6).

222 П я т ы ш е в а Н. В. Ювелирные изделия Херсонеса, ТГИМ № 18, М., 1956, с. 46, табл. УШ, 2.

223 Х о ш т а р и а Н. Чхороцку, მსკ, 1941, ტაბ. III—3, გვ. 73.

224 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 61.

225 Асланов З. М., Голубкина Т. И., Садыхзаде Ш. Г. Каталог золотых и серебряных предметов из археологических раскопок Азербайджана. Баку, 1966, табл. II—3, с. 18.

226 ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, 1967, გვ. 79, ტაბ. I—48. მისივე ხელნაწერი ნაშრომი, 1956, გვ. 33, 37, 42, 43.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავროს ქვს. № 366 (46 წ.) აღმოჩენილი საყურე, რომელიც ჩვენ თავის დროზე IV—V სს-სად მივიჩნიეთ, უფრო VI საუკუნისა უნდა იყოს, მისი „დეტალები“ ადრეულ ნაკლებად ჰგავს (იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 62—63, ტაბ. XI—10). ჩვენ მითითებულ ნაშრომში აღვნიშნავდით, რომ სამარხეული ინვენტარი უფრო V—VI სს-ის ტიპისაა და მათში დადასტურებულ სასანურ „ნიშანს“ ზუსტი ანალოგები VI—VII საუკუნის მასალებში მოეპოვება. ამგვარად, სამარხეული კომპლექსი 366, ვიმეორებთ, VI საუკუნისაა.

227 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, გვ. 48, 49, სურ—205.

საქართველოს გარეთ გვხვდება ჩრდილო კავკასიაში[228], შავი ზღვის სანაპირო-ზე[229], ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში[230], შუა აზიაში[231], მცირე აზია-ში[232].

ბოლო ხანებში მსგავსი საყურეები აღმოჩნდა დიდი ლიახვის სათავეებში, ისტორიული შიდა ქართლის მთიან ზოლში (გვიანფეოდალურ მაღნარ დვალეთ-ში) სოფელ ედისთან გათხრილ ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებ-ში[233]. აქ აღმოჩენილია უმეტესად VI—VII სს-სათვის დამახასიათებელი საყუ-რეები. მათ შორის აღმოჩნდა ოქროს ნახევარმთვარისებრი ბრტყელი საყურე სარდიონის თვალითა და გრეხილი ორნამენტით შემკული. ეს უკანასკნელი საკ-მაოდ ორიგინალურია და ზუსტი ანალოგი ჯერჯერობით არ მოეძებნება სამარ-ხეული ინვენტარის ყველა სხვა ნივთს პირდაპირი ანალოგები მოეპოვება ქარ-თულ მასალებში. ამის შესახებ ზემოთ ვუთითებთ კიდეც შესაბამის ადგილას. იგივე შეიძლება ითქვას სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესზე. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია (ზურგზე გაშოტილი მიცვალებულები თავით დასავლე-თისკენაა მიმართული),ირის „წარმართული" მინარევებიც. სამარხთა შემსწავ-ლელი რ. ძათიათი (-ჯატიევი) კი მათ ალანებს მიაკუთვნებს[234], უძებნის რა ცა-ლკეულ ელემენტებს პარალელებს ალანურ სამყაროში. ძათიათის როგორც ეს, ისე სხვა სტატიები ცალკე განხილვის ღირსია. აქ გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ აღმ. ქართული არქეოლოგიური მასალები, როგორც ჩანს, მისთვის საკ-მაოდ კარგადაა ნაცნობი, მაგრამ იგი დაჟინებით ცდილობს თავისი აზრები „დანერგოს" ექვსიოდე არცთუ ზუსტი დოკუმენტაციის მქონე სამარხით და ერ-თი ხელის მოსმით გააბათილოს ვ. გამრეკელისა და რ. რამიშვილის არაერთი ათეული წლის უზარმაზარ ფაქტობრივ (სრულიად სხვადასხვა ტიპის) მასა-ლაზე ნაფიქრ-ნაშრომი[235]. მაგრამ, ვიმეორებთ, მისი „ნაშრომები" ცალკე გან-ხილვის ღირსია ჩვენ კი მივყევით საყურეების კლასიფიკაციას.

---

[228] Минаева Ш. М. Поселение в устье р. Узун-Кол. СА, 1960, № 2, рис. 6,7.

[229] Анфимов Н. В. Зихские памятники Черноморского побережья Кавказа. Северный Кавказ в древности и в средние века, М., 1980, рис. 11—13, с. 107.

[230] Засецкая И. П. Золотые украшения гуннской эпохи, Л., 1975, с. 42.

[231] Распопова В. И. Металлические изделия раннесредневекового Согда, Л., 1980, рис. 75—6, 8—10.

[232] Jane C. Waldbaum, 1983, № 723, № 724.

[233] Дзаттиаты Р. Г. 1986, рис. 4—14, 14, 15, 16: рис. 2—5.

[234] იქვე. გვ. 208.

[235] ძათიათი იყენებს ზოგად გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ცნებებს, ეშლება ნომენ-კლატურაც. მაგალითად, აღაიანი მცხეთად მიაჩნია (გვ. 208). ავტორს, რომელსაც ეთნოგენე-ზის შესწავლა დაუსახავს მიზნად, მართებდა უფრო ზუსტად მეთითებინა სამთავრო ან გა-ვაზი რომელ ქვეყანაშია და არა უბრალოდ „ზაკავკაზიში" (გვ. 200), მით უმეტეს, რომ ხში-რად ტექსტში ერთადაა ჩამოთვლილი ქვემო ჯულათი და გავაზი. და ,რაც მთავარია, ავტორი არაფერს ამბობს თუ რომელ ქვეყანაში ჩამოსახლდნენ ალან-ოსები. უნდა შევახსენოთ ძათი-ათის და სხვებს, ასეთი ტერმინების მოყვარულნი, რომ „ზაკავკაზიაში" 3 მოზრდილი ქვეყანა არსებობს თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით და პატივი უნდა ვცეთ მათ.

ძათიათიმ მოისურვა „თავის ქალების დეფორმაციის" მიხედვითაც გადაეწყვიტა ეთნიკუ-რი პრობლემები. დაეუშავეთ, თავის ქალის ხელოვნური დეფორმაცია მართლაც ალანობის ნი-შანია. დღეს ალევში გათხრილ 118 სამარხში 270-ზე მეტი ინდივიდია დაფიქსირებული, მათ-გან ორს აქვს მხოლოდ დეფორმირებული თავი. რა ნიშნით გადაეწყვიტოთ დანარჩენ მიცვა-ლებულთა ეთნიკური კუთვნილება, ორის მიხედვით 270-იც ალანად ჩავთვალოთ, თუ პირი-

I ჯგუფის I B_2 ვარიანტში გამოვყოფთ მორკალულ საყურეებს, რომელთაც მუცელი შესქელებული არა აქვთ (ტაბ. XXXIV—13, 25—41, 47, 49); მათ მხოლოდ ნაწილს აქვს დაიწროებული, გახსნილი ბოლოები. აღმოჩენილია: ქვს. № 7 (ტაბ. II—15). ქვს. № 12 (ტაბ. IX—3), ქვს. №. 13 (ტაბ.VI—33—34), ქვს. № 20 (ტაბ. X—37), ქვს. № 30 (ტაბ. XV—13), ქვს. № 34 (ტაბ. XVIII—42, 43, 45). ქვს. №41 (ტაბ. XXI—20). ქვს. № 48 (ტაბ. XXVI—20, 30, 31). ორმოსამარხი № 55 (ტაბ. XXVIII). განხილული სამარხები ზოგადად VI—VII სს-ისაა.

ეს თარიღი კარგად მოწმდება სოფელ სიმონიანთხევის. ღამების № I სამარხის ინვენტარითაც[236]. მსგავსი ორი საყურე აქ VII ს-ის პირველი ნახევრის აბზინდასთან ერთადაა[237]. VII ს-ის პირველი ნახევარისაა ჯიჯეთის, პირიმზის სამაროვანზე გათხრილი სამარხის ინვენტარი: ჭვინტიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძის, ჰერალდიკურფარაკიანი აბზინდის, „ეყენების“ და ყაყაჩოს-პარკისებრი მძივის მიხედვით[238]. თუმცა შესაძლებელია. ცალკეულ შემთხვევებში ისინი. უფრო სწორად. მათი მსგავსი საყურეები (ზოგჯერ უფრო მასიური ფორმისა) სხვა, გაცილებით ადრეულ ხანაში გვხვდებოდეს[239]. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდეგ წლებში გათხრილ სამარხებში I—I B_1 ვარიანტის საყურეები ახალგაზრდა მამაკაცის ჩონჩხთანაც (სამარხი № 90) აღმოჩნდა.

I—I C ვარიანტად შეიძლება გამოვყოთ საყურე, გახსნილი მორკალული ფორმისა. რომლის გვერდი დაბეჭდული ან ცალი მხარე ბურცობებითაა შემკული. ასეთი საყურე აღმოჩენილია № 6 სამარხში და განეკუთვნება ადრეული ჯგუფის ნივთებს (იხ. ტაბ. XXXIV—24)[240].

საყურეების ჯგუფი II (ტაბ. XXXIV—8. 22, 23. 37, 38, 44—46) — საკიდ რგოლზე, რომელსაც პირი გვერდზე აქვს გახსნილი, ქვემოდან მიმაგრებული აქვს იმავე მასალის მძივი (ჯგუფი II — ვარიანტი II A), ან უძრავად მიმაგრებული „მძივსაკიდი“. ე. ი. ღერო რომელზედაც ასმულია სხვა მასალის, ერთი ან რამდენიმე მძივი. ჯგუფი II ვარიანტი II. II—II A ვარიანტი გვხვდება № 55 ორმოსამარხში (ტაბ. XXVIII—27. 28). ვერცხლისაა. ქვემოდან მირჩილული აქვს ჯვარედინად განლაგებული ვერცხლისავე ბურთულები. სამარხი VI ს-ით თარიღდება.

ჭით? მაგრამ ამ ორსაც ხომ სხვა ეთნიკური მაჩვენებლით, დაკრძალვის წესით, ინვენტარით და სხვ. არაფერი აქვს საერთო ალანებთან. იგივე ითქმის სამთავროში, სანთაში და ედისუში აღმოჩენილ თავებდეფორმირებულ ინდივიდთა შესახებაც.

ძათითიმ იცის, რომ ალანთა კულტურის ერთ-ერთი (არა ერთადერთი — ნ. ა.) ნიშანია კატაკომბური სამარხი. ედისში კი ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხებია მხოლოდ გახსნილი. მკვლევარმა გამოსავალი იპოვნა: მისი განმარტებით, თურმე ედისში „დასახლებულმა“ ალანებმა ქვიანი გრუნტის გამო ვერ მოაწყვეს კატაკომბები, გვ. 208). მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ არსებობობს კლდის კატაკომბები, რომლებიც იმ დროს გავრცელებული სწორედ ალანებით დასახლებულ მხარეში — ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში — იხ. Археология СССР, გვ. 88, სურ. 65, ე. ი. გრუნტის ქვიანობა ან კლდიანობა არაფერ შუაშია. ეგვი არაა, ძათითი ტენდენციურია და იჩენს მიუტევებელ „გულმავიწყობას“, ეს კი არ შეფერის ნამდვილ მეცნიერებას.

236 ბ. ჯორბენაძე, 1981, ტაბ. XVII—4.

237 ანალოგიური აბზინდების შესახებ იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979. გვ. 49.

238 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, ტაბ. XVIII—3,4.

239 მსგავსი საკიდები, გვხვდება ადრეანტიკურ ხანაშიც — იხ. ო. ტ უ ყ უ შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ფოლადურის ხეობა, თბ., 1969, გვ. 61, ტაბ. X—277.

240 ანალოგიურ საყურეებზე იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 66.

ანალოგიური საყურე (ვერცხლისავე) აღმოჩენილია არმაზისხევის № 8 ქვისსამარხში[241]. იგი აქ ჯამისებრთვალბუდიან ბეჭედთანაა. ასე რომ, ისიც დაახლოებით თანადროულია VII ს. (ან VI—VII სს-ის მიჯნა). მსგავსი საყურეები აღმოჩენილია ურბნისში, სლესის ციხეზე და სხვა ძეგლებზე[242].

ჯგუფი II—II ვარიანტის საყურეები გვხვდება: ქვისსამარხებში № 6 (ტაბ. III—10), № 27 (ტაბ. XV—11—12), № 33 (ტაბ. XVIII—37), № 41 (ტაბ. XXI—18), № 46 (ტაბ. XXVI—1,2) და № 51 (ტაბ. XXVIII—1.2) ყველა ეს ნივთი ზოგადად V—VII სს-ს განეკუთვნება. მათგან ყველაზე ადრეული V ს-ის მეორე ნახ. № 41 სამარხშია. სამარხის თარიღს განსაზღვრავს როგორც მისი შემცველი ნივთები — უვარდულო, ქვისთავიანი საკინძები, ცხოველისახიანი სამაჯურები და სხვ. აგრეთვე მის თავზე მდგომი ქვისსამარხი № 40, რომელშიც დაფიქსირდა მუხლზამბარიანი, ბუდეაბმული, ჩახრილი, ბრტყელმშვილდიანი მშვილდსაკინძი, რომლის ანალოგები ძირითადად V ს-ში იძებნება[243]. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ფართო მშვილდი აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ აქამდე ცნობილ არც ერთ მშვილდსაკინძს არა აქვს (ამიტომ არ იქნება გასაკვირი, რომ იგი VI ს-ის დასაწყისშიც „გადავიდეს", მაგრამ ამას მომავალი კვლევა გვიჩვენებს).

უნდა აღინიშნოს, რომ მძივსაკიდები განსახილველ საყურეებს ერთნაირი აქვთ. გვხვდება ერთი მოზრდილი და ერთი ან რამდენიმე პატარა მძივისაგან შედგენილი საყურეები. პატარა მძივები ყოველთვის მინისაა, ხოლო დიდი მძივი მარგალიტის (როგორც მაგ., №33 ორმოსამარხში) ან ვერცხლის წვეთისებური ბურთულისა (მაგ., № 6 ქვისსამარხში). საყურეთა უმეტესობას დიდი მძივსაკიდი დაკარგული აქვს. ანალოგიური საყურეები გვხვდება სამთავროს სამაროვანზე [244], მაგრანეთში[245], დიღმის ხეობაში, თელოვანის სამაროვანზე[246].

საინტერესო უნდა იყოს, რომ მსგავსი საყურეები ცოტა მოგვიანო ხანაში (VII—VIII სს.) ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპაში[247]. ახლა ძნელია თქმა, არის თუ არა გენეტიკური კავშირი მათსა და ქართულ მასალას შორის. საშუალედო ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთები ამის სასარგებლოდ არას ამბობენ.

III ჯგუფში ერთიანდება საყურეები, რომელთაც გახსნილ რგოლზე მოძრავი საკიდი ამკობს (ტაბ. XXXIV—1—7, 15—21, 28—36, 42, 43), მათ შორის განსხვავება შეიმჩნევა მძივსაკიდის დამაგრების წესში. ზოგის ყუნწი პირდაპირაა წამოცმული დიდ რგოლზე და მას აქეთ-იქიდან კეტავს რგოლზევე მჭიდროდ წამოცმული სპილენძის პატარა სალტეები (ტაბ. XXXIV—28—36, 43.

---

241 ნ. უგრელიძე, 1956, გვ. 31—32.

242 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 68. მათგან ზოგი თითქოს განსხვავდება.

243 ნ. აფხაზავა, 1979ა გვ. 13, 30, ტაბ. VIII—1—25. № 6 სამარხის საყურის ჯგუფის ნივთები VI ს-ის მეორე ნახევრისა უნდა იყოს. სამარხ № 27-ის ინვენტარი საკინძთა მიხედვით VI ს-ის მიწურულის ან VII ს. დასაწყისისაა. № 33 ორმოსამარხი VI ს-ხა უნდა იყოს. ამავე ხანისაა თითქოს № 46 და № 51 სამარხებიც. ასე რომ, ალევში ისინი უმეტესად VI ს-სთვის ჩანან დამახასიათებელი.

244 ნ. უგრელიძე, 1967, ტაბ. I—47, ტაბ. II სამაჯურის მარჯვნივ, ზემოთ.

245 ბ. ჯორბენაძე, 1981, სურ. II, 214/2. მშვილდსაკინძისა და საკინძის მიხედვით სამარხი VII საუკუნისაა.

246 ვ. ნიკოლაიშვილი, დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1985, ტაბ. XVI—8, კომპლექსი VI საუკუნის უნდა იყოს.

247 Bohuslav Chropovsky, 1978, ნახ. 12, გვ. 96; ნახ. 22 გვ. 98.

45). სხვებს მთავარ პირგახსნილ რგოლზე ქვემოდან დამატებითი პატარა რგოლი აქვს მიმაგრებული, რომელზეც მძივსაკიდის ყუნწი ჰკიდია (ტაბ. XXXIV —3, 4, 6, 15). ამ უკანასკნელთა ვარიანტებია საყურეები, რომელთა მთავარი რგოლი თვით ქმნის მარყუჟისებრად პატარა საკიდ რგოლს (ტაბ. XXXIV — 1. 2, 5, 7, 14, 16—20).

დასაწყისში დახასიათებული საყურეები ქვემო ალევის განსახილველ სამარხებში ნაწილდებიან ჩვენ მიერ უკვე შემუშავებულ III ჯგუფის I ტიპის C_1 ვარიანტში[248]. ქვს. № 21 (ტაბ. XI—10, 11 ნაკლულია), ქვს. № 32 (ტაბ. XVII—16, 17, VI ს. მძივსაკიდი დიდი, წვეთისებრი ვერცხლის მძივია, დამატებით მინის პატარა მძივებით). ანალოგიურია № 35 ორმოსამარხის საყურე (ტაბ. XVIII—24), ქვს. № 44 (ტაბ. XXIV—15 — წყვილი ვერცხლის ბურთულითა და პატარა მინის მძივებით. თარიღი VI—VII სს. მიჯნა), № 48 (ტაბ. XXVI—18, 19) და 50 (ტაბ. XXVII—17, 18 სამარხთა კომპლექსებში აღმოჩენილი საყურეები — ყველა VI—VII სს-ისაა). ანალოგიური საყურეები გვხვდება სამთავროში, კარსნისხევში, მინგეჩაურში[249]. ჯერჯერობით უველაზე მეტი ალევის სამაროვანზეა აღმოჩენილი[250]. ზოგადი მასშტაბით მისი თარიღი V—VII სს-ია. მათი წვეთისებრსაკიდიანი ვარიანტები ჯერჯერობით მხოლოდ VI ს-ის სამარხებშია დაფიქსირებული.

III ჯგუფის I ტიპის C_2 ვარიანტში ვაერთიანებთ ზემოაღნიშნულთა მსგავს საყურეებს, რომელთაც წყვილი მძივსაკიდი ამკობს (ტაბ. XXXIV—33, 34, 36, 42). მათი მძივსაკიდი ბრინჯაოს ღეროზე ასხმული პატარა ზომის მინის, სარდიონის და მარგალიტის მძივებისაგან შედგება. აღმოჩენილია: ქვს. № 22 ტაბ. XII—10, 11, VII ს. პირველი ნახ.), ქვს № 39 (ტაბ. XXII—18—VII ს-ის დასაწყისი ან VII ს.პირველი ნახ.), ქვს. № 45 (ტაბ. XXV—6—VI ს.). საყურეთა ეს უკანასკნელი (C_2 ვარიანტი) სრულიად უნიკალურია და ალევას გარდა ჩვენთვის ცნობილ მასალაში არ შეგვხვედრია.

III ჯგუფი III ტიპი I A ვარიანტი — როგორც აღვნიშნეთ, აქ ვაერთიანებთ ფართორგოლიან საყურეებს, რომელთაც დამატებით პატარა რგოლზე მძივსაკიდი ჰკიდია[251] (ტაბ. XXXIV—3, 4, 6, 21). მძივსაკიდი სხვადასხვაგვარია: გრძელ ღეროზე აცმული მძივებით, ან მოკლე საკიდი წვეთისებრი „ვერცხლის“ მძივით: ქვს. № 1 (ტაბ. I—14, 15), ქვს № 6 (ტაბ. III—12)— ნაკლულია. იგი აღმოჩნდა სამარხის გვიანდელი ჯგუფის ნივთებთან (VII ს. დასაწყისი), ქვს. № 15-ში კი მათთან ერთად სხვა ვარიანტის საყურეებია. ამ უკანასკნელთა საკიდი რგოლი კვერცხის ფორმისაა“. ამით საყურე ორიგინალურია. მსგავსი ფორმა არსად შეგვხვედრია (ტაბ. VII—6, 7). ამიტომ, ვფიქრობთ, მათი გამოყოფა შეიძლება III ჯგუფის I-III ტიპის I B ვარიანტად.

I A ვარიანტის საყურეებს კი ბევრი პარალელი მოეპოვებათ ქართულ ძეგლებზე: სამთავროს სამაროვანზე, გურჯაანში, ნახშირგორაზე[252]. ალევში

---

248 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 72.

249 გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო, თბ., 1924, ტაბ. I—4,5; II—21; ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 72, ტაბ. IX—18; Рзаев Н. И. Искусство Кавказской Албании, Баку, 1977, ნახ. 134.

250 ასეთივე საყურეები აღმოჩნდა შემდგომ წლებშიც (ტაბ. XXXVIII—18, 19, 27).

251 ვიყენებთ ტიპოლოგიას, შემუშავებულს 1979 წ. გამოცემულ ნაშრომში.

252 ნ. უგრელიძე, 1967, ტაბ. II; ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 74.

საყურეთა ეს ვარიანტი შედარებით მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი, თუმცა გვხვდება შემდეგ წლებში გათხრილ № 71 ქვისსამარხშიც (ტაბ. XXXIX—12, 13) აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი სამარხი VII საუკუნისაა, აქედან აღნიშნული საყურეები კომპლექსთა კარგი დამათარიღებელია.

მომდევნო განსახილველი ვარიანტის საყურეები III—III—II (ტაბ. XXXIV—1, 2, 5. 7, 15—20) გარეგნულად I ვარიანტისას გვანან, მაგრამ განსხვავდებიან საკიდის მოწყობის ტექნოლოგიით, ნაწილობრივ ფორმითაც. საყურის დიდი რგოლი მარყუჟისებურად ქმნის პატარა საკიდ რგოლს (ზოგჯერ ორსაც). ამის მიხედვით გამოვყოფთ ერთმარყუჟიანებს — ერთსაკიდიანებს II A ვარიანტად და ორმარყუჟიანებს II B ვარიანტად.

II A ვარიანტი (ტაბ. XXXIV—1, 2, 15, 19): ქვს. № 5 (ტაბ. II—8), ქვს. № 8 (ტაბ. IV—43, 44), ქვს. № 15 (ტაბ. VIII—20—21), ქვს № 24 (ტაბ. X), ქვს. № 26 (ტაბ. XV—5,6), ქვს. № 31 (ტაბ. XVI—25, 26), ქვს. № 43 (ტაბ. XXIII), ქვს, № 57 (ტაბ. XXIX—5,6).

ზოგს საკიდი აკლია (ქვს. № 26), უმეტესობას კი წვეთისებრი ვერცხლის საკიდები ამკობს. ისინი ქრონოლოგიურად ნაწილდებიან მთელი VII საუკუნის მანძილზე. უმეტესი კი მოდის VII ს-ის მეორე ნახევარზე. ალბათ ყველაზე ადრეულია ქვს. № 26-ის საყურეები.

საყურის საკიდი რგოლის ასეთი მოწყობა ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სამთავროს სამაროვანზე[253], არმაზისხევში[254], ვაშლაჯვარაში[255], მოდინახეზე[256], მინგეჩაურში[257], ედისის სამარხებში[258]. ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გარეთ კი მსგავსი ჩვენთვის უნგრეთიდანაა ცნობილი[259] უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შორის გენეტიკურ ერთობას ან „სესხებას“ არ უნ- და ჰქონდეს ადგილი. იგი ალბათ დამოუკიდებლად მიგნებული ტექნოლოგიური ხერხია. საყურის რგოლის ასე დამზადება გამარტივებული, გაუბრალოებული ვარიანტია I—ვარიანტის საყურეებისა, რაც ძალზე პოპულარული გამხდარა ქვ. ალევში, თუ მის მახლობლად მდებარე (ქსნის ხეობის რომელიღაც) სახელოსნოში. მსგავსი წესით დამზადებული, ამ რაოდენობის საყურეები ალევის გარდა სხვაგან არაა ცნობილი. ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთი ნიშანია ზემოაღნიშნულ თავისებურებებთან ერთად იმისა, რომ ვივარაუდოთ ასეთი სახელოსნოს არსებობა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, II B ვარიანტში გამოვყოფთ ანალოგიურ, ოღონდ ორმარყუჟიან საყურეებს (ტაბ. XXXIV—5, 7, 20). ასეთი სამ სამარხში გვხვდება: № 9 (ტაბ. V—20, 21), № 36 (ტაბ. XIX—5, 6) და № 44 სამარხებში (ტაბ. XXIV—24, 25). მათგან პირველ ორს წვეთისებრი საკიდები ამკობს, ხოლო № 44 ვარდულებიანი საკიდები. ეს უკანასკნელი მათი საწყისი ვარიანტი უნდა იყოს. მართლაც, შემცველი კომპლექსი შედარებით ადრეული-

---

253 ჯ. გოცაძე, 1978, სამარხი № 31. აქ იგი VII ს-ის პირველი ნახევრის ჰერალდიკურ აბზინდასთან ერთადაა.

254 ნ. უგრელიძე, 1956, ქვისსამარხი № 12.

255 ვ. ნიკოლაიშვილი, 1979, ტაბ. XV, გვ. 71.

256 მასალის გაცნობისა და გამოყენების უფლებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ისტ. მეცნ. კანდიდატს ჯ. ნადირაძეს. მ—71—1500.

257 მინგეჩაურის ფონდი—13620.

258 Дзаттиаты Р. Г. 1986, ნახ. 3—11, 12.

259 Титов В. С., Эрдели И. Первые итоги раскопок венгерско-советской экспедиции на территории ВНР, СА, 1984, № 1, рис. 7, 12, с. 138.

ცაა — VI—VII სს-ის მიჯნის (ან VII ს-ის დასაწყისის), № 9-სა და № 36-ს სამარხები კი VII ს. პირველი ნახევრისაა.

ასეთია მოკლედ ალევის განხილულ სამარხებში დადასტურებული საყურეები. მათში აღმოჩნდა თითქმის ყველა ტიპი გავრცელებული V—VII სს-ის აღმოსავლეთ ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე. ჯერჯერობით მოვისაკლისებთ პირამიდულად განლაგებული მტევნებით შემკულთ, ესაა II ჯგუფის I ვარიანტის საყურეები. ამავე დროს განხილულ საყურეთა შორის ჩანს ფორმათა მრავალი ვარიანტი და ტექნოლოგიური თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ ადგილობრივი ქსნური სახელოსნოს არსებობა. უნდა ვიფიქროთ, რომ მხარში, სადაც ახალგორის განძისა და სხვათა საბით მაღალხატვრული ნივთებია აღმოჩენილი და სადაც უწყვეტი განვითარება ჩანს ადრებრინჯაოს ხანიდან ადრეულ შუა საუკუნეებამდე. ჩვეულებრივ, „ხალხური“ ხელოსნობა არ იქნებოდა ურიგო დონეზე, რაც ზემოთ მოყვანილი მასალითაც დასტურდება.

ბეჭდები (ტაბ. XXXV)

სამკაულის ეს სახეობა საქართველოში გათხრილ ადრეულ შუასაუკუნეთა სამარხეულებში, მათ შორის ქვემო ალევის სამაროვანზეც ძალზე ხშირია. იგი გვხვდება ორთავე სქესის თითქმის ყველა ასაკის მიცვალებულთან. ალევში აღმოჩენილი ბეჭდების უმეტესობა დამზადებულია ბრინჯაოსაგან, შედარებით იშვიათად რკინის და ვერცხლისაგან. შესასწავლ მასალაში გვხვდება მინისა და ქვის ბეჭდებიც. ამ უკანასკნელთა შორის, გარდა ნამდვილი ბეჭდებისა, გავაერთიანეთ საბეჭდავებიც, რომელთაც მხოლოდ ზოგადი ფორმა აქვთ თითზე წამოსაცმელი ბეჭდისა. ამიტომაც ხშირად „ცრუბეჭდებსაც“ ვუწოდებთ. როგორც ჩანს, მათ მხოლოდ ზონარზე ასხმულს ატარებდნენ გულზე დაკიდებულს, ან მაჯაზე წამოცმულს[260].

ლითონის ბეჭდები ფორმის და ხშირად მის შესაბამისად. დამზადების წესის მიხედვით, შეიძლება ორ დიდ ძირითად ჯგუფად გაიყოს. ერთწილად და ორწილად ბეჭდებად. პირველ მათგანში იგულისხმება ისეთი, რომლის ძირითადი დეტალები ლითონის ერთი „ნაჭრისგანაა“ დამზადებული. ამიტომ მათი თითზე წამოსაცმელი რგოლი პირდაპირ გადადის ხოლმე ფარაჯში ან თვალბუდეში. ხოლო ორწილადი ბეჭდების რგოლი და ფარაკი, ან თვალბუდე ლითონის სხვადასხვა ნაწილისგანაა ხოლმე დამზადებული და შემდეგაა ერთმანეთზე მირჩილული (მიმაგრებული).

ამის კვალობაზე ლითონის ბეჭდების I ჯგუფში პირველ სერიად გამოვყოფთ ერთწილად ბეჭდებს, ხოლო მათ შორის I ვარიანტად ფარაკიან, ხოლო II ვარიანტად თვალბუდიან ბეჭდებს.

I ჯგუფის I სერიის I ვარიანტის ბეჭდები (ტაბ. XXXV—7. 15. 18, 28, 37, 46, 47) — ქვემო ალევის შესასწავლ სამარხებში მათი აღმოჩენის 7 შემთხვევა გვაქვს. ისინი უმეტესად ბრინჯაოსაგანაა ნამზადი: ქვს. № 12 (ტაბ. IX—6—I—I—IA), ძლიერ ვიწრო ფარაკით; ასეთივეა № 71 ქვისსამარხის 3 რკინის ბეჭედი (ტაბ. XXXIX—22, 23, 24); ქვს. 13. 17, 20, 24, 45 (ტაბ.

260 ეს თითქოს დასტურდება ალევის აღმოჩენებით, სადაც, მაგ., № 35 ორმოსამარხში საბეჭდავი მიცვალებულის მარცხენა ხელის მაჯაზე აღმოჩნდა სამაჯურთან ერთად (იხ. სურ. 301).

XXXV—37, 47, 18, 46, 28—I—I—I B). ყველას ფართო ფარაკი აქვს, უკანასკნელი მათგანი ბრინჯაოსია და ზედ გამოსახულებაა ამოჭრილი; ქვს № 29 (ტაბ. XXXV—15—I—I—IC) ფარაკის კუთხეები ფაცეტირებული აქვს. მათი თარიღი უმეტესად VII ს-ეა (№ 45 სამარხისა — VI ს.).

I ჯგუფი I სერია II ვარიანტი — თვალბუდიანი ბეჭდები (ტაბ. XXXV—43—45). ოთხკუთხა ან მრგვალი თვალბუდე აქვთ, შესაბამისად შიგ მჯდომი თვალისა. რგოლი უმეტესად ფუყეა და განიკვეთში ნახევარწრიულია: ქვს. № 30 (ტაბ. XV—16—I—I—IIA) — ოთხკუთხა თვალბუდეში მინის გემა (ინტალიო) ზის. ჯეირანის (?) გამოსახულებით; ქვს. № 9 (ტაბ. V—29), ქვს. № 43 (ტაბ. XXIII—9—I—I—II B). პირველ მათგანში მინის მრგვალი ამობურცული თვალი ზის[261], მეორეში მინის გემაა გაურკვეველი გამოსახულებით. განხილული ვარიანტის ბეჭდები დამახასიათებელია უმეტესად VII საუკუნის სამარხებისათვის. ისინი ზოგადი ფორმით ანტიკურ ბეჭდებს მოგვაგონებს[262], მაგრამ მათგან განსხვავდებიან პროპორციებით. ანტიკურებისათვის დამახასიათებელია მხრებში გამსხვილება და განზიდული, დამჯდარი ფორმა. შესაძლოა მათ ანტიკურებთან შემაერთებელ ჯაჭვს ქმნის სამთავროს № 92 სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი, რომელიც V ს-ის უნდა იყოს[263]. საერთოდ კი ანალოგიური ბეჭდები ხშირად გვხვდება სამთავროს სამაროვნის V—VII სს-ით დათარიღებულ სამარხებში და ზოგიერთ სხვა ძეგლზეც[264]. მსგავსი ბეჭდები დამახასიათებელია ადრებიზანტიური ხანისთვის[265]. აღმოჩენილია აზერბაიჯანშიც[266].

ორნაწილიანი ბეჭდები. I ჯგუფი II სერია I ვარიანტია (ტაბ. XXXV—23, 24, 32—36, 41,42) ბეჭდები, რომლის თვალბუდე ან ფარაკი ზემოდან აზის რგოლს. რგოლი ან გახსნილია და ბოლოებდაბრტყელებული, ან გაუხსნელი. დამზადებულია ბრინჯაოსაგან ან რკინისაგან. გვხვდება შერეული ეგზემპლარებიც, ე. ი. რომელთა ფარაკი ბრინჯაოსი, რგოლი კი რკინისაა.

I ჯგუფი II სერია I B ვარიანტი (ტაბ. VI—38, XVII—15, XIX—23) მრგვალგანივკვეთიან მავთულისაგან დამზადებული გახსნილი რგოლის ბოლოებზე „ზის" ცილინდრული თვალბუდე. ქვს. № 32 (ტაბ. XVII—15) — მსხვილი პროპორციებისაა. თვალბუდეში ამობურცულზედაპირიანი მინის თვალი ზის; ქვს. № 10 — (ტაბ. VI—38 — დაზიანებულია). თვალბუდეში იჯდა მინის გეომეტრიულგამოსახულებიანი გემა. ქვს. № 36 (ტაბ. XIX—23) წვრილი პროპორციებისაა. თვალბუდეში ზის ამობურცული მინის თვალი. სამარხი № 10 და № 36 VII ს-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს, ხოლო № 32 სამარხი — VI საუკუნისა.

---

261 მასზე თითქოს ნახევარმთვარის (?) გამოსახულებაა.

262 დაახლოებით ისეთი, როგორიცაა მ. ნ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ., 1954 ტაბ. I—1 (613), ტაბ. II—14 (303) და სხვ.

263 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. V—17, გვ. 95—96. „ქვს. № 92 თარიღდება IV ს. (არაუგვიანეს V ს-ის დასაწყისისა)".

264 სამთავრო—იხ. ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. III—23; V—2; IX—5; XVI—25; XX—6,8, XXI—35; XXII—11; XXIV—11, 20; XXX—45; მღაშე—იქვე—XXXVIII—3; კასპი—XXXVIII—28; ამბროლაური III—35.

265 Димитър Овчаров, Маргарита Ваклинова, Ранновизантийски паметници от България IУ—УII век, София, 1978. ტაბ. 101, 105.

266 Иессен А. А. Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе. МИА, № 125, 1965, рис. 34.

I ჯგუფი II სერია I B ვარიანტი — მრგვალ, ოვალურ ან ბრტყელგანიკვეთიან, ვიწრო პირგახსნილი რგოლის დაბრტყელებულ ბოლოებზე ზის სხვადასხვა ფორმის ფარაკი (ტაბ. XXXV—33—36, 41, 42); დამზადებულია რკინის ან ბრინჯაოსაგან.

I—II—B_1—(ტაბ. XXXV—33, 36) — ბრინჯაოსაგან ნაკეთები მრგვალი ან ოვალური ფარაკით. ქვს. №21 (ტაბ. XI—6). ფარაკზე გამოსახულია „მალტური“ ჯვარი ოდნავ გამრუდებული პროპორციებით, ირგვლივ კი დაკეპნილი არშია შემოუყვება (თარიღი VII ს. პირველ ნახ.). ასეთივე ფორმისაა ბეჭედი № 22 ქვისსამარხიდან (ტაბ. XII—9) VI ს-ის პირველი ნახ.; № 25 (ტაბ. VII—11, 31) VII ს-ის პირველი ნახ-ის სამარხში იმავე ფორმის მესამე რკინის ბეჭედიცაა. უფრო მოზრდილზე (ტაბ. VII—11) გამოსახულია შარავანდედიანი მამაკაცი პალიუმისებრი სამოსით. ადამიანის ფიგურის მარჯვნივ პალმისებრი ხე დგას[267]. მეორე ბეჭედზე გამოსახულება არ ჩანს. ქვს. № 25 (ტაბ. XIV—VII ს-ის პირველი ნახ.) ერთზე გამოსახულია ფრინველი (ტაბ. XIV—21), მეორეზე კი ზღარბისებრი, ფანტასტიკური ცხოველი (ტაბ. XIV—20). ქვს. № 28 (ტაბ. VI—10) ფარაკი ბრინჯაოსი, რგოლი კი რკინის (თარიღი VII ს. მეორე ნახევარია). ორმოსამარხი № 35 (ტაბ. XVIII—25) — ბეჭედზე გამოსახულია მონოგრამა, თუ რაღაც გეომეტრიული ფიგურა (თარიღი VI—VII სს. მიჯნა); ქვს. № 39 (ტაბ. XXII—15) ბეჭედი ბრინჯაოსი, გეომეტრიული გამოსახულების ნაშთით (VII ს-ის პირველი ნახ.) ქვს. № 43 ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XXIII—12—VII ს-ის მეორე ნახ.); ქვს. № 34 (ტაბ. XVIII—44. გამოსახულების ნაშთით. თარიღი VII საუკუნეა); ქვს. № 35 (ტაბ. XXVIII—37. გამოსახულია ფრინველი VI—VII სს).

რკინის ბეჭდები I—II—I B_2—ქვს. № 13—2 ც. მათგან ერთი ოთხკუთხა-ფარაკიანია (VII ს-ის მეორე ნახ. — ტაბ. VI—29, 31); ქვს № 15 (VII ს-ის პირველი ნახ. — ტაბ. VII—12); ქვს. № 23 (VII ს-ის პირველი ნახ. — ტაბ. XIII—18); ქვს. № 28 (VII ს-ის მეორე ნახ. — ტაბ. VI—14); ქვს. № 31 (VII ს-ის მეორე ნახ. — ტაბ. XVI—19); ორმოსამარხი № 35 (VI—VII სს-ის მიჯნა — ტაბ. XVIII—28); ქვს. № 46 (VI—VII სს-ის მიჯნა — ტაბ. XXVI—3); № 44 (VI—VII სს-ის მიჯნა — ტაბ. XXIV—30); ორმოსამარხი № 54 (VI ს. — ტაბ. XXVIII—36).

I—II—I B_3 ვარიანტად შეიძლება გამოიყოს ბეჭედი, რომლის ფარაკი ბრინჯაოსია, ხოლო რგოლი რკინისა: ქვს. № 28 (ტაბ. VI—10 — თარიღი VII ს. მეორე ნახ.).

როგორც ჩანს, განხილული ტიპის ბეჭდები ალევის სამაროვანზე გვხვდება VI—VII ხს-თა მანძილზე.

---

267 გამოსახულება ადრექრისტიანული ხასიათისაა. შარავანდედიანი მამაკაცი რომელიღაც წმინდანი უნდა იყოს; მის გვერდით მდგომი ხე (პალმა? კვიპაროსი?) სწორედ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სიმბოლოა. იგი აღნიშნავს სულიერი ცხოვრების ხორციელ ცხოვრებაზე გამარჯვებას; აღდგომას ახალი სულიერი ცხოვრებისათვის—იხ. Уваров А. С. 1903, გვ. 192, 193, 195, 196. იხ. აგრეთვე წმინდანთა მსვლელობა რავენის სან-აპოლინარე ნუოვოს ტაძრის მოზაიკაზე—Janina Klosinska, Sluka Bizantynska, Warszawa, 1975, სურ. 34, აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში ქრისტიანული გლიპტიკის ძეგლები არც ისე მრავალია, მაგრამ რაც არის, სუსტადაა შესწავლილი.

ანალოგიური ბეჭდები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე[268], მაგრაჲნეთში, ჭუშანაანთგორის სამაროვანზე[269], ურბნისში[270], ქიზიყში[271]. გავრცელებულია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში — კავკასიის ალბანიაში[272], ბიზანტიაში[273].

I ჯგუფის II სერია II ვარიანტი — მრგვალგანივკვეთიანი პირგახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ზის ცილინდრული თვალბუდე.

I—II—II A ვარიანტი. გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის მჯდომი დაბალი მრგვალი, ცილინდრული ან ოვალური თვალბუდით (ტაბ. XXXV—1,2 10). ქვს. № 32—თვალბუდეში სარდიონის ქვა ზის (ტაბ. XVII—14—VI ს.); ქვს. № 50 ოვალურ თვალბუდეში ზის ამობურცული მინა (ტაბ. XXVII—16—VI ს.); ორმოსამარხი № 35 (დაზიანებულია. ტაბ. XVIII—18—VI—VII სს. მიჯნა); ქვს. № 36 — თვალბუდეში ზის სარდიონის გემა — ინტალიო. გემა სქემატურ-ესკიზური მანერითაა შესრულებული. გამოსახულია მამაკაცი მარჯვენა პროფილში (სამარხის თარიღია VII ს-ის პირველი ნახ. ტაბ. XIX—16)[274] ამ სამარხში არის უფრო მასიური პროპორციების ბეჭედი, ქვემოთ განსახილველი I—II—II B ვარიანტისა. სამარხში ამ ორი ვარიანტის შეხვედრა საინტერესოა იმით, რომ შეიძლება ქრონოლოგიური გარდამავლობის ნიშანი იყოს; რადგან განხილული ვარიანტი VI საუკუნისათვისაა ძირითადად დამახასიათებელი, ხოლო I—II—II B ვარიანტი VII ს-ით თარიღდება.

I—II—II B ვარიანტი — ისინი ხასიათდებიან უფრო მაღალი ცილინდრული თვალბუდით და საერთოდ მსხვილი პროპორციებით. ალევში აღმოჩენილთა უმეტესი ნაწილი „ქამრიანია", ე. ი. თვალბუდის ირგვლივ. ალბათ სიმაგრისათვის, გაკეთებული აქვს სპილენძისავე სალტე. ასეთი რამ დამახასიათებელია ჩვენთვის ცნობილი მასალებით მხოლოდ ალევში აღმოჩენილი ბეჭდებისათვის, რაც, ვფიქრობთ, სრულ საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ ისინი ადგილობრივი. ქსნური ხელოსნობის დამახასიათებელ ნიშნად. ბეჭდებს ხშირად თითო, წყვილი ან მეტი ბურთულა ამკობთ ხოლმე თვალბუდის აქეთ-იქიდან. ყველა ბრინჯაოსია. „ქამრიანი" ბეჭდები I—II—II B_1— ქვს. № 11 — ბეჭედი ქამრით და კოპით; თვალბუდეში ზის მინის გემა. გამოსახულება არ

---

268 მითითებული სამარხი № 243 (39 N) საკნძების, რგოლფაცეტირებული ბეჭდისა და ბუდეებმული მშვილდსაკინძის მიხედვით უფრო V ს-ისა უნდა იყოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მძივთ თავშემკული საკინძები (საერთოდ შახიურად ყოველგვარი საკნძი) ქართლში V ს-დან ჩნდება. ასევე უცხოა მითითებული ბეჭედი (ტაბ. III—23) III—IV სს.. მასალებისათვის და მისი მსგავსი უფრო V—VII სს-ის სამარხებისათვისაა დამახასიათებელი. ასევე განსხვავებული კონსტრუქციისაა მშვილდსაკინძი III—21 — მისი ნებსის ძირი ჩამაგრებულია მუხლში და ზემოდან აქვს მოხვეული დამატებით ზამბარა. აქ იგი V ს-დან ჩანს. იხ ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. III—27, VII—7, X—30, XVI—6, XXVI—4, XXVI—26, 27, XXXI—40, XXXV—22, XXXVI—18, 22, 32.

269 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, 1982, სურ. 9—209, 208, 206.

270 ურბნისის ფონდი. ინე. № 1—62/3640.

271 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, XIV—3.

272 Бабаев И. А. К вопросу о производстве предметов глиптики в Кавказской Албании. МКА, VIII, Баку, 1973, рис. 3 а, б, в. Халилов Д. А. Раскопки на городище Хиныслы памятника древней Кавказской Албании, СА, 1962, рис, 6. 8. სხვათა შორის ქვისსამარხში მასთან ერთად ფეროზის (457—483) ვერცხლის მონეტაა, გვ. 217—218.

273 Овчаров Д., Вакулинова М. 1978, табл. 102, 103.

274 ანალოგიური ბეჭდები იხ. ქვ. ალევის ქვს. № 62 (ტაბ XXXVIII—15) და ქვს. № 73 (ტაბ. XXXVIII—26). ორივე სამარხი VI საუკუნისაა.

ჩანს (ტაბ. II—24, VII ს-ის პირველი ნახ.); ქვს. № 30— „ქამრიანი“ ბეჭედი უკოპოდ. თვალბუდეში ზის ლურჯი მინის გემის ნახევარი (VII ს. პირველი ნახ. ტაბ. XV—17); ქვს. № 44 — ბეჭდები ბრინჯაოსი, ერთი „ქამრიანი“, მეორე კოპებიანი (ტაბ. XXIV—27—28, VI—VII სს-ის მიჯნა); ქვს. № 43 — „ქამრიანი“, კოპების გარეშე (VII ს-ის მეორე ნახ. ტაბ. XXIII—8). ქვს. № 48—2 ბეჭედი „ქამრიანები“ (VII ს-ის პირველი ნახ. ტაბ. XXVI—47. 51); ქვს. № 15 — ბეჭედი ბრინჯაოსი, თვალბუდეზე წვრილი, გრეხილი „ქამარი“ შემოუყვება. შიგ ზის ნახევარადფერული თვალი (ტაბ. VII—10—VII ს-ის პირველი ნახ.); ქვს. № 17 — „ქამრიანი“ ბეჭედი, თვალბუდეში მინის გემაა ვარდულის გამოსახულებით. მხრებზე კოპების ნაცვლად „ფოთლისებრი“ (თუ „შვლის ყურისებრი“) მორჩები აზის (ტაბ. IX—29—VII ს. დასაწყისი), ქვს. № 9—5 ც. ერთი ქამრიანი (ტაბ. V—14—VII ს-ის პირველი ნახ.).. მეორე „უქამრო“, აქეთ-იქიდან წყვილ-წყვილი კოპებით. მესამე ჩვეულებრივი, უქამრო. მეოთხე ბეჭედი ერთწილადია, მეზუთე კი კონუსურთვალბუდიანი; ქვს. № 21 — დაზიანებულია. ზოგი ნიშნით, შესაძლოა „ქამარი“ ჰქონდა (ტაბ. XI—5—VII ს-ის პირველი ნახ.).

„უქამროები“ I—II—II B_2 — ქვს. № 18 — 2 ც. „უქამრო“. უკოპო (ტაბ. X—13, 14—VII ს. დასაწყისი). ერთში სარდიონის გემა ზის იხვის გამოსახულებით, მეორეში კი მონოგრამა. ქვს. № 25 — ორი ცალი. ორთავე ბრინჯაოსია, „უქამრო“. ერთს ცალი კოპი აზის, თვალბუდეში კი მინის გემაა, გეომეტრიული გამოსახულებით (ტაბ. XIV—18, 19 — VII ს-ის პირველი ნახ.); ქვს. № 36—უქამრო. უკოპო (VII ს-ის პირველი ნახ. ტაბ. XIX—21). ქვს. № 9 — ერთს 4 კოპი აზის თვალბუდის აქეთ-იქიდან და შიგ გამოფიტული მინის გემა ზის, მეორე კოპების გარეშეა ლურჯი მინის გემით (ტაბ. V. 26, 29). განხილულ ბეჭდებს ზოგადად მრავალი პარალელი მოეპოვებათ როგორც საქართველოში, ისე მის უშუალო მეზობელ და შორეულ ქვეყნებში[275].

ამის გარდა, როგორც ჩანს, განხილული ტიპის ბეჭდები საკმაოდ კარგი დამათარიღებლები არიან. მაგ.. მსხვილი პროპორციის ქამრიანი და კოპებიანი ბეჭდები, I ჯგუფი II სერია II B ვარიანტი მხოლოდ VII ს-თვის ჩანს დამახასიათებელი, იგივე ბეჭდები მიგვითითებენ ადგილობრივი ხელოსნობის უეჭველ არსებობაზე. რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

I ჯგუფის II სერიის III ვარიანტად გამოვყოფთ ბეჭდებს, რომლებიც შედგება რგოლისა და კონუსური თვალბუდის ან „ფარაკისაგან“.

I ჯგუფის II სერიის III A ვარიანტად გამოვყოფთ ისეთ ბეჭდებს. რომელთა რგოლი გაუხსნელია და წაკვეთილ კონუსისებრი თვალბუდე ზემოდან

---

275 სამთავრო — ქეთევან რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979, ტაბ. X—32, 34, 38. 39, 44 და სხვ. მაგრანეთი (№ 2 სამარხი. ტაბ. V, 2—იხ. ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის ძეგლები ერწოს ველზე, „მაცნე“, № 2, 1968); იხ. აგრეთვე ნ. ოფხაზავა, 1977, გვ. 96—97;—Золотые и серебряные предметы из археологических раскопок Азербайджана, Баку, 1966; მინგეჩაური—ტაბ. VIII—2. გარკვეული დამთარიღებელი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ბეჭდების აღმოჩენას პერეშეპინას განძში, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა VII ს-ის მეორე ნახევარით ათარიღებს, იმავითად VII—VIII სს. მიჯნით (იხ. Маршак Б. И., Скалон К. М. Перещепинский клад, Л., 1972). საერთოდ კი კოპებიანი ბეჭდები ჩნდება III—V ს-დან. ისინი გვხვდებიან არმაზისხევში, ურბნისში, არაგვის ხეობაში—იხ. მცხეთა I, ტაბ. III—10, გვ. 124; ლ. ჭილაშვილი, 1964, სურ. 34, 37; რ. რამიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, „ძეგლის მეგობარი“, № 39, გვ. 13, 14.

აზის. ასეთი ბეჭდები შედარებით იშვიათია ალევის შესასწავლ სამარხთა შორის (ტაბ. XXXV—32 ქვს. №—32 ქვს. № 71-ში) გვხვდება სამთავროში[276], რაჭაში[277].

I ჯგუფის II სერიის III B ვარიანტის ბეჭდების აგებულება ასეთია: გახსნილი რგოლის ბოლოებს შორის ზის წაკვეთილი კონუსის (ან ჯამცსებრი თვალბუდე). ალევში აღმოჩენილია: ქვს. № 9 (ტაბ. V—15); ქვს. № 13 (ტაბ. VI—27); ქვს. № 14 (ტაბ. II — 34); ქვს. № 36 (ტაბ. XIX—22); ქვს. № 38 (ტაბ. XX—36); ქვს. № 48 (ტაბ. XXVI—32).

ანალოგიური ბეჭდები სამთავროსა და სხვა ქართულ ძეგლებზე ბევრია აღმოჩენილი[278]. ზოგ მათგანს, იშვიათად გრეხილი რგოლი აქვს. როგორც ჩანს, ასეთი ბეჭდები ფართოდ VI—VII სს-ში ვრცელდება. მათი გაჩენა კი თითქოს უკვე V—VI სს. მიჯნისთვისაა სავარაუდო. მაგ., სამთავროს № 108 (38N) სამარხის მონაცემის მიხედვით[279].

გვხვდება საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც, მაგ., სომხეთში[280], აზერბაიჯანში (შერგახი — შემახასთან)[281].

ფერადი მინის ბეჭდები. II—I—I (ტაბ. XXXV—8,9, 16, 19, 29). ქვემო ალევის სამაროვნის განსახილველ სამარხებში აღმოჩენილი მინის ბეჭდები ყველა შავი ფერისაა. ბეჭდების ეს სახეობა განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ქრონოლოგიურ საყრდენად გამოიყენება როგორც ჩვენი ძეგლების, ისე ჩრდილო კავკასიის კომპლექსებისა. თავის დროზე გამოვთქვით აზრი, რომ შავი მინის ყველა ბეჭდის ერთ ტიპად ჩათვლა და ერთი ქრონოლოგიური ეტაპისადმი მიკუთვნება სწორი არ უნდა იყოს. მათ შორის უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი. პირველი — შედარებით ვიწროეროიანი დაბალ, ზოგჯერ სულაც ბრტყელფარაკიანი, ან პატარა კუნწუბოიანი ბეჭდები. ისინი განსხვავდებიან ორბეთულთაგან, რომლებიც შედარებით მასიური ფორმისაა და მაღალი თვალბუდისებრი ფარაკი აქვთ. ბეჭდების პირველი სახეობა აღმოჩენილია სამთავროში, ურბნისში, კასპში, რუსთავში, ჟინვალში[282] და თარიღდება უმეტესად VII ს-ის მეორე ნახევრით (შესაძლოა უკვე მეორე მეოთხედიდან), VIII ს-ის დასაწყისამდე; ხოლო ორბეთულებს VIII—IX სს-ით ათარიღებენ[283]. ამათი ანალოგიურია ჩრდ. კავკასიაში მაგ. ბალკა კამენისტაიაზე

---

276 ჯ. რამიშვილი, 1979, ტაბ. IX—8,9; X—36.

277 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. III—38, „ფარაკაზე" გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი. ჩვენ ადრე ამ კომპლექსს VI ს-ის დასაწყისით ვთარიღებდით. შემდგომი დაკვირვებით კი მივედით იმ დასკვნამდე, რომ იგი შეიძლება VI ს-ის მიწურულით ან VI—VII სს. მიჯნითაც კი დათარიღდეს (იხ. ზემოთ გვ. 67, სქოლიო 60).

278 სამთავრო—ნ. აფხაზავა, 1979, XXIII—25,—V—VI სს.? XXVII—2, VII ს. პირველ ნახ., XXX—37, VII ს. პირველი ნახ., XXXIV—35, VII ს. მეორე ნახ., XXXV—20, VII ს. მეორე ნახ. და სხვა მრავალ; ჯ. რამიშვილი, 1979, ტაბ. IX—5, X—15, 16 და სხვ. დიღმის ხეობიდან (თელოვანი) — იხ. ვ. ნიკოლაიშვილი, დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში — საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, 1985, ტაბ. XVII—3. წებელდაშიც ანალოგიური ბეჭდები VII ს-ის პირველი ნახევრის კომპლექსში გვხვდება. იხ. Воронов Ю. Н., Шенкао Н. К. 1982, рис. 22—19.

279 ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXIII—25.

280 Калантарян А. А. Материальная культура Двина IV—VIII вв. Археологические памятники Армении, №5, Ереван, 1970, табл. XXII.

281 აღმოჩნდა № 3 ქვევრსამარხში 1971 წ. აქაური ქვევრსამარხები ადრე შუა საუკუნეებისაა. მასალა გამაცნო ალპ ნურიევმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

282 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 73, გვ. 97—98.

283 ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, ტაბ. 17.

აღმოჩენილი ბეჭდები[284] ერთი მხრივ და თრანის ბადათგორის № 1 და № 2 სამარხებში აღმოჩენილები, რომელთა თანმხლები ინვენტარიც უცხოა VI—VII სს-ის კომპლექსებისათვის[285].

ალეევის აღმოჩენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ჩვენი მოსაზრების მართებულობა. ქვისსამარხები № 12, 24 და 43 სწორედ VII საუკუნით თარიღდებიან. ქვს. № 12-ში ჰერაკლე კეისრის მონეტასთან და მარჯნის „ბროწეულთან“ ერთად (ტაბ. IX—8). სამარხში საბოლოოდ დაკრძალული უინვენტარო მიცვალებული მარცხენა გვერდზე წევს, ხოლო მთელი ინვენტარი კუთხეში მიწეულებისაა. არსებული მასალების მიხედვით მარცხენა გვერდზე მწოლი ინდივიდი VII ს-ის მიწურულის ან, მაქსიმუმ, VIII ს-ის დასაწყისისაა[286]. მიწეულთა თარიღი კი ექცევა VII ს-ის შუიდან ალბათ დაახლოებით ბოლო მეოთხედამდე. ინვენტარი, როგორც ჩანს, მონეტის თარიღზე დიდად „ახალგაზრდა“ არ უნდა იყოს.

ქვს. № 24-ში შავი მინის ბეჭდებთან ერთად (ტაბ. XXIII—31, 32) ლურჯი მინის ბროწეულის ყვავილისებრთავიანი, ბრინჯაოს ბურთულათავიანი ყელწიბოიანი, ბრინჯაოსავე „ჭუდისებრთავიანი“ საკინძებია, რომბულფარაკიანი რკინის ბეჭედი და მარყუჟისებრსაკიდიანი ბრინჯაოს ნაკლული საყურე. სამარხი VII ს. მეორე ნახევრისა უნდა იყოს.

დაახლოებით მსგავსივე შემადგენლობის ნივთებია № 43 სამარხში (ტაბ. XXIII—13—15) ჯვრისებრ ჩახრილ მუხლსახსრიან მშვილდსაკინძთან ერთად. ეს კომპლექსიც VII ს-ის მეორე ნახევრისაა. საინტერესო დამთხვევაა, მათ შორის მინის ბეჭდები სამთავე შემთხვევაში მიწეული, ან დაძრული (ე. ი. ადრე დაკრძალული) მიცვალებულის კუთვნილებაა.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ანალოგიური ბეჭდები აღმოჩენილია სვთავროს სამაროვნის № 236 (40 s) სამარხში; მათ მრგვალგანივკვეთიან ღეროზე პატარა კუწობო ბის ფარაკივით (ინვ. 12—54/12035—37). სამარხში დამათარიღებელი ნივთები ცოტაა, მაგრამ თარიღზე მაინც შეიძლება საუბარი ძვლის, ბრინჯაოსა და რკინის საკინძების მიხედვით. თავის დროზე სამარხში რკინის მშვილდსაკინძიც ყოფილა (საველე დავთრის № 2199). სამარხში, გარდა ამისა, არის თექის ქუდი. კომპლექსის თარიღი VII ს-საა; შესაძლოა მიწურულის. სამთავრული ბეჭედი კასპურ[287] და რუსთაველ[288] ბეჭდებთან ერთად შესაძლოა ორბეთულთაკენ გარდამავალი საზეობისა იყოს. რაც შეეხება ურბნულს, იგი ადრეული ვარიანტისას ჰგავს და უფრო VII ს-ის შუა ხანებს შეესაბამება[289].

ბეჭდებს ზოგადად თვალი კვლავ რომ გადავავლოთ ასეთ სურათს მივიღებთ. მინის ბეჭდები უკვე II—III სს-ში ჩანს[290], შემდგომ ლაკუნაა და, როგორც ჩანს, VII ს-ის პირველ ნახევარში ჩნდება ფერადი მინის ბეჭდები, ცის-

---

284 А л е к с е е в а Е. А. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971, табл. 25—3; А м б р о з А. К. 1971, № 2, рис. 8, 44. Чми.

285 ბ. ჯორბენაძე, 1981, ტაბ. XXVI—243.

286 ჩვენი დაკვირვებით ქვემო ალეევის სამაროვანზე მარცხენა გვერდზე დაკრძალულნი, სამაროვნის სულ ბოლო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

287 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXXVIII—31, 33.

288 იქვე, ტაბ. XXXVIII—41, 42, 53, 54.

289 ურბნისის ფონდი 1—61/26939.

290 ურბნისის ფონდი, სამარხი № 67, № 73, XXX უბანი.

ფერი, თაფლისფერი, მომწვანო[291] და ალბათ მალე შავი მინისაც, რომელთაგან დასაწყისში დაბრტყელებულფარაკიანები ჩნდება, შემდეგ პატარა კუწუბოიანი და VIII—IX სს-ის პირველ ნახევარში მაღალი თვალბუდისებრი შეერთიალითაა მხოლოდ გავრცელებული.

ასეთია მოკლედ შავი მინის და, საერთოდ, მინის ბეჭდებთან დაკავშირებული საკითხები.

ქ ვ ი ს ბ ე ჭ დ ე ბ ი III—I—I (ტაბ. XXXV—20). ისინი დამზადებულია ნახევრად ძვირფასი ქვისაგან, სარდიონი, აქატი და სხვ. მათ უმეტეს ნაწილს ნახევარწრიულგანივკვეთიანი ღერო აქვს, რომელიც ერთ ადგილას წაკვეთილია ხოლმე და ოვალურ ფარაკს ქმნის. ზოგჯერ მასზე გამოსახულებაა ამოკვეთილი. ასეთი ბეჭდები უმეტესად V—VII სს-ის სამარხებში გვხვდება.

ასეთი ბეჭედი ალევში ჯერჯერობით ერთადერთი აღმოჩნდა № 33 ორმოსამარხში (ტაბ. XVIII—38). დამზადებულია ვარდისფერი სარდიონისაგან. ნახევარწრიულგანივკვეთიანი ღერო ერთ ადგილას წაკვეთილია და ოვალურ ფარაკს ქმნის. ბეჭედზე გამოსახულება არ არის ამოკვრილი. — კომპლექსის თარიღია VI ს. ანალოგიური ბეჭდები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე[292], არმაზისხევში[293], რუსთავში[294], ედისის ნაქალაქარზე[295] და სხვ. ანალოგიური ბეჭდები გვხვდება აზერბაიჯანში.

ს ა ბ ე ჭ დ ა ვ ე ბ ი — „ც რ უ ბ ე ჭ დ ე ბ ი“ — III — II — I (ტაბ. XXXV—30, 39, 40). ცრუბეჭდები ზოგადი ფორმით ზემოგანხილულ ქვის ბეჭდებს ჰგავს, ოღონდ პროპორციებით უფრო მსხვილია და ვიწრო ხვრელი აქვთ, რომელშიც თითი არ გაეტევა. მათ მკერდზე ან მაჯაზე დაკიდებულს ატარებინებდნენ ხოლმე (ამის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 103). მათი წაკვეთილი ფარაკი ჩვეულებრივ საკმაოდ ფართოა, რომელზედაც სხვადასხვაგვარი სიუჟეტია ხოლმე გამოხატული.

ისინი ჩვეულებრივ სასანურ საბეჭდავების სახელითაა ცნობილი. განსახილველ სამარხებში აღმოჩენილია სულ 3 საბეჭდავი. მათგან ორი № 35 ხის-სარკოფაგიან ორმოსამარხში დაფიქსირდა (ტაბ. XVIII—19, 30; ტაბ. XXXV—39, 30). სწორედ მათ შორისაა უნიკალური საბეჭდავი. იგი ქარვისაგანაა დამზადებული. წაკვეთილ მრგვალ ნაწილზე (ფარაკზე) გამოსახულია დიდებულის პორტრეტი მარცხენა (ანაბეჭდზე მარჯვენა) პროფილში (in taglio)[296]. სახის ნაკვთები საკმაოდ კარგად ჩანს — ოდნავ კეხიანი ცხვირი, მოგრძო ნუშისებრი თვალი; წარბი, ულვაში და წვერი მკაფიოდაა გამოხატული; პრო-

---

291 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ქვს. 615—ტაბ. XIII; № 435 (40 N) — ტაბ. XXII—21, № 353 (39 N)—ტაბ. LIIII; ქვს. № 61 (38. N)—ტაბ XXII—20, გვ. 97—98. აღნიშნულ კომპლექსებს ზემოთ VII ს. მეორე ნახევრით და VII—VIII სს-ის მიჯნით ვათარიღებდით. ვფიქრობთ, შესაძლოა ზოგიერთი VII ს-ის პირველი ნახევრისა იყოს, ეთქვათ, ქვს. № 435 ან ქვს, № 615.

292 ჯ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, 1979, ტაბ. XIII—50, 82. ამ უკანასკნელზე ლომია გამოსახული; ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXXIX—33; XL—59—ქვს. № 817 (58 წ.) № 363 (39 N) არის აგრეთვე ქვს. № 122 (38 N)-ში.

293 ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, 1956, გვ. 22, სველე № 1049—იგივე მცხეთა, I, ტაბ. XV—15.

294 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, ტაბ. XXXVIII—45, 56.

295 Д з а т т и а т ы Р. Г. 1986, ნახ. 2—10.

296 ქარვის საბეჭდავი მიწიდან ამოღებისას სველი იყო. მიუხედავად ჩვენი ცდისა (სასწრაფოდ თბილისში გავაგზავნეთ დასამუშავებლად) გაშრობის შემდეგ გამოსახულება ძლიერ გაფერმკრთალდა. ერთადერთი, რაც მოვახერხეთ, ის იყო, რომ გამოსახულება აღმოჩენისთანავე ჩავიხატეთ.

ფლი „ქაჯასიურია“. მოგრძო, კულულებიანი თმები მხრებამდე სცემს. თავზე ახურავს ოდნავ კუნწუბოიანი, თითქმის ნახევარსფერული ქუდი. ამკობს საყურე. მამაკაცს საშუალო სიმაღლის კისერი აქვს. მკერდზე სამი ფოთოლისებრი საკიდია ამოკვეთილი. მას თავის ირგვლივ ფალაური წარწერა შემოუყვება. გამოსახულება აშკარად სასანური ტიპისაა: მასზე დიდებულია გამოსახული[297]. უნდა ითქვას, რომ „სასანური ტიპის“ ქართულ გლიპტიკაში, პორტრეტები, მით უმეტეს „დიდებულთა“, არცთუ ხშირია[298]. რაც მთავარია, როგორც ჩვენი, ისე ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა ცნობებით, ქარვის გამოყენება გლიპტიკაში არსად აღნიშნული არ არის[299]. უნდა ითქვას, რომ თითოოროლა ქარვის საბეჭდავი, აღმოჩენილი სამთავროს სამაროვანზე. მკვლევართ გამორჩენიათ მხედველობიდან[300]. იმის საბუთად, რომ საქართველოში ქარვის საბეჭდავები საკმაოდ იყო გავრცელებული, ალევის სამაროვანზე 1985 წელს კიდევ ერთი ქარვის საბეჭდავი აღმოჩნდა; ამჯერად მონოგრამის გამოსახულებით. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ სფეროში გადამწყვეტი სიტყვა სათანადო დარგის სპეციალისტებმა უნდა თქვან. ჩვენ შევეცადეთ ერთგვარად გაგვემახვილებინა მათზე ყურადღება.

№ 35 სამარხში აღმოჩენილი მეორე საბეჭდავი (ტაბ. XVIII—19) ყაისფერი ხალიანი აქატისაგანაა დამზადებული. ოვალური ფორმის ფარაკზე გამოსახულია ლომი მარჯვენა (ანაბეჭდით) პროფილში. იგი ფეხზე დგას, კუდი ზურგისკენ აქვს აწეული, თითქოს ფაფარაშლილია. გამოსახულება შესრულებულია სასანური გლიპტიკისათვის დამახასიათებელი შტრიხულ-ესკიზური მანერით (d — 1,8 სმ). ზუსტად ანალოგიური საბეჭდავი (როგორც ქვის რაობით, ისე ზომით და გამოსახულების დეტალებითაც კი) დაცულია თელავის მუზეუმის ფონდში[301]. სხვა ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია. არ შეგვხვედრია ასევე ზემოჩამოთვლილ ლიტერატურაში. ისე კი ლომების გამოსახულებათა სხვადასხვა ვარიანტი ძალზე გავრცელებულია ამ ხანის გლიპტიკაში[302]. მას უკავშირებდნენ მზეს და სხვ. ზემოთ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ბომ არ იყო გააზრებული ეს სასანური ნივთი ქრისტიანულ სიმბოლოდ. ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ლომი ხომ ქრისტესთანაა გაიგივებული[303].

მესამე საბეჭდავი, მუქი მღვრიე სარდიონისაა, ცოტა არ იყოს ასიმეტრიული ფორმისა (d—2,1 სმ). მის ოვალურ ფარაკზე შტრიხული მანერით გამოსახულია ფრინველი. იგი არწივი (— ორბი) უნდა იყოს; აგრესიულ პოზაშია

---

297 Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы, Л., 1963, სურ. 46, 47, 50. ავტორები VI—VII სს-ით ათარიღებენ, თან განსაზღვრავენ როგორც „Подражания „официальному“ портрету III—IV веков“.

298 იხ. ქ. რამიშვილი, 1979, ტაბ. I—IV, IX.

299 ვერ შეხვდებით მათ ზემოჩამოთვლილ ნაშრომებში — ქ. რამიშვილის, მ. ლორთქიფანიძის, ქ. ჯავახიშვილის, ვ. ლუკონინისა და ა. ბორისოვის, აგრეთვე ფ. აკერმანის (Phyllis Ackerman, Sosanian seals, SPA I, გვ. 784 და სხვ.). ქარვის სასანური საბეჭდავების აღმოჩენა ჩვენს სამაროვანზე გაცნობა მ. პ. აბრამოვამ რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

300 ქვს. № 808 (58 წ), ქვს. № 13 (39 N) — იხ. ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXXVII—32; XLII—5,6.

301 საბეჭდავები იმდენად ანალოგიურია, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი ერთი და იგივე ხელოსნის ნახელავია.

302 ქ. რამიშვილი, 1979, გვ. 22, 32; Борисов А. Я., Луконин Б. Г. 1963, рис. 208, 306, 310, 311, 313, 320.

303 Алдашвили Н. А. Монументальная скульптура Грузии, М., 1977, с. 219.

წარმოდგენილი, ფეხებგაწეული და ფრთებგაშლილი, მოგრძო ნისკარტით (ტაბ. XXXV—40; ტაბ. XXV — 15). მისი კუთვნილება „სასანური გლიპტიკის“ წრისადმი უეჭველია[304]. უეჭველია ისიც რომ ბევრი სხვა ნიმუშიც გლიპტიკისა ხშირად სამარხებში სულაც არაა მოხვედრილი თავისი პირდაპირი დანიშნულებით. ნაწილი სამკაულად იყო გამოყენებული, ნაწილს ავგაროზებისა და სხვა მაგიური დანიშნულება ჰქონდათ უთუოდ; ხალხურად „გააზრებული“[305]. როგორც აღვნიშნეთ, ნაწილს ალბათ, ვთქვათ. „სასანურ“ გლიპტიკასას, შესაძლოა ქრისტიანები საკუთარი სიმბოლიკის შესაბამისად იყენებდნენ.

სამაჯურები (ტაბ. XXXVI—XXXVII—1—9)

სამკაულის ეს სახეობა ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველ ალეგში, რაშიც დაგვარწმუნა ქვემო ალევის სამაროვნის გათხრებმა. ისინი გვხვდება ქალის თითქმის ყველა (გოგონათა) სამარხში. ამასთანავე აღმოჩენილთა შორის გვხვდება თითქმის ყველა ის ტიპი, რაც გავრცელებულია აღმ. საქართველოს ადრე შუა საუკუნეთა არქეოლოგიურ მასალებში. ზოგიერთი მათგანის სიჭარბით კი ალევმა „უკან ჩამოიტოვა“ სხვა სამაროვნები. ასეთია უპირველესად ბრინჯაოს სამაჯურები, რომელთა გახსნილი დაბრტყელებული ბოლოები ცხოველის (ალბათ ლომის) თავს („სახეს“) გამოხატავს. მათ გამოვყოფთ I ჯგუფის I ტიპად (ტაბ. XXXVI—I—8). როგორც ჩანს, ისინი დამზადებულია მეტ-ნაკლებად მრგვალგანივკვეთიანი სხვადასხვა ხარისხის „წრედ“ მორკალული მავთულისაგან, რომლის დაბრტყელებული ბოლოები ზოგჯერ კიდევ ერთხელაა გადაკეცილი და ზედ დაშტამპულია ცხოველის თავის („სახის“) გამოსახულება[306]. რომ ნამდვილად დაშტამპულია, ეს კარგად ჩანს ზოგიერთ ეგზემპლარზე, რომლებზედაც ამცდარია ხოლმე ნახატი (მაგალითად, ქვს. № 8—ტაბ. IV—35, ქვს. № 71— ტაბ. XXXIX—11). „სახეები“ ძირითადად ერთი შტამპის, ერთი სერიის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მათ შორის შეიმჩნევა ზოგი სხვაობაც; ზოგს წინაჩამოშლილი ფაფარი ნაკლები ინტენსივობით აქვს გამოსახული. ზოგს პირის ჭრილი არა აქვს გამოსახული და სხვ[307]. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გამოსახულებები ძლიერ სქემატური, ანთროპომორფიზირებულია, რაც ასე დამახასიათებელია შუა საუკუნეების ხელოვნების, განსაკუთრებით ხალხური ნაკადებისათვის (განსაკუთრებით აღმოსავლეთში) ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება თანადროული ხანის ლითონის ჰურჭლის გამოსახულებებიდან. გლიპტიკიდან[308], რელიეფებიდან[309].

---

304 სხვათა შორის, ქვ. ალევის სამაროვანმა, ჩამოთვლილთა გარდა, მომდევნო წლებშიც მოგვცა VI—VII სს-ის გლიპტიკის ძალიან საინტერესო ნიმუშები; მაგალითად № 72 ქვისსამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაჯზე წმინდა გიორგია გამოსახული; როგორც სჩანს ეს გამოსახულება ერთ-ერთი უადრესია.

305 ამის მაგალითია ალბათ ედისის ზოგ სამარხში ერთბაშად 4 სასანური საბეჭდავის აღმოჩენა—იხ. Дзаттаты Р. Г. 1986, ნახ. 6—12—15.

306 თავიდანვე მათ ადამიანის სახის გამოსახულებად ჭვრეტდა— Ивашенко М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

307 სწორედ ეს დეტალი რომ ხშირად არაა გამოსახული და საერთოდ კი არაპროპორციულად დიდი და „გაბუშტული“ ცხვირი აქვთ, მიგვითითებს მათ ლომის სახეობაზე.

308 ქ. რაბოშვილი, 1979, გვ. 32. ანთროპომორფული ლომის თავები „სასანურ ლითონზე“.—იხ. Кинжалов В. В., Луконин В. Г. Памятники культуры Сасанидского Ирана, Л., 1960, рис. 14, 17.

309 იხ. მაგალითად რელიეფი ქასაგინდან. აქ ლომის სახე თითქმის აბსოლუტურად „ადამიანურია“; მისგან განსხვავდება მხოლოდ ყურებით. თვალები, ცხვირი, ნიკაპიც კი ადამიანის

ჩვენი დაკვირვებით, IV—V სს-ით დათარიღებულ სამაჯურებს იდეალური მრგვალი, წრიული ფორმა აქვთ. მაგ., სამთავროს ქვს. № 5 (38 N). VI საუკუნით დათარიღებულთა ნაწილს „მსხლისებრი“ (თუ ორმხრივ შედრეკილი. ტაბ. XXXIV—7); მრგვალი, მაგრამ შედარებით დაუდეგრად მორკალული კი VII საუკუნის სამაჯურებს (ტაბ. XXXVI—2. 3, 5, 6 და სხვ.).). ისინი აღმოჩენილია ქვემო ალევის განსახილველ შემდეგ სამარხებში: ქვს. № 1 (ტაბ. I—16—VII ს. მეორე ნახ.); ქვს. № 8 (ტაბ. IV—33, 34, 35—VII ს. მეორე ნახ.); ქვს. № 9 (ტაბ. V—13—VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 10 (ტაბ. VI—37, VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 15 (ტაბ. VII—8,30; ტაბ. VIII—12, VII ს. პირველი ნახ.), ქვს. № 18 (ტაბ. X—18, VII ს. დასაწყისი), ქვს. № 21 (ტაბ. XI—3,4—VII ს. პირველი ნახ.), ქვს. № 22 (ტაბ. XII—16—VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 31 (ტაბ. XVI—22—VII ს. მეორე ნახ.); ქვს № 32 (ტაბ. XVII—12—VI ს.); ორმოსამარხი № 35 (ტაბ. XVIII—17—VII ს. დასაწყ.). ქვს. № 36 (ტაბ. XIX—3,4—VII ს. პირველი ნახ.) ქვს. № 37 (ტაბ. XX—1—VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 39 (ტაბ XXII—16—VII ს. დასაწყისი); ქვს. № 41 (ტაბ. XXI—19—V ს. მეორე ნახ); ქვს. № 48 (ტაბ. XXVI—16, 17—VII ს. პირველი ნახ.); ქვს № 55 (ტაბ. XXIII—29—VI ს.).

ჩამოთვლილთაგან მივიღეთ სამაჯურთა განაწილების ასეთი სურათი. V—VI სს-ის სამ სამარხში აღმოჩნდა 3 ც. VII საუკუნის, 14 სამარხიდან კი 22 ცალია. ეს რიცხვი მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენ ძეგლზე აღმოჩენილი. საქართველოში მათი აღმოჩენის სხვა შემთხვევები შეიძლება დავასახელოთ: მცხეთა (სამთავრო-არმაზისხევი, არაგვის მარცხენა ნაპირი), გურჯაანი. ბიჭვინთა, ალრანუ[310]. საქართველოს გარეთ მხოლოდ სტანიცა პაშკოვსკაიას (ყუბანი) სამაროვანზეა ჩვენთვის ცნობილი მათი აღმოჩენის ფაქტი[311]. მ. იავშენკო თავის ხელნაწერ ნაშრომში წერდა, რომ სამაჯურთა ეს ტიპი ნასესხებია ჩრდილო კავკასიიდან[312]. დღევანდელ აღმოჩენათა მიხედვით კი საკითხი

„სახიდანაა“ ნასესხები. ასეთივე ღომია გამოსახული სვეტიცხოველის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფზე—იხ. Ладашвили Н. А. 1977, სურ. 221, 230. ასეთ „სახეებით“ აქვთ ამოტკეპნის რელიეფის ქსოვილზე გამოსახულ ღომებს — ის. ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, თბ., 1964, სურ. 21. სხვათა შორის, სამაჯურებზე გამოსახული სახეების „ღომობის“ მომანიშნებელია ხოლმე გრძელი „ცხვირი“, თითქმის ყოველთვის აღნიშნული ჩამოშვებული ფაფარი „შუბლზე“ და დრუნჩის ბეჭდებების აღნიშვნა (რა თქმა უნდა, შტამპი თუ კარგად დარტყმული) — იხ. ტაბ. XXXVI—2,6 აგრეთვე სამთავროს ქვს. № 720 (48). შეადარეთ იმავე ხანის ადამიანისსახიანი სამაჯურები რიაზანის მხარიდან—Археология Рязанской земли, М., 1974, рис. 17—10, 11. ამიტომ არ მიგვაჩნია ზოგი მკვლევარის აზრი მართებულად, როცა მათ ადამიანის სახედ მიიჩნევს და მით უმეტეს მაშინ, როცა ადარებს ქრისტიანული ხელოვნების (თუნდაც ხალხური ელფერისას) ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა ჯვარცმა.

310 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 80. იქვეა მითითებული შესაბამისი ლიტერატურა.

311 Очерки истории СССР, III—IX вв. с. 639.

312 Иващенко М. И.გვ. 38. მ. იავშენკოს მითითებული ნაშრომი დაუსრულებელია. იგი ფაქტიურად წარმოადგენს მონახაზს და საველე სამუშაოთა დაკვირვებებს. რაღა თქმა უნდა, ბევრად უფრო სოლიდურად გამოიყურება სამთავროს I—III სს-სადმი მიძღვნილი მისი სტატია. ამიტომ იგი ძლიერ წინააღმდეგობრივია, არაზუსტი და ერთმანეთის გამომრიცხველი დებულებების შემცველი. ჩვენ მისი აზრი სწორედ ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ და არა 4 ათეული წლის წინ გარდაცვლილ მეცნიერთან საპოლემიკოდ. აგრეთვე მათ საყურადღებოდ, ვისაც ხშირად მისი აზრები უკრიტიკოდ, ახალი მონაცემების გათვალისწინების გარეშე, კვლავ შემოჰყავს სამეცნიერო მიმოქცევაში.

პირიქით უნდა დაისვას. ქართლში ამ ტიპის სამაჯურები ათობით ეგზემპლარი გვხვდება IV—VII სს-თა რამდენიმე ძეგლზე, მაშინ როცა ჩრდილო კავკასიაში ორიოდე ცალია აღმოჩენილი VII ს-ის ერთადერთ ძეგლზე.

ჯგუფი II — თავებგადაწნული სამაჯურები. ისინი დამზადებულია მხოლოდ ბრინჯაოსაგან (ტაბ. XXXVI—12). სამაჯურთა ეს ტიპი ალევში ნაკლებპოპულარულია. აღმოჩენილია (57-დან) მხოლოდ ორ სამარხში — ქვს. № 11 (ტაბ. II—23, VII ს. პირველი ნახ.) და ქვს. № 17 (ტაბ. IX—47, VII ს. დასაწყისი)[313].

სამაჯურთა ეს სახე საქართველოში გვიანანტიკური ხანიდან[314] VII საუკუნემდე სძლებს[315]. იგი ელინისტური ხანის ბოლოს ვრცელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და გვიანანტიკურ ხანამდე აღწევს[316]. ამიტომ, თუ არ ვცდებით, ადრე შუა საუკუნეებში მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

III ჯგუფი — ქედშესქელებული სამაჯურები (ტაბ. XXXVI—9, 11, 13). მათში განსხვავდება 3 ვარიანტი. შესქელებულწიბოიანი ქედით და გაფართოებული ბოლოებით. ასეთი სამაჯურების ღერო განივკვეთში წრიულია (ტაბ. XXXVI—9); სამაჯურები თანაბრად შესქელებული ღეროთი და წაკვეთილი ბოლოებით, ღერო განივკვეთში ნახევარწრიულია (ტაბ. XXXVI—11), და მესამე — სამაჯურები თანაბრად შესქელებული ქედით და თანაბრად დავიწროებული ბოლოებით (ტაბ. XXVI—13). ალევში აღმოჩენილია მათი თითო ეგზემპლარი; ყველა დაფიქსირდა VII საუკუნის კომპლექსში: ორმოსამარხი № 38, ქვს. № 57 და ქვს № 96 (ტაბ. XX, XXIX).

საქართველოში ქედშესქელებულ სამაჯურთა ჩანასახი თითქოს უკვე III საუკუნეში ჩანს[317], თუმცა IV—VI სს-ის კომპლექსებში მათ ვეღარ ეპოულობთ, ხოლო VII საუკუნეში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, გვხვდება სამთავროში, გურჯაანში, სიღნაღში[318]. განხილული ტიპის სამაჯურები დამახასიათებელია ჩრდილო ოსეთის, ჩეჩნეთ-დაღესტნისა და აზერბაიჯანის ზოგიერთი რაიონისთვის. აქ ისინი ზოგჯერ IX საუკუნის კომპლექსებშიც კი გვხვდება, თუმცა ცოტა არ იყოს, შეცვლილი ფორმითა და ორნამენტაციით[319].

---

313 1986 წ. გათხრებისას ასეთი სამაჯური აღმოჩნდა ქვეშო ალევის № 96 ქვისსამარხში.

314 აღმოჩენილია ჩხოროწყუში—Хоштария Н. 1941; ბორში—Придик Е. М. Новые Кавказские клады, МАР, № 34, 1914, ტაბ. II—3; დიდღვაბუნას ციხესთან შემთხვევით აღმოჩენილ სამარხეულ კომპლექსში (მასალა ინახება წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), წუბელდაში—Воронов Ю. Н. 1975, გვ. 125, ნახ. 44—3; არაგვის ხეობაში—რ. რამიშვილი, № 39, გვ. 14; ჭერემში—ნ. მამაიაშვილი, ქ. ჯავახიშვილი, ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კაქე, VI, თბ., 1984, ტაბ. XXXIV—34—35, ტაბ. XXXVI—75, ტაბ. XIII—182; ნ. უგრელიძით VIII ს-მდე აღწევენ—იხ. ნ. უგრელიძე, 1967, გვ. 57.

315 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 81.

316 Федоров Г. Б., Полевой Л. Л. Археология Румынии, М., 1973, с. 147; Археология Венгрии, М.. 1986, рис. 93—13; Мандельштам А. М. Памятники кочевников кушанского времени в Северной Бактрии, Л., 1975, табл. XVII—3—5; Художественные сокровища Дальверзин-Тепе, Л., 1978, табл. 74.

317 ნ. მამაიაშვილი, ქ. ჯავახიშვილი, 1984, თბ., გვ. 84, ტაბ. XXXIX—123.

318 ნ. აფხაზავა, 1979, გვ. 82—83.

319 Смирнов К. Ф. Агачакалинский могильник—Памятник Хазарской культуры Дагестана, КСИИМК XXXУШ, 1951, с. 118, рис. 50, I; Атаев О. М. Нагорный Дагестан в раннем средневековье, М., 1963, рис. 32; Виноградов В. Б. Мамаев Х. М. Некоторые вопросы раннесредневековой истории и культуры населения Чечено-Ингушетии. Археология и вопросы этнической истории северного Кавказа. Грозный, 1979,

თავის დროზე მ. ივაშჩენკომ სამთაეროში აღმოჩენილი ქედშესქელებული სამაჯურები შეადარა პერეშჩეპინას განძისას და გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი შეიძლება დასავლური ან აღმოსავლური წარმოშობის იყოს, მაგრამ ქართული წარმოშობისანი არ არიანო („Вряд ли это местная грузинская форма")[320]. შეიძლება ეს ასეცაა, მაგრამ ჯერჯერობით VII საუკუნის ეგზემპლარები უველაზე მეტი საქართველოშია აღმოჩენილი, „დასავლეთში" არსად გვხვდება. უველაზე უფრო სავარაუდოა მათი სასანური წარმოშობა[321]. ამის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს მათი გავრცელება აღმოსავლეთ კავკასიაში და თითოეროლა აღმოჩენა შუა აზიაში[322].

V ჯგუფის ტიპი I — „ხატისუღლისები" სამაჯურები (ტაბ. XXXVII—7). მრგვალგანივკვეთიანი რგოლის გახსნილი ბოლოები მოკაუჭებულია გარეპირისკენ. აღმოჩენილია: ქვს. № 13 (ტაბ. VI—32—VII ს. მეორე ნახ.); ქვს. № 16 (ტაბ. IX—14—VII ს. პირველი ნახ.). ანალოგები გვხვდება სამთავროსა და არმაზისხევში[323].

ამავე ჯგუფის II ტიპად გამოვყოფთ მრგვალგანივკვეთიან სამაჯურს, რომლის ცალი ბოლო ბურთულოვანი, ხოლო მეორე თანაბრად დავიწროებულია. იგი აღმოჩნდა № 50 ქვისსამარხში (ტაბ. XXXVII—6— თარიღი VI ს.). ანალოგიური სამაჯური აღმოჩნდა სამთაეროს ქვის ფილით გადახურულ № 591 ორმოსამარხში. გამომქვეყნებელი გ. მანჯგალაძე ამ კომპლექსს IV ს. პირველი ნახევრით ათარიღებს[324] ყოველგვარი ანალიზისა და არგუმენტაციის გარეშე. ამ კომპლექსში დაფიქსირებული მუცელშესქელებული საყურეები კი VI—VII სს-ისა უნდა იყოს. ასევე გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებს სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი, თუმცა იგი ნაკლულია და ზუსტი ატრიბუცია ძნელდება. რაც შეეხება გრეხილეროიან საკისრე რგოლს, მათ მრავალი პარალელი ეძებნებათ საქართველოს მეზობელ VII—VIII სს. ძეგლებზე[325].

ასე რომ, გ. მანჯგალაძის მიერ № 591 სამარხის დათარიღება სწორი არაა. იგი VI—VII სს-ით უნდა დათარიღდეს (შეიძლება უფრო VII ს-ის პირველი

рис. 7—4, с. 75; Абрамова М. П. Новые материалы раннесредневековых могильников Северного Кавказа. СА, № 2, 1982, с. 147, рис. 3—1.

[320] Иващенко М. И. Грузинские аналогии Перещепинского клада, КСИИМК ХУШ, 1942, с. 58.

[321] ვ. პ. მარშაკი თვლის, რომ ქედშესქელებული სამაჯურები უკვეთია მაჯაზე, პოსტსასანურ, ბორასნულ (?) ვერცხლის თასზე გამოსახულ მხედარს—Даркевич В. П. Художественный металл Востока, М., 1976, გვ. 57, ტაბ. 2. ჩვენი აზრით, ვ. მარშაკი ცდება. გამოსახულებაზე სამაჯურები კი არ უნდა იყოს, არამედ ტანსაცმლის ჭრილი. ჩვენთვის საცნობ შემთხვევებში ამ ტიპის სამაჯურები მხოლოდ ქალთა სამარხებში გვხვდება.

[322] ერთი ასეთი წვრილეროიანი სამაჯური მერვის სამაროვნიდან დაცულია აშხაბადის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ხოლო რამდენიმე ტაშკენტში, უზბეკეთის ხალხთა სახელმწიფო მუზეუმში (მიზლაკატის სამაროვნიდან).

[323] ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, 1979, გვ. 83.

[324] გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, სამთაეროს სამაროვანის გვიანანტიკური ხანის სამარხები (კატალოგი) — მცხეთა, VII, 1985, გვ. 93—94, ნახ. 538—543.

[325] Виноградов В. Б., Мамаев Х. М. 1979, рис. 4, 6, с. 69—71, рис. 7—57, с. 77; Атаев Д. М. 1963, рис. 5, 1; Иессен А. А. Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, МИА № 125, 1965, т. II, с. 173—192, рис. 30.

ნახევრით და არა IV ს-ის პირველი ნახევრით, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ ავტორს აქვს[326].

ამრიგად, განხილული ტიპის სამაჯურის თარიღი არსებული მასალის მიხედვით VI—VII სს-ით უნდა განისაზღვროს.

VI ჯგუფი — ჩვეულებრივი მრგვალგანივკვეთიანი რგოლგახსნილი სამაჯურები (ტაბ. XXXVII—1, 2, 4. 5. 8). ისინი განსხვავდებიან რგოლის მოხრილობის ხარისხით და ბოლოების ფორმით (ზოგს ნაკლებად აქვს დაეწროებული. ზოგს მეტად). გამოირჩევა ერთი სამაჯური № 6 სამარხიდან, რომელსაც ზოგ „ლომთავიანთა" მსგავსად „მსხლისებრი" ფორმა აქვს (ტაბ. III—17—VI ს. მეორე ნახ.). ანალოგიური ფორმის სამაჯური გვხვდება წებელდაში[327]. დანარჩენი სამარხები ასე ნაწილდება: ქვს. № 22 (ტაბ. XII—18—VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 37 (ტაბ. XX — 2 — რკინისა — VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 38 (ტაბ. XX—33 — VII ს. პირველი ნახ.); ქვს. № 73 (ტაბ. XXXVIII—4 — VI ს.); ერთგვარად მოულოდნელია ის, რომ ასეთი „უსახური" სამაჯურები ცოტაა აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეთა კომპლექსებში. მაგ., სამთავროზე[328] (ქვს. № 31 (39 N)—VII ს.; ქვს. № 40 (39 N)—VI—VII ს.; ქვს. № 101. (39 N)—VI ს. და სხვ.).

ასეთ სურათს ქმნის ქვემო ალევის 57 სამარხში აღმოჩენილი სამაჯურები ზოგადად. მომავალი კვლევა მეტ ნათელს შეიტანს მათთან დაკავშირებულ საკითხებში.

სამაჯურებით დასრულდა ალევის სამაროვანზე აღმოჩენილი 57 სამარხის ნივთიერი მასალის უმთავრესი ნაწილის განხილვა. შესასწავლი დაგვრჩა ერთი არცთუ მცირე ნაწილი — მძივები და შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ტუალეტისა, თუ ავგაროზის ტიპის ნივთები. ესაა სარკეები, ეჟვნები, ზარაკები (ყველა ორ-ორ სამარხში) და სხვ. მათი განხილვისაგან (განსაკუთრებით მძივების) ამჯერად თავი შევიკავეთ იმიტომ, რომ მომდევნო წლების გათხრებისას (ქვემო ალევში კი დღემდე გაითხარა კიდევ 60 სამარხი) აღმოჩნდა ამ ტიპის უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, რაც წინა წლებისას ამდიდრებს არა მხოლოდ რაოდენობ-

---

326 აღნიშნულ ნაშრომში ძალიან ბევრია უზუსტობა, მაგრამ ავტორთან კამათი ძნელია, რადგან, მასში ვერ ეხვედებით ვერავითარ არგუმენტაციას. ჩვენ ამჯერად გვაკვირს არა იმდენად ავტორის მეთოდი და პოზიცია, არამედ რედაქტორის პროფ. ა. აფაქიძის და რეცენზენტების ისტ. მეც. კანდ. ვ. თოლორდავასა და ა. რამიშვილის ცოტა არ იყოს ჭარბი ლოიალურობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ ნაშრომებში გვხვდება დებულება, რომ ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხები მაინცდამაინც ადრეულები არიან, III—IV სს., და გარდამავალ ტიპს წარმოადგენენ ქვის სამარხებისკენ (ქვაყუთებისკენ). რბილად რომ ვთქვათ, აქ საქმე გვაქვს პრიმიტიულ ევოლუციონიზმთან. ჩვენი აზრით, ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხები არსებობენ ქვაყუთთა პარალელურად V—VII სს. მანძილზე. ამის მაგალითია სამთავროს სამაროვნის სამარხთა მთელი სერია (იხ. კ. გოცაძის სადიპლომო ნაშრომი, 1978 წ., აგრეთვე ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXX—36, 37, აგრეთვე 224 (39 N), 451 40 N) და სხვ. ამის მაგალითია აგრეთვე ედისში გათხრილი ფილით გადახურული ორმოსამარხები, რომლებიც V—VII სს-ით თარიღდება—იხ. Дзаттиаты Р. Г. 1986, с. 198—208.

327 Воронов Ю. Н. Материалы по археологии Абхазии и Сапигии, МАА, 1979, табл. 35—40, с. 51

328 იხ. ნ. აფხაზავა, 1979, ტაბ. XXII—9, 15, XVII—16, XV—7, XXXVII—50.

რივად, არამედ ტიპოლოგიურადაც. ასე რომ, ზოგჯერ „წამყვანი სახის“ მასალა განსახილველი გერჩებოდა, ამიტომ ვამჯობინეთ მათი ქვემო ალევის გათხრებისადმი მიძღვნილ მომავალ ნაშრომში განხილვა. მძივებისა და ავგაროზებისაგან განსხვავებით ზემოთ შესწავლილი მასალა გაცილებით სრული აღმოჩნდა და ისინი მომდევნო წლების განათხარით ძირითადად მხოლოდ რაოდენობრივად ივსება და არა ტიპოლოგიურად.

დასკვნა

ზემოთ განვიხილეთ სოფელ ქვემო ალევში ორი წლის საველე სამუშაოთა მანძილზე გათხრილი 57 სამარხი. სამაროვნის შესწავლილმა ნაწილმა უკვე მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ინფორმაცია მოგვაწოდა, რამაც საშუალება მოგვცა ზოგიერთი დასკვნა გაგვეკეთებინა. იგი საინტერესო აღმოჩნდა როგორც დაკრძალვის წესის, ასევე სამარხეული ინვენტარის მიხედვით, რომელიც განსხვავებით თანადროულ შესწავლილ აღმოსავლეთქართულ სამარხთაგან, მრავალფეროვანია. მათში აისახა ისიც, რომ ადრეული შუასაუკუნეების ქართული ცივილიზაცია ფართოდ და მყარადაა ფეხგადგმული ისტორიული ქართლის ყველა ნაწილში და მოსახლეობის ფართო ფენებში. ქვ. ალევის სამაროვნის მონაცემები ისეთივეა, როგორიც თვით ქართლის დედაქალაქის მცხეთის, მისი გარეუბნებისა თუ პერიფერიებისა. ძირითადად ანალოგიურია დაკრძალვის წესი, ნივთიერი კულტურა, უცხოური, იმპორტის საგნები, ამავე დროს რიგი ნიშან-თვისებებით ზოგადად „სოფლური სამაროვნის“ ტიპისაა. ასევე აქვს ზოგიერთი, მხოლოდ ალევისთვის დამახასიათებელი დეტალებიც. ასეთია მაგალითად, „ხისსარკოფაგიანი“ ორმოსამარხების „შემონახვა“ VI—VII სს. მიჯნამდე, მონეტების, ოქროს ნივთების, მძივების სიუხვე და „წარმართული“ ტიპის რიტუალის სიჭარბე, განსაკუთრებით დედაკაცთა ყოფაში. აქედან გამომდინარე, ქვემო ალევის სამაროვანმა ფასდაუდებელი მასალა მოგვცა ადრეულ შუა საუკუნეთა ხალხური კულტურის, ხალხური აზროვნების შესასწავლად.

ამავე დროს შესასწავლმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ ალევის ხევი მთელ ქსნის ხეობასთან ერთად კულტურულ-ეკონომიკურად, თავის დროისათვის, ქართლის დიდად დაწინაურებული კუთხე უნდა ყოფილიყო. ნაწილი აქ აღმოჩენილი ნივთებისა ადგილობრივი სახელოსნოს (ქსნის ხეობის რომელიმე პუნქტის, შესაძლოა თვით ალევის) ნაწარმი უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს მათი რამდენიმე თავისებური ფორმა თუ დეტალი, მაგ.: საყურეების, სამაჯურების, საკინძების (მარყუჟისებრგოლიანი, ვერცხლის წკეთისებრმძივიანი საყურეები, ოქროსა და ვარდულისებრთავიანი საკინძები, ლომისთავებიანი სამაჯურები, ქამრიანთვალბუდიანი ბეჭდები, იქნებ მინის მძივებიც და სხვ.), შესაძლოა ამის სასარგებლოდ მეტყველებს მათი დიდი რაოდენობაც.

ალევის სამაროვნის მონაცემები მიგვითითებს აგრეთვე ძველ ალეველთა ერთგვარ ჩონებრივ სიძლიერეზე; იმ დროს, როცა ანტიკურ ხანასთან შედარებით სამარხებში ნივთიერი მასალა მცირეა, მაინც გვხვდება ისეთი ინვენტარი, რომელიც ძვირფასი, ძვირი უნდა ყოფილიყო. თავი რომ დავანებოთ მონეტების სიუხვეს (რომლის მნიშვნელობა ორმაგია, იგი სიმდიდრესაც ნიშნავს და ერთგვარ „ჩამორჩენილობასაც“), ისეთი იმპორტული მასალის უხვად აღმოჩენა, როგორიცაა ქარვა, მარჯანი, გრანატი, მოხატული მძივები (!), ამის

უეჭველი მაუწყებელია. იგივეს მიგვანიშნებს გემების, საბეჭდავებისა და ოქროს ნივთების სიჭარბე. ამავე დროს ეს სიუხვე-სიმდიდრე პრიმიტიული დონის, ან ნივთების შემთხვევითი დაგრუვების ბრალი რომ არ არის, მიმანიშნებელია ქონებრივ-საზოგადოებრივი დიფერენციაციის საკმაო ხარისხი რაც აქ გათხრილ სამარხთა შორის შეიმჩნევა. მაგალითად, კარგად გამოიყო „მეომარ-მხედრის“ სამარხი (ქამარ-ინსიგნიის მიხედვით), რომელიც მასში დაკრძალულის გარკვეულ, საკმაოდ მაღალ, საზოგადოებრივ მდგომარეობაზე უნდა მიგვითითებდეს. იგი უნდა იყოს იმ ფენის თუ რანგის პიროვნება, რომელთაც X—XI საუკუნეებისათვის მოგვეცეს ყანჩაელები, კორინთელები, მგდეურები და სხვ[1]. ასევე გამოიყოფა მდიდრულინვენტარიანი სამარხთა ჯგუფები, მონეტებიანი სამარხთა ჯგუფები, ერთი მხრივ, და ძლიერ ღარიბულინვენტარიანი სამარხები.

ქვემო ალევის („გრძელების“) სამაროვანი თავისი ზოგადი ხასიათით ქრისტიანულია, ქრისტიანულია უმეტეს ინდივიდთა დაკრძალვის წესი, მამაკაცებისა და დედაკაცთა ნაწილის. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი წარმართული ტიპის, უფრო სწორად, არაქრისტიანული ტიპის რიტუალის მიხედვითაა „დაფლული“ (მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, სხვადასხვა ხარისხის მოხრილობით). უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ისინი დაკრძალული არიან შერეული წესით. თუმცა საფიქრებელია, რომ მათ „თვითშეგნება“ ქრისტიანული ჰქონდათ. უფრო სწორი იქნება, თუ ამას მივიჩნევთ ხალხური (-სოფლური) აზროვნების გამოვლინებად. მართლაც, ალევურ მასალებში ძლიერ მკაფიოდ აისახა ხალხური რწმენის, „ხალხური ქრისტიანობის“, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა წარმართობის გადმონაშთები; დაფიქსირდა თვით ქრისტიანულ სიმბოლოთა „გახალხურების“ ფაქტები. მაგალითად, „ბოლნური“ ჯვარი, გამოყენებული ქალის თავსამკაულში სხვა, არაქრისტიანული ტიპის, სიმბოლოებთან ერთად. საკულტო შენობის (ეკლესიის) მოდელის იმავე კონტექსტში ჩართვა და სხვ., რაც თვით ამ იდეოლოგიის ხელმეორე მითოლოგიზაციის შედეგი უნდა იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი („ხალხური რწმენის“ გამოვლინებანი) სულაც არ ჩანს მაინცდამაინც მოწესრიგებული და რაფინირებული; როგორც ჩანს, სისტემად არაა ქცეული. იგი უფრო ახასიათებს „გარდამავალი ტიპის“ სიტუაციებს (კულტურულ-იდეოლოგიური, პოლიტიკური ცხოვრების). ეს ასეა, კიდევ უფრო მტკიცდება 1986 წ. კორინთაში „საკირეებზე“ გათხრილი იმავე დროისა და ტიპის სამაროვნის ნაწილის გათხრით (19 სამარხი). იგი თითქმის სრული ანალოგიაა „გრძელების“ სამაროვნისა, მაგრამ ჩანს ზოგი თითქოს უმნიშვნელო სხვაობა, მაგ., დედაკაცები აქ მარცხენა გვერდზე წვანან (სამარხები № 11, 12, 16), ორმოსამარხებში აღმოჩნდა სასანური მონეტა, რაც ჩვენი აზრით ზემოთ ხაზგასმულ მომენტზე მიგვითითებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მოვლენათა სიჭარბე ჩანს VII ს-ში, სწორედ მაშინ, როცა ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები ხდება ბიზანტიურ სამყაროში.

---

[1] როგორც ისტ. მეცნ. დოქტორი ჯ. გვასალია აღნიშნავს, „ქსნის ხეობაში X ს. ჩანს რამდენიმე დაწინაურებული ფეოდალური სახლი. ჩვენ დავადგინეთ მათი სენიორიების ცენტრები: გდეში, ყანჩაეთში, კორინთა — საძეგურაში, სხვილოში“ — ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, 1967, გვ. 44. თუმცა ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური მასალა არას ამბობს იმის სასარგებლოდ, ვითომც გვაინდელ ქსნის ერისთავთა წინაპრები ბიბალურები ჯერ კიდევ VI საუკუნეში გადმოსულან ცხრაძმაში (იქვე, გვ. 38—39). ამის სასარგებლოდ, გარდა ძეგლი ერისთავთას ზღაპრული ცნობისა, მართლაც არავითარი მასალა არ მიუთითებს. XIV საუკუნეში ახლად დაწინაურებული საგვარეულოს ქრონიკა ამ დეტალში ერთგვარი „ნუვორიშული“ ტენდენციით ხასიათდება.

საინტერესოა დემოგრაფიული სურათი ალევის სამაროვნის მასალების შიხედვით. დღეისათვის გათხრილი 118 სამარხი ექცევა 200 წელზე ცოტა მეტი დროის ფარგლებში — V ს-ის ბოლოდან VII ს-ის ბოლომდე. მათში დაკრძალულია სამასამდე მიცვალებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამარხთაგან თითქმის 2/3 VII საუკუნით თარიღდება და ამ ხანაზეც მოდის კოლექტიური დაკრძალვის უმეტესობა. გამოდის, რომ VII საუკუნეში (მხოლოდ არსებული მონაცემებით) 200-ზე მეტი ინდივიდია; ხოლო რომელიმე კონკრეტული დროისათვის. ვთქვათ, VII ს-ის შუა წლებისათვის უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვემო ალევში 150-ზე მეტი მცხოვრები იყო, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია მოსახლეობისა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სულ რაღაც 1,5 კმ-ში ალევის სამაროვნის ზუსტად თანადროული მოზრდილი სამაროვანია (ასევითვე სამაროვნები დაფიქსირებულია მოსაბრუნსა და იკოთში) და ყველაფერ ამას გავიაზრებთ დღემდე დაფიქსირებულ ადრე შუა საუკუნეთა ძეგლების ფონზე[2], სრული უფლება გვაქვს, რომ VII ს-თვის საქართველოში „დემოგრაფიული აფეთქება“ ვივარაუდოთ; რის შემდეგაც ნათელი გახდება ისიც, თუ როგორ გაუძლო ჯერ სასანიანთა ბატონობას, შემდეგ კი არაბთა და ხაზართა შემოსევებს ამ დროის საქართველომ ისე, რომ კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გზაზე არ შეფერხებულა.

